

მეგი - ქართველი გოგონა  
გრიგოლ რობაქიძე

## წინასიტყვაობა

დავიბადე ოქტომბრის თვეში, მერე კი ჩემს ცხოვრებაში თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა რატომღაც ამ თვეში ხდებოდა. 1928 წლის ოქტომბერში გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა რომანი „გველის პერანგი“. ეს ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოს თხუთმეტსაუკუნოვანი მწერლობის ისტორიაში ეს პირველი ნაწარმოებია, რომელმაც ევროპაში გაიკვალა გზა. ბუნებრივია, ამით იმის თქმა არ მინდა, თითქოს თარგმნას მხოლოდ ეს ნაწარმოები იმსახურებდეს, მაგრამ ამ ფაქტმა ერთობ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და ვგონებ, ამას გამიგებენ. გერმანულმა გამომცემლობამ ამ თარგმანის რამდენიმე ეგზემპლარი გადმომიგზავნა და რაკი ეს წიგნი ჩემს საყვარელ სამშობლოსთან ღრმა ფესვებითაა დაკავშირებული და საერთოდაც, თავის ამქვეყნად მოვლინებას მას უნდა უმადლოდეს, სურვილი გამიჩნდა, ჩემი ქვეყნისათვის გამეცნო იგი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. მინდოდა, ეს წიგნი საკუთარი ხელით ჩემი მოხუცი დედისთვისაც მიმერთმია, რომელიც კარგახანია აღარ მინახავს. ამიტომაც მშობლიური სოფლისაკენ გავუდექი გზას.<sup>[P]</sup>

მკითხველს ვთხოვ, კავკასიის რუკა მოიმარჯვოს და თბილისიდან ბათუმისკენ მიმავალი რკინიგზის ხაზი მონახოს. ამ გზით ვიმგზავრე და რვა საათში სვირის პატარა სადგურში ჩავედი. საზღვარი ზემო და ქვემო იმერეთს შორის სწორედ ამ ადგილას გადის.<sup>[P]</sup>

ევროპულ მკითხველს კი მინდა ვუთხრა: საქართველო სხვადასხვა

კუთხეს აერთიანებს. აქ ცხოვრობენ: კახელები, ქართლები, იმერლები, გურულები, მეგრელები და აჭარლები; ასევე მთის ხალხები: სვანები, ხევსურები, ფშაველები და თუშები. ისინი ყველანი ქართველები არიან და ქართულად ლაპარაკობენ, გარდა სვანებისა და მეგრელებისა, რომლებსაც ქართული ენის გარდა საკუთარი ენებიც აქვთ. ეს ენები ფუძექართული ენის საფუძველზე არსებობენ; საერთოდ კი, საქართველოს ყველა კუთხეში ერთიანი ლიტერატურული და საეკლესიო ენა მოქმედებს.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

## პროლოგი<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

ოქტომბრის საღამო იდგა, სვირში რომ ჩავედი. სადგურში ერთი ჩემი ხანდაბმული ნათესავი დამხვდა და სოფლისაკენ ცხენებით გავუდექით გზას.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

მშობლიური მიწის სურნელმა თავბრუ დამახვია, მერე კი ბავშვობისდროინდელი მოგონებები ფრინველთა გუნდებივით აიშალნენ გონებაში. უცნაურია: ასე მეგონა, ჩემი მოწიფულობის ხანის ყველა საგულისხმო ფიქრსა თუ ანდე-გუმანს ჯერ კიდევ მაშინ ვვბიარე, როდესაც ბავშვობაში ამ მიწაზე დავაბიჯებდი. ახლა, წარსულზე თვალის გადავლებისას, ისინი მოფარფატე, დანისლულ სურათებად გარდასახულიყვნენ და ჩემი ბავშვური ცნობიერების უნაპირო ნაკადში მოტივტივე მედუმებს ჰგავდნენ. იქნებ ეს სურათები პირველქმნილი სამყაროს თაურხატები იყვნენ, ბავშვი მშობლიური მიწის ბნელითმოცული წიაღიდან მოგონებებად რომ ამოხაპავს ხოლმე? გამბედაობა არ მყოფნის, ნისლიანი პირბადის მიღმა

თვალსმოფარებულ ამბებს შევეხო [SEP]

შემოდგომის წყნარი საღამო იდგა. თვალებით ვნთქავდი მშობლიურ ველ-მინდვრებს, და, აი, სადგურის შემდეგ პირველი სადარაჯო ჭიხურიც გამოჩნდა, რომელთანაც დაუვინყარი მოგონება მაკავშირებს [SEP]

თვრამეტი წლისამ, გერმანიაში სასწავლებლად წასვლა გადავწყვიტე. მამაჩემმა რკინიგზის სადგურამდე მიმაცილა, მაგრამ მატარებლის ჩამოდგომას აღარ დაუცადა, ორიოდ სიტყვით დამემშვიდობა და წავიდა. მის ხმაში სევდა იგრძნობოდა და ამის დამალვა უჭირდა. მამას შიში შეიპყრობდა ხოლმე, როცა წარმოიდგენდა, რომ თავისი ერთადერთი ვაჟი უცხო ქვეყანაში უნდა გაეშვა, მაგრამ მის თვალზე ცრემლი არასოდეს დამინახავს. ჰოდა, კარგად ვგრძნობდი, რომ უშუალოდ გამგზავრების წინ, ჩემთან დამშვიდობება უფრო გაუჭირდებოდა, რადგან მატარებელი, ეს მქშინავი ურჩხული, თვალსა და ხელს შუა, ფიზიკურად მოსტაცებდა შვილს. ამიტომაც კარგად მოიქცა, ადრევე რომ წავიდა. ვიცოდი, მამას უსაზღვროდ ვუყვარდი, თუმცა თავის სიყვარულს ამკარად არასოდეს ამჟღავნებდა. ბაქანზე შემცბარი და ნაღვლიანი ვიდექი და ვხედავდი, მამა ნელ-ნელა როგორ მიეფარა თვალს, ისე, რომ ჩემკენ აღარ მოუხედავს. ბოლოს მატარებელიც ჩამოდგა. ავედი და სასწრაფოდ ფანჯარა გავადე. მატარებელი დაიძრა. მშობლიურ ველ-მინდვრებს მზერით ვემშვიდობებოდი. მალე პირველი სადარაჯო ჭიხურიც გამოჩნდა და დავინახე, რკინიგზის ლიანდაგიდან ოდნავ მოშორებით,

ჯიხურთან, ვიღაც კაცი ხეს მიჰყრდნობოდა. კაცს თვალი ველარ მოვაშორე და შევნიშნე, ხარბი მზერით როგორ შესცქეროდა მატარებლის თითოეულ ვაგონს თუ ფანჯარას და გამალებით ვიღაცას ეძებდა. ეს კაცი მამაჩემი იყო. თვალები ცრემლით ავსებოდა. არასოდეს დამავინყდება მისი სიყვარულითა და ნუხილით აღსავსე გამოხედვა. ნეტავ თუ შემამჩნია, რომ დავინახე, ან თავად თუ დამინახა? არ ვიცი. მერეც არასოდეს მიკითხავს მისთვის ამის შესახებ, რადგან მერიდებოდა მამასთან იმაზე ლაპარაკი, ჩემს პირად, ღრმა განცდად რომ ქცეულიყო. მერე მამა ისე გარდაიცვალა, ამაზე არასოდეს დამლაპარაკებია.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ახლა იმ პატარა ჯიხურს რომ მივუახლოვდით, დავინახე, რომ ის ხე იქ აღარ იდგა. სამაგიეროდ, ამ ადგილს მამაჩემის დაფეთებული თვალები შემოენახა მოგონებად, სივრცეს ხარბად რომ ნთქავდნენ. ჩემი ცხენი შეტორტმანდა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– რა იყო, მოხდა რამე? – მკითხა ბიძაშვილმა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– არა, არაფერი... – დაღლილი ხმით მივუგე.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მდინარე ყვირილაზე გადავედით და დაახლოებით ნახევარი მილი ფეხით ვიარეთ. და, აი, ვხედავ: ისევ აქ დგას ის დიდი ნიგვზის ხე, ოდნავ სიბერე რომ შეჰპარვია; ეჰ, რამდენჯერ დამისვენია მისი ფოთლების ჩეროში! რამდენ ენითუთქმელ ოცნებას ჩაუქროლია მის გავარჯულ ტოტებქვეშ! იმ დროიდან მოყოლებული, ერთი ამბავი ამოშანთულა ჩემს გონებაში. მახსოვს, თექვსმეტი წლის ბიჭი, ცხენით მივდიოდი მეზობელ სოფელში. ამ ხის შორიახლოს გოგონა დავინახე,

ცხვრის ფარას მწყემსავდა. ზაფხულის ხვატი იდგა. გოგონას სილამაზემ ისე მომაჯადოვა, რომ გაოგნებული შევდექი. მერე ის იყო, თვალისდახამხამებისუმაღლ ცხენიდან ჩამოვხტი, გოგონას ხელი მოვკიდე და მის ნორჩ ტუჩებს ბანგდალეულივით დავეკონე. სუნთქვა შემეკრა და ირგვლივ ვერაფერს ვხედავდი. გოგონამ, მგონი, შეჰყვირა; არ ვიცი, რადგან ყურში მხოლოდ საკუთარი ყვირილის ხმა ჩამესმა, ჭეული ნადირის დვრინვას რომ ჰგავდა. მერე ასევე სწრაფად მოვახტი ცხენს, რომელსაც თითქოს გადასდებოდა ჩემი შიშნული აღფრთოვანება, და იქაურობას გავეცალე. ეს ჩემი პირველი კოცნა იყო.<sup>[SEP]</sup>

ხშირად მიფიქრია, ნეტავ სად არის-მეთქი ის მწყემსი გოგონა? ცოცხალია თუ არა? ვინ იცის, იქნებ დედაც გახდა, გარს თავისი, მოჩითული გოგო-ბიჭები ახვევია, დაბინდებისას კი დრო და დრო ღიმილით იხსენებს დაუდევარ ყმანვილს, მის ნორჩ ბაგეს სახელდახელო კოცნა რომ მოსტაცა. ვინ იცის, იქნებ ის კოცნა მისთვისაც პირველი იყო?<sup>[SEP]</sup>

გზა გავაგრძელეთ და ხიდთან მივედით, სადაც ჩოლაბური და ძირულა ერთმანეთს ერთვის. მერე კი ისევ და ისევ დაუვინყარი მოგონებები ამეშალა. იმხანად თოთხმეტი წლის ბიჭმა, გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჭდომოდა, ექვს იანვარს, წყალკურთხევის დღეს, ზეიმზე ქუთაისში ჩავსულიყავი. თან მამაჩემი გამომყვა. მატარებლამდე ფეხით მისვლა გადავწყვიტეთ, მაგრამ მდინარესთან რომ მივედით, აღარც ხიდი დაგვხვდა და აღარც ნავი, –

წყალდიდობას წაელო ყველაფერი. რა უნდა გვექნა? იქშემოსწრებულ მხედრებს შეეძლოთ ცხენით მდინარეზე ჩემი გადაყვანა, მაგრამ ქორწილშიმიდიოდნენ და თან მთვრალეები იყვნენ. ბოლოს ერთი კამეჩებშებმული ურემი დავინახეთ. მეურმე დაგვთანხმდა, რომ მდინარეზე გადამიყვანდა. მამაჩემი ნაპირზე დარჩა. ურემი ჩოლაბურის ტალღებში შეიჭრა და მცირე მანძილზე გაცურა, მაგრამ მალე გვერდზე გადაყირავდა, მერე კი, უგერგილო მეურმის ხელში, ჩაძირვა დაიწყო. კამეჩები დაფრთხნენ და ძირულას ტალღებში შთავინთქეთ.<sup>[P]</sup>

ორი აზვირთებული მდინარის ნაკადი მძიმე ურემს ნაფოტივით ატრიალებდა. ნაპირიდან მამაჩემის ყვირილი ისმოდა. ამასობაში ურმიდან წყალში გადავეშვი და ძირულას მარჯვენა ნაპირისკენ გავცურე. კარგი მოცურავე მეტქმოდა და ნაპირზე ასვლა მოვახერხე, თუმცა თავფეხიანად გალუმპული ვიყავი. მაშინვე იქვე ახლოს, წისქვილში გამაქანეს. მამაჩემი უკან გამომყვა, მაგრამ მას ჯერ მდინარის ნაპირისთვის უნდა შემოევლო, რომ ხიდზე გადმოსულიყო და ჩემამდე მოეღწია. წისქვილში რომ მიმიყვანეს, ლოგინში ჩამანვინეს; იძულებული გავხდი, ღამე აქ გამეთია.<sup>[P]</sup>

ახლა სწორედ იმ წისქვილს მივუახლოვდით: საღამოს ბინდბუნდში ძველი და ჩამომზღვლეული მეჩვენა. მალე ცრიატი წვიმაც წამოვიდა.<sup>[P]</sup>

- აქ ცოტა ხნით ხომ არ ჩაგვემუხლა? – მკითხა ბიძაშვილმა.<sup>[P]</sup>
- კარგი იქნებოდა...<sup>[P]</sup>

ცხენებიდან ჩამოვხტით. მენისქვილე გულღიად შემოგვეგება. დოლაბების ხმაურში, სახელდახელოდ გაჩაღებულ ცეცხლთან, ბავშვობისდროინდელი ოცნებების სამყაროში ამოვყავი თავი. ახლა ეს ნისქვილიც ზმანება მეგონა; ან იქნებ საკუთარ თავსაც სიზმარში ვხედავდი? მერე ბნელი, პირქუში ღამე ჩამოწვა. უეცრად კარი გაიღო და ნისქვილში ვიღაც ბერიკაცი შემოვიდა. ცოტა არ იყოს, შევკრთი. ვიფიქრე, მოჩვენებები ხომ არ დამენყო-მეთქი? ეს ხომ ის ბერიკაცია, ამ ოცდაათი წლის წინ რომ ვიცნობდი? აფორიაქებულმა ბიძაშვილს ჩურჩულით ვკითხე, ეს გეგია ხომ არ არის-მეთქი. მანაც, ცოტა არ იყოს, ქილიკით მომიგო: „ჰო, სწორედ ის არის“. [SEP]

ბერიკაცს ბავშვობიდან ვიცნობდი. [SEP]

ხშირია შემთხვევა, როცა ჩვენს მხარეში მსხემი ვინმე გამოჩნდება და მერე სამუდამოდ აქ დასახლდება ხოლმე. ეს ბერიკაციც მსხემი იყო. ჩემს ბავშვობაში უკვე ხანდაზმული კაცი ეთქმოდა და როგორც გაგონილი მქონდა, მეზობელი სამეგრელოდან უნდა ყოფილიყო გადმოხვენილი. ბერიკაცს გეგია ერქვა, და, ამის მეტი მის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. გეგია საშუალო ტანის კაცი იყო და მოკლედ შეჭრილი, უსამველოდ სქელი, ფერფლისფერი თმა ტყვიასავით უბზინავდა; ასაკის მიუხედავად, გაჭგიმული დადიოდა, სახებზე კი რაღაც უსიამოვნო იერი დაჰკრავდა. ნებისმიერ ადამიანში რომელიმე ნივთიერების სიჭარბე იგრძნობა ხოლმე. ჰოდა, ბერიკაცსაც ამგვარი ნივთიერება თითქოს მთელ სხეულზე შემორაგვოდა და აშკარად ფერფლს მოგაგონებდა. მისი უცნაური, ერთობ მუქი თვალების

შემხედვარე, ვერ იტყოდი, რა ფერის თვალები ჰქონდა და დრო და დრო თუ გაუკრთებოდა ხოლმე თვალის კაკლების მოყვითალო თეთრონი; მზერა გამუდმებით გვერდზე გაურბოდა და საუბრის დროს სახეში რომ შემოგაჩერდებოდა, მისი გამჭოლი მზერა ერთობ უსიამო გრძნობას აღგიძრავდა. ბერიკაცს ბავშვები უყვარდა, თუმცა ისინი შიშით გაურბოდნენ. ჭარისკაცის ძველი, რუხი ფარაჯა კურტაკად გადაეკეთებინა, წელზე კი ქამრად სქელი ბანარი შემოერთყა; ჭვალოს პერანგი ეცვა და დღენი ადაგ ფეხშიშველი დადიოდა. სიარულის დროს ნარ-ეკალს არ ეპუებოდა, ამიტომ ფეხის ქუსლები მთლად გაუხეშებოდა; შიგ ჩაზრდილი ხინვებისა და ეკლების ამოძრობას, როგორც ჩანს, ბერიკაცი არც ცდილობდა, ფეხის ფრჩხილებს არასოდეს არ იჭრიდა და თითის სისქეზე გარქოვანებული და გაძვალეებული ჰქონდა; ერთთავად ჭაპანწყვეტაში იყო, კარდაკარ დაეხეტებოდა, მაგრამ ერთ კვირაზე მეტ ხანს არავისთან ჩერდებოდა. იოლად შესანახი, მოკრძალებული კაცი იყო და მარტოოდენ ხილით იკვებებოდა. ბერიკაცს კერვა ეხერხებოდა და იმ ოჯახებში, სადაც ყოფნა უხდებოდა, ამ საქმეს ხელს არ აკლებდა. მუდამ თან დაატარებდა მუშამბის ოთხკუთხა, ბრტყელ აბგას, თუმცა არავინ იცოდა, შიგ რას ინახავდა. სიტყვაძვირი კაცი იყო და მით უფრო საკუთარ თავზე ლაპარაკი ხომ არა და არ უყვარდა; ცხოველივით სევდიანი გამოხედვა ჰქონდა, იშვიათად იღიმებოდა, გაცინებული კი თითქმის არავის უნახავს. ბერიკაცი ეკლესიაში ხშირად დადიოდა, მაგრამ ლოცვით მხოლოდ მაშინ ლოცულობდა, თუ თავს მარტო

დაიგულედა; ხანდახან უჩვეულო სიმმაგე შეიპყრობდა ხოლმე. ასეთ დროს იგი ეკლესიის მახლობლად, პატარა ფიცრულში განმარტოებით ცხოვრობდა. ბერიკაცის საქციელი თანასოფლელებს საგონებელში აგდებდა; ხმები დადიოდა, ფიცრულში საკონწიალო აქვს ჩამობმული, მაგრამ საქანაოდ კი არა, საკუთარი თავის სანამებლადო. ჩვენ, ბავშვებსაც გაგონილი გვქონდა ეს ამბავი, და რაკი ეკლესია ჩვენი სახლიდან სულ რამდენიმე ნაბიჯზე იყო, ერთ ღამეს ბერიკაცის ფიცრულთან მივიპარეთ. გვეშინოდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ გვძლია და ჭუჭრუტანაში შევიხედეთ. შუა ფიცრულში, ალიზის იატაკზე ცეცხლი ენთო. იქვე გადახსნილი აბგა ეგდო, კერიასთან კი, დიდ ქვაზე, სურათი იყო აყუდებული, რომელიც რომელიღაც წმინდანის ხატი უნდა ყოფილიყო. ბერიკაცი ირწეოდა და თან რაღაცას ბუტბუტებდა. გვეგონა, ლოცულობდა, მაგრამ აი, მან თოკის ბოლოებს ხელი დაავლო და კისერზე ყულფივით შემოიჭდო. ამის დანახვაზე შევძრწუნდით. ვიფიქრეთ, ბერიკაცი თავს იხრჩობსო და შინისაკენ მოვკურცხლეთ; თუმცა მეორედღეს იგი საღ-საღამათი გამოგვეცხადა. მოხუცს ძალიან ვუყვარდი, მე კი ის ცნობისმოყვარეობას აღმიძრავდა; მაგრამ შეიძლებოდა მისდამი სიყვარულიც მეგრძნო, რომ არა დაფეთებული მამაჩემის სიტყვები, ყურში ხშირად რომ ჩამესმოდა და ასე მაშინებდა: „ეგ კაცი ეშმაკის მოციქულია~. ისე კი, ბერიკაცმა ერთხელ კინალამ მართლა გამიხეთქა გული. ეს ნაშუადღევს მოხდა. გვგია იმხანად ჩვენთან, სახლში იმყოფებოდა და ეძინა. უეცრად ჩემი ყურადღება მისმა ფეხებმა მიიპყრო: ტერფებში უამრავი ხინვი

ჩაბრდოდა. ველარ მოვითმინე, მივეპარე და შევეცადე, მისთვის ერთ-ერთი ხინვი ამომეძრო. მაგრამ მოხუცი მოულოდნელად წამოხტა და განრისხებულმა, ისე დამიღრიალა, რომ კაი ორი დღე გონს ველარ მოვედი შიშისაგან და მხოლოდ ბებიაჩემის შელოცვების წყალობით შევძელი ამ მდგომარეობიდან გამოსვლა. მერე სამი დღე რომ გავიდა, ჩვენი მეგობრობა კვლავ ძველებურად გაგრძელდა. აი, ასეთი იყო გეგია, რომელსაც ყველა უჟმურ კაცად იცნობდა. გონებაში განსაკუთრებით მისი უცნაური სიარული ჩამრჩა – ხტუნვა-ხტუნვით დადიოდა, თუმცა იმავედროულად კატასავით მოქნილი და ზამბარასავით დაჭიმული ნაბიჯები ჰქონდა. მისი ტანჯვის მიზეზი ყველასათვის გამოცანად რჩებოდა. ბუნდოვნად მახსენდება ერთი ჩვენი სიტყვაძუნნი მეგობლის თითქოსდა სასხვათაშორისოდ ნათქვამი სიტყვები: „მაგ კაცზე ამბობენ, საკუთარ დას მიუდგა, მერე კი ჭკუაზე შეიშალაო“. მაგრამ მის სიტყვებს ცნობისმოყვარეობა არ აღუძრავს და შთაბეჭდილება არავისზე მოუხდენია. თავად ბერიკაცი კი დაჟინებით დუმდა და თუ ვინმე შეკითხვებით თავს მოაბეზრებდა, უეცრად წამოხტებოდა, თავის აბგას ხელს დაავლებდა და იქაურობას უხმოდ გაეცლებოდა. ასეთად შემორჩა გეგია ჩემს მეხსიერებას. ჩვენი ბოლო შეხვედრა იმ საღამოს შედგა, როდესაც ადიდებულ მდინარეზე გადასვლას ამაოდ ვცდილობდი, მერე კი ამ წისქვილში მომიყვანეს.<sup>[SEP]</sup>

ახლა ბერიკაცი მომიახლოვდა და მომესალმა. გამიკვირდა, საერთოდ არ შეცვლილიყო. ნეტავ რა ხნისა იქნებოდა? ამას ვერავინ იტყოდა და ეს თავად გეგიამაც არ იცოდა ზუსტად. იგი სამეგრელოში

მას შემდეგ ცხოვრობდა, რაც ბატონყმობა გადავარდა და ამ მხარეს მთავრინა ეკატერინე დადიანი მართავდა. რუსეთთან შეერთებისა და ხანგრძლივი მონობის შემდეგ, ჯერ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა შეიქმნა, ბოლოს კი საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევიდა. გეგია პირველ მსოფლიო ომს და რევოლუციასაც მოსწრებოდა და ახლა, მარად უცვლელი, იდგა ჩემს წინაშე. ნუთუ შეიძლებოდა ამ დიდ, სოციალურ ძვრებს მისთვის უკვალოდ ჩაევილო? ნუთუ „დრო“, სამყაროს ეს ყველაზე დიდი საიდუმლო, მის წინაშე უძლური აღმოჩნდა? ბერიკაცი თითქოს გახევებულიყო და სახეც ხისგან გამოთლილ, ძველ ქანდაკებას მიუგავდა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ვერ მიცანი, გეგია? – ვკითხე კარგახნის დუმილის შემდეგ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ვერა, ვერ გცნობ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. მერე, როცა ჩემმა ბიძაშვილმა უთხრა, ვინც ვიყავი, ბერიკაცი ოდნავ შეკრთა და ძლივს ამოღერდა: „ოჰ, რას ამბობ“<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

უცნაურია, მაგრამ ამ დროს სახეზე გაოცება ვერ შევამჩნიე.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მართალია, ცივი ღამე არ იყო, მაგრამ სუსხი მაინც იგრძნობოდა და ბერიკაცი ჩვენთან ერთად მიუჭდა ცეცხლს. მერე ვიგრძენი, გულდასმით რომ მაკვირდებოდა და პირქუშ მზერას არ მაცილებდა. შემზარავი სანახავი იყო; ადამიანი აღარც კი ეთქმოდა, მთელ საუკუნეს დაესვა მისთვის დაღი. ბერიკაცი დრო და დრო რაღაცას მეკითხებოდა და მეც დათრგუნული ვპასუხობდი. მერე ნელ-ნელა

თითქოს გამოფხიზლდა და დავინახე, ჩემს თვალწინ როგორ გაცოცხლდა გამხმარი ხე. ტუჩებზე ღიმილმაც კი გადაურბინა, თვალები მოჭკუტა და მკითხა:<sup>[P][SEP]</sup>

– გახსოვს, ზღაპრებს რომ გიყვებოდი?<sup>[P][SEP]</sup>

– მაგას რა დამავინწყებდა?! შენი ერთი ზღაპარი ჩემს წიგნშიც კი ჩავრთე, – მიუვგე მე.<sup>[P][SEP]</sup>

– რომელი ზღაპარი?<sup>[P][SEP]</sup>

– აი ის, გაქვავებულ ჭაბუკზე რომ მიყვებოდი.<sup>[P][SEP]</sup>

– ოჰო, რომელ წიგნშია ეგ?<sup>[P][SEP]</sup>

– აი, ამაში.<sup>[P][SEP]</sup>

ჩანთიდან ჩემი რომანის გერმანული გამოცემა ამოვიღე და წიგნი იმ გვერდზე გადავშალე, ზღაპარი რომ იყო დაბეჭდილი. ბერიკაცმა წიგნი გამომართვა და გულდასმით დაათვალიერა. ალბათ ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ამ მხარეში ადამიანმა გოთურ შრიფტს შეავლო თვალი! მაგრამ მოხუცს სახეზე გაოცება ვერ შევნიშნე და ისღა გავიგონე, ჩურჩულით რომ მკითხა: – მაშასადამე, შენგან მწერალი დადგა, არა?<sup>[P][SEP]</sup>

სულმა წამძლია, მეთქვა, ამ წიგნში შენი სახელიც მაქვს მოხსენებული-მეთქი, მაგრამ უეცრად მის მზერას გადავანყდი და მივხვდი: ამ თვალების შემყურეს, წამდვილად გამიჭირდებოდა ტყუილის თქმა.<sup>[P][SEP]</sup>

ჩემი ბიძაშვილი მოსასვენებლად მიწვა. მწნისქვილემ დარაბები მიხურა, გარეთ გავიდა და წყალი კალაპოტში გადააგდო. სამი

დოლაბი გაჩერდა და მენისქვილემაც მოსვენება გადაწყვიტა. მერე მეც ფიცრისგან სახელდახელოდ შეკრულ ნარბე მივწევი. მენისქვილეს და ჩემს ბიძაშვილს მალევე ჩაეძინათ. ცეცხლთან მიმჭდარ ბერიკაცს ძილი მორეოდა და თვლემდა. მის დანახვაზე ისევ ხისგან გამოჩორკნილი ძველი ქანდაკება გამახსენდა. საშინლად დაღლილი ვიყავი, მაგრამ თვალზე რული არ მეკარებოდა. ჩემოდნიდან პოლ ვალერის ლექსების პატარა კრებული ამოვიღე და კითხვა დავიწყე. მაგრამ, საოცარია! აჟ, ამუკაცურ ადგილას, ძველ ნისქვილში, პარიზელი ალექსანდრიელის სიტყვები ერთობ ზერელე და ზედაპირული მომეჩვენა. ის კი არა, ახლა საკუთარ თავზეც ვეღარ ვიტყვოდი, არ შევცვლილვარ-მეთქი. ვიგრძენი, ჩემში ფენა-ფენა როგორ ჩამოიშალა დასავლური კულტურის სანიშნეები: ჰეგელის გონება, გოეთეს ნიჭი, ბახის მუსიკა თუ რემბრანდტის შუქ-<sup>[P]</sup><sub>SEP</sub>

ჩრდილი, ახლა უცხო და შორეული გამხდარიყო ჩემთვის. ნისქვილი ხმაურობდა და ვიგრძენი, როგორ შეირხა ჩემში თაურსამყაროსეული რიტმი. უეცრად დროის ერთიანობისა და მთლიანობის შეგრძნება დამეუფლა და მომეჩვენა, თითქოს დროს რბოლა შეენყვიტა და მისი დაყოფა-დანანევრების უნარი სადღაც გამქრალიყო. მე ხომ აჟ, ახლაც ისე ვწევარ, ამ ოცდაათი წლის წლის რომ ვინწევი! მაგრამ „ახლა“-ს და „მაშინ“-ს ერთმანეთისგან ვეღარ ვარჩევდი, ისე უკლებლივ და პირნმინდად შთაენთქა დამათრობელ გრძნობას ეს მარადჟამს მნიშვნელოვანი დროის მონაკვეთები. შორს, სადღაც შორს გამიტაცა ნისქვილის რაკარუკმა; ჩემი მზერა გადაეწვლო

გაჩერებულ დოლაბებს და, ლამის არის, შიშით შევიგრძენი მათი თაურსამყაროსეული მდუმარება. ბერიკაციც უხმოდ ჩაძირულიყო ამ სიჩუმეში. ირგვლივ ყველაფერი იდუმალეზას მოეცვა. უეცრად მისი აბგა გამახსენდა და შევკრთი. ნეტავ რა ბედი ენია იმ აბგას, სად უნდა ნაელო-მეთქი, – გავიფიქრე. ნიგნი დავხურე და თვალები დავხუჭე, მაგრამ ძილი არ მეკარებოდა და თავი მოვიმძინარე. ცოტა ხანში ბერიკაცი ნამოდგა და ჯერ ჩემს ბიძაშვილს, მერე კი მენისქვილეს დახედა. ორივეს ღრმა, ნეტარი ძილით ეძინა. ბერიკაცმა ახლა მე გადმომხედა. უძრავად ვინეჭი. ეზოში ძალღი ყეფდა. მოხუცი კარისკენ გაემართა, გააღო და გარეთ გავიდა. ყეფა მიწყდა: ჩანს, იქ უცხო არავინ იყო; მერე მალევე უკან შემობრუნდა, ჩაახველა და აშკარად, განზრახ ხმაურით მოჰყვა წინ და უკან სიარულს; ერთხელ კიდევ გულდასმით შემათვალიერა. გატრუნული ვინეჭი. ბერიკაცი ახლა კი დარწმუნდა, რომ ნამდვილად მეძინა. გაფაციცებული ვადევნებდი თვალ-ყურს მის ყოველ მოძრაობას: აი, კუთხეში მივიდა, იქ მიყრილი ძონძების გროვიდან პატარა ხის ყუთი გამოაძვრინა და რაღაც ამოიღო. ჩემკენ რომ შემობრუნდა, დავინახე: ის ძველი, ახლა უკვე მთლად გაქეჭილი აბგა ეჭირა ხელში. ბერიკაცმა აბგა გახსნა, რაღაც ხის დაფა ამოიღო და, ჩემგან ბურგმეჭყვევით, ცეცხლთან დაჭდა. ჩუმად ნამოვდეჭი და დაფას ფარულად გავხედე და, ჰოი, საოცრებავ! ეს დაფა კი არა, სურათი იყო! უცნობი ქალის სურათი! გავშემდი და სურათს თვალს ვერ ვაშორებდი. გუმანი მეუბნებოდა, მოხუცი ბურგით იგრძნობს შენს ანთებულ მზერას და შემოტრიალდებო. ამგვარი

წინასწარი შეგრძნება ავზიანს ეუფლება ხოლმე მოახლოებული შეტევის წინ, მაგრამ ამ შეგრძნებას არ ძალუძს, შეტევა აარიდოს თავიდან და პირიქით, უფრო დააჩქარებს მას. მოხუცი მართლაც შემობრუნდა ჩემკენ. წვრილ-წვრილი ნაოჭებით დაღარული სახე რისხვით დამანჭოდა. მე კი მონუსხულივით ვიდექი და, ნაცვლად იმისა, რომ თვალები დამეხარა და ისევ დავწოლილიყავი, უეცრად წამოვხტი და სურათთან მივიტყერი. ახლა თავად ბერიკაცი დარჩა სახტად; სურათი გამოვართვი და დავინახე, რომ მასზედ უცნობი გოგონა იყო გამოსახული. თმაზე მზის ათინათი დასთამაშებდა, თვალები კი, – არ ვიცი, ვინმეს ძალუძს იმ თვალების აღწერა? – გამლხვარ, მბზინვარე თოვლში, ბუჩქის ძირას ამოსულ ორ იას მიუგავდა! თუმცა, რა საჭიროა მათი აღწერა? ნებისმიერი სიტყვა ხომ უმწეო ჩურჩულივით გაიხშიანებდა და რომელიმე უკვე გამქრალი ენიდან ნათარგმანებს დაემგვანებოდა! დიახ, ეს სურათი კი არა, ფერებში განივთებული ჯადო-თილისმა იყო! რა თქმა უნდა, ამ ნახატს ბოტიჩელის ან ლეონარდოს ქალთა სახეებს ვერ შეადარებდი, რადგან ერთობ მარტივი ტექნიკით იყო შესრულებული; მაგრამ არასრულქმნილ „საგანში“ სასწაულებრივად შეეღწია რაღაც ზეადამიანურ ძალას და იქვე ჩაბეჭვილიყო. ამგვარი „საგნის“ დანახვაზე ადამიანში უმაღლეს მწვექცეს გრძნობა იღვიძებს და იგი თვალის ერთი შევლებით განჭვრეტს ხოლმე ყველაფერს; და ეს უკვე ხელოვნება კი არა, ხელოვნებაზე უფრო ზეადამიანური რამ არის, რადგან ისეთ გრძნობებს აღძრავს, მშვენიერებასთან არავითარი

კავშირი რომ არა აქვს. ასეთი გრძნობა ადამიანს შესაქმნეს კითხვისას ეუფლება ხოლმე; ასე გგონია, ამ საქმისთვის თავად შემოქმედი იღვწოდაო, – და ამ დროს არაამქვეყნიური შიში დაგივლის მთელ ტანში. მაგრამ სიტყვას სხეულებრივი ძალა არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, მისი გრძნული ძალის ზემოქმედება ვერ შეედრება სურათ-ხატოვანი წარმოსახვის ანუ მატერიალური სხეულის ძალას. ამ დროს ადამიანს კოსმიური შიშიც კი შეიპყრობს ხოლმე, როდესაც გააცნობიერებს, რომ სიტყვა „მატერია“ „მატერ“-იდან წარმოსდგა. ასეთ შეგრძნებებს ქვაში გამოკვეთილი, ეგვიპტური ქანდაკებები და მცირეაზიური ფრესკები აღძრავენ. ამიტომაც ახლა სუნთქვა შემეკრა და მონუსხულივით გავშემდი ადგილზე; შევყურებდი გოგონას გამოსახულებას და სულ უფრო ძლიერად ვექცეოდი მისი გავლენის ქვეშ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– აბა, რას იტყვი? ლამაზია, არა? – ჩამესმა ყურში ბერიკაცის ხმა. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს უეცრად ვიღაც შემოიჭრა ჩემს სიმარტოვეში, რათა გაექრო ისჯადო-თილისმა, რომელიც ახლა მთლიანად დამპატრონებოდა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ჰო, ლამაზია... ძალზე ლამაზი! – წავილულულე ჯერაც სრულიად შემცბარმა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მერე უეცრად მივხვდი, რომ კვლავ დამიბრუნდა ამქვეყნიური არსებობის შეგრძნება და თითქმის საქმიანად განვაცხადე.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– იცი, ამაში ალბათ დიდძალ ოქროსაც არ დაიშურებდა კაცი!<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– რაო, რა თქვი, ოქროსო? – დასძინა მერე და სახეზე დამცინავი

ღიმილი გაუკრთა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მივხვდი, ველარაფერს გავანყობდი და ბავშვივით ხვეწნა  
დავუნყე.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– გვედრები, გეგია, მაჩუქე ეს სურათი!<sup>[P]  
[SEP]</sup>

ბერიკაცი შეკრთა და სახე დაემანჭა, მაგრამ მხოლოდ ნამით. მერე,  
თითქოს უტყუარი გამოსავალი იპოვაო, ეშმაკურად მითხრა:<sup>[P]  
[SEP]</sup>

– კი ბატონო, გაჩუქებ, ოღონდ ერთი პირობით...<sup>[P]  
[SEP]</sup>

– რა პირობით?<sup>[P]  
[SEP]</sup>

– იმ პირობით, თუ მისი ამბის გამოძიებას არ დაინყებ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ენაჩავარდნილი ვიდექი და უეცრად უცნაურმა, დაუდგრომელმა  
გრძნობამ შემიპყრო: ეს გრძნობა იმ პირველქმნილი ადამიანების  
ცნობისმოყვარეობას ჰგავდა, გველმა რომ აცდუნა. მოხუცს შევხედე:  
ასპიტის მზერაში მაცდურის სიბრძნე გამოსჭვიოდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– აბა, რას იტყვი? თანახმა ხარ? – მკითხა და ღიმილით ნათქვამს  
თვალწამიერი სიცილი მოაყოლა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

რაკი ძლიერ მინდოდა, გამეგო ამ ნახატისა და მასზე აღბეჭდილი  
სახის საიდუმლო, იძულებული გავხდი, საჩუქარზე უარი მეთქვა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– არა, ამ პირობით არ მინდა! – ვუთხარი იმედგაცრუებულმა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– კი მაგრამ, რატომ არ გინდა? – ისევ და ისევ მაცდური ღიმილით  
მკითხა ბერიკაცმა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– იმიტომ, რომ ამ სურათის ამბავი მინდა ვიცოდე!<sup>[P]  
[SEP]</sup>

– თუ არ გეტყვი, როგორ გაიგებ? – გაიღიმა მან.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მოდი, ყველაფერი მომიყევი, რაც ამ სურათზე იცი და თავად

სურათს ნულარ მაჩუქებ! – რაღაც ამგვარი მიუვუგე პასუხად.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– კი ბატონო, დაე ასე იყოს! მაგრამ ამ ამბავს ახლა პირველად ვუყვები ხორციელს და ეს შენა ხარ! – მითხრა ბერიკაცმა და სახეზე ღიმილი გაუქრა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მერე მოყოლა დაიწყო და იმდენ ხანს ჰყვებოდა, რომ თავზე დაგვათენდა. გაოგნებული ვუსმენდი; ბერიკაცის ნაამბობი კი მოგვიანებით ჩავიწერე. მოქმედ პირთა სახელები არ შემიცვლია. ასეთი იყო მისი დაჟინებული სურვილი; მის მიერ აღწერილი ამბებიც უცვლელად დავტოვე და მხოლოდ მოვლენები დავაკავშირე ერთმანეთთან ჩემებურად. დიდი პოეტი, რომლის „პოეზია და სინამდვილე“ ჩემთვის ნიმუშად იქცა, მომიტევებს ამას, რადგან მწერლისთვის სინამდვილე ყოველთვის პოეზიად გარდაისახება ხოლმე.<sup>[P]  
[SEP]</sup>

## წყაროსთან<sup>[P] [SEP]</sup>

გოგონა წყლიდან ისე ამოვიდა, თითქოს ეს-ესაა ადამის ნეკნიდან იშვას. მთლად დავიწყებოდა, წყაროზე ადამიანები წყურვილს რომ იკლავენ და წყალში გასაგრილებლად ჩასულიყოს. ისე კი, შუადღის ხვატში ადამიანი ისე ითენთება, რომ ახლა წყლის წასაღებად აქ აღარავინ მოვიდოდა; თანაც წყარო, საიდანაც ახლა მთხრებლში წყალი ძალუმად მოსჩქეფდა, ორ-სამ საათში მთლიანად დაინრიტებოდა და ამოშრებოდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

გოგონამ ფიქრებში წყარო ველური ფაშატის გაშიშვლებულ გულს

შეადარა, მერე კი მთელი ტანით შეიგრძნო სიგრილე, მოჩუხჩუხე წყაროს მიწის წიაღიდან რომ გამოჰყოლოდა; მის ხავსმოდებულ კიდეს გადმოაბიჯა და ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ამქვეყნად ეს-ესაა დაიბადაო. ერთხანს გარინდებული იდგა: ახლა დედამიწის თაურძალებს გოგონას სხეული იმ სიცოცხლით აღევსოთ, უხვად დაძარღვული მადნის მდოვრ, მშვიდ არსებობას რომ ჰგავდა; მერე კდემით ჩამოისვა ხელი ბაკქისეულ, სავსე თეძოებზე, მისი ნორჩი სიცოცხლის ჩვიდმეტ გაზაფხულს ნაყოფად რომ გამოედო. გოგონა დაიხარა, მიწიდან ჩითის თავსაფარი აიღო და ნორჩ, მკვრივ ტანზე შემოიხვია. კუნთები დასჭიმოდა, მკერდი მზის სხივით მონეულ ნაყოფს უგავდა, მზერა კი უმიზნოდ მოსდებოდა შორეთს; ცხვირის ნესტოები კეთილშობილი ცხოველის ნესტოებივით უთრთოდა და ხარბად ისრუტავდა კეთილსურნელოვან ჰაერს. მალე გოგონამ დაბურული ნიგვზის ხის ჩრდილს შეაფარა თავი და ზღვისფერი თვალები მზის ბლითებს მიაჰყრო, ლეოპარდის ტყავის ლაქებივით რომ დასრიალებდნენ ხის ფართო ფოთლებში. უეცრად გოგონა კვლავ გაირინდა და შორეთს გახედა: უკიდევანო სივრცეში მწვანედ მოშრიალე სიმინდის ყანები გადაჭიმულიყო. და ისიც თითქოს შეერწყა ბუნებას, მის ნაწილად იქცა და კდემამოსილი სირცხვილით აღვსილმა, მასთან საოცარი ერთობა იგრძნო; მერე გოგონა წელში გაიზნიქა და მის მაღალ, შიშველ სხეულში უფრო ძალუმად გამოკრთა ის პირველქმნილი ძალა, რომელშიც ერთდროულად რაღაც ცხოველურიც იყო და ღვთაებრივიც.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

უეცრად ცხენის ფლოქვების ხმა გაისმა. ამ ხმის გაგონებაზე გოგონამ ყურები ცქციტა და იმ ძუ მგელს დაემგვანა, დედამინის გულისცემას რომ მიაყურადებს ხოლმე. ბუჩქებს უკან, სოფლის შარაზე, ორი მხედარი გამოჩნდა; ხელზე ორივეს მიმინო შემოესვა. ერთი მათგანი, სახელად ჯვებე, მთავრინა დადიანის კარზე მაღალი მოხელე იყო, მეორე მხედარს გოგონა არ იცნობდა. მხედრებმა ის დაინახეს და საუბარი შეწყვიტეს. გოგონა ჭიქურ მიაჩერდა მათ; ჯვებე იცნობდა გოგონას, მაგრამ ხმა არ გაუცია მისთვის და ტუჩებზე მხოლოდ ღიმილი გაუკრთა, რამაც გოგონას უსიამოვნო გრძნობა აღუძრა; და რაკი მხედრები დუმდნენ, ეს გრძნობა უფრო გაუმძაფრდა და სახებზე სირცხვილის ალმური მოედო: მსუბუქი სამოსელი კი ეცვა, მაგრამ მის ქვეშ აშკარად შეიგრძნობდა საკუთარ სიშიშვლეს. როგორც ჩანს, უცნობი გზის გაგრძელებას აპირებდა, მაგრამ მერე გადაიფიქრა და მხედრები წყაროს მიუახლოვდნენ. დასიცხული ცხენები ხარბად დაენაფნენ წყაროს კამკამა წყალს, დრო და დრო თავს მაღლა შემართავდნენ და მთრთოლვარე, დაძარღვული ნესტოებით ლაყუჩებივით შეისუნთქავდნენ ჰაერს. ჯვებემ თავის მიმინოს აღერსიანად მოუსვა ყელზე ხელი, უცნობი კი შემპარავ მზერას არ აშორებდა გოგონას; ამ დროს მისი მიმინოც თითქმის ადამიანური, გაოცებული თვალებით შეჰყურებდა მას. გოგონამ სიმორცხვეს ნელ-ნელა სძლია და თავდაპირველი დაბნეულობა, ახლა უკვე, ლამის არის, მრისხანებით შეეცვალა. მისი თვალების მკაცრი მზერა მიმინოს თვალებში მოკიაფე ალს დამსგავსებოდა. უცნობმა ვერ გაუძლო ამ

მზერას და თავი დახარა. მალე ცხენებმა წყურვილი მოიკლეს და მხედრები წავიდნენ. მოსახვევში უცნობმა უკან მოიხედა და ერთხელ კიდევ შეავლო თვალი წყაროს ფერიის ძონისფერი ნაწნავების ჩქერებს. გოგონამ შვევით ამოისუნთქა – მისი მრისხანება სადღაც გამქრალიყო და ახლა სიმხნევს გრძნობდა, თუმცა გულის სიღრმეში აფორიაქებული იყო: ვინ უნდა ყოფილიყო ის უცნობი მხედარი? მეგრელს არ ჰგავდა, რადგან მეგრელი კაცი ასე არ ზის უნაგირზე. ის თავის უპირველეს ღირსებად სიმამაცესა და სიჩაუქეს მიიჩნევს; უცნობს კი სულ სხვაგვარად ეჭირა თავი: მისი ქცევები კაცს ლამაზი ცხოველის ბუნებრივად უდარდელ, ნარნარ მოძრაობებს აგონებდა. „ჩოხა კი აცვია, მაგრამ ჩვენებური არ უნდა იყოს“, – გაიფიქრა გოგონამ. უცნობი, მართლაც, არავის არ ჰგავდა. მონაცრისფრო-მომწვანო თვალები და ზემოთ აზიდული წარბები ჰქონდა. ხმელ, გაქვავებულ სახეზე ღარები დამჩნეოდა, მაგრამ დროს თითქოს უკვალოდ ჩაევილო მისთვის და მისი სახე შინაგანი ცეცხლით გაენათებინა; უცნობს უნდობარი მზერა ჰქონდა, მკაცრი და ცივი. ცხვირის ძგიდეზე კი ღრმა ნაიარევი დატყობოდა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

კოლხეთი<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

გოგონამ ტანთ ჩაიცვა და შინისაკენ მიმავალ გორაკს აუყვა. აქედან სახლამდე სამოცდათხუთმეტიოდე ნაბიჯის გადადგმა თუ მოუხდებოდა, რადგან მისი სახლი, არწივის ბუდესავით ყოველი მხრიდან რომ მოჩანს, სწორედ ამ ნაკვეთილი კონუსისმაგვარი გორაკის თავზე იდგა. გორაკის ჩრდილოეთით სვანეთის მთების კალთები და კავკასიონის

მთაგრეხილები იკვეთება; სამხრეთით – ჭავახეთის მთები გურიის მთისწინეთს ებჭინება; აღმოსავლეთით – იმერეთი ჩაფლულა სიმნვანეში; დასავლეთით კი – შავი ზღვის ანუროგორც მას ძველები ეძახდნენ, „პონტუს ეუხინუს“-ის თვალშეუდგამი სივრცე მოჩანს. სახლის აივნიდან ვრცელ დაბლობს ჰკიდებს კაცი თვალს, შავ ზღვამდე რომ აღწევს და უზარმაზარი კარიბჭესავით განოლილა სვანეთის მთაგრეხილებსა და გურიის მთებს შორის. ირგვლივ სიმინდის ყანები და ტყეებია, აქა-იქ კი – ტბები და ჭაობნარი. დაბლობზე, გრძელ-გრძელ კალაპოტებში, თევზის ფარფლებივით მბზინვარე მდინარეები მიედინება: ცხენისწყალი, აბაშა, კოდორი და სახელგანთქმული რიონი, ძველები ჰიჰჰო-ს, ლაუკოს ს, ჩორახ-ს და ჰასის-ს რომ ეძახდნენ. ეს სამეგრელოა, ძველი კოლხეთი. უხსოვარ დროში სწორედ<sup>[P]<sub>SEP</sub>]</sup>

ფაზისის ნაპირებთან დაინახეს აქ ჩამოსულმა უცხოელებმა უჩვეულო ფრინველი, „ხოხობი“ და მისი სამშობლოს მიხედვით „ჰასანუს“ ანუ „ფაზანი“ შეარქვეს; მერე კი იგი არგონავტებმა ელადაში ჩაიყვანეს, როგორც ამას მარციალის ერთი ლექსი გვამცნობს:

<sup>[P]<sub>SEP</sub></sup> „Arqiva primum sum transportata cavina

<sup>[P]<sub>SEP</sub></sup> Ante mihi notum nisi Phasis erat“.

<sup>[P]<sub>SEP</sub></sup> გორაკზე მუხის ხის ოდა დგას. ოდაში სამი ოთახია, მათგან ყველაზე დიდს ალიზის იატაკი აქვს. ოდა, ჩვეულებრივი ფიცრების ნაცვლად, ერთმანეთში მჭიდროდ ჩასმული მუხის ხის კოჭებისგანაა შეკრული; დაჩეხილ-დაპოხილებს, თითქოს ლეთარგიული ძილისთვის

მიუციათ თავი და გაქვავებულთან. მათ დანახვაზე კაცს ჩუმი ძრწოლა აიტანს ხოლმე. სახლი ღერწმითაა გადახურული. სალამოობით მის გარშემო უამრავი ღამურა დაფრინავს. სიბნელის ეს ნაშიერები წებოვანი თათებით შლევგიანებივით დაეძებენ სინათლეს. სახლის მახლობლად მდებარე დაბურული ტყიდან შუალამისას ჭოტების საწყალობელი კვილი ისმის.<sup>[SEP]</sup>

გოგონა აივანზე ავიდა. შინ არავინ დახვდა. პაპანაქება სიცხეს თითქოს მთელი ბუნება მოუცავს და გოგონაც გაუთანგავს. იგი ვრცელ დაბლობს გასცქერის და, საოცარია! ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს მისმა ზღვისფერმა თვალებმა, ხშირად რისხვით რომ აენტება ხოლმე, ახლა პირველად იხილეს ამ ფართოდ გადაჭიმული კარიბჭის სურათი, რომელსაც მშობლიური ქვეყანა სთავაზობს მის მზერას. წელანდელი სითამამე სადღაც გამქრალიყო და გოგონას გული ახლა ნუხილს შეეპყრო. ეს ის ჩუმი ნუხილი იყო, რაღაც მანამდე ჯერ არნახულის წინაშე რომ შეიპყრობს ხოლმე კაცს. გოგონა ფიქრებით ისევ და ისევ უცნობს დასტრიალებდა, გონებაში ღრმად ჩაბეჭდოდა მისი სახე და მარცხენა ხელზე შემოსმული თეთრი მიმინო, თვით სამეგრელოშიც კი დიდი იშვიათობა რომ იყო; იხსენებდა ფრინველის ყელზე ნამგალა მთვარესავით შემოვლებულ ყვითელ ბოლს და თავადაც არ იცოდა, იმ ორიდან, რომელმა უფრო აუფორიაქა სული, უცნობმა თუ მიმინომ. გოგონა ფიქრებში ჩაძირული გასცქეროდა სამეგრელოს ვრცელ დაბლობს. მზე საშინლად აცხუნებდა.<sup>[SEP]</sup>

ამ მხარეში ხომ უცნაურად მწველი მზე იცის!<sup>[SEP]</sup>

„მან ჩაიარა კავკასიონის მთებისა და კლდეების სიახლოვეს, უკან მოიტოვა აღმოსავლეთის მზიანი მინდვრების ქვეყანა და შუბის ტარზე შემდგარი მზისკენ იბრუნა პირი“, ასე აღწერს ეგვიპტური ქალაქის პანოპოლისის მკვიდრი ნონესი დიონისოს მითიურ მოგზაურობას ინდოეთში. ვინ იცის, იქნებ „აღმოსავლეთის მზიანი მინდვრების ქვეყანა“ სწორედ ძველი კოლხეთის ნაწილი იყო? ასეა ნათქვამი: დიონისომ ამ ქვეყნის სიახლოვეს ჩაიარა და შუბის ტარზე შემდგარი მზისკენ იბრუნა პირიო. სამეგრელოში მზე არასოდეს არ დგას შუბის ტარზე, დიონისომაც ალბათ ამიტომ ჩაიარა მის სიახლოვეს. აქ მზე კი არ აცხუნებს, არამედ ყველაფერს ხრუკავს და ახმობს, რადგან ეს მხარე უჩინარ სინესტეს მალავს. „ფაზისთან მცხოვრები ხალხების ქვეყანა ცხელი და ნოტიოა და ტყეებითაა დაფარული. წელიწადის ნებისმიერ დროს აქ თავსხმა წვიმები იცის. აქაურები მთელ ცხოვრებას ჭაობში ატარებენ; ხისა და ლერწმის ქოხებს პირდაპირ წყალში დგამენ და იქიდან მხოლოდ მაშინ გამოდიან, როცა ბაზრობაზე ან ქალაქში დააპირებენ წასვლას. ამ ქვეყანაში უამრავი არხია და აქაურები ნავებით დადიან, რომლებსაც უზარმაზარი მორებისგან აგებენ. სასმელად მზის გულზე აშმორებულ, თბილ და დამდგარ ანდა წვიმის წყალს იყენებენ“, – ასე აღწერს ჰიპოკრატე კოლხეთის დაბლობს. კითხულობ მის ჩანაწერებს და თვალწინ დღევანდელი სამეგრელო დაგიდგება. ეს მხარე თვლემას მისცემია, სძინავს და ისვენებს; მაგრამ ძილში ის სიზმრებს მოუცავს. ამ მხარის შვილებიც ამიტომ ეძლევიან სიზმრებს და მათი ახსნაც ძველი ეგვიპტელებივით ხელენიფებათ.

სამეგრელოს ველ-მინდვრებს აპოლონისეული, ოქრომკერდის ნახტიანი ხალიჩა არა აქვთ საფარად: მას ის ჯანლი ასდის, ყველა ჯურის სულდგმულსა და მოჩვენებას რომ შემოხვევია. ქვეყანა ძილს მისცემია, ყველა საგანი მოჩვენებასავით დაფარფატებს ჰაერში და ერთმანეთს გადასწვნიან. აქ ფიქრები და მოგონებები დედის ბნელითმოცულ საშოს დამსგავსებია. ამ ფიქრებში ყველაფერი ცვლილებას განიცდის, მოგონება კი ყველაფერს ერთმანეთში ურევს და ბიბლიიდან ნაცნობი, უცოდველი შვილების მსგავსად, მარჯვენა და მარცხენა ერთურთისგან ვერ გაურჩევია. აქ ნებისმიერ საგანს რამდენიმე სახელი აქვს, რადგან ერთსახოვანი საგანი არ არსებობს. ამ მხარეში ადამიანებს ერთის ნაცვლად რამდენიმე სახელი ჰქვიათ, თითქოს ერთ პიროვნებაში ადამიანების მთელი გუნდი ჰკიებს. თავად ქვეყანასაც არა აქვს ერთხელ და სამუდამოდ განჩინებული სახელი: ძველ დროშიმას „კოლხეთს“ უხმობდნენ, დღესდღეობით კი ხან „სამეგრელოდ“, ხანაც „ოდიშად“ მოიხსენიებენ. აქ ყველაფერი დულს და გადმოდის, ოცნებას ეძლევა და თან მუდმივ ცვლილებას განიცდის. ეს-ესაა დაბადებული ფიქრები უმაღლ ფანტომებად გადაიქცევა; აქ ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით ჯადოქრებს, კუდიანებსა და ალქაჯებს, ბრძენ მბჭობელებსა და ჯარა-ეჭიმებს, მარჩიელებს, ოჩოპინტრეებსა და მაქციებს; ისინი უხილავ არსებებად ქცეულან და კუდიანთა თავყრილობებს მართავენ. დიახ, ეს მთვარის ქვეყანაა და არა მზისა. ამიტომ აქ მზის ნაცვლად მთვარეს სცემენ თავყვანს და ადამიანები ძრწოლითა და სასოებით მსახურებენ თავიანთ ღვთაებას. ამ მხარეში

ორშაბათი მთვარის დღეა და მას ყველაზე იდუმალ დღეს ეძახიან. ახალი მთვარის დანახვაზე ზოგი ხანჯალს და დანას დააძრობს, ზოგიც ქუდს მოიხდის ხოლმე, რათა მას სალამი შეაგებოს. მთვარე კოსმიურად განასახიერებს ვითარსსა და სიზმრისეულს. იგი ციური ნიშანია ორეულისა და მისგან უკეთურება ასტრალურ ნაკადებად მოედინება. თავისი ფაზების მონაცვლეობით, მთვარე გარკვეულწილად წარმართავს ქალის ცხოვრებას და მეგრელებისთვის მშობლიური ციური სხეულია. აქ იგი სრულიად სხვაგვარად გამოიყურება, ვიდრე სადმე სხვაგან, თითქოს ბლანტი ნალველით არის გაჟღენთილი, დამდგარი, შარდის ფერი აქვს და კამეჩის შარდის გუბეს მოგაგონებს. ნესტი, ოხშივარი და ჭაობის მხუთრია ირგვლივ. ციებ-ცხელებას დაუსადგურებია ყველგან. მალარია და მთვარისეული სიყვითლე შეჭრილა ქათმების სისხლში. საგნები მთვარის ზედაპირის ანარეკლები არიან, ადამიანები კი – მთვარის შუქის ძალებს განასახიერებენ. ეს განსაკუთრებით მამაკაცებზე ითქმის; ქალს არ სჭირდება მთვარესთან მიმსგავსება, რადგან თაურსაწყისისეულად მთვარის თვისებებს მოიცავს თავის თავში. მეგრელი გოგონები თავიანთი ქალისიერობითა და ქალურობით გამოირჩევიან მთელ საქართველოში, და არათუ მარტო აქ. ისინი თვალწარმტაცი ჭადოქრები, მისნები, გრძნეულები და ტყის ფერიები არიან.<sup>[P]  
[SEP]</sup>

გოგონა ფიქრებში ჩაძირული იდგა და მშობლიურ ველ-მინდვრებს გაჰყურებდა. იქ ბუნების ძალები, როგორც ჩანს, თაურსამყაროსეულ დუდილში ჩართულიყვნენ და უკვე შეეგრძნოთ ქმნადობის ძლიერი, შიშნეული და თან საამო სუნთქვის შეხება, თუმცა მათ ჯერაც ვერ გაეცნობიერებინათ საბოლოო და სრული მნიშვნელობა სიტყვისა: „ქმენინ!“ ალბათ ეს იმის გამოა, რომ პონტუს ეუხინუს-ი არ აძლევს ქვეყანას გაქვავების საშუალებას და თავისი ნოტიო სუნთქვით განჭოლავს მას.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ახლა გოგონა მშობლიურ სანახებს გასცქეროდა და უცნობზე, უფრო მეტად კი, მის თეთრ მიმინოზე ფიქრობდა, ყელზე ყვითელი ნამგალა მთვარისებური ზოლი რომ ჰქონდა შემოვლებული.<sup>[P]  
[SEP]</sup>

უეცრად ეზოში ვიღაცამ ხმამაღლა დაიძახა:<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მეგი!<sup>[P]  
[SEP]</sup>

ეს გოგონას დედის, ციცინოს ხმა იყო.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– რა მოხდა, დედა? – გასძახა გოგონამ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ოცდათხუთმეტიოდე წლის, წარმოსადეგი, ტანკენარი ქალი მიუახლოვდა მეგის. დედა-შვილი გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ერთმანეთს, ოღონდ ციცინოს კუპრივით შავ თმაზე იისფერი ათინათი დასთამაშებდა. მას თავისუფლად შეეძლო შვილისთვის მეტოქეობა გაეწია სილამაზეში. და ეს ასეც იყო. ციცინო რაღაც ამაღელვებელ ქალისიერობას ასხივებდა, თვალეებში ზურმუხტისფერი სხივი ჩასდგომოდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– რა მოხდა, დედა? – ხელახლა ჰკითხა გოგონამ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– შენი ცხენი გახდა ავად.<sup>[P SEP]</sup>

– რომელი?<sup>[P SEP]</sup>

– ჯონდო.<sup>[P SEP]</sup>

მეგი აღელდა: ჯონდო მისი საყვარელი ცხენი იყო. უმაღლესად გადაავიწყდა უცნობი და მიმინოც და ტანი რვალივით დაეძაბა.<sup>[P SEP]</sup>

– რა სჭირს? – იკითხა შემფოთებულმა.<sup>[P SEP]</sup>

– არ ვიცი, რაღაც ანუხებს.<sup>[P SEP]</sup>

მეგიმ თავლაში დააპირა გაქცევა.<sup>[P SEP]</sup>

– ნუ ნახვალ. ცხენი უტუს მიგვვარე. იქნებ უკან წამოგეყვანა? საშიში არაფერი სჭირს.<sup>[P SEP]</sup>

მაგრამ გოგონა მოუსვენრობას შეეპყრო. ხმა აღარ გაუღია, შემფოთებული და გულმოსული გაიქცა და ადგილამდე ნახევარ საათში მივიდა; ამ დროს დაინახა, რომ მისკენ თავადი ოდიშარიას ასული, ბუჩუ მოემართებოდა. მეგი ბუჩუსთან მეგობრობდა. გოგონები ერთი სიმაღლისანი იყვნენ, ოღონდ ბუჩუ უფრო კაფანდარა იყო, შავი თმა და ლურჯი თვალები ჰქონდა.<sup>[P SEP]</sup>

– ოჰ, მეგი, მოხვედი?<sup>[P SEP]</sup>

– ჯონდო როგორ არის?<sup>[P SEP]</sup>

– უტუმ ალბათ უკვე დააყენა ფეხზე.<sup>[P SEP]</sup>

უტუ ბეითლად მუშაობდა ოდიშარიასთან, ტანმორჩილი, ხმელ-ხმელი და ძარღვმაგარი კაცი იყო. თავი ჯუჭას მიუგავდა და კრაზანისებური თვალები ეშმაკურად მიმოურბოდა. კბილები ბებერი ცხენივით ძირამდე მოცვეთილი ჰქონდა, მაგრამ ამ კაცში საოცარი

შინაგანი ძალა იგრძნობოდა.<sup>[P SEP]</sup>

– რა დაემართა, რა სჭირს ჯონდოს? – ჰკითხა უტუს შემფოთებულმა მეგობ.<sup>[P SEP]</sup>

– არაფერი არ სჭირს, – დამცინავი ღიმილით მიუგო უტუმ. – მყესები აქვს განყვეტილი. სისხლი გამოვუშვი და ფეხები მალამოთი დავუბილე. – მერე კი დასძინა: – ისე, მართლაც რომ მაგარი ცხენია!..<sup>[P SEP]</sup>

უტუ ცხენის მოსაყვანად წავიდა. მეგი და ბუჩუც უკან გაყვნენ, ჩერქეზული ჯიშის ჟღალი ფაშატი პატარა მუხაბე იყო მიბმული. პატრონის დანახვაზე ცხოველმა ჭიხვინი მორთო და მარჯვენა ფლოქვით მინას დაუნყო ზერგნა.<sup>[P SEP]</sup>

– დახე, როგორ გამხიარულდა?! – ღიმილით თქვა უტუმ.<sup>[P SEP]</sup>

მეგი ჯონდოსთან მივიდა და ყელზე მოუსვა ხელი.<sup>[P SEP]</sup>

ცხენი აშკარად გახარებული ჩანდა. რა მშვენიერია, როცა ხედავ, რომ ადამიანმა და ცხოველმა ერთმანეთი იცნეს. ახლობელ ადამიანთან შეხვედრა, რა თქმა უნდა, სასიხარულოა, მაგრამ რაოდენ უფრო მშვენიერია იმის შეგრძნება, რომ საყვარელ ცხოველს ახარებს შენი ნახვა. ამგვარ გრძნობას ადამიანებში მათი საერთო წარმომავლობა ბადებს, ცხოველის შემთხვევაში კი, ამ დროს რაღაც საპირისპირო, უჩვეულოდ უცხო გრძნობასთან გვაქვს საქმე. და ეს გრძნობა ადამიანს ცხოველთან თანამოზიარობას განაცდევინებს. ეს საფუძველშივე ერთმანეთისგან განსხვავებული ძალები, ურთიერთთლტოლვას განიცდიან და შინაგან ნათესაობას გრძნობენ.

განა ამგვარი შეხვედრისას სიხარულმა არ უნდა აღგვიტაცოს?! და ვინ იცის, იქნებ სწორედ ამგვარ შეხვედრაში უნდა ვეძებოთ ცხოველის იმ ბნელითმოცული და უკიდევანო სევდის მიზეზი, რომელსაც ვერაფერს შეადარებ? იქნებ ცხოველი თანდაყოლილი, დაფარული და ამოუცნობი შემართებით ელტვის ამ შეხვედრას?<sup>[SEP]</sup>

უტუ ცხენს და გოგონას შეჰყურებდა და ელიმებოდა, რადგან ცხოვრებისეულ სიბრძნეს იყო ნაზიარები.<sup>[SEP]</sup>

ბეთალმა ცხენი აუშვა და თავში ჩაავლო ხელი, მერე უეცრად სახე დაემანჭა, უფერული თვალები ჩაუშავდა და ცხენს შელოცვა დაუწყო; უცნაური, თითქოსდა თაურსამყაროს ქაოსიდან აღმომხდარი ჯადოსიტყვები ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჩაესმოდა ცხენს ყურში. მათი მნიშვნელობა თავად მისანსაც არ ესმოდა, მაგრამ ისინი, რაღაც ძალის წყალობით, მაინც იჭრებოდა ადამიანის გონებაში. სიტყვები გაუგებარი იყო, სამაგიეროდ, ისინი არ იყვნენ აღბეჭდილი უხეში, გამოფიტული, წვრილმანი ყოველდღიურობით, სიცოცხლისადმი სწრაფვას გამოხატავდნენ და შთამბეჭდავ სურათებად გარდაისახებოდნენ. თუმცა არა: სურათები კი არა, თავად მათი არსი გამოხატავდა ნაყოფიერი ქმნადობის ძალას, იმ წუთში სინათლეზე მოვლინებულს და მყისვე გაუჩინარებულს. ეს პოეტის თაურსიტყვის, დედამინის თაურენის მაუწყებელი არსი იყო. უტუ ადამიანისთვის გაუგებარ სიტყვებს წარმოთქვამდა, მაგრამ ეს სიტყვები ცხოველის ტვინში იჭრებოდა. ცხენი მოცოცხლდა და განატიფებული თვალი მის დრუნჩზე წამიერად გამკრთალ, იდუმალ ღიმილსაუცილებლად შეამჩნევდა.

მაგრამ რაოდენ დიდი შიში იმალებოდა ამ ღიმილში! და ეს შიში „თერრორ ანტიქუუს“-ის ფრთამალ სიოს ჰგავდა! მერე ის იყო, ცხენმა თავი ასწია და შემზარავად დაამთქნარა. იქვე გვერდით, ღობეზე, ცხენის თავის ქალა იყო ჩამოცმული. ასეთ სანახაობას საქართველოში ხშირად შეხვდებით – ღობეებზე ცხოველების თავის ქალებს და გამოხრულ ძვლებს გამოჰკიდებენ ხოლმე, რომელთა ღრიჭობებშიც ობობები დათარეშობენ. კბილებდაკრეჭილი თავის ქალა შემადრწუნებელია და მის დანახვას უსულგულო მზერაც კი ვერ უძლებს. ახლავ ხვდები, „გამოცხადებაში“, ამ საშინელ ნიგნში, სულის მიერ დევნილ პოეტს რომ ეხება, რატომაა შემზარავი ის თეთრი ცხენი, რომელსაც სიკვდილის მხედარი მიაჭენებს. და, აი, ახლა, ცხენის დრუნჩზე უკანასკნელად კვლავ გაკრთება საშინელი ღიმილი, რომელიც მხოლოდ ჰგავს ღიმილს. მერე ცხენი კვლავ ამთქნარებს და ღიმილიც ქრება. მისანს თავისი საქმე მოემთავრებინა: მიწაზე ეგდო რკინა, სისხლის გამოსაშვებად რომ გამოეყენებინა. უტუ გაეცალა იქაურობას.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ჭვებე ხომ არ შეგხვედრია ვინმე უცნობთან ერთად? – ჰკითხა ბუჩუმ მეგობარს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

„ისევ იმ უცნობზე მეკითხება“, – გაიფიქრა მეგიმ და შეკითხვა უპასუხოდ დატოვა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მწყრებზე სანადიროდ აპირებდნენ თურმე წასვლას, – იქვე დასძინა ბუჩუმ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

კვლავ დუმილი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ის უცნობი აფხაზი ასტამურ ლაკერბაია უნდა იყოს. მამამ მითხრა, მთავრინა დადიანთან ჩამოვიდა სტუმრადო, – თქვა ბუჩუმ.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

მეგი კვლავ დუმდა. მერე უეცრად შეუკაზმავ ცხენს მოახტა და მეგობარს ჰკითხა:<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– ჩემთან როდის გამოჩნდები, ბუჩუ?<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– ალბათ ხვალ დილით გამოგივლი, – მიუგო გოგონას მისი საქციელით, ცოტა არ იყოს, გაკვირვებულმა ბუჩუმ.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

ასეთი დაბნეული არასოდეს ენახა მეგობარი.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– კარგად იყავი! – გამოსძახა მეგიმ და გაქუსლა.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

## გამონვევა<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

ფაშატს ეტყობოდა, რომ ნამდვილად აღარაფერი სჭირდა. რა უნდა ყოფილიყო მისი გამოჭანმრთელების მიზეზი: ბეთლის შელოცვები? ან იქნებ პატრონის მღელვარებამ იმოქმედა მასზე? ფაშატი ადგილს მონწყდა და ისე გაქუსლა, დავრდომილისა აღარაფერი ეტყობოდა.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

მეგიმ გამლილ მინდორს რომ მიაღწია, კარგა მანძილზე ორ მხედარს მოჰკრა თვალი. მერე ჯვებე და მისი მეგობარი იცნო, ბუჩუმ ასტამურ ლაკერბაიად რომ მოიხსენია. „ასტამური – რა ვაჟკაცური სახელია!“ – გაიფიქრა მეგიმ. მერე ზღვისფერი თვალები აენტო, უჩვეულო გამონვევის სურვილმა ტალღასავით გადაუარა და მოულოდნელად ფაშატი მთელი ძალით მხედრებისკენ გააჭენა. მეგი თავისი დედის, ციცინოს, ღირსეული შვილი იყო და ჭირითში მას ტოლს არ უდებდა. როდესაც გოგონამ გვერდზე ჩაუქროლა, მხედრები

თავდაპირველად გაოგნდნენ, მაგრამ არ დააყოვნეს და მეგის კვალდაკვალ დაედევნენ. ამ უჩვეულო გამოწვევის ტალღამ მხოლოდ მხედრებს კი არა, მათ ცხენებსაც გადაუარა. ახლა მეგისთან ერთად, მრეში ჯონდო მიჰქროდა წინ, მხედრები კი თავიანთ ფიცხ ცხენებს მათ უკან მიაჭენებდნენ. ფლოქვების გამალებულმა თქარათქურმა შეაშინა მეგი და მისი ფაშატი; მერე ქერათმიანი, ველური ქალი-კენტავრი ჯონდოს ფაფარს განერთხო და მთელი ძალით გააჭენა ცხენი, რომელიც გოგონას ახლა ძვირფასი ნადავლივით მიაქროლებდა ველმინდვრებზე. მეგი უკიდევანო სივრცეს მინდობოდა და ცხენიც მიჰქროდა, ველური ჟინით შეპყრობილი. ჰოდა, ვინ დაენეოდა მეგის? მალე აქელვებული ცხენი ჯიქურ შევარდა ეზოში. გოგონას დედა გამოეგება.<sup>[P][SEP]</sup>

– რა მოხდა, მეგი? – ჰკითხა შვილს.<sup>[P][SEP]</sup>

– აი, ხომ ხედავ, ცხენი ისევ გამოკეთდა.<sup>[P][SEP]</sup>

აგზნებული და გახვითქული გოგონა ცხენიდან ჩამოხტა.<sup>[P][SEP]</sup>

ციცინომ ჯერ ცხენს შეავლო გამოცდილი მზერა, მერე კვლავ შვილს შეხედა და სიხარული ვერ დამალა. ცხოველს ნესტოები მღელვარებისგან ებერებოდა, მაგრამ მერე დედას თვალში მეგის მთრთოლვარე ნესტოებიც ეცა და გულმა რეჩხი უყო: ცხენიც და მხედარიც უჩვეულოდ აღელვებულები იყვნენ. მაგრამ განა მეგი ცხენზე უფრო აღელვებული არ ჩანდა?<sup>[P][SEP]</sup>

– უტუ ნამდვილი ჯადოქარია! – თქვა ციციном.<sup>[P][SEP]</sup>

მერე ნაუც გამოჩნდა და ცხენი წაიყვანა.<sup>[P][SEP]</sup>

## მენიკი<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

აივანზე ციცინოს ძიძა, მენიკი, გამოჩნდა. ქალი სამოც წელს იქნებოდა გადაცილებული, მაგრამ თუკი მისი შემხედვარე რომელიმე მამაკაცი მასში ქალს ვერ დაინახავდა, მენიკი საშინლად შეურაცხყოფილი რჩებოდა და თავისი საქციელით თუ სიტყვით ამას აუცილებლად აგრძნობინებდა. ეს ერთ დროს უმშვენიერესი ქალი, ახლა დროის შემმუსვრელ გავლენას ებრძოდა და ყველა ხერხს მიმართავდა, რათა გარდასული სილამაზე შეენარჩუნებინა. ამიტომ მენიკი წარბებს ბასმით იღებავდა, თმისთვის კი ჰინას ხმარობდა, სწორედ იმ ჰინას, კლემენს ალექსანდრიელის გადმოცემით, პირველად კოლხმა მედეამ რომ იხმარა. მენიკი სახისთვის საგანგებოდ ამზადებდა გამომწვარი ნიჟარებისა და რაღაც უცნაური ნივთიერების ნაზავს, რომლის საიდუმლოსაც არავის ანდობდა. ქალი ჩოფურა იყო და პირნაყვავილარს, ამ საშინელი სენის იდუმალი ნაკვალევი რომ არ დამჩნეოდა, სახეზე ამ ნაზავის თხელ ფენას ისვამდა; იშვიათად იცინოდა და ტირილითაც არასოდეს ტიროდა, ვერაგი ნაოჭების შიში ჰქონდა დიდად. ასევე იშვიათად იღიმებოდა და ამ ღიმილშიც იყო რაღაც შიშისმომგვრელი; მენიკი გამუდმებით თავის მოვლით იყო დაკავებული და დღეში სამ-ოთხ საათს მაინც ანდომებდა ამ საქმეს. ჰოდა, მსახვრალ დროსა და ჭკნობაშეპარულ სხეულს შორის გამართულ ამ სასტიკ სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლაში, ჭერჭერობით ქალი გამოდიოდა გამარჯვებული. მენიკი ნამდვილად დაჭილდოებული იყო იმ ერთობ იშვიათი ნიჭით,

რომლის წყალობითაც იგი თავისი სილამაზის ხელოვნებას ბუნებასთან საბრძოლველად იყენებდა და მზაკვრობით კიდევაც ამარცხებდა მას. მენიკი ცხენზე წელში გამართული, ამაყად იჭდა და, ასაკის მიუხედავად, ჯერ კიდევ „ქალი“ იყო. როგორ ახერხებდა ამას? ნუთუ ბებერ კუდიანად ქცეულიყო? არამც და არამც! მენიკი უბრალოდ ფარ-ხმალს არ ყრიდა. მასზე ბებერ კუდიანს, მართლაც, ვერ იტყოდი; აი, მისანი კი ნამდვილად იყო. ეს ქალი აშკარად გრძნობდა მცენარეების, ქვების, ფესვებისა და თესლის იდუმალ ძალას; სიტყვებისა და სახელების საიდუმლოც იცოდა და მაგიურ შელოცვებშიც დახელოვნებული იყო. მთელ სამეგრელოს აძრწუნებდა მისი მწვანედ მოლივლივე, შიშისმომგვრელი თვალები. ამ ქალს ციციწო საკუთარ შვილზე მეტად უყვარდა, მეგი კი – ყველას ერჩინა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

და ახლა, როდესაც აგზნებული, აღელვებული გოგონა დაინახა, მისნის გამოცდილ თვალს არ გამოჰპარვია, რომ მეგის ნორჩ სხეულში პირველად აჩქროლებოდა სისხლი.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

მენიკიმ გაიღიმა. მერე ციციწომ ერთხელ კიდევ რომ შეავლო შვილს მზერა, მეგიმ მორცხვად დახარა თავი.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

## ტყის ნაამბობი<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

მჭვირვალე პირბადესავით ჩამოეშვა საღამო, მერე კი წელ-წელა შემკვრივდა და ჩამუქდა. სოფლიდან რაღაც ხმაური მოისმა და მალევე მიწყდა. ჩუმად აშრიალდა ფოთლოვანი ტყე. ნეტავ იქ, მუხაზე,

ფასკუნჯი ხომ არ შემოჯდა? მაგრამ, არა, შუალამე ჯერ არ დამდგარა. მენიკი, ციცილო და მეგი ესალმებიან სამეგრელოს ღამეს. მეგი დაბნეულია და დუმს. ციცილო ფიქრებშია წასული. ტყის შრიალში ათასწლოვანი ამბების გუნდი ხმიანობს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჰოდა, მენიკი ჰყვება...<sup>[P]  
[SEP]</sup>

უცხო ტომის ადამიანებმა გემი თურმე მდინარის სათავეში შეაცურეს, მერე მეფის სასახლის ჩრდილოვანი ჭალაც დაინახეს; იმ ჭალაში უზარმაზარი გველეშაპი დარაჯობს ტანძლიერ მუხას, რომლისთვისაც შემოუხვევია ფარფლებიანი ტანი. მუხის დაკოჟრილ ტოტებზე ოქროს სანმისი ჰკიდია. უცხოელები თვალს შეავლებენ კუნელის ბუჩქებსა და ტირიფებს; მენიკი ჰყვება... მოყოლის დროს სახელები ერთმანეთში ერევა, მაგრამ ათასწლოვანი ტყის ფოთოლთა შრიალი ასევე ათასწლოვანი ამბების რუდუნს ეხმიანება და სახელები სარწმუნოდ გაისმის: ეს არგონავტები არიან. მათ იასონი მეთაურობს. ეს კი – მდინარე ფაზისის სათავეა. აქედან მოჩანს მეფე აიეტის სასახლე, წმინდა ჭალა და მუხაზე დაკიდებული ოქროს სანმისი, რომელსაც ცეცხლისმფრქვეველი გველეშაპი უდგას დარაჯად. ჯერაც არ გამქრალან ის ტირიფები და კუნელის ბუჩქები, რადგან ფესვებს იდგამდნენ და ახალ-ახალი ყლორტები გამოჰქონდათ საუკუნიდან საუკუნემდე..<sup>[P]  
[SEP]</sup>

მენიკი ჰყვება... ტყე შრიალებს. ვინ იცის, იქნებ სწორედ ეს ტყეა იმ წმინდა ჭალის პირველშთამომავალი? განა ტყეში ისევ და ისევ იმ ათასწლოვანი ამბების გუნდი არ ხმიანობს?<sup>[P]  
[SEP]</sup>

მენიკი ლეგენდას ჰყვება. ამ ლეგენდაში ახლა მზის ვაჟის – აიეტის, ქერათმიანი ასული, მედეა, გამოჩნდება.<sup>[SEP]</sup>

მენიკი მის სახელს უცნაურად წარმოთქვამს და მას „მედია“-ს ეძახის. და, აი, მენიკი მთლად გარდაისახება, ციცილო ფიქრებიდან გამოერკვევა და მეგიც სმენად გადაიქცევა. რა ხდება? მენიკი საკუთარ ნაამბობს აგრძელებს თუ აპოლონიოს როდოსელის სიტყვებს იმეორებს? არა, ეს როდოსელის სიტყვები არ არის! მენიკის ისინი ტყის ფოთლების შრიალში ჩაესმა, მერე კი ამ ამბავმა პოეტის სამშობლომდე ჩააღწია... მენიკი აგრძელებს მოყოლას: „როდესაც მედეამ (მენიკი ამბობს „მედია“) დილის მზის სხივებს შეავლო თვალი, გაშლილი ქერა თმა შეიკრა, პირისახე დაიბანა და ტანი ლავანდის ზეთით დაიბილა. ნაოჭაყრილი, ულამაზესი სამოსელი გადაიცვა, ნაოჭები მორკალული, ნატიფი სამაგრებით დაიმაგრა და სურნელოვან თმაზე თეთრი საბურველი შემოიხვია; მერე სასახლეში საქმეებს მოკიდა ხელი და ყველა სადარდებელი დაივიწყა. რა იცოდა, საბრალომ, რა საშინელ ტანჯვას უქადდა მომავალში ბედისწერა?“<sup>[SEP]</sup>

მედეას თავისივე ტოლი, თორმეტი მხევალი ჰყავდა. ახლა ისინი ქალის ტალანთან შეკრებილიყვნენ. მედეამ ბრძანა, ეტლში სასწრაფოდ შეებათ კერძოვირები, ჰეკატეს ბრწყინვალე ტაძარში წასასვლელად. ვიდრე მსახურები ეტლს მოართმევდნენ, მედეამ ზანდუკიდან „პრომეთეს“ სახელით ცნობილი მალამო ამოიღო“ (მენიკი „ამირანს“ ამბობს). „თუ იქაურ ქალწულს ღამეული მსხვერპლის შეწირვით ანუგეშებდნენ და ტანს ამ მალამოთი დაუბლდნენ, მას ვერც

მახვილი და ვერც მოგიზგიზე ცეცხლი ვერაფერს დააკლებდა, ამასთან იგი ძალების საოცარ მოზღვავებას იგრძნობდა. ამ მალამოს კი მას შემდეგ ამზადებდნენ, რაც სისხლისმწოველმა ძერამ კავკასიონის მაღალ მთაზე მიჯაჭვული, ტანჯული პრომეთეს ბლანტი სისხლი მიწაზე დაანთხია“ (მენიკი „ამირანს“ ამბობს). ამ სისხლიდან ამოზრდილი, კორიკიული ბაფრანის მსგავსი ყვავილი დაახლოებით 60-80 სანტიმეტრი სიმაღლისა იზრდება და ფესვები ახლადდაჭრილ ხორცს მიუგავს. ამ ყვავილის წვენი მთის ნიფლის წვენივით შავია. სამკურნალო მიზნით, ერთხელ ღამით, კასპიის ზღვის ნიჟარაში სწორედ ეს წვენი შეაგროვა შავადმოსილმა მედეამ“ (მენიკი ამბობს „მედიამ“-ო). „ვიდრე იქით გაუდგებოდა გზას, შვიდ მარად მედინ მდინარეში იბანავა და შვიდჯერ უხმო ქალწულ ბრიმოს, ამ ღამეულ მსხემს, ღვთაებასა და მიცვალებულთა დედოფალს“. მენიკი დადუმდა, უყვარს, მოყოლის დროს, ცოტა ხნით შესვენება. მეგის გაოცებისგან თვალები უბრწყინავს, ციციხო უცნაური ღიმილით შეჰყურებს მენიკის, გულში კი ფიქრობს: „ძიძამ ნამდვილად იცის ჯადოსნური მალამოს საიდუმლო და მას ალბათ სასიკვდილო სარეცელზე თუ გაანდობს იმას, ვისაც ერთ დროს ძუძუს აწოვებდა“. მერე ციციხო რალაცის შეკითხვას აპირებს, მაგრამ მენიკი არ აცლის და თხრობას განაგრძობს; ახლა იმაზე ჰყვება, ოქროსთმიან მედეას როგორ შეუყვარდა იასონი, როგორ დაეხმარა ამ უცხო ტომის კაცს და მის მეომრებს ოქროს სანმისის მოტაცებაში, მერე კი მათთან ერთად გაიქცა თავისი ქვეყნიდან. კიდევ მრავალ ამბავს ჰყვება მენიკი. მერე

ტყის შრიალი ნამით წყდება, თითქოს ეს-ესაა ათასწლოვან ამბავს წერტილი დაესვაო. მენიკი დუმს, გოგონას შეჰყურებს და თან უცნაურად იღიმება. ის მაცდური ქალი, სიყვარულის ნიჭით უხვად დაჯილდოებული კოლხი მედეა განა ახლა ამ გოგონაში არ გაცოცხლებულიყო? იგივე აზრი უნებლიედ მეგისაც გაუელვებს გონებაში, მაგრამ როგორც კი ამას გააცნობიერებს, ათრთოლდება და სახე შეეფაკლება; მერე ისევ ის უცნობი დაუდგება თვალწინ, თეთრი მიმინო რომ შემოუსვამს მარცხენა ხელზე. ახლა მეგის დის თვალებით შეჰყურებს დედა. მენიკი იღიმება. ანდე-გუმანით გრძნობს იმ სიახლეს, გოგონას გულს ჭერაც რომ ვერ შეუცნია. თუმცა მენიკიმ იმავდროულად უამრავი სხვა საიდუმლოც იცის, და იგი კვლავ იღიმება.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

## გვირილა<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

სახლში ყველას ღრმა ძილით ეძინა, მეგის კი არა და არ ეკარებოდა თვალზე რული; რაკი ირწმუნა, რომ ნამდვილად საქვეყნოდ ცნობილი კოლხი ქალის მემკვიდრე იყო, შიშმა შეიპყრო. ძილი საბოლოოდ დაუფრთხა, მაგრამ მერე გაახსენდა, რომ იმ ღამით ახალმთვარეობა იყო და შინიდან ფეხაკრეფით გამოვიდა. მთვარე მაცდურად ანათებდა და თავად გოგონაც ცდუნებას ჰგავდა; მერე გვირილა დაინახა, მთვარისკენ ბურგშექცეულმა მზერა ბეცაში აღაპყრო და ისეთი სიტყვების ჩურჩულს მოჰყვა, რომელთა მნიშვნელობა თავადაც არ ესმოდა; გვირილაზე რომ დაიხარა,

ცახცახებდა და წამით გოგონას გულისცემა ბუნების გულისცემას შეერთო. აფორიაქებულმა მეგიმ გვირილა მონყვიტა, მერე კი, ფერმკრთალი და დაღლილი, შინისკენ გაიქცა, თავის ოთახში ფეხაკრეფით შეიპარა, გვირილა ბალიშის ქვეშ შემალა და დასაძინებლად დაწვა, იმ იმედით, რომ სიზმარში თავის საბედოს ნახავდა. სიზმარი კი არა და არ მოდიოდა. ძილ-ბურანში ისევ ის უცნობი ედგა თვალწინ; არა, სიზმარში აუცილებლად უნდა ენახა თავისი საბედო, განგებამ რომ გამოუგზავნა. ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს ძილ-ბურანში ამოტივტივებული ეს უცნაური გზანება? გოგონა შიშმა შეიპყრო, გვირილა აიღო, ნაკუნებად აქცია და ძირს დაყარა. მერე თვალეები დახუჭა და ერთხანს ისევ იწრიალა ლოგინში; და მხოლოდ ალიონზე ეწვია ძილი, ღრმა და უსიზმრო.<sup>[SEP]</sup>

## ციცინო და მსახური<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ნაუ ბარქაია მეგრელი კაცი იყო და ცხენები უყვარდა. ის კი არა, ცხენის გულისთვის შეეძლო ნებისმიერ ლამაზმანს შელეოდა. ცხენის სიყვარული მასში რაღაც სხვა გრძნობასაც აღძრავდა. ამ გრძნობით ნაუ თაურსაწყისი ღვთაებრივი სიცოცხლის ძალას ეთაყვანებოდა. ამაოდ ხომ არ იყო ძველი კოლხების შთამომავალი! ანტიკური მწერლების აზრით, კოლხები ეგვიპტელებს ჰგავდნენ, რაკი მიაჩნდათ, რომ კოსმიური ძალები ცხოველში იყო განსხეულებული. ნაუ გარეგნულად გაკნაჭულ ეგვიპტელ ქურუმს მოგაგონებდათ: თავი პირწმინდად გადაეხოტრა, გაქვავებული მზერა ჰქონდა,

ძირსდახრილი, დანაოჭებული ქუთუთოები მძიმედ გადმოჰკიდებოდა თვალებზე. პირველყოფილი ადამიანის მსგავსად, მისთვისაც სიცოცხლე ასხივებდა თაურარსის ყველაზე ბნელ ძალებს და ამ გამოსხივებით იყო აღბეჭდილი ირგვლივ ყველაფერი: ქვები, ადამიანები და განსაკუთრებით კი ცხოველები. მისი აზრით, ამ გამოსხივების ძალა ქვაში უკვე გამკვრივებულიყო, ადამიანში კი – ჯერ მთლად არა; ცხოველი მისთვის კოსმოსიდან ნამოსული, იდუმალი ძალის განსხეულება იყო და ნაუ მის წინაშე შიშსა და ძრწოლას განიცდიდა. რაც უფრო გამორჩეული იყო ცხოველი, მით უფრო მეტი სასოებით შეიგრძნობდა მას ნაუ. ამით იგი ჭეშმარიტად ენათესავებოდა ეგვიპტელებს, რომლებიც თავიანთ მონინებას სამყაროსა და სიცოცხლის მიმართ ფანტასტიკურად დახვეწილი ფორმებით გამოხატავდნენ, იქნებოდა ეს უამრავი სფინქსი, ტურისტანიანი გრიფონები, ძერის ფრთები, გველისთავიანი ვეფხვები თუ სხვა უჩვეულო გამოსახულებანი. ეგვიპტური ქარავნების ფეშანგები ირწმუნებოდნენ, ამ ურჩხულების ნახვა მხოლოდ ღრმა უდაბნოში თუ შეიძლებაო; იმასაც ამბობდნენ, ისინი ადამიანს აჯადოებენ, თავინთ ნებაზე დაატარებენ, მერე კი ათასგვარ უბედურებას დაატეხენ თავსო. ნაუ ღრმად შედიოდა ჭალადიდის ტყეებში. მისი გაქვავებული მზერის წინაშე, დრო და დრო, თვალწამიერად ამოტივტივდებოდნენ ხოლმე ამგვარი ურჩხულები.<sup>[1]</sup>

სამეგრელოში, ეკლესიის კედლებზე ნაუ ხშირად აკვირდებოდა მსგავს გამოსახულებებს: ირმის რქებს, გარეული ტახის ეშვებსა და

ხოხბის ფრთებს, მაგრამ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მასზე დადიანების სასახლეში ნანახ, ქვაზე ამოკვეთილ გრიფონს მოეხდინა. ეს გრიფონი თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის ადგილ-მამულში აღმოეჩინათ, რომელიც სამეგრელოს მთავრინას, ეკატერინე დადიანის მამა და რუსი მწერლის, გრიბოედოვის სიმამრი იყო. ოცდაათი სანტიმეტრი სიმაღლის არწივისტანიან და ლომისთავიან ფიგურას გახვრეტილი ნესტოები, გამოშვერილი ყურები, წვერი და რკალისებური ფრთები აქვს. გრიფონს თავზე დაკბილული, მოძრავი ბიბილოლა შემორჩენია და პატარა ღიობი მოუჩანს, რომელიც ახლა უკვე გაუჩინარებული თალფაქით იხურებოდა. გრიფონის დანახვამ ნაუს ველური წარმოსახვა აუფორიაქა. არასოდეს ენახა ასეთი მშვენიერი და შთამბეჭდავი რამ. მონუსხული, დიდხანს იდგა გრიფონის წინ, თვალს ვერ ამორებდა მას და ენით აუწერელ აღტაცებას გრძნობდა; მერე ჩუმმა ანდე-გუმანმა უკეთურების მოსწავება აუწყა. ამ დროს ნაუმ ბუსტად ისეთი შიში იგრძნო, მოგზაურები რომ აღწერენ ხოლმე თავიანთ დღიურებში: ეს უდაბნოს შიშია, რომელიც იზიდავს და აჭადოებს ადამიანს. ნაუ შეძრული იყო. ეს ცხოველი ძლიერ იზიდავდა და თითქოს მასთან შერწყმას ლამობდა, მაგრამ რაკი ეს ვერ შეძლო, გამოსავლის ძებნა დაიწყო. და მან უეცრად არჩევანი ცხენზე შეაჩერა. ნაუ მხედარი იყო; ამიტომ ღრმად სწვდებოდა ცხოველის ბუნებას. ჭენების დროს ადამიანისა და ცხოველის რიტმები ერთმანეთს ერწყმოდა და აერთიანებდა ამ ორ არსებას. უსიტყვოდ, ყოველგვარი მოძრაობის გარეშე, გადაეცემოდა

ხოლმე ცხენს მხედრის ყველაზე დაფარული ფიქრები. ნაუ თავფეხიანად იცნობდა ცხოველს. მისი გამოხედვითა თუ ჭიხვინით შეეძლო ეგრძნო ატმოსფეროში მომხდარი, სრულიად უმნიშვნელო ცვლილებებიც კი. ნაუმ ასევე წინასწარ იცოდა სტიქიური მოვლენების, მაგალითად, მოსალოდნელი მიწისძვრის შესახებ, რადგან ცხენი, მიწის გუგუნით, ადამიანზე ადრე გრძნობს მის მოახლოებას. როდესაც ცხენი შუადღის პაპანაქებაში, მწველი მზის სხივებს ეფიცებოდა, ნაუს ყურში ჩაესმოდა თხისფეხება ღვთაების ფეხების ხმა. მერე უხმოდ შესცქეროდა ცხოველს და მასთან მიახლოებას ვერ ბედავდა. ნაუს უძირო ღამეც უყვარდა, როდესაც ცხენის ანთებული თვალები სიბნელეში ცეცხლის ალივით გამოეყოფოდა მის სხეულს, ნაუ კი ცხოველის პირველქმნილ გედლიერ და დაბინდულ მზერაში შთაინთქმებოდა. ცხენი გრძნობდა, რომ მისი პატრონი არც მბრძანებლობდა და არც მის დამონებას არ ცდილობდა, როგორც ეს ადამიანებს სჩვევიათ ხოლმე. ნაუს მთელ სამეგრელოში საუკეთესო მხედრისა და მოჭირითის სახელი ჰქონდა. იგი ცხენს ტოტემად, ღმერთის სიმბოლოდ და სახე-ხატად აღიქვამდა. მაგრამ ერთხელ მოეჩვენა, რომ ტოტემმა განსაცდელში მიატოვა, ანდა, ვინ იცის, იქნებ თავად ნაუმ ვერ უერთგულა მას სათანადოდ? ეს 23 აპრილს მოხდა. ნაუს ძარღვებში გაზაფხული აჩქროლებულიყო. ზუგდიდიდან სამი საათის სავალზე ურთას მთა აღმართულა. მთის ძირში, ტანძლიერი ნიფლის ქვეშ ხის ჭვარი და წმინდა გიორგის ხატი დაუბრძანებიათ. ხის ხშირ ფოთლებში მზის სხივი არ ატანს და ჩრდილით გარემოცული

ხატი თითქოს მდუმარე საიდუმლოდ ქცეულა. 23 აპრილი საქართველოში წმინდა გიორგის ანუ, როგორც მას აქ მოიხსენიებენ, თეთრი გიორგის დღეა. ეს წმინდანი ქრისტიანობაზე მოქცეული ქართველი დიონისოა, რომელსაც საკურთხად პურს, ყველს, ცხვრის თავს, თაფლს, სანთლებსა და წვრილ ფულს სწირავენ. ხატის მონახულების შემდეგ, მომლოცველები ხმამაღალი სიმღერითა და შეძახილებით სოფელ ცაიშისკენ დაიძვრებიან ხოლმე, სადაც ამ დღეს მარულა იმართება. ნაუ ხშირად მონაწილეობდა ამ მსვლელობაში, პირველობას კი მარულაში არავის უთმობდა. მაგრამ იმ დღეს, 23 აპრილს, როდესაც ნაუმ საკუთარი სხეულით ოცდამეხუთედ შეიგრძნო გაზაფხული, მისი მჭობნი გამოჩნდა. მას შემდეგ ხუთი წელი გასულიყო, მაგრამ ჯერაც არავინ იცოდა იმ გამარჯვებულის ვინაობა, რადგან მან თურმე წუთითაც არ დააყოვნა, უმაღლ მოახტა ცხენს და გაქუსლა. ზოგი ირწმუნებოდა, ეს აბრაგი მიქავა იქნებოდა, ახლო-მახლო ტყეებში რომ დათარეშობსო. მარულაზე იმიტომ კი არ მოვიდა, რომ ჯირითში თავი გამოეჩინა, არამედ უნდოდა ისიც დაემტკიცებინა, რა უშიშარიაო. ზოგი კი იმას ამბობდა, გამარჯვებული მხედარი ქალია, და ის არ შეიძლება ვინმე სხვა იყოს, თუ არა თავად მხეიძის ახალგაზრდა ქვრივი, ციცინო. ნაუ დაღვრემილი უსმენდა ამ ჭორებს, მაგრამ როდესაც ციცინოს შეხვდა, ეჭვი აღარ შეპარვია, რომ მისი მძლეველი სწორედ ეს ქალი იყო, თუმცა მასთან ამაზე არასოდეს ჩამოუგდია სიტყვა. უბრალოდ, უცდომელი გუმანი ეუბნებოდა, რომ ეს ნამდვილად ასე იყო. მაგრამ საოცარია! ამას მიხვდა თუ არა, მისი დაღვრემილობა

და სევდა სადღაც გაქრა. ნაუ შეჰყურებდა ამ ტანძლიერ ქალს და გრძნობდა, ნელ-ნელა როგორ ეცლებოდა ძალა. ეგონა, მის წინ უდაბნოს ცხოველი იდგა და თავისი იდუმალი მზერით ნუსხავდა. მერე ის იყო, იმ შეხვედრის დროს ქალი მისკენ შემოტრიალდა და ანთებული, გასხივოსნებული მზერა ესროლა. ამ მზერამ მთლად დაიმონა ნაუ და მაშინ იყო, რომ უღალატა თავის ცხენს. ყმანვილკაცის გული ახლა მთლიანად ამ ქალს დაეპყრო, რადგან ტრფობის ალი მოსდებოდა.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

გორდში, მთავრის საბაფხულო სასახლის შორიახლოს, ერთი ტანძლიერი, ბებერი მუხა დგას, რომელსაც მეხი დასცემია და ორად გაუპია. აქაურები ამბობენ, მუხას ღამღამობით ავი სულეები სტუმრობენ და ღამის სიბნელეში ამ წმინდა და თან სახიფათო ხეს შიშით ახლოს ვერავინ ჩაუვლისო. აქაურებმა უფრო მეტიც იციან და ჩურჩულით ხანდახან იმასაც ამბობენ, ვინც შიშს დასძლევს და ღამეს ამ ხის ფულუროში გაატარებს, დემონის ძალას შეიძენსო. ნაუს თურმე იქ ერთი ღამე გაუტარებია და დილით, მართლაც, ძალების საოცარი მოზღვავება უგრძვნია. სწორედ ამის შემდეგ აეხსნა თურმე ნაუს ჯადო-თილისმა, ციციხო დანებდა და ვაჟის სულმა ცეცხლის სიმხურვალე იგრძნო. მაგრამ მალე, ჯადო-თილისმას კვლავ დაუბრუნდა თავისი ძალა და ნაუმ ციციხო ვი არ დაიმორჩილა, პირიქით, თავად იქცა ქალის მონა-მორჩილად.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

ციციხო სხვა ქალებს არ ჰგავდა, მასში კოლხი ამორძალის სისხლი სჩქეფდა და ამიტომ ვერავის სატრფო ვერ იქნებოდა; ის კაცს

იმორჩილებდა, მასზე ბატონობდა და, ბოლოს, ბურგს შეაქცევდა ხოლმე. არავის უღებდა საკუთარი გულის კარს და ამიტომაც არავის საკუთრება არ იყო. თითქოს თავისი ვნებების გაფლანგვისა ეშინიაო, ამორძალის მზერას იშვიათად თუ მიაპყრობდა ვინმეს. ბაკქანტი ქალი კი იყო, მაგრამ მაინც მიუწვდომელი რჩებოდა. მისგან ის უდრეკი ძალა მოსჩქეფდა, კაცებს რომ განაიარაღებდა და ადამბლავებდა. და სწორედ ამაში იყო ამ ქალის საიდუმლო.<sup>[SEP]</sup>

ნაუ კი ამ დროს იტანჯებოდა. იგი ქალს უბრალო მსახურად დაუდგა და მის ნებისმიერ სურვილს უდრტვინველად ასრულებდა. უძღვებოდა მის საოჯახო მეურნეობას და გლეხებისგან იჭარის აკრეფა ევალებოდა. მათი საიდუმლო შეხვედრების შესახებ კი არავინ არაფერი იცოდა. ჰო, მაგრამ, საერთოდ კი არსებობდა მათ შორის რაიმე კავშირი? ქალი წელიწადში ერთხელ მონყალეებასავით თუ გადაუგდებდა ნაუს თავის სიყვარულს, როგორც ერთგულ ძალს ხორცის ნაჭერს გადაუგდებენ ხოლმე. ამრიგად, ნაუს ცხოვრება სატანჯველად ექცა, რადგან არაადამიანური ეჭვიანობა უღრნიდა გულს – ამქვეყნად ყველაზე და ყველაფერზე ეჭვიანობდა. ნაუს გახურებული შანთივით ესობოდა გულში, თუ ქალი შემთხვევით მზერას ვინმეს შეავლებდა.<sup>[SEP]</sup>

ტოტემს, ამ წმინდა ცხოველს, ამ ქალის სახე მიეღო და ახლა ნაუ მთელი არსებით მის ძალას მინდობოდა. მაგრამ, მაშინაც კი, როდესაც მისი ეჭვიანობა შეშლილობის ზღვარს აღწევდა, სახეზე არც ერთი ნაკვთი არ ერხეოდა... და ნაუ დუმდა, თუმცა ერთ ნაბიჯზე იგრძნობდა

კაცი მის გამალეებულ გულისცემას, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ ებოს ჭიშკარს ქალის რომელიმე თაყვანისმცემელი მოადგებოდა. ამ დროს მის გააფთრება გავარვარებული სახმილის შესაგვანი იყო.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

## მხატვარი<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

იმ დილით ნაუმ დაინახა, რომ ვიღაც მხედარი ებოში შემოსვლას ლამობდა; მერე მოსული იცნო და შვეებით ამოისუნთქა, რადგან სტუმარი ციცინოს თაყვანისმცემელთა დასში არ ირიცხებოდა. მეზობელი გურიიდან ჩამოსული ვატო ნაკაშიძე ციცინოს ძუძუმტე იყო. მენიკი მასაც აწოვებდა ძუძუს, სამეგრელოში კი ძუძუმტე ძმაზე მეტს ნიშნავს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ნაუს ბრინჯაოსფრად გარუჯულ სახეზე სიხარულის სხივი გაუკრთა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– გამარჯობა, ნაუ! – მიესალმა სტუმარი.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– კაი გამარჯობა ნუ მოგიშალოს ღმერთმა! – მიუგო ნაუმ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მხედარი ჩამოქვეითდა და ცხენი ნაუს გადააბარა. ამ დროს სახლიდან მეგი გამოვარდა და სტუმარს ისეთი აღტაცებით გადაეხვია, რომ ეს კაფანდარა კაცი კინალამ წააქცია. გახარებული ციცინო აივანზე ამბორით შეეგება ძუძუმტეს, რომელიც კარგა ხანია არ ენახა. მერე ყველანი ოთახში შევიდნენ, სადაც ფართო, აღმოსავლურ ტახტზე ფეხმორთხმით მენიკი იჯდა. ვატო ძიძას მიუახლოვდა და მარჯვენა მხარზე ეამბორა, ქალიც ნაზად და ალერსიანად მიესალმა თავის „ბიჭს“. ამ ტანმორჩილ „ბიჭს“ უკვე ოცდაჩვიდმეტი წელი

შესრულებოდა. ვინრო მკერდი, მოყვითალო, ფერმკრთალი პირისახე ჰქონდა და თითქმის სნეულის შთაბეჭდილებას სტოვებდა. კაცი იფიქრებდა, ჭლეფი სჭირსო, მაგრამ სტუმარი სრულიად ჯანმრთელი იყო და ავადმყოფური გარეგნობის მიღმა, მასში რაღაც იდუმალი ძალა იგრძნობოდა. ვატოს ლაპარაკი არ უყვარდა, ამიტომ „მდუმარეს“ ეძახდნენ. ამის გამო ადამიანები მისი თანდასწრებით თავს უხერხულად გრძნობდნენ. ამგვარი უხერხულობა მაშინაც კი იგრძნობოდა, როდესაც ვატო იქვე ახლოს, მეზობელ ოთახში იმყოფებოდა; დანიური დოგის გამოხედვა ჰქონდა და კაცს მისთვის თვალეში შეხედვა უჭირდა. მარჯვენა თვალი თაფლისფერი ჰქონდა, მარცხენა კი – ნაცრისფერი, რაც მის სახეს მრჩობლ გამომეტყველებას აძლევდა, რის გამოც მის მიმართ უახლოეს მეგობრებსაც კი რაღაც ორჭოფული გრძნობა ეუფლებოდათ.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

სადილობის შემდეგ ვატომ თავისი მოლბერტი დაბურული ნიგვზის ხის ჩრდილში დადგა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

ვატო ნაკაშიძე მხატვარი იყო. სასწავლებლად პეტერბურგში წასულა, მაგრამ სამშობლოში მალევე დაბრუნებულა, რადგან თურმე იქაური ჰავა ვერ აიტანა. მაგრამ ხატვაზე ხელი არ აუღია. ამასთან გულდასმით შეისწავლიდა ქართულ ფრესკებსა და ორნამენტებს, ინდურ და სპარსულ მინიატურულ მხატვრობას, განსაკუთრებით კი მცირე აზიის ხუროთმოძღვრებითა და ქანდაკებით იყო გატაცებული. იტალიურ მხატვრობას იმ ჩანახატებით იცნობდა, მეჩვიდმეტე საუკუნეში კათოლიკე მისიონერებს რომ ჩამოეტანათ სამეგრელოსა

და გურიაში. ერთ-ერთი ასეთი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი იყო, რომელმაც ორი წიგნი დაწერა სამეგრელოზე. ახალგაზრდა მხატვარზე უდიდესი შთაბეჭდილება ლეონარდოს მოუხდენია, რომლის შემოქმედებასაც იგი თურმე დიდხანს, გამონვლილვით შეისწავლიდა. ამ მხატვარში ვატოს ისეთი რამ დაუნახავს, რაც არც ერთ სხვა ხელოვანთან არ მოხვედრია თვალში: ლეონარდოს სურათები რაღაც გულდასმით დაფარულ და, იმავდროულად, გამჟღავნებულ საიდუმლოს მალავდნენ. ამ მხატვრის ხელით შექმნილ პორტრეტებზე ვატო გამოსახულების გარდა, კიდევ რაღაც სხვასაც შეიგრძნობდა, რადგან მასზე გამოხატული სახის მიღმა თითქოს სხვა სახე იმალებოდა, რომელიც იმ პირველ სახეს ხან გადაფარავდა, ხანაც კვლავ გაუჩინარდებოდა. ამის წყალობით პორტრეტი თითქოს ცოცხლდებოდა და ერთდროულად ნამდვილიც იყო და ვითარსიც. მხატვარს მხოლოდ ის აზრი სტანჯავდა, რომ ამ საიდუმლოს ვერა და ვერ გამოუნახა გასაღები. თუმცა ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ერთხელაც იქნება, ამ საიდუმლოს ამოხსნიდა. ტყუილად ხომ არ იყო ნაკაშიძეების გვარისა! სიტყვა „ნაკჭუნ“ არაბულად ხომ „ხელოვანს“ ნიშნავდა!<sup>[59]</sup>

ვატო მეგის პორტრეტს ხატავდა და გოცებს ვერ მალავდა, რადგან გოგონას სახე რაღაცით ლეონარდოს პორტრეტებს აგონებდა. უნდოდა საღებავევით გადმოეცა ის იდუმალი გამომეტყველება, დრო და დრო რომ გაუკრთებოდა ხოლმე გოგონას სახეზე. მეგი, ეს სრულქმნილი, უმანკო ქალწული, თითქოს იმის მოლოდინში იყო, რომ ღვთაებრივი ნათელი გადაეფარებოდა. ასეთ ნუთებში მეგის სახე

თითქოს არამინიერად და ჰარმონიულად აირეკლებოდა ცის სილაჟვარდეთში. ხანდახან კი იყო წუთები, როდესაც გოგონას ბაკქისეული ალტკინება შეიპყრობდა ხოლმე. ამ დროს მისი სახის ნაკვთები თითქოს გამოცალკევდებოდა და ერთმანეთში ლხვებოდა, სხეული კი ბუნებას ერწყმოდა, შემაშფოთებელი, დაუნდობელი და მომაკვდინებელი. ასეთ წუთებში მხატვარს შიში იპყრობდა და ხატვას თავს ანებებდა, მერე კი კვლავ გოგონას არსში შეღწევასა და მის ტილოზე გადატანას ლამობდა; მაგრამ ვატოს მარტოოდენ გოგონას დახატვა არ აკმაყოფილებდა. უნდოდა ბუნების ნიაღში მისი გამოსახულება ისე მოეთავსებინა, თითქოს ბუნება გოგონას არსის გაგრძელება იყო, ანდა, თითქოს გოგონას სული თავად ბუნების ნიაღში განსხეულებულიყო. ამიტომაც მხატვარი გარეთ, ბაღში მუშაობდა. უპირველეს ყოვლისა, მეგი მზით უნდა ყოფილიყო განათებული და ამ უვნებელი ცეცხლის ოქროსფერი, ხილული სხივების ტალღა ზემოდან უნდა გადაჰფარებოდა; მერე კი, ბარაქიანი მინის სინოტივეც უნდა შეეგრძნო. ამ დროს ყველა გაურკვეველი ძალა ერთად მოიყრიდა თავს, მათ შუაგულში მყოფი მეგი კი – ამ ძალების სრულქმნილი გამოხატულება და ბრმა ბუნების გაკამკამებული მზერა იქნებოდა. მხატვარი ფიქრობდა, რომ ასეთ გარემოცვაში სულსხვა, მიუწვდომელი მეგის აღმოჩენას შეძლებდა. ვატო ნელა მუშაობდა, დრო და დრო ხატვას თავს ანებებდა და ხედავდა, რომ პორტრეტი არა და არ გამოსდიოდა. მხატვარი შფოთავდა. საკუთარ შემოქმედებით შესაძლებლობებში ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ რა

ხდებოდა? რა უშლიდა მხატვარს ხელს გოგონას სახე ტილოზე გამოესახა? იგი საკუთარ თავს მკაცრ გამოცდას უწყობდა. მეგი შვილივით უყვარდა, მაგრამ ვინ იცის, იქნებ ამ სიყვარულში სხვა გრძნობაც იყო გარეული? ამის გარკვევა მხატვარს თავადაც უჭირდა, მაგრამ იმას კი გრძნობდა, რომ ეს უფრო სხვა სიყვარული იყო და შვილისადმი სიყვარულს არ ჰგავდა. ვატოს ახსენდებოდა, რომ ერთხელ უკვე კინალამ გადასცდა ზღვარს; იგი ებრძოდა თავის გრძნობებს, რადგან იცოდა, რომ ძუძუმტეს დისტვის მხოლოდ ძმური სიყვარული უნდა შეეთავაზებინა. ამ ბრძოლაში ვატო გამარჯვებული გამოვიდა. ამჟამად კი, თითქოს იგივე მეორდებდა და ეს გრძნობა სისხლს უჩქროლებდა. მაგრამ საოცარია: გოგონას რომც ეთანაგრძო მისთვის, ეს მხატვარს მაინც ვერ დააკმაყოფილებდა, რადგან მისთვის სიყვარულის ხიბლი სწორედ ოცნებაში მდგომარეობდა და არა ამ სიყვარულით ტკბობაში; და ვატოს არ სურდა სიყვარულის ხიბლი ცნობადის ხიდან ეგემა. ამასთან, ვაჟი გარეგნულად თუმცა არაფერს იმჩნევდა, მაგრამ ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მისი სანუკვარი ოცნებების გამოსხივებას მეგი სხეულით შეიგრძნობდა. ამიტომ, მასთან დასახატავად მოსულ გოგონას, დაბნეულობა ეტყობოდა. მისთვის აუტანელი ხდებოდა მამაკაცის ორაზროვანი მზერა და საკუთარ თავში იკეტებოდა. მხატვრის თვალს არ გამოჰპარვია ეს წინააღმდეგობა. მან იცოდა, რომ იმ საიდუმლოს ამოსაცნობად, რომელიც პორტრეტის შექმნას უკავშირდებოდა, შემოქმედის ძალისხმევა არ კმაროდა, თუნდაც ეს ძალისხმევა ძლიერი ნების გამოვლინება ყოფილიყო,

რადგან ამ დროს პორტრეტის პირველსახეც სრულ მორჩილებას და თვინიერებას უნდა იჩენდეს. ამ შემთხვევაში საქმე სხვაგვარად იყო: მეგი დათმობაზე კი მიდიოდა, მაგრამ მორჩილებაზე უარს აცხადებდა.<sup>[57]</sup>

ასე და ამრიგად, მხატვარსა და გოგონას შორის მწვავე, ფარული ბრძოლა გამართულიყო. მეგის ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ამიშვლებდნენ და მისი სულის კუნჭულში გადამალული საიდუმლოს გამოძალვას ცდილობდნენ, რათა იგი მერე სადღაც გადაემალათ. ამიტომ მეგი ფხიზლად იყო; მხატვარი კი თავის მხრივ, ძალებს არ ზოგავდა – მის გრძნეულ მზერას გველის მონუსხვა შეეძლო, ჰოდა, გოგონას დამორჩილებასაც ამ მბრძანებლური მზერით ცდილობდა, თუმცა საამისოდ ძალები ბოლომდე არ ყოფნიდა; ცოცხალ-მკვდარი გოგონა კი უკანასკნელ წუთებში მაინც დაიხსნიდა ხოლმე თავს მისი მარწუხებისაგან და პირქუში სახით, უხმოდ გარბოდა იქიდან.<sup>[58]</sup>

იმ დღეს მეგი მოთენთილი და უხალისო ჩანდა და ბრძოლას არ აპირებდა. მხატვარი ამან გაახარა, მაგრამ ნახატი მაინც არ გამოსდიოდა. მეგი ფიქრებში წასულიყო. ტახტზე მიწოლილი, ბალიშებში ჩაფლული გოგონა ბაკქურად მაცდური და მშვენიერი იყო. მოქნილი სხეული ამაღელვებლად გაეზნიქა, მაგრამ მხატვარს ახლა მისი სახე სჭირდებოდა, რომელიც მზით განათებულ, უკიდევანო სივრცეში ჩაკარგულიყო. მეგი იმ წუთას იმ ხის მზიურ ნაყოფს ჰგავდა, რომლის სახელიც არასოდეს სმენია ადამიანის ყურს. მხატვარი გაშმაგდა, მაგრამ ეს არ იყო შემოქმედების, ღვთიური ნამით

## მიმინო<sup>[P] [SEP]</sup>

სწორედ ამ დროს ებოში მხედარმა შემოაგელვა ცხენი. ეს ჯვებე იყო. იგი ჩამოქვეითდა და ცხენი ხებე მიაბა. კაცები ერთმანეთს მიესალმნენ. გოგონა ფეხზე წამოდგა. მხატვარმა თავი მიანება სამუშაოს. ჯვებე მეგისტან მივიდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ეს საჩუქარი ჩემმა მეგობარმა გამოგიგზავნა, – უთხრა გოგონას და მიმინო გადასცა. მეგი წამოენთო. ცოტა ხნის წინ შორეთში გაუჩინარებული მისი სახე ახლა თითქოს იქაურობას უკან დაბრუნებოდა. მხატვარმა გოგონას მალულად შეავლო მზერა და მისმა გამომეტყველებამ შეაშფოთა; მერე ბოროტმა აზრმა გაუელვა თავში და სიცოცხლეში პირველად იგრძნო, რას ნიშნავდა ეჭვიანობა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– რა ლამაზი მიმინოა! – შესძახა გოგონამ და ფრინველს ყელზე მოუსვა ხელი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ჰო, ნამდვილად ლამაზია! თოვლივით ქათქათაა. ასეთი რამ კი დიდი იშვიათობაა. ერთი ამ ყვითელ ბოლს შეხედე, ძვირფასი სამკაულივით რომ აქვს ყელზე შემოვლებული! – თქვა ჯვებემ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ჰო, თანაც ეს სამკაული მთვარის ნაზი შუქივით ციმციმებს! – დასძინა მხატვარმა, რადგან ფრინველის სილამაზემ ისიც გააოცა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მიმინო აფხაზეთში არზაყან მარლანიამ დაიჭირა და იქიდან ჩამოიყვანეს. ჩემმა მეგობარმა მას ფრინველში გლეხის მთელი

კომლი მისცა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მხატვარი დუმდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– განა არ ღირდა ეს ფრინველი ამაღ? – იკითხა ჯვებემ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მხატვარს პასუხი არ გაუცია. ჯერ გოგონას შეხედა, მერე მზერა ისევ მიმინოზე გადაიტანა და მიხვდა: მათ შორის რაღაც პირველქმნილი ერთობა იგრძნობოდა. მერე გოგონას და მიმინოს თვალებს დააკვირდა და დაინახა, რომ ეს ორი ნყვილი თვალი არათუ ჰგავდა ერთმანეთს, არამედ სრულიად ერთნაირი იყო. თუმცა შინაგანი მზერით მხატვარი ახლა იმას ეძებდა, ვინც გოგონას მიმინო გამოუგზავნა. ვინ არის ის კაციო, – სიამოვნებით იკითხავდა, მაგრამ თავი შეიკავა. მხატვარს ეჭვიანობის ისარი ჩასობოდა გულში, თუმცა მისი მარჩხი თვალები არ ამუღავნებდნენ ამას. „აი, თურმე როგორ ყოფილა მეგის საქმე!“ – გაიფიქრა მხატვარმა და თავი ჩაქინდრა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– თქვენები შინ არიან? – ჰკითხა ჯვებემ გოგონას.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მეგიმ სტუმარს შევითხვამე დასტურით უპასუხა და ყველანი სახლისკენ გაემართნენ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ციცინო და მენიკი უკვე აივანზე გამოსულიყვნენ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

## შეჯიბრი<sup>[P] [SEP]</sup>

ზურმუხტისფერია ბაფხულში სამეგრელოს ველ-მინდვრები. კაცი იფიქრებს, შავი ბღვა უზარმაზარი ნიჟარიდან მინდვრებზე გადმოღვრილა, მისი ტალღები ნებიერად გადაშვებულან სიმინდის ყანებში და იქვე გაქვავებულან, მერე კი თითქოს თავად მინდვრები

ქცეულან უკიდევანო, შორეული ზღვის ტალღებადო; მზის სხივები ეფრქვევა სიმინდის ყანებს, ღეროებს, ყვავილებსა და ფოთლებს. ხშირი ყანა ღელავს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მდინარის ნაპირთან ნაბლისფერ ფაშატზე ამხედრებული ქალი გამოჩნდება. მარცხენა ხელზე მიმინო უბის, კისერზე შემოვლებული, ნამგალა მთვარის ბოლით დალდასმული. ორივეს ამაყი გამოხედვა აქვს: მხედარსაც და პატრონის ხელზე მოტორტმანე მიმინოსაც. მეგი მდინარის გასწვრივ მიაჭენებს ცხენს – მიმინო უნდა გამოსცადოს, თუმცა ხობხები არსად ჩანან.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

უეცრად ყანას ფრინველთა გუნდი გადაუფრენს. მიმინო იძაბება: მზადაა, ცაში კამარა შეკრას. პირქუშ, უდრევ მზერაში ცეცხლის ნაპერწკალი უკიაფებს: ახლა იგი მთლიანად შემართულია. მეგიმ მიმინო ცაში ააფრინა. დაფეთებულმა ფრინველებმა თითქოს წამით შეანელეს ფრენა, მერე კი ოდნავ ზევით აიჭრნენ ცაში. მიმინომ ჰაერში კამარა შეკრა და გაინავარდა; მალე ფრინველთა გუნდში ქვემოდან შეიჭრა. სანავარდო სივრცე დავიწროვდა. დამფრთხალი ფრინველები ერთმანეთს ეხეთქებოდნენ, მერე რკალი შეკრეს, შეჭგუფდნენ და ერთ დიდ, მფრინავ გორგლად იქცნენ. უეცრად მიმინო ისარივით ავარდა ზემოთ და მფრინავ გორგალს თავზე მოექცა, მარჯვენა ფრთა გამალებით აამტლაშუნა, მერე შეტრიალდა და ფრინველთა გუნდში ისარივით შეიჭრა; შემინებული გუნდი გაიფანტა და გაიბნა. მეგის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მაგრამ ამასობაში მიმინო უფრო და უფრო შორს მიფრინავდა და ბოლოს თვალს მიეფარა, რადგან მეგის

დავინყებოდა და შეძახილით აღარ მოუხმო უკან. ახლა გოგონა სტვენით შეეცადა მის დაბრუნებას, მაგრამ ამაოდ. მევიმ ცხენი გააჭენა. გული ისე უცემდა, თითქოს მიმინო იქიდან ამოფრენოდა. ნახევარი საათი რომ გავიდა და მიმინო ისევ და ისევ არ ჩანდა, დადარდიანებულმა მევიმ უიმედოდ ჩაქინდრა თავი.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

მდინარის გაღმა ნაპირზე, აქატისფრად მობიბინე მდელოს შუაგულში უზარმაზარი მუხა იდგა. ხის ქვეშ ცხენი და მხედარი მოჩანდნენ; მხედარს ხელზე მოტორტმანე მიმინო შემოესვა. მათ დანახვაზე მევის თვალები გაუბრწყინდა. ცხენი აჭიხვინდა და ეს ჭიხვინი სიხარულის შეძახილივით გაისმა. გოგონას გულშიც სიხარულმა გაიხმიანა და ცხენი შეაჩერა. ერთხანს დაბნეული და გარინდებული იდგა. ასტამური ცხენს მოახტა, მდინარე გადმოცურა და გოგონასთან მივიდა. ორივე დუმდა. ეს ის თვალწამი იყო, როცა ირგვლივ ყველაფერი მუსიკად ხმიანობს. ასტამურმა მევის მიმინო გაუნოდა, მერე კი, როგორც იქნა, მოახერხა და ძლივსგასაგონად უთხრა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ახლა შენ ხარ ამ მიმინოს პატრონი.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

გოგონა თითქოს დამუნჯებულიყო. მერე უხმოდ ჩამოართვა ვაჟს მიმინო. ასტამურიც ვეღარ ძრავდა სიტყვას, უკვალოდ გამქრალიყო მისი გამბედაობა და სიამაყე. აფხაბს ძლიერ ტანს სელის ჩოხა უმშვენებდა, აბრეშუმის ყაბალახი მხარზე გადაეგდო, წვივებზე ნატიფად ნაქსოვი პაჭიჭები შემოეხვია, ფეხზე კი მომდგარი ნულები ეცვა. აფხაბის მოქნილ სხეულში მტაცებელი ნადირის ძალა

იგრძნობოდა, დაძაბული კუნთები თითქოს ველურ თამაშში ჩაბმულიყვნენ. მაგრამ ასტამური ახლა მთვარის შუქივით მინავლულიყო და ხმას ვერ იღებდა. მერე ის იყო, მეგიმ ცხენი ადგილიდან დაძრა და გააჭენა. უკან მიჰყვა ასტამური. მთელი მისი არსება სიყვარულს შეეპყრო. მეგი გრძნობდა ამას, სახეზე ალმური ასდიოდა, მაგრამ ვერაფერს ამბობდა. აფხაზმა მიმინოს შეხედა: ახლა „მიმინო“ ის სატრფიალო სიტყვა იყო, მის გრძნობებს რომ გამოხატავდა. ჰოდა, მანაც მიმინოზე ჩამოაგდო საუბარი და მეგის უთხრა, ეს იშვიათი ფრინველი „კაპუეტის“ სახეობაა და უკვე წვრთნის დროს აქვს პირველი განგურიო. მერე დასძინა, მეჩვიდმეტე საუკუნის შუა ხანებში, როდესაც სამეგრელოს დიდი ლევან დადიანი განაგებდა, მხოლოდ ხელისუფალს ჰქონდა უფლება, თეთრი მიმინო ჰყოლოდაო. აფხაზი ისევ და ისევ მიმინოზე ლაპარაკობდა, რადგან „მიმინო“ იყო ის სიტყვა, რომლითაც იგი თავის სიყვარულს გამოხატავდა. მეგი უსმენდა ვაჟს და ყოველ მის სიტყვას ღრმად იბეჭდავდა გონებაში. მიმინომ ფრთები შეაფრთხილა; განა ეს ფრინველი თავად ფრთაშესხმული ეროსი არ იყო?! მეგი ადგილს მოწყდა. ცოტა ხანში მხედრები ვინრო ორღობეში შევიდნენ. ქალ-ვაჟი ისე ახლოს აღმოჩნდა ერთმანეთთან, რომ მათი მუხლები ერთმანეთს შეეხო. აფხაზს თითქოს ცეცხლის ალი მოედო, გახელდა და გაქროლდა. მეგის ფაშატი ულაცს დაედევნა. ორთაბრძოლაში ჩაბმული ცხენები მინდორზე გაიჭრნენ. აფხაზს ერთი აზრი უტრიალებდა თავში: ახლა მას თავი არ უნდა დაეზოგა და გოგონასთვის მთელი თავისი მხედრული ხელოვნება ეჩვენებინა; ისიც

იცოდა, რომ ამ დროს სამკვდრო-სასიცოცხლო ილეთების გამოყენებაც დასჭირდებოდა. აფხაზი თავდაუზოგავად მიაქროლებდა თავის რაშს და ისიც, თავისი მხედრის საქციელით კმაყოფილი, გამალებით მიჰქროდა. მეგი მათ დაედევნა, მაგრამ მალე იგრძნო, რომ მისი თავდაჯერება სადღაც გამქრალიყო. იქნებ ეს იმის ბრალი იყო, რომ დასნეულებული ფაშატი ცოტა ხნის წინ დამდგარიყო ფეხზე? გოგონას ვერ გაეგო, რა ხდებოდა მისთავს და ცხენს კვლავაც მიაჭენებდა. უეცრად წინ, თითქოსდა მათი ჯირითის საბოლოო მიზანი – ციცაბო მთა – გამოჩნდა. ასტამურის ცხენი პირველი მივიდა მიზანთან, მაგრამ აფხაზს აღარ დაუცდია, ვიდრე გოგონა იმ ადგილამდე მიაღწევდა და მაშინვე უკან გამობრუნდა. გოგონას სახეზე აღმფოთება დაეტყო. ასტამურმა გაიღიმა, თითქოს ამით თავისი „დანაშაულის“ გამოსყიდვას ცდილობსო, მაგრამ მისი ღიმილი სიბრაზისგან აჭრილ სახეს გადააწყდა. მეგიმ ცხენი შეატრიალა და გაქუსლა. აფხაზს მზერა გაეყინა. მერე კიდევ დიდხანს, გაოგნებული გაჰყურებდა გოგონას.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

მეგი ეზოში შეიჭრა, ცხენი და მიმინო ნაუს გადააბარა და თავის ოთახს მიაშურა, ტახტზე დაემხო და თავი ბალიშებში ჩარგო. ვატომ ვერ გაბედა მასთან შესვლა. მენიკი და ციცინო შევიდნენ ოთახში და დაინახეს, რომ მეგი უძრავად იწვა და ხმას არ იღებდა. ციცინო მალევე გამოვიდა ოთახიდან; მენიკი მეგისთან დარჩა და შეეცადა, თავისი გრძნეული ხელოვნების ძალა გამოეყენებინა. გოგონა ისევ ლოდევით ეგდო ტახტზე, მაგრამ, აი, მოხუცის ჯადო-თილისმამ ეს ლოდი

ნელ-ნელა გააცოცხლა და ძიძას მისი ქვითინი შემოესმა. ქალი დაიხარა და გოგონას ყურში ალერსიანი სიტყვები უჩურჩულა. მალე მეგი მოლბა და ძიძას ყველაფერი უამბო. გახარებულმა მენიკიმ ჩაიციხა:<sup>[SEP]</sup>

– ო, შე პატარა სულელო, შენა! განა არ იცი, რომ შენი ფაშატი მოკლე მანძილზე ჭირითში მოისუსტებს, შორ მანძილზე კი ბადალი არ ჰყავს? ოჰ, ჩემო ლალო, ველურო არსებავ! ნუთუ არ გრცხვენია, ამაზე რომ ტირი?<sup>[SEP]</sup>

გოგონამ ნამტირალევი სახე მოულოდნელად მისკენ შეატრიალა და ბავშვივით გახარებულმა, ჰკითხა:<sup>[SEP]</sup>

– შენ ასე ფიქრობ, ბებია?<sup>[SEP]</sup>

– რა თქმა უნდა, ჩემო ტურფავ და მშვენიერო.<sup>[SEP]</sup>

მენიკიმ უხმოდ ჩამოუსვა გრძნეული ხელი ძონის ნაწნავებზე და ისევ გაუმეორა: „ო, ჩემო ტურფავ, ჩემო მშვენიერო!“<sup>[SEP]</sup>

## თაურსამყაროსეული ჭიდილი<sup>[SEP]</sup>

ძიძის სიტყვებს საოცარი ძალა ჰქონდა და მეგის ისინი ღრმად ჩაბეჭდოდა გონებაში. გოგონა ხშირად ჭირითობდა მინდორში. ნეტავ რა ძალა ეწეოდა აქეთ? რა იყო ეს, შურისძიების გრძნობა თუ აფხაზთან შეხვედრის სურვილი? მეგი გრძნობდა, რომ საკუთარ გრძნობებში გახლართულიყო და გული სულ უფრო ძალუმად უცემდა. მეხუთე დღეს ასტამურს ისევ რომ შეხვდა, სიხარულისგან კინაღამ თავბრუ დაეხვა, მაგრამ უმაღ საკუთარ თავში ჩაიკეტა და იმ

ლოკოკინას დაემგვანა, ნიჟარაში რომ შეიმალება ხოლმე. ასტამური მიესალმა გოგონას. მეგიმ ოდნავ დაუკრა თავი; მერე ცხენებით ერთად გაუდგნენ გზას. უეცრად აფხაზის ულაცმა უზარმაზარი ზღარბი დაინახა, დაფრთხა და ყალყზე შედგა; ასტამურმა ისე გადამეტებით გადაუჭირა მატრახი, რომ ცხენი შმაგად გავარდა წინ. მეგისაც სწორედ ეს უნდოდა; თავისი ფაშატი ფართო მინდორზე გააქროლა და ორ წუთში დაენია აფხაზს. ასტამურმა ოდნავ შეანელა სვლა, მერე კი კვლავ მთელი ძალით გააჭენა ცხენი. მეგი გააფთრებით მიჰქროდა წინ. ცოტა ხანში გზაზე გავარჯული ხე გამოჩნდა; ხშირი ტოტები თითქმის მიწამდე დაეხარა. აფხაზის დევნით შეპყრობილი მეგი თითქოს წერას აეტანა. ასტამურმა ხეს დროულად აარიდა თავი და გვერდზე გახტა, მეგი კი ცხენს კისერზე განერთხო და წინ ისარივით გავარდა. იმავ წუთს იგრძნო, რომ ტოტებს თმით წამოედო და უეცრად, რატომღაც აბესალომის თმა გაახსენდა, ძველი ბიბლიური ამბების მოყოლისას რომ ახსენებდა ხოლმე მენიკი. გოგონა შიშმა აიტანა, მაგრამ საფრთხეს უკვე ჩაევლო. ჯონდო მეტოქეს დაენია. ფერდობზე აფხაზის ცხენი წაფორთხილდა და დაეცა. ჯონდო მას ზემოდან გადაევლო და ახლა უკვე მეგი პირველობდა. შემფოთებული ასტამური გააფთრებით დაედევნა გოგონას, მაგრამ ვეღარ დაენია. მთის ძირში მეგი ცხენიდან ჩამოხტა. ასტამური მასთან მიიჭრა. იგი ამ ბრძოლაში დამარცხებულიყო. მეგი სიხარულს ვერ მალავდა. მერე ჭიუტი სიამაყე დასძლია და აფხაზს ყურში ჩაესმა მისი სავსე, დაბალი ხმა. გოგონამ რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა. გაოგნებული აფხაზი თითქოს

გამოფხიზლდა, გაიღიმა და მეტოქე შეაქო. მერე დასძინა: აფხაზეთში ვერავინ მჭობნის ჭირითშიო. ასტამურმა ჭონდოზე, მინდორზე, მთის ფერდობზე და კიდევ ბევრ რამეზე რომ დაინყო მოყოლა, მეგიმ იგრძნო, რომ აფხაზი გულისგულში მხოლოდ მასზე ლაპარაკობდა და ვაჟისთვის სიტყვები საბაბი იყო საამისოდ. გოგონა გულში ბეიმობდა, აფხაზს კი ნელ-ნელა ებინდებოდა გონება. მეგისაც თავბრუ ეხვეოდა. მან ეს მკერდზე მიბნეული ყვავილის დამათრობელ სურნელს დააბრალა, ასტამურს შეხვედრისას რომ ეჩუქებინა მისთვის. მაგრამ, ვინ იცის, იქნებ ეს იმ ყვავილის კი არა, ჯერაც განუცდელი გრძობის სურნელი იყო? გოგონა მიხვდა, რომ ნელ-ნელა გონებას კარგავდა. მერე წაიბორძიკა და აფხაზს მისთვის ხელი რომ არ შეეშველებინა, ნამდვილად წაიქცეოდა. და აი, ამ დროს ვაჟის ხელები პირველად შეეხო გოგონას მხრებს. მეგის უფრო და უფრო დაებინდა გონება; ანდა, ვინ იცის, იქნებ მას ქვეცნობიერად შეიგრძნო ის ყოვლისშემძლე თრობა, ქაოტური ძალების გააფთრებული ჭიდილის დროს ასერიგად სახეშეცვლილი რომ წარმოჩინდება? საოცარია, მაგრამ მეგის დაბინდული გონება ამ ჭიდილში საკუთარ თავს ერთ-ერთ მებრძოლ ძალად შეიგრძნობდა. მერე ის იყო, თვალეებზე ბინდი გადაეფარა, თანდათან გაძლიერდა უჩვეულო ხმაური, ზღვის უზარმაზარი ნიჟარების შრიალს რომ ჰგავდა, ბოლოს კი ყველაფერი ამ შრიალში შთაინთქა; უზარმაზარმა დაშნამ შუაზე გააპო წყვდიადი და დედამინა კვნესითა და გმინვით შემოტრიალდა. მეგის გონებიდან ხელის ერთი მოსმით გაქრა ყველაფერი, თუმცა, ვინ იცის, იქნებ ამ დროს ისეთი რამ

იგრძნო, რაც ადამიანს ზეცაში აღიტაცებს და იმავდროულად მიწაზე დაანარცხებს ხოლმე? მიწისძვრის წინ ცხოველები გამორბიან თავიანთი სადგომებიდან და გმინავენ. ცხენები ერთმანეთს ეხეთქებიან და ჭიხვინებენ, ხარები ბლავიან, ძაღლები ყეფენ, ტურები კივიან... ამ პანიკური შიშის მსგავსი რამ შეიცნო ახლა გოგონას გაოგნებულმა მზერამ. ეს სქესთა მარადიული ბრძოლა, ქალსა და მამაკაცს შორის გამართული თაურსამყაროსეული ჭიდილი იყო. დიახ, ეს საშინელი, სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინება, სწორედაც რომ იმ თაურსამყაროსეულ ძალთა შეჭახებას ჰგავდა და ერთ-ერთი ამ ძალთაგანი თავად მეგი იყო. და მაინც, მამაკაცისადმი მორჩილების ამ ხანმოკლე წუთებში გოგონამ საოცარი ნეტარება იგრძნო. გონება კვლავ დაბინდული ჰქონდა, მაგრამ, რას ნიშნავდა ის უცხო და უჩვეულო განცდა, გოგონას რომ დაუფლებოდა და მის ფიქრებში შეჭრილიყო? მეგი გონს რომ მოეგო, აფხაბი უკვე წასულიყო. ჭონდოს შეხედა და ცხენის დარცხვენილი მზერის წინაშე თვალები დახარა; მერე საოცარი სირცხვილის გრძნობა დაეუფლა და სახე შეეფაკლა. ცხენთან მივიდა, მაგრამ შეჭდომა ვერ შეძლო, დაბნეული და განადგურებული, შინისკენ გაუდგა გზას. ცხენი უკან მიჰყვა.<sup>[58]</sup>

მეგი მონყვეტილი ნაყოფივით დაეცა ტახტზე. სულიერად განადგურებული იყო და ისევ იმ ნაყოფად გადაქცევას ნატრობდა, ჯერ რომ არ მოენყვიტათ. ყველაფერი დამთავრებულიყო! მეგის ველურ სხეულსცეცხლივით მოედო სიშმაგე. გაცეებული თვალებით შემოსცქეროდა მას ქანდარაზე შემოსკუპებული მიმინო. უეცრად მეგი

ნამოხბა, ფრინველს ხელი სტაცა და თავი წაანწყიტა. მრისხანება  
ოდნავ რომ დაიცხრო, ისევ ტახტზე მიეგდო, მაგრამ ვერ დაიძინა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ოთახში ციცილო შევიდა და შვილს მიუახლოვდა. გოგონა დუმდა.  
შეშფოთებულმა დედამ მეგის კაბაზე სისხლი შენიშნა, ირგვლივ  
მიმოიხედა და თავწანყვეტილი ფრინველი დაინახა. „ნამდვილად  
მიმინოს სისხლია“, გაიფიქრა ქალმა და უმაღლეს დამშვიდდა. მაგრამ ვინ  
წაანწყიტა საბრალო ფრინველს თავი? ნუთუ მეგიმ? არა, ეს  
შეუძლებელია. აღელვებულმა ციცილომ ძიძას უხმო. მენიკი ოთახში  
შემოვიდა და გოგონას გამოელაპარაკა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო.  
მეგის არ ეძინა. გაშტერებული ინვა, თითქოს გაქვავებულიყო. მოხუცი  
ძიძა ამ ქვას თავისი გამხმარი თითებით რომ შეხებოდა, იგრძნობდა  
მისი აბორგებულ გულის ძგერას. მერე მენიკიმ მკვდარი ფრინველი  
დაინახა და ციცილომაც ანიშნა სისხლის ლაქებზე. ძიძამ ჯერ  
ფრინველის წანყვეტილ თავს შეხედა, მერე კი მზერა მეგიზე  
გადაიტანა. დუმილი. მენიკი დაიხარა, ტახტიდან მოსრესილი ყვავილი  
აიღო და პირქუში სახით წაიჩურჩულა:<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ნუთუ ამან გააბრუა?<sup>[P]  
[SEP]</sup>

მენიკის მომწვანო თვალები ბოროტი ცეცხლით აენტო. მოხუცი  
მისანი აშკარად რაღაცას მიხვდა და შეშინებული სახე მოექუფრა.  
მერე თავი წელა, მრავლისმთქმელად ასწია ზევით და შიშნეული მზერა  
შეავლო ადამიანს, ერთ დროს ძუძუს რომ ანოვებდა. ამ მზერამ ციცილო  
ყველაფერს მიახვედრა. საშინელმა მრისხანებამ შეიპყრო მეგის დედა  
და სახე ამორძალის წალღივით შემზარავი გაუხდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

## ამორძალის წალდი<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ბურმუხტისფერი ფარდასავით ეშვებოდა მინაზე საღამო, სულ უფრო და უფრო ბლანტი და მრუმე. შორს, სოფლიდან ხმაური მოისმა და მალევე მიწყდა. ჩუმად შრიალებს ფოთლოვანი ტყე; ნეტავ იქ, მუხაზე, ფასკუნჯი ხომ არ გამოჩნდება? ალბათ, არა, რადგან შუალამე ჯერ არ დამდგარა. მენიკი, ციციხო და მეგი მეგრული ღამის მოლოდინში არიან. ვატოც მათთანაა. მეგი ტახტზე წევს და დუმს. ღრმა ფიქრებში წასული, ირგვლივ ვერავის ამჩნევს. მენიკი და ციციხო იქვე, დორებითმოფენილ ხალიჩაზე მიწოლილან. ვატო პატარა, სამფეხა სკამზე ბის. ციციხომ და მენიკიმ იციან მეგის საიდუმლო, თუმცა გოგონას ამაზე ხმა-კრინტი არ დაუძრავს მათთან. ქალები შიშობენ, ვატო არ მიხვდეს ამ საიდუმლოს. უფრო კი იმის შიში აქვთ, რომ თავად მეგი ხვდება მათ ეჭვს. ტყე შრიალებს და მის წიაღში იქსოვება ათასწლოვანი თქმულებების ქარგა. მენიკი ამჯერად იმ ამორძალებზე ჰყვება, დიდი, ძალიან დიდი ხნის წინ რომ დასახლებულიყვნენ ამ მინაზე. მერე საგანგებოდ აღნიშნავს: „ეს ქალები სრულიად განმარტოებით ცხოვრობდნენ და ყველა სამუშაოს თავისი ხელით ასრულებდნენ: მუშაობდნენ მინდორში, მოჰყავდათ მოსავალი, უვლიდნენ პირუტყვს, განსაკუთრებით კი ცხენები უყვარდათ. უფრო ძლიერი ამორძალები ნადირობდნენ და საკუთარ თავს საბრძოლო ხელოვნებაში ცდიდნენ“. მენიკი განაგრძობს: „ამორძალებს ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში მარჯვენა მკერდს უშანთავდნენ“. ამ დროს მეგის მკერდი შეეკუმშა და საშინელი ტკივილი

იგრძნო. „ეს მათ საშუალებას აძლევდა, თავისუფლად ეხმარათ იარაღი, განსაკუთრებით კი – შუბი. ამორძალები შეიარაღებული იყვნენ მშვილდ-ისრებით, წალღებითა და მსუბუქი ფარებით; ცხოველის ტყავისგან ამზადებდნენ ჩაფხუტებს, აბჯრებსა და ქამრებს“. სიტყვა „წალღის“ გაგონებაზე ციცილო შეკრთება და ამ დროს პროფილი ამორძალის ნამგალა მთვარისებურ წალღს მიუგავს. მას სახლში აქვს ასეთი წალღი. მენიკი განაგრძობს: „ამორძალები ორი თვით უარს ამბობდნენ ჩვეული ცხოვრების წესზე, მახლობელ მთაზე ადიოდნენ და იქ ხვდებოდნენ კაცებს, მათსავით განმარტოებით რომ ცხოვრობდნენ იქვე მებობლად. ადათ-წესის თანახმად, ხდებოდა მსხვერპლშენირვა, რის შემდეგაც, კაცები სიბნელეში მიუდგებოდნენ ხოლმე ქალებს, რათა ბავშვები იდუმალად და უსიყვარულოდ ჩაესახათ. მოგვიანებით დაბადებული ბიჭები ამორძალებს ქვეყნის საზღვართან მიჰყავდათ. იქ მათ კაცები ხვდებოდნენ. ისინი თითო ბიჭს ირჩევდნენ, თავისთან მიჰყავდათ და საკუთარი შვილებივით ზრდიდნენ; თუმცა ადვილი შესაძლებელია, ეს ბიჭები ნამდვილად მათი საკუთარი შვილებიც ყოფილიყვნენ“. აღელვებული მენიკი თხრობას განაგრძობს. „ამორძალებს მიაჩნდათ, რომ მხოლოდ გოგონები იყვნენ მათი სისხლი და ხორცი და დედობრივ ზრუნვას არ აკლებდნენ, თუმცა ძუძუს არასოდეს აჭმევდნენ, რათა მკერდი არ დაჭკნობოდათ და ბრძოლებში ხელი არ შეშლოდათ. პატარებს ფაშატის რძეს და ცვარ-ნამის წყალს ასმევდნენ, თაფლივით რომ ილექებოდა მდინარის ლელქაშზე“. მენიკი განაგრძობს თხრობას. იქნებ ამ დროს

ჰეროდოტეს ან სტრაბონის მიერ გადმოცემულ ამბებს ჰყვება? არა! ქალი ამ თქმულებებს ტყის შრიალში ისმენდა, საიდანაც მათ შესახებ ცნობებმა თავდაპირველად ელინთა ქვეყანაში ჩააღწია“. იდუმალი ხმით, ჩუმად ლაპარაკობს მენიკი. ბოლოს კი დასძენს: „ამორძალთა შორის მკვლევლებიც იყვნენ. ისინი დრო და დრო დაერეოდნენ და ხოცავდნენ ტყვედ აყვანილ კაცებს და ახალშობილ ბიჭებს“. ამ სიტყვების გაგონებაზე მეგი გველნაკბენივით აცახცახებდა; განრისხებულ ციციოს ამორძალის სასიკვდილოდ მოქნეულ წალდს მიუგავს პროფილი. მენიკის უქრება მომწვანო თვალებში ანთებული ცეცხლი და ზიზღნარევი ღიმილით დასძენს: „თუმცა ასეთი მხოლოდ ზოგიერთი ამორძალი იყო...“<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

ვატო დუმს. მერე კითხულობს, რას ნიშნავს სიტყვა „ამორძალი“, მენიკი გამუდმებით „ამაზონის“ ნაცვლად რომ ხმარობს. მორიდებით, თითქმის ჩურჩულით გამოხატავს ვატო თავის ცნობისმოყვარეობას.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

„ჰა, ჰა, ჰა,“ – იცინის მენიკი და ამ სიტყვის მნიშვნელობას მისთვის ჩვეული, იდუმალი ორაბროვნებით ხსნის: „თავად სიტყვა „ამორძალი“ ყველაფრისმთქმელია. სულ პირველად არსებობდა სიტყვა „ამორძალი“, რაც „ამო პატარძალს“ ნიშნავდა. მოგვიანებით „ა“ ბგერა ამოვარდა და მივიღეთ „ამო-რძალი“ ანუ „სანეტარო პატარძალი“. მენიკი იცინის და ამბობს: „ჰოდა, განა ამორძალზე მართლაც ამო და სანეტარო პატარძალი არ ითქმის? ჰა, ჰა, ჰა“.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

ციცინო ჩანვდა ძიძის იდუმალებით მოცული სიტყვების არსს. მეგი ვერაფერს მიხვდა და კვლავ დუმდა. ვატო შეეცადა ისე გაეგო სიტყვა

„ამორძალის“ მნიშვნელობა, როგორც ეს მისანმა ახსნა.<sup>[5]</sup>

ტყე შრიალეზბდა და ამ შრიალში ათასწლოვანი ამბების გუნდი ხმიანობდა. მენიკი აღფრთოვანებით უგდებდა ყურს ტყის შრიალს, მერე კი ახალი ამბის მოყოლა ისე დაიწყო, როგორც ამას ფილოსტრატე თავის „Heroicus“-ში ჰყვება: „ერთხელ, ძველ დროში, ქარიშხალმა პონტოს მარცხენა ნაპირზე გამორიყა გემი, რომელსაც პონტოდან ჰელესპონტში საქონელი მიჰქონდა. გადმოცემის თანახმად, ზღვაოსნები სწორედ იმ ადგილას მოხვდნენ, სადაც ამორძალები ცხოვრობდნენ. ქალებმა ისინი ტყვედ აიყვანეს და თავლებში მიაბეს, რათა მოგვიანებით, მდინარის გადაღმა მცხოვრები სკვითებისთვის მიეყიდათ. ერთ-ერთი ამორძალი ტყვე ზღვაოსნის სილამაზით მოიხიბლა და ქალ-ვაჟს ერთმანეთი შეუყვარდა. ქალმა სთხოვა თავისდას, ამორძალთა დედოფალს, ტყვეები არ გაეყიდა. დედოფალი დათანხმდა. ამორძალებმა გაათავისუფლეს ტყვეები, რომლებიც ქალებს შეეთვისნენ და მათი ენაც ისწავლეს. ერთხელაც, როდესაც ისინი ქარიშხალზე და თავიანთ თავგადასავალზე ჰყვებოდნენ, ახსენეს ტაძარი, რომელიც ცოტა ხნის წინ ამ კუნძულზე ენახათ; მერე მისი უამრავი სიმდიდრეც აღწერეს. რაკი ზღვაოსნები საუკეთესო გემთმშენებლებიც იყვნენ, ამორძალებმა გადანყვიტეს, ეს შემთხვევა გამოეყენებინათ. მათი ქვეყანა მდიდარი იყო გემთმშენებლობისთვის საჭირო ხე-ტყით. ამიტომ უბრძანეს კაცებს, გემები აეგოთ ცხენების გადასაყვანად, რათა აქილევსს ცხენებით დასხმოდნენ თავს, რადგან უცხენოდ ამორძალები, ყველა ქალის

მსგავსად, უმწიფონი იყვნენ. თავდაპირველად ქალებმა ნიჩბების ხმარება და გემის მართვა ისწავლეს, მერე ორმოცდაათი გემით, თერმოდონტის სათავედან გაუდგნენ გზას ტაძრისაკენ; იქამდე კი მანძილი 2000 სტადიონს შეადგენდა. კუნძულზე ჩასულმა ამორძალებმა კაცებს უბრძანეს, მოეჭრათ ხეები, ტაძარს ყოველი მხრიდან გარს რომ ერტყა. ისინიც შეუდგნენ საქმეს, მაგრამ ხეების ჭრის დროს წალღები სხლტებოდა და ზოგს თავში, ზოგსაც კისერში ხვდებოდა, მერე კი ყველანი უსულოდ ენარცხებოდნენ მიწაზე. ამის დანახვაზე, ამორძალებმა თავად შეუტიეს ტაძარს და ხმამაღალი შეძახილებით გააქანეს ცხენები. საშინლად განრისხებული აქილევსი ერთხანს თვალს ადევნებდა ამ სანახაობას, მერე კი თავისი ცხენები ისევე მიუშვა ამორძალებზე, როგორც ერთ დროს სკამანდრასთან და ილიონთან. შეშინებული ცხენები ყალყზე დგებოდნენ, ამორძალებს ნაფოტივით ისროდნენ ჰაერში, მერე გამხეცებულები, შმაგად აცხრებოდნენ თავზე და ფლოქვებით უმონყალოდ ჟღერდნენ; ფაფარაშლილი და ყურებდაცქვეტილი ცხენები გამძვინვარებულ ლომებს ჰგავდნენ. ბოლოს, მიწაზე დაგდებულ ამორძალებს მკლავები დაუხრეს, ტანი ნაფლეთებად უქციეს და მათი შიგნეულის თქვლეფით დაძდნენ. ხორციტ გული რომ იჭერეს, კუნძულზე შმაგად დაიწყეს ჭირითი; მერე ციცაბო კლდის კიდებზე შედგნენ და ზღვას გახედეს და რაკი მისი ზედაპირი ვრცელ მინდვრად მოეჩვენათ, ზღვაში გადაეშვნენ“. მენიკი დადუმდა და იქ მყოფთ თვალი რიგრიგობით ისე მოავლო, თითქოს ხელდასხმის რიტუალი ჩაეტარებინოს. ფიქრებში

ნასული მეგი კვლავ გაუნძრევლად იწვა. ყურში უჩვეულო ხმები ჩაესმოდა, ზღვაში მარჯნის რიფებზე გადავლილი ტალღის შრიალს რომ აგონებდა. გოგონას თვალწინ დაუდგა მორკინალი ქალების გუნდი, გააფთრებით რომ დასდევნებოდა გახელებული ცხენების რემას; ესმოდა მათი ჭიხვინი და ფლოქვების თქარათქური, ხედავდა აქილევსის მრისხანე სახეს, ცხენებს ასერიგად რომ აძრწუნებდა; მერე მეგიმ ამორძალების შიშველი სხეულები და მუხლებიც წარმოიდგინა და უეცრად შეკრთა; ძუძუები ისე აუცახცახდა, თითქოს რაღაც ძალა მათ მოგლეჯას ლამობსო. მენიკიმ, ციცინომ და ვატომ შიშით გადახედეს ერთმანეთს. ხმის ამოღებას ვერც ერთი ვერ ბედავდა. გოგონას პირდაპირ, კედელზე, ხმლებისა და დაშნების გვერდით, ნამგალა მთვარისებური, უცნაური წალდიც ეკიდა. ვატომ შენიშნა მეგის ველური ჟინით ათრთოლებული ნესტოები, გოგონას მზერა აარიდა და უეცრად კედელზე ის უცნაური წალდი დაინახა.<sup>[SEP]</sup>

– ეს ხომ ის წალდია... – თქვა მან.<sup>[SEP]</sup>

– კო, ეს ამორძალის წალდია, – მიუგო მენიკიმ.<sup>[SEP]</sup>

გოგონა ფიქრებიდან გამოერკვა, კედელთან მივარდა და წალდს ხელი სტაცა. ახლა იგი უძრავი ქვიდან ამომსკდარი ცეცხლის ალს ჰგავდა. უეცრად მეგი ისევ გაქვავდა ადგილზე და იქაურობას შეშლილის თვალეები მიმოავლო. მენიკი და ციცინო კანკალმა აიტანა, ვატო კი ისევ წყნარად იჯდა და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს თავზე რაღაც უცხო, ძლიერმა დინებამ გადაუარაო; მერე გოგონასთან მშვიდად მივიდა და წელზე შემოჰხვია ხელი. მეგის მთელი სხეული

ცხელმა ტალღამ განჭოლა. უეცრად გამოღვიძებული მთვარეულივით გაახილა თვალები, მერე კი, სახეშეფაკლულმა, ისე დაადო მხატვარს მხარზე თავი, გეგონება, აუტანელი სირცხვილის დამალვას ცდილობსო. ვატომ გოგონა ხელში აიყვანა და ტახტზე დაანვინა. მეგის თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.<sup>[P SEP]</sup>

– ნუთუ გაგიჟდა? – მზერით იკითხა ციცინომ.<sup>[P SEP]</sup>

ვატომ კი გაიფიქრა: „ამას პირქუში სულის და მხურვალე, ველური სისხლის ჭიდილი ჰქვია“.<sup>[P SEP]</sup>

## დედა<sup>[P SEP]</sup>

გავიდა რამდენიმე დღე. სასონარკვეთილი და გაბრაზებული მეგი კვლავ ჭიუტად დუმდა. ერთხელაც, ნაუ კატასავით ჩუმად შეიპარა მის ოთახში, ფეხაკრეფით მიუახლოვდა გოგონას და იდაყვზე ფრთხილად შეეხო. მეგი შეკრთა, მაგრამ მერე ნაუს კატისებური მზერა რომ დაინახა, სიბრაზემ გადაუარა. ნაუმ მეგის წერილი გადასცა და მყისვე გაუჩინარდა. გოგონამ კითხვა დაინყო. ასტამური გრძელ წერილს ინერებოდა, მხოლოდ თავის სიყვარულზე ლაპარაკობდა და მეგის პატიებას სთხოვდა. უხსნიდა, გიჟივით ვიყავი, გონება დავკარგე, ავი სული დამეპატრონა, დავბრმავდი, დავყრუვდი და ბნელეთში შთავინთქეო; ბოლოს კი აფხაზი შენდობას ითხოვდა. გოგონა წერილს კითხულობდა და თვალებიდან ცეცხლს აკვესებდა. ოღონდ მარტო თვალებით კი არა, მთელი თავისი არსებით, ნესტოებითა და საფეთქლებით ნთქავდა მას და ამ დროს თავადაც საფეთქლების

გამზავებული პულის ფეთქვად ქცეულიყო. წერილი ბოლომდე წაიკითხა, იგრძნო, რომ ხელები გაუშეშდა და ქალაღდი ნაკუნებად აქცია. კარგა ხანს დაფიქრებული იჭდა. მერე დაიხარა, ნაკუნები ერთად შეაგროვა და ისევ შეაკონინა; წერილი ხელახლა რომ გადაიკითხა, ოდნავ დამშვიდდა. უეცრად მეზობელი ოთახიდან ჩურჩული შემოესმა. წერილის ნაკუნები ისევ ხელში მოჭმუჭნა და მიაყურადა. გუმანით იაზრა, რომ მასზე ლაპარაკობდნენ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ნაუ, იმ აფხაზს თუ იცნობ, მეგის მიმინო რომ აჩუქა? – იკითხა ციცინომ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– კი ვიცნობ, მაგი ასტამურია, ლაკერბაია.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ჩვენს მხარეში თუ გამოჩნდება ხოლმე?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– კი.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ხშირად?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– კი, ხშირად.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მაინც როდის მოდის?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ამ ბოლო ხანს თითქმის ყოველ დღე.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– უფრო რა დროს?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მზე რომ გადავა, უფრო მაშინ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– როგორ ფიქრობ, დღესაც მოვა?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მგონი, ნამდვილად მოვა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ციცინო დადუმდა. მერე უეცრად უთხრა ნაუს:<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მაგ დროისთვის ცხენი შემიკაზმე და ჩოხა და ხმალიც გამიმზადე! გაიგონე?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– კი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ნაუ გაუჩინარდა. გულის სიღრმეში კვლავ ეჭვი შეიწყო. ნირნამხდარი მეგი მოიბუზა. კარგად იცოდა: ციცილო ორთაბრძოლაში ძალითა და სიმამაცით ნებისმიერ მეტოქეს აჯობებდა. იმასაც ამბობდნენ, ერთი ძალიან გულადი და მამაცი ვაჟკაცი სასიკვდილოდაც კი დაჭრაო. მეგის ეს ყველაფერი გაახსენდა და მიხვდა, რას აპირებდა დედა; თითებით ერთხანს ისევ ჭმუჭნიდა წერილის ნაკუნებს, მერე შეეშვა და ნაღვლიანად დახედა მათ. უეცრად მიხვდა, რა ძვირფასი იყო ეს ნაკუნები მისთვის, ხელი მზრუნველად გადაუსვა და სადღაც დამალა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მზის ჩასვლამდე ცოტა ხნით ადრე ნაუმ ეზოში გამოიყვანა ცხენი. ციცილოც გარეთ გამოვიდა. ჩოხაში თეძოები ოდნავ სრული უჩანდა, ტანი კი ჯერ ისევ ყმანვილისას მიუგავდა და ჩოხა ძლიერ უხდებოდა. თმა აეკეცა, ზედ თეთრი აბრეშუმის ყაბალახი შემოეხვია და დაღვინებული ჭაბუკივით გამოიყურებოდა. ციცილო ამლავ ცხენს მოახტა და ის-ის იყო, მის დაძვრას აპირებდა, რომ უეცრად იქვე მეგი გაჩნდა და ცხენს აღვირში ჩაავლო ხელი. გოგონა, იმ წუთში თავადაც ჭიშიან ფაშატს რომ ჰგავდა, შეევედრა დედას:<sup>[P]  
[SEP]</sup>

– არ გინდა, არა, ნუ იზამ ამას!<sup>[P]  
[SEP]</sup>

მეგის და ცხენს მუხლები უცახცახებდათ. ციცილო ჯერ გაოგნდა, მერე კი, შვილის მავედრებელი თვალები რომ დაინახა, ცხენიდან ჩამოხტა და ჰკითხა:<sup>[P]  
[SEP]</sup>

– გიყვარს ის კაცი, ხომ?<sup>[P]  
[SEP]</sup>

მეგის პასუხი არ გაუცია, უხმოდ შეტრიალდა და წავიდა.<sup>[P SEP]</sup>

მეგის უყვარდა ის კაცი.<sup>[P SEP]</sup>

## შეხვედრა<sup>[P SEP]</sup>

ასტამური ნამდვილი ვაჟკაცი იყო, ჯან-ღონით სავსე და ძლიერი. სისხლი ისე ძალუმად და დაუდგრომლად უჩქეფდა ძარღვებში, რომ ნებისმიერი ჭრილობა მაშინვე უშუშდებოდა, როგორც კი ზედ გამჭვარტლულ აბლაბუდას დაადებდნენ ხოლმე. ის ჭრილობა კი არა და არ შუშდებოდა, მეგიმ მის გულს თავისი გულზვიადობით რომ დაამჩნია. აფხაზი ახლა ძლიერ ნანობდა, გოგონაზე ძალა რომ იხმარა; მაგრამ შესძლებდა კი იმ წუთში თავის მოთოკვას? ჰოდა, ასტამური გრძნობდა, რომ იმ დღეს მეგის გულში რაღაც ჩაკვდა. აი, უკვე მეშვიდე დღე გავიდა და მისგან პასუხი ჯერაც არ ჩანდა! უფრო მეტიც – როგორც ჯვებემ ნაუსგან შეიტყო, ნაჩუქარი მიმინოსთვის მეგის თავი წაენწყვიტა; ის მიმინო ხომ აფხაზის ფრთაშესხმული ოცნება იყო?! მზის ჩასვლის შემდეგ ასტამური ყოველ დღე დაეხეტებოდა ამ ადგილებში. იმედი ჰქონდა, რომ გოგონას სადმე გადაეყრებოდა, მაგრამ მეგი არსად ჩანდა. რიონის გარშემო, ველ-მინდვრებზე, ზაფხულის სურნელი დაჰქროდა. მთის ფერდობზე უშფოთველად შეფენილიყვნენ ლელქაშით გადახურული, კოპნია სახლები. ვაკე ადგილას, ტყეში და მდინარის პირას, სახლები უფრო უსახურ ქოხებს ჰგავდნენ. ტლანქი კამეჩები ნებიერად განოლილიყვნენ გუბეებში და ზანტად იცოხნებოდნენ. გულმოკლული გაეცალა ასტამური ამ ადგილს.

ცხენი ნებაზე მიუშვა და იგრძნო, რომ ნებისყოფა მოდუნებოდა და დაჩლუნგებოდა. ფიქრებში ღრმად წასულს, ცხენის ფლოქვებქვეშ ქვიშის ხრაშინარუმი ჩაესმოდა. მეგის ნახვის იმედი გადაეწურა და მხოლოდ სასწაულის მოლოდინი ეწეოდა მას ამ ადგილისაკენ.<sup>[P]</sup>

გზის გადასახვევში, ტანძლიერ მუხასთან გოგონა გამოჩნდა. ხომ შეიძლებოდა მეგი ყოფილიყო? ნეტარებისა და სიხარულის ტალღამ გადაუარა აფხაზს. ცხენი შეაყენა. გოგონაც შეჩერდა და ამაყი კისერი უკან გადააგდო. იგი ახლა ის მონყვეტილი ნაყოფი თუ გაღვივებული თესლი იყო, ბედისწერის თაურძალას რომ მიეტოვებინა. გოგონას გაბრაზებული და თან უდრტვინველი მზერა შინაგან მღელვარებას გამოხატავდა. აფხაზის ცხენი არ განძრეულა; და, აი, ასტამურმა ერთი ამოსუნთქვით შეიგრძნო თავისი ვარსკვლავიერი წამი! მაგრამ ცხენი ერთ ადგილზე გაქვავებულიყო. აფხაზი, თავის სიცოცხლეში პირველად შეეპყრო ასეთ დაუძლეველ, მრჩობლ გრძნობას. როგორ მოქცეულიყო? მისულიყო თუ არა მასთან? ამ ყოყმანში უეცრად გაიფიქრა: თუ ცხენი მარჯვნივ შეტრიალდება, მივალო; მაგრამ ცხენმა მარცხნივ შეაბრუნა თავი. აფხაზი საშინელმა უსასობამ შეიპყრო. მის ულაყს კი თითქოს ფესვები გაედგა მიწაში. ასტამურმა გოგონას რომ გახედა, მეგი იქ აღარ იდგა. რა ექნა, დასდევნებოდა მას? სად გამქრალიყო აფხაზის გამბედაობა და სიმამაცე? და ასტამურმა დასწყევლა ის მრჩობლი გრძნობა, მანამდე ასე უცხო რომ იყო მისთვის.<sup>[P]</sup>

## ჩურჩული<sup>[P]</sup>

იმ დღეს მეგი თავის მეგობარ ბუჩუსთან მიდიოდა. ამ ერთი კვირის განმავლობაში ოდნავ დამშვიდებულიყო და აფხაზი მასთან რომ მისულიყო, ალბათ გაჩერდებოდა და მოისმენდა მის ნათქვამს. მაგრამ ასტამური ადგილიდან არ იძროდა, მეგი კი იმ ადგილას დიდხანს ვერ გაჩერდებოდა, ამიტომ გზა განაგრძო. მერე მინდვრის ყვავილი მოწყვიტა, თითებით მოსრისა და მთრთოლვარე ნესტოებით შეისუნთქა მისი სურნელი. მეგობართან მიდიოდა, მაგრამ თავადაც არ იცოდა, რისთვის. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მცენარე იყო, მიწიდან ფესვებიანად ამოგლეჯილი. თანაბარი ნაბიჯით, მომართულივით მიდიოდა. კაცმა რომ თქვას, არც კი იცოდა, რა უნდოდა, მეგობართან გულის გადაყოლება თუ მისთვის თავისი საიდუმლოს განდობა? ნაღვლიანი, პირქუში სახე ჰქონდა. სადღაც გამქრალიყო მისი დიდრონი, უმანკო თვალების ციმციმი.<sup>[P]</sup>

სწორედ ამ დროს, ნალიის უკან, მენიკისა და უტუს საიდუმლო ბჭობა ჰქონდათ გამართული. ვატო იქვე შორიახლოს იჯდა, მაგრამ მათი ჩურჩულით ნათქვამი სიტყვები აქა-იქ ჩაესმოდა ყურში. ირგვლივ კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. ვატომ მხოლოდ ის გაიგო, რომ მენიკი და უტუ რაღაც ცვილის ქანდაკს ახსენებდნენ. უტუს ბურტყუნში მან მხოლოდ ორი სიტყვა გაარჩია: „თმა“ და „სახელი“, მერე კი შეეცადა, მათთვის საერთოდ აღარ დაეგდო ყური. მეგი რომ დაინახა, ძალიან გაუხარდა, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ გოგონა უყვარდა, არამედ იმიტომაც, რომ მას გამოელაპარაკებოდა და ამ საიდუმლო სჭა-ბაასის

უნებლიედ მოსმენა აღარ მოუხდებოდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მეგი მიუახლოვდა მას.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ოჰ, ვატო, შენც აქა ხარ?<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ჰო, მენიკიც აქ ბრძანდება.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ნალიის უკან ჩურჩული შეწყდა. ვატომ დაკვირვებით შეათვალიერა მეგი – გოგონას სახიდან ველური გამომეტყველება გამქრალიყო და ტუჩების კუთხეებში ჩუმი სევდა ჩასდგომოდა. მისი ნახევრად დახრილი ქუთუთოები კი რაღაც საიდუმლოს მალავდა. მხატვარი გრძნობდა ამას და თვალს არ აშორებდა გოგონას.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ხომ არ იცი, ბუჩუ სად არის? – ჰკითხა გოგონამ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– არ ვიცი, მგონი, სტუმრად ნავიდა. – მიუგო ვატომ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ნალიის უკან კვლავ გაისმა ჩურჩული. მხატვარმა მეგის მარჯვენა ყურზე შეავლო თვალი. „რა სრულქმნილი ყურის ნიჟარა აქვს!“ – გაიფიქრა ვატომ და იმავე წუთს შენიშნა, როგორ აუთრთოლდა გოგონას ყური; მერე ისევ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჩაესმა სიტყვები: „მთავარი სახელია... მისი ჭეშმარიტი სახელი“, და კიდევ: „ცხვირის ძგიდეზე ნაიარევიც არ უნდა დაგვაფიწყდეს!“ ახლა კი მთელი ტანით აცახცახდა მეგი. ეს ცახცახი იმ კვილს ჰგავდა, გველნაკბენი არწივი თავის თავში რომ ჩაიხშობს ხოლმე. ვატო გაოცდა, ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ამ დროს მათ მენიკი მიუახლოვდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ოჰ, მეგი, შენც აქ ყოფილხარ? – უთხრა გოგონას, ცოტა არ იყოს, შემკრთალმა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მეგის მისთვის პასუხი არ გაუცია და სამივენი შინისკენ გაუდგნენ გზას. მეგი ღრმად წასულიყო ფიქრებში. ეტყობოდა: მისი სხეულის თითოეული ნაკვთი ახლა საკუთარი განცდების ყურთასმენად ქცეულიყო.<sup>[59]</sup>

სიტყვა, სახელი, ტვიფარი<sup>[60]</sup>

წარბები საავდრო ღრუბლებს მიუგავდა, თვალები – ელვის დაკვესებას: ასეთი იყო ახლა მეგი. მთელი მისი არსება მშფოთვარებას მოეცვა, თითქოს იძულებით უსმენდა საკუთარ სულში ატეხილ ამბოხს. ვატო თვალ-ყურს ადევნებდა გოგონას და ახლა უკვე ბევრ რამეს ხვდებოდა. მოვლენები, აქამდე თითქოს ჰაერში რომ ტრიალებდა, მის წარმოსახვაში ნელ-ნელა დაუკავშირდა ერთმანეთს და ერთი მთლიანი ხდომილების სახე მიიღო. გონებაში წამოუტივტივდა: აფხაზის საჩუქარი – თავწაწყვეტილი მიმინო, მეგის შეშლილი გამოხედვა, მისი გაშმაგება, და დრო და დრო, საოცარი დაბნეულობა, გრძნული მენიკისა და მისანი უტუს ჩურჩულით ნათქვამი სიტყვების ნაწყვეტები: `თმები“, „სახელი“, „ცვილის ქანდაკი“, მერე მეგის შეშინებული სახე, როდესაც გაიგონა სიტყვები: `ნაიარევი აქვს ცხვირის ძგიდებო“. ვატოს გონებაში ეს ყველაფერი ერთ მოვლენად გაერთიანდა. ცხვირის ძგიდებზე აფხაზს ნაიარევი რომ ჰქონდა, ნაუსგან იცოდა. მაშასადამე, ის ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვებიც მას ეხებოდა. მეგის შეშინებული სახე კი იმაზე მეტყველებდა, რომ მას აფხაზთან რაღაც საიდუმლო აკავშირებდა. განა მან არ აჩუქა გოგონას მიმინო? მეგიმ კი მიმინოს თავი წააწყვიტა; ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მათ

შორის უპატიებელი რამ მომხდარიყო. მერე მხატვარმა წარმოსახვაში გარკვეულ სურათებს გამოუხმო და დაასკვნა: მენიკისა და უტუს ჩურჩული რაღაც ჯადოქრულ შეთქმულებასთან დაკავშირებულ სამზადისზე მინიშნება უნდა ყოფილიყო. მხატვარი აკვირდებოდა მეგის და ცდილობდა, მის თითქმის ხილულად მფეთქავ ძარღვებში ამოუთქმელი სიტყვები ამოეკითხა, მაგრამ ვატოც დუმდა.<sup>[P. 56P]</sup>

მერე, ღამით, მისმა ფიქრებმა მიმართულება იცვალა. გაახსენდა, რომ გრძნეული მენიკისა და მისანი უტუს საიდუმლო საუბრის დროს სამი მნიშვნელოვანი რამ დასახელდა. ეს იყო: „სიტყვა“, „სახელი“ და „ტვიფარი“. ვატო ამან ჩააფიქრა. უტუს შელოცვები მისთვის გამოცანა იყო, რადგან სიტყვები თითქოს ჰგავდა ქართულ-მეგრულს, მაგრამ მათ მნიშვნელობას კაცი ვერ მიხვდებოდა; უტუ ამ შელოცვებს აშკარად რაღაც არარსებულენაზე წარმოთქვამდა. ვატოს საკუთარი თვალით ჰქონდა ნანახი, როგორ მოქმედებდნენ ეს სიტყვები ცხოველებზე. ამ დროს კაცი ნამდვილად იფიქრებდა, რომ რაღაც თაურსამყაროსეული ძალა ჰკიებდა მათში. მისანი ჩვეულებრივ სიტყვებს არ წარმოთქვამდა. იქნებ იმიტომ, რომ ყოველდღიურ, გაცვეთილ სიტყვებს თავისი ძალა დაეკარგათ? და ვატო უეცრად ჩაფიქრდა: ნეტავ რა უნდა ყოფილიყო ის სიტყვა, სულ პირველად რომ ითქვა ამქვეყნად? ხომ უნდა არსებულებიყოს ასეთი სიტყვა?! და ვატომ დაასკვნა: ეს ალბათ თავად ქართული „სიტყვა“ უნდა ყოფილიყო, იმავდროულად „ტყვეობას“ და „მორჩილებას“ რომ ნიშნავს. ადამიანს შეუძლია ის თვალწინაში წარმოიდგინოს, როდესაც „სიტყვა“ გამოეყო

თაურსამყაროს ორომტრიალს და შესაქმეს უკიდვეგანო ქაოსს შეერთო. იმხანად მას ალბათ სწორედ ამგვარი სტიქიური ძალა გააჩნდაო, ფიქრობდა მხატვარი. თაურსიტყვაში აუცილებლად იჩენს თავს დედამიწის თაურსაწყისისეული ძალა. დიახ, ეს ალბათ თავად კოსმიურ მოვლენათა რიგში ჩართული, გრძნებით შევრული ნიშანია; თაურსიტყვების ენა მაგიურია, იგი მოქმედებს ბუნების ძალებზე და იმორჩილებს მათ. ეს სიტყვები, დიახაც რომ, სიახლის ქმნადობით გამოირჩევიან. ამ ენის სიტყვებს ფიზიკური ძალა გააჩნიათ და, დედამიწაზე პირველჩენილი ადამიანი ალბათ სწორედ ამ ენაზე ლაპარაკობდაო, – ასე ფიქრობდა მხატვარი, მაგრამ მერე ფიქრებით უფრო შორს წავიდა, და როდესაც ის გზა გაიარა, რომელმაც თაურსიტყვიდან შელოცვებამდე და გრძნებითშევრულ სიტყვებამდე მიიყვანა, მიხვდა: მათაც გამოჰყოლოდათ თაურსიტყვების ძალა. ეს მშვენივრად იცოდნენ ბაბილონელმა ქურუმებმაც და ქალდეველმა ბრძენებმაც. მათ უჩვეულო, იდუმალებით მოცულ სიტყვებში საოცრად ცხოველმყოფელი ძალა გამოსჭვიადა. და განა უტუ, ეს პატარა, უსახური უტუც იმ ძველი ტომებიდან ამოზრდილი მორჩი არ იყო? განა მისი შელოცვებიც იმ სიტყვებით არ საზრდოობდა? ის, რომ ამ სიტყვების ძალა ცხოველებზე, დიახ, სწორედ ცხოველებზე მოქმედებდა, განა არ იყო დასტური იმისა, რომ ერთ დროს თაურენას ბუნებაც მორჩილებდა?<sup>[SEP]</sup>

ვატო მთელი ღამე ამ ამბებზე და კიდევ იდუმალ სიტყვა „სახელზეც“ ფიქრობდა, რომელსაც საგანგებო ტვიფარი და იერ-სახე გააჩნია. განა

სწორედ „სახელში“ არ გაცხადდება ადამიანის პიროვნულობა, ერთჯერადობა და განუმეორებლობა?! მერე ვატოს გაახსენდა სიტყვები: „მთავარია ჭეშმარიტი სახელი“, და მხატვარი კვლავ ფიქრებს მიეცა: სამეგრელოში ხომ ერთ ადამიანს რამდენიმე სახელი აქვს! ამაზე იგი დღემდე არ დაფიქრებულა. უტუსა და მენიკის ჩურჩულმა კი მისთვის ბევრი რამ ცხადი გახადა: რაკი ითქვა, ჭეშმარიტი სახელიო, ესე იგი, სხვა, არაჭეშმარიტი სახელებიც არსებობს! მაგრამ, რაღა საჭიროა ისინი, თუკი ვაცს ჭეშმარიტი სახელი აქვს? დიდხანს, ძალიან დიდხანს ფიქრობდა ამაზე ვატო. ჯანდიანი ბურუსიდან ძველევგვიპტური მაგიის ის ნაირსახეობები ამოტივტივდა, რაღაც იდუმალი გზით რომ შემოეღწიათ კოლხთა ქვეყანაში, მერე კი ხალხურ თქმულებებში გაცოცხლებულიყვნენ და იქ დამკვიდრებულიყვნენ. ძველ ეგვიპტელებს გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ სახელი თავად პიროვნებას განასახიერებს. „მე ვარ ჰორი, საკუთარ მამას, ოსირისს რომ ააღორძინებს; მე ვარ შემოქმედი ჩემი შემოქმედისა; მე ვქმნი იმას, ვინც მე შემქმნა; მე გავაცოცხლებ იმის სახელს, ვინც მე სიცოცხლე მომცა“. ვატოს ერთი ნუთითაც არ ეპარებოდა ეჭვი, რომ აქ „სახელს“ „პიროვნების“ მნიშვნელობა ჰქონდა. ოსირისისეული მკვდრეთით აღდგომის ნეტარ გზას რომ დაადგება, იმ მიცვალებულზე ტექსტებში ნათქვამია: „მიცვალებულის სახელი ხესავით ყვავილობს, ან ოსირისის ტანიდან ჭეჭილივით ამობიბინდება. „დაე, იყვავილოს სახელმა!“ – ამ იდუმალი სიტყვებით იწყება უამრავი წარწერა პაპირუსზე, მიცვალებულთა დაკრძალვის

ამბავს რომ გვამცნობს. „სახელის“ გაცოცხლება „პიროვნების“ გაცოცხლებას ნიშნავდა, მისი დავინწყება კი „პიროვნების“ მოსპობის ტოლფასი იყო. სიკვდილმისტილი ან შერისხული ადამიანის სახელს, ჩვეულებრივ, სპობდნენ, მაგრამ ამ დროს მხოლოდ სახელის მოსპობა არ ხდებოდა. ამენოფის IV თვით ამონის ღვთაებასა და მის კულტსაც კი აუმხედრდა. ამონის სახელი წარსულმა დროებამ ძველებზე ათასობით წარწერით უკვდავყო, დაუნდობელმა ამენოფისმა კი მისი ამოძირკვა განიზრახა; მერე კედლებზე, სვეტებსა თუ სამარხებში, – ყველგან დაეძებდნენ და ანადგურებდნენ განაჩენგამოტანილ იეროგლიფებს, ისე, რომ მისი უდიდებულესობის მეუღლის – მუიტას სახელიც არ დაინდეს. ამრიგად, სახელის განადგურება მის სულის ამ იდუმალი ორეულის განადგურებას ნიშნავდა. ასე სწამდათ ძველ ეგვიპტელებს. ვატო კი გამუდმებით ფიქრობდა, თითქოს ფიქრი შესჩენოდა. იგი მხოლოდ ახლა ჩასწვდა უტუს ჩურჩულით ნათქვამი სიტყვის – „ჭეშმარიტი სახელი“ – არსს. მისთვის ამკარა გახდა, რომ ჭეშმარიტი სახელი პიროვნებას წარმოაჩენდა, არაჭეშმარიტი სახელები კი მხოლოდ საბურველი იყო. ჭეშმარიტი სახელის არსებობა მხოლოდ მისმა პატრონმა და ახლობლებმა იციან. ადამიანთან ღრმა ურთიერთობა მხოლოდ მაშინ შეიძლება გქონდეს, როდესაც მისი ყველაზე იდუმალი სახელი იცი. თუ ამ სახელს გაგანდობენ, ამ ადამიანის არსსაც უფრო ადვილად ჩანვდები. გარეშე პირმა არ შეიძლება იცოდეს ის სახელები, შეყვარებულები რომ მიმართავენ ერთმანეთს. საკუთარი სახელის უგულებელყოფა, თავად

ადამიანისთვის, სულიერი ნონასწორობის დარღვევას ნიშნავს. აი, ასეთი აზრები უტრიალებდა თავში ვატოს. უტუს ჩურჩულით ნათქვამი – „ჭეშმარიტი სახელი უნდა შევიტყოთო“, – ახლა საეჭვოდ მოეჩვენა. ნუთუ მისანს აფხაზის სახელის გაგება უნდოდა? კი მაგრამ, რა მიზნით? იქნება მისთვის ზიანის მიყენებას აპირებდა? მერე ვატოს ის „ცვილის ქანდაკიც“ გაახსენდა. ნეტავ ვის განასახიერებდა იგი? ნუთუ ისევ და ისევ აფხაზს? ვატო შიშმა აიტანა. იგი ხელოვანი, და, მაშასადამე, სიცოცხლის შემოქმედი იყო. მაშინ რატომ აშინებდა იმ ცვილის ქანდაკზე ფიქრი? მერე გონებაში კვლავ ძველი თქმულებები ამოუტივტივდა. ძველ ეგვიპტელებს სწამდათ, რომ ყველა ადამიანის სულს ორეული ჰყავს და ამ ორეულის მატერიალურ გამოვლინებას მისი სხეული წარმოადგენს. ქვაში გამოკვეთილი სხეულის ორეული ვედარ შესძლებს სულთან დაშორებას. ორეულს თავისუფლება რომ დაუბრუნონ, მისი გამოსახულება უნდა გაანადგურონ. ვატო კვლავ შეკრთა. მას ოსირისის ტანჯვის რიტუალი გაახსენდა. დიოდორი მოგვითხრობს, როგორ იპოვა და ნელ-ნელა როგორ გააცოცხლა ისიღამ დაფლეთილი ღვთაების თითოეული ნაკვთი. ყოველ მათგანს მან კეთილსურნელოვანი ცვილის ყალიბი მოარგო, რომელიც ოსირისის გამოსახულების შესაგვანი იყო. ჩვეულებისამებრ, ეს მაგიური მეთოდი ღვთაებათა გამოსახულებების შესაქმნელად გამოიყენებოდა; როგორც კი ვითარს ყალიბში სხეულის ნამდვილ ნაკვთებს მოათავსებდნენ, სხეული ცოცხლდებოდა. ვატო ისევ შიშმა აიტანა. მართალია, ხელოვანი იყო, მაგრამ ამგვარი ამბებისა

არაფერი გაეგებოდა და იმდენად ეშინოდა, რომ გონება ერეოდა. მერე ის იყო, ეჭვმა შეიპყრო. იგი ნამდვილად ჩასწვდომოდა „სიტყვის“ შინაგან არსს და გარკვეულწილად „სახელის“ შინაგანი საბრისიც ესმოდა. „სიტყვა“ საგნის თაურსაწყისის გამოხატულება იყო, ხოლო „სახელი“ – მოვლენის კოსმიური სახე. და, აი, ვატო უეცრად ჩასწვდა კაცობრიობის დიდი პოეტური ქმნილებების მნიშვნელობას, გაახსენდა ადგილები შესაქმედან და ბაბილონური ეპოსიდან, ეგვიპტელი ფარაონებისა და მიდიელი მეფეების სამარხებზე ამოტვიფრული წარწერები, გოეთეს ლექსი „ყველა მწვერვალზე სიჩუმე სუფევს“, ნაწყვეტები „ილიადადან“... ყველა მათგანში იგრძნობოდა სიტყვისა და სახელის მაგია; მაგრამ როგორ იქმნებოდა გამოსახულების ტვიფარი, ამის დაფარულ აზრს ვატო ვერა და ვერ ხვდებოდა. მას შემდეგ, რაც მან „ქანდაკის“ შესახებ მენიკისა და უტუს საუბარი მოისმინა, იგი ქვეცნობიერმა შიშმა შეიპყრო საკუთარი ხელოვნების გამო: შექმნა კი მან თავისი პორტრეტით ქერათმიანი გოგონას ჭეშმარიტი ორეული? შემდგომ ამისა, ვატომ ღამე ძილ-ბურანში გაატარა.<sup>[SEP]</sup>

მეორე დღეს იგი შინ, გურიაში გაემგზავრა და დანყებულ პორტრეტი თან წაიღო; მერე თვალწინ გადაეშალა მთვლემარე მონატრებაში გარინდებული ველ-მინდვრები; მინა ცვარ-ნამს გაფლდინთა და ვატო კვლავ ღრმა ფიქრებს მიეცა. მისი სული ისარგარჯობილი, დაუამებელი იარასავით შეიგრძნობდა მწველ მონატრებას, რომელიც არა და არ ცხრებოდა. სულ უფრო მტანჯველი ხდებოდა კითხვები, მის ფიქრებს მუდმივად რომ ასდევნებოდა: „რა

არის პორტრეტი?“ „რა არის გამოსახულება?“ ვატო ვერაფრით ჩასწვდომოდა სხეულის ტვიფარის შექმნის საიდუმლოს; სადღაც გულის კუნჭულში კი მხატვარი მაინც გრძნობდა, როგორ უნდა ამოეცნო ეს საიდუმლო, და ვიდრე ცხენს მიაჭენებდა, ფიქრებით შორს, წარსულში დაჰქროდა.<sup>[P SEP]</sup>

## გოგონა შეყვარებულია<sup>[P SEP]</sup>

მეგიმ მიიხედ-მოიხედა და დარწმუნდა, რომ შინ მარტო იყო. ციცილო მთავრინასთან იმ ყმანვილზე მოსალაპარაკებლად წასულიყო, აზნაური უგაია თურქეთში გაყიდვას რომ უპირებდა. მას თან ნაუ ახლდა. მსახური ბედნიერი იყო, რომ გზაში მაინც გვერდით ეყოლებოდა ამორძალი სატრფო. მენიკი ოდიშარიებს სტუმრობდა. ალბათ უნდოდა, ერთხელ კიდევ დალაპარაკებოდა ბეთალს. მსახურებს ვრცელ საგანგიოში მოეყარათ თავი; ისე, რომ სახლში არავინ იყო. მეგი ჩუმად შეიპარა მენიკის ოთახში. კუთხეში მგლოვიარე ღვთისმშობლის ხატი ეკიდა, რომელსაც გარშემო ბზის ტოტები ჰქონდა შემონყობილი. ტოტებში ობობა აბამდა აბლაბუდას. ღვთისმშობელი მწუხარე, იდუმალი მზერით შეჰყურებდა გოგონას. მეგიმ თავი ჩალუნა. ამ დროს ოთახის კუთხეში უჩვეულო საგანი შენიშნა. დაიხარა, აიღო და ხელში პატარა ცვილის ქანდაკი შერჩა, ქაცვის ეკლიანი რტო რომ ჰქონდა შემოვლებული. მეგი უეცრად შიშმა აიტანა, მერე ისე დაიძაბა, თითქოს ნახტომისთვის ემზადებო. სიბრაზისგან გოგონას სახე დამანჭოდა. უეცრად დაინახა, რომ

ქანდაკს ცხვირის ძგიდეზე ნაიარვეი ჰქონდა ამოტვიფრული. და შეძრწუნებული გოგონა მაშინვე ყველაფერს მიხვდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს საფეთქლებში უროს ურტყამდნენ. შეძრწუნებული, ნორჩი სახე ლითონის ყალიბში ჩამოსხმულს მიუგავდა. მეგიმ სასწრაფოდ მოაცილა ცვილის ქანდაკს ქაცვის ეკლიანი რტო, თუმცა მისი კვალი ზედ ჭრილობასავით დამჩნეოდა. ცვილი ჭერაც არ გამაგრებულიყო და მეგი აკანკალებული თითებით შეეცადა, წაეშალა ეს კვალი. უმალ მიხვდა, რომ ეს ამაზრზენი ცვილის ქანდაკი აფხაზის გამოსახულება უნდა ყოფილიყო. ახლა რა უნდა ექნა? სადმე შორს მოესროლა იგი, რომ მისი პირველსახე ჯადო-თილისმისგან გამოეხსნა? მაგრამ ქანდაკი შემთხვევით ვინმეს რომ ეპოვა, ცვილი დაეზერგნა და მისთვის თავისდაუნებურად ზიანი მიეყენებინა? ეს ხომ აფხაზის სიკვდილის უტყუარი ნიშანი იქნებოდა? აცახცახებულმა გოგონამ ქანდაკი აიღო და ოთახიდან გამოვიდა.<sup>[56]</sup>

ღამის სიბნელეს შთაენთქა საღამოს იისფერი ჩრდილები. მენიკი შინ დაბრუნდა; მერე ოთახში შევიდა და მაშინვე თვალში ეცა, რომ ქანდაკი გამქრალიყო. ერთი წამით სახე მოეჭეუტრა, მაგრამ მალევე მიხვდა ყველაფერს და ციცინოს ოთახს მიაშურა. იქ, კუთხეში, პატარა სკივრი იდგა, სადაც მეგი ნაჭრებს და ფარჩის ნაკუნებს ინახავდა. თავად გოგონა ამ დროს ეზოში მსახურებს ელაპარაკებოდა. მოხუცს საკუთარმა ბნელმა ანდე-გუმანმა სწორი გზა უჩვენა, იგი სკივრთან მივიდა და გააღო: ცვილის ქანდაკი მართლაც იქ დახვდა, ოღონდ მას, ქაცვის ეკლიანი შტოს ნაცვლად, სურნელოვანი ყვავილები ჰქონდა

შემონყობილი, მენიკი ყველაფერს მიხვდა, გაიღიმა და სკივრი დახურა.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

მალე ციცინოც დაბრუნდა. ახლა ისინი მარტონი იყვნენ ოთახში.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– მითხარი, მთავრინა დახმარებას თუ შეგპირდა? – ჰკითხა მენიკიმ.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– ჰო, შემპირდა, დაგეხმარებო. – მიუგო ციცინომ.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– სასახლის კარზე რა ხდება?<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

ციცინო რალაცაზე ჩაფიქრდა და პასუხი არ გაუცია.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– ვინმე თუ ნახე იქ? – ისევ ჰკითხა მენიკიმ.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– ჰო... ჰო... ვნახე.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– ვინ ნახე?<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– აფხაზი.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– აი ის, ცხვირის ძგიდებზე ნაიარევი რომ აქვს?<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– ჰო, ის.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

მენიკიმ დაინახა, როგორ გადაურბინა ციცინოს სახეზე სიამის ტალღამ და ტუჩზე იკბინა, რომ არ გაღიმებოდა.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– მერედა, როგორ მოგეწონა?<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

ციცინოს პასუხი არ გაუცია. მის სახეზე სიამის ტალღას ახლა რისხვის მენამულისფერი ტალღა გადაეფარა. თავჩაქინდრული იჭდა ძიძა. აუტანელი სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ მენიკიმ საუბარს სხვა სვლა-გები მისცა და თქვა:<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– რატომღაც მგონია, რომ მეგის აფხაზი უყვარს.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

ციცინოს ხმა არ ამოუღია. ძიძა წამოდგა და სკივრთან მივიდა. მერე

ციცინოს მიუბრუნდა და ღიმილით უთხრა: [P] [SEP]

– ერთი ამას შეხედე! [P] [SEP]

ციცინო ახლოს მივიდა და ცვილის ქანდაკი დაინახა. [P] [SEP]

– აბა, ამაზე რას იტყვი? – ჰკითხა მოხუცმა. [P] [SEP]

– რაღაც ჯადო-თილისმა უნდა იყოს. შენი ნახელავია? – ჰკითხა

ციცინომ მკაცრად. [P] [SEP]

– ჰო, ჩემია... მინდოდა მეგი ამ კაცისგან დამეხსნა. [P] [SEP]

ციცინო დუმდა. [P] [SEP]

– გოგონა ნამდვილად შეყვარებულია. – ღიმილით თქვა მენიკიმ და დამტკნარი ხელი ყვავილებსკენ გაიშვირა. [P] [SEP]

– ეგ უშენოდაც ვიცოდი. – უთხრა ციცინომ. [P] [SEP]

ძიძა ერთობ გაოცებული დარჩა. [P] [SEP]

მშფოთვარება [P] [SEP]

ციცინომ უფრო მეტიც იცოდა. მშფოთვარება ველური ხვიარა მცენარესავით შეჭრილიყო მის სულში. თუმცა ამ მშფოთვარებას ციცინოზე უფრო ძლიერად ნაუ შეიგრძნობდა. მის ცნობისმოყვარე მზერას არ გამოჰპარვია, რომ მთავრის სასახლიდან დაბრუნების შემდეგ, ქალს სახე მუქმურმუხტისფერ წყალში არეკლილ ლანდს მიუგავდა. უიღბლოდ შეყვარებული ვაჟის თვალმა უმაღლეს შენიშნა სახეზე მშფოთვარება ქალს, რომელსაც აღმერთებდა. სასახლეში ციცინოს ყოფნის დროს, იქ უამრავ სტუმარს მოეყარა თავი კახეთიდან, ქართლიდან, იმერეთიდან, სვანეთიდან, გურიიდან და აფხაზეთიდან. ნაუ ეჭვობდა, რომ იქ ქალმა ისეთი ვიღაც ნახა, ვინც მისი გულის

დაპყრობა შესძლო. მერე კი, როცა ქალს ცხენზე შეჭდომაში ეხმარებოდა და ხელით მის სხეულს შეეხო, საბოლოოდ დარწმუნდა ამაში: ციცილო აშკარად მშფოთვარებას შეეპყრო. უხმოდ მიუყვებოდნენ გზას. ციცილო დუმდა და ნაუ ვერ ბედავდა მასთან გამოლაპარაკებას. რა ბედნიერად გრძნობდა ნაუ თავს იქითა გზაზე! ციცილო მხიარულ გუნებაზე იყო, ლაპარაკობდა და ხუმრობდა, დრო და დრო კი ვაჟს ისეთ მზერას შეავლევდა ხოლმე, რომ ნაუ თავს ბედნიერად გრძნობდა. სასახლიდან დაბრუნების შემდეგ ქალი ცივი და უკარება გამხდარიყო. და ნაუს საკუთარი თავისთვის რომ ეკითხა, ნეტავ ამ ქალს ოდესმე რამედ თუ ვუღირდიო, ალბათ ამ კითხვაზე პასუხს ვერ გასცემდა, რადგან მისთვის ციცილო ახლა ერთი შორეული, უცხო და უცნაური ქალი იყო. ნაუ ცდილობდა, გაეხსენებინა ის სტუმრები, იმ დღეს სასახლის კარზე რომ იმყოფებოდნენ. მოსვენებას კი ყველაზე მეტად აფხაზი უკარგავდა, ცხვირის ძგიდეზე ნაიარევი რომ ჰქონდა. ნაუ არ ცდებოდა. იმ დროს, როდესაც ციცილო მთავრინას ესაუბრებოდა, დანარჩენი სტუმრები კი განზე გამდგარიყვნენ და ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, ნაუმ მათ შორის ნაიარევით მაშინვე იცნო აფხაზი და მის თვალეებში უმაღლესი ველური ცეცხლის ნაპერწკლები შენიშნა. ასტამური უცხო, მტაცებელ ნადირს ჰგავდა. ციცილომ შეხედა მას და აცახცახდა. იცოდა: კაცის დანახვაზე ასეთი ცახცახი რომ აიტანდა, მომავალში ეს კაცი მისი მონა-მორჩილი და საყვარელი უნდა გამხდარიყო. მაგრამ უცნარია! როდესაც აფხაზს ქალი გააცნეს, მის სახეზე მტაცებლური გამომეტყველება თვინიერმა სინამდემ

შეცვალა. ციცილო გაოცებული იდგა, აფხაზი კი მთლად გაოგნდა: მის წინაშე ახლა მეგი იდგა, მომწიფებული და დაქალეებული. ოლონდ შვილისგან განსხვავებით, ციცილოს თმაზე მუქი იისფერი ბზინვარება დაჰკრავდა. ასტამური უყურებდა ქალს და მასში მეგის ხედავდა, მაგრამ მის მიმართ ისეთ სითბოსა და სინაზეს გრძნობდა, თითქოს მისი მშობელი დედა ყოფილიყო. აფხაზი სიამოვნებით დაიხრებოდა და ეამბორებოდა მხარზე: ეს ქალი მისთვის მშვენიერი სატრფოს მშვენიერი დედა იყო მხოლოდ. შემცბარი და დაბნეული იდგა ასტამური. ვინ იცის, იქნებ მას იმ წუთას ის თავნაწყვეტილი მიმინო გაახსენდა, მერე კი გაიფიქრა, გოგონას დედას ნამდვილად ეცოდინება ეს ამბავიო. აფხაზი გაფითრდა. ციცილო მკაცრ მზერას არ აშორებდა მას. ერთმანეთისთვის სიტყვა არ უთქვამთ, მაგრამ ორივე ისეთი დაძაბული იყო, რომ ყველაფერი უსიტყვოდაც გასაგები ხდებოდა. ქალი შფოთავდა და ახლა ველური, ხვიარა მცენარის მსგავსად, სწორედ ეს მშფოთვარება ამოზრდილიყო მის გულში. ციცილოს თვალში მოუვიდა ახალგაზრდა აფხაზი. „როგორმე ხელში უნდა ჩავიგდო და ჩემი სიყვარულის მონად ვაქციო“, – ამ აზრმა გაუელვა ქალს გუნებაში, მაგრამ უმაღ შვილის სახე წარმოუდგა, ახალგაღვიძებულს თვალებს რომ უკოცნიდა ხოლმე და დედას დარდიანი გული ტკივილით შეეკუმშა. მერე გოგონას სახე თვალს მოეფარა და ქალმა საკუთარ თავს ჰკითხა: „მერე, მერე რას მოიგებ ამით? ამ სიყვარულით ალბათ შურს იძიებ ნამუსგანბილებული შვილის გამო, მაგრამ თუ მეგის ეს კაცი უყვარს, მაშინ რაღას იზამ?“ ციცილო

კვლავ ჩაფიქრდა. მერე შვილის ვედრება გაახსენდა, როცა დედამ, ამორძალთა წესისამებრ, აფხაზის ორთაბრძოლაში გამონწვევა დააპირა... „ვაითუ ნამდვილად უყვარს?“ – კვლავ გაუელვა გონებაში და ქალს მოძალებულმა დედობრივმა გრძნობამ გული შეუკუმშა. ამიტომაც მერე, როდესაც ძიძამ მინდვრის სურნელოვანი ყვავილებით შემკული ცვილის ქანდაკი აჩვენა, ციციოს უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ მეგის აფხაზი უყვარდა. დედა შიშმა აიტანა და პირველად გააცნობიერა, რომ შვილი მისი მეტოქეა, თუმცა ეს ერთი თვალწამის გაელვება იყო. ძიძის გამჭრიახ მზერას კი მაინც არ გამოჰპარვია ეს თვალწამი.<sup>[P SEP]</sup>

## ნამალი<sup>[P SEP]</sup>

შუადღის ჯადო-თილისმით შეკრული მეგი დაბურული ნიგვზის ხის ქვეშ იჯდა. გოგონა ხილის ნაყოფივით შედიოდა სიმწიფეში. მის სხეულში ჩაბუდებული ჩუმი დაუდეგრობა თესლიდან ამოზრდილი მორჩივით ელტვოდა სინათლეს. გოგონა გაჰყურებდა უკიდევანო სივრცეს, რომელსაც მზე ანანასის ნაყოფივით ოქროსფერ სხივებს აფრქვევდა. მიწის მადლიანი ნობათი რგებოდა ირგვლივ ყველაფერს და მეგიც თითქოს ერთ-ერთი მისი საჩუქარი იყო. გოგონას ნესტოები გაფართოებოდა და ხარბად შეისუნთქავდა მიწის სურნელს. ნეტავ რაზე ფიქრობდა ახლა? მაგრამ ეს ალბათ თავადაც არ იცოდა. წყლის ზედაპირზე მოლიცლიცე შავი ლანდებივით მიმოდიოდნენ მისი ფიქრები. გოგონას სისხლი ახლა ალბათ იმას შეიგრძნობდა, რასაც

მისი გონება ჯერ ვერ ჩასწვდომოდა. შინაგანი ხმა ეუბნებოდა, რომ მუქარაშემართული ბედისწერა უხმოდ მოემართებოდა მისკენ. მეგი წამოდგა და მინდორს მიაშურა; მერე წითლად მოციმციმე ყვავილი დაინახა და მთელ სხეულში რაღაც უჩვეულო გრძობამ დაუარა. ადამიანს მსგავსი განცდა ალბათ მაშინ ეუფლება, პირველი კბილი რომ ამოეჭრება ხოლმე; მაგრამ ახლა ეს კბილის ბრალი არ იყო. მეგი დაღლილი და მოთენთილი დაბრუნდა შინ. ეზოში შესულს მენიკი შეეფეთა.<sup>[P SEP]</sup>

ბოლო ხანებში გოგონა თვალს არიდებდა მისნის გამომცდელ მზერას. მენიკი ისე უცნაურად აკვირდებოდა მეგის, თითქოს მისი საიდუმლოს ამოცნობას ცდილობსო. ასეთ წუთებში მოხუცი დროსთან ბრძოლაში ფარ-ხმალს ყრიდა: სახე ვერაგი ნაოჭებით ეღარებოდა და ღვიძლის ორმოცდაათ ნაწილად დაყოფილ თიხის ტვიფარს ემსგავსებოდა, ბაბილონელი მისნები რომ იყენებდნენ. მენიკის ტვინიც ალბათ იმ დაღარულ ტვიფარს ჰგავდა, რადგან მთლიანად მისნობისა და ჯადოქრობის ხელოვნებით იყო ავსებული. იგი მეგის თითოეულ მოძრაობას აკვირდებოდა და ხედავდა, რომ გოგონა ნელ-ნელა მშვიდდებოდა; თუმცა მოხუცის თვალს არც ის გამოჰპარვია, რომ მას სახე დრო და დრო საეჭვო წითელ-ყვითელი ლაქებით ეფარებოდა. მერე ძიძამ ისიც შენიშნა, რომ გოგონას ჭამაში ჭირვეულობა დასჩემდა, თითქმის არ ლაპარაკობდა და ყველაფერზე ღიბიანდებოდა; მენიკი ნელ-ნელა რწმუნდებოდა, რომ მისი შიში საფუძვლიანი იყო. ბოლოს უკანასკნელი ეჭვიც გაუქრა და მისი

იდუმალი ვარაუდი უთუმცაოდ გამართლდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ერთ საღამოს მენიკიმ გოგონას ქარცილის ნაყენი შემოუტანა. ეს მცენარე, მესოპოტამიური დანაკისკუდის მსგავსად, ორსქესოვანია; თეთრი ფესვი და ორნაირი ყვავილი აქვს: წითელი ყვავილი მამრია, თეთრი კი – მდედრი. მეგი ნაყენის ფერით მიხვდა, რის დაღევას სთავაზობდა მენიკი და აღშფოთდა. ერთხელ შესწრებოდა, როგორ ასმევდნენ ამ საშინელ ნაყენს ვიღაც გლეხის ქალს, რომელიც შიშისგან მკვდარივით გაფითრებულიყო.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– დალიე! ნუ გეშინია! – ნასჩურჩულა მოხუცმა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– არა, არა! – შეჰყვირა გოგონამ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მოხუცს სახე მოეჭუფრა და ნელი ნაბიჯით, უსიტყვოდ გავიდა ოთახიდან. მეგიმ ბიზღით გააყოლა ძიძას თვალი და აცახცახდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს რაღაც უკეთურების შეხებამ მოაჯადოვა და იგრძნო, რომ ფეხმძიმედ იყო. მერე იმასაც მიხვდა, რომ ამ ნაყენს ნაყოფის მოსაცილებლად იყენებდნენ. უცნაურმა შიშმა გონება დაუბნელა მეგის, თუმცა ამ შიშს პანანინა, უცნაური სიხარულიც შერთოდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

## ანდე-გუმანი<sup>[P] [SEP]</sup>

ვატო ახლობლებს თავიდანვე უცნაურ ადამიანად მიაჩნდათ, მაგრამ სამეგრელოდან დაბრუნების შემდეგ მისი უცნაური საქციელი სულ უფრო თვალშისაცემი ხდებოდა. ვატომ თმა და ფრჩხილები მოუშვა, ლაპარაკით თითქმის აღარ ლაპარაკობდა და მხოლოდ დრო

და დრო, თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა; ახლობლების შენიშვნებზე მხატვარი ჭიუტად დუმდა, არავის არ ეპუებოდა და საკუთარ თავს იყო მიყურადებული. მამამისი, ეს ჯანიანი, მკაცრი ბერიკაცი, შეეფიქრიანებინა შვილის სულიერ მდგომარეობას და შეშფოთებული იყო მისი უცნაური ფერისცვალებით. ვატოს ჩამოძონძილი ტანისამოსი და ლოცვის გამუდმებული სურვილი, განა მის შემლილობაზე არ მეტყველებდა?! ტანს ყოველთვის კი იბანდა და სუფთა საცვლებიც ეცვა, მაგრამ მამას მისი ასეთი ქცევაც ანუხებდა. სამეზობლოში ვატო არ უყვარდათ; თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ მისი სწრაფვა იქაურ თავად-აზნაურობას საშინლად აღიზიანებდა. განსაკუთრებით უცნაურად ეჩვენებოდათ მისი დამოკიდებულება ადათ-წესებისადმი. ძველი დროიდან მოყოლებული, გურიის მთავრებს წესად ჰქონდათ, რომ ახალი წლის მეორე დღეს საგანგებოდ აღნიშნავდნენ. ამ დღეს თავად-აზნაურობა და ყმა-გლეხები ერთმანეთში ადგილებს ცვლიდნენ: ყმა გლეხები თავიანთ ბატონებს სტუმრობდნენ, ეს უკანასკნელნი მათ მთელი დღის მანძილზე ყმა გლეხებივით ემსახურებოდნენ და მასპინძლობდნენ. ამ დღეს ყოველთვის დიდი ნადიმი იმართებოდა: გლეხები ქეიფობდნენ, მათი ბატონები კი ხელზე მოსამსახურე ბიჭებივით ირჭებოდნენ. ამ ადათ-წესს ბევრი იცავდა, მათ შორის, ვატოს მამაც. ვატო აღფრთოვანებული იყო ამ ზემით, მერე კი სურვილი გამოთქვა, ასეთი ღონისძიება წელიწადში, სულ ცოტა, ათჯერ მაინც ჩაეტარებინათ. მაგრამ, მამამისის აზრით, ეს მეტისმეტი იქნებოდა. ერთხელაც, შვილის ამ

მოთხოვნაზე, ეს დარბაისელი კაცი საშინლად განრისხდა. ვატომ მამის მრისხანე სახე რომ დაინახა, თვალები დახარა და მერე მამა-შვილს ამაზე სიტყვა აღარ დასცდენია. ვატოს საქციელით გაოცებულმა თავად-აზნაურობამ, ახლო-მახლო, სამეზობლოში რომ ცხოვრობდა, იგი გიჟად შერაცხა; გლეხებს უყვარდათ იგი, მაგრამ მასთან სიახლოვეს ერიდებოდნენ, რადგან ყველას, განსაკუთრებით კი ქალებს, აშინებდა მისი ჭროლა თვალები.<sup>[P. 158]</sup>

ვატო დიდ დროს უთმობდა ხატვას, და თუ არ ხატავდა, წიგნებს კითხულობდა; მაგრამ ამ დროს შინ ყოფნა არ უყვარდა – გავიდოდა მინდორში და სადმე ხის ჩრდილში იჯდა ხოლმე წიგნით ხელში. ვატო დაინტერესებული იყო ბერძნული, ბაბილონური, ირანული, ქართული და ინდური ეპოსით, მაგრამ ყველაზე ხშირად მაინც ბიბლიას კითხულობდა. გარდა ამისა, დიდ დროს ფრინველების განვრთნას უთმობდა: ასწავლიდა ძელზე ჯდომას და ფრთების ტლაშუნს, რათა მათ ძერა-მიმინოები ჩოგანბადეში შეეტყუებინათ. ვატოს ყოველთვის უამრავი ფრინველი ეხვია გარს, რადგან, როგორც ჩანს, მათი ენა ესმოდა. ფრინველები ძალიან იზიდავდა ბავშვებს; მათ ვატოს უცნაური თვალები არ აშინებდათ. გარდა ამისა, ამ ადამიანს კიდევ ერთი უჩვეულო გატაცება ჰქონდა: ძველი ბაბილონელების მსგავსად, უყვარდა ქვები და თავს ბედნიერად გრძნობდა, თუ სადმე იპოვიდა ქვას, რომელზედაც ძველი წარწერა იყო ამოკვეთილი. ვატო დაეხეტებოდა მინდორ-ველად, ტყეში და მთებში. იფიქრებდი, ეს კაცი დროის მიღმა ცხოვრობს და სადღაც მიექანებაო. ხანდახან ერთ

ადგილზე შეჩერდებოდა, თუმცა არ იცოდა, რატომ, მერე კი მზერას სადღაც შორეთს მიაპყრობდა; ამ დროს ვატოს ფიქრები მინისქვეშა ნაკადულივით მიედინებოდა, მისი უჩვეულო არსებობა ძილ-ბურანს ემსგავსებოდა და ეჩვენებოდა, რომ ხე უეცრად ცხოველად გადაიქცეოდა, ცხოველი კი – ქვად; ძველი ეგვიპტელებისა და ბაბილონელების, ინდოელების, სპარსელებისა და ქართველების ხილვები ამოუტივტივდებოდა ხოლმე თვალწინ და გონებაში გამოუხმობდა ფრთიან ცხოველებს, ცხოველისტანიან ფრინველებსა თუ გველისტანიან ურჩხულებს. „კი მაგრამ, რა არის ეს? ასეთი არსებები სინამდვილეში ხომ არ არსებობენ?!“ – ეკითხებოდა საკუთარ თავს, მერე კი ფიქრს მიყვებოდა: „თუმცა ვინ იცის? იქნებ ისინი თავდაპირველად სწორედ ასე გამოიყურებოდნენ? იქნებ ამ არსებების მრავალფეროვნება მხოლოდ მოჩვენებითია და მათი ამგვარი ურთიერთმონაცვლეობა სწორედ ამიტომ ხდება? ფანტასტიკურ სურათებსაც ხომ ამ მიზეზით გამოუხმობს წარმოსახვა?“ ვატო ფიქრობდა ზოგიერთ ველურ ტომზე, მგელს რომ ირჩევდა თავის ტოტებად, თაურმამად და თაურადამიანად. იქნებ ეს იმიტომ ხდებოდა, რომ მგელსა და ადამიანს შორის არსებული ზღვარი ჭერაც ძალიან მყიფე იყო და ველური ადამიანები ხედავდნენ, როგორ ენაცვლებოდნენ ისინი ერთმანეთს?! სხვაგვარად შეუძლებელი იყო ამის ახსნა. მერე კი, რაც უფრო ღრმად ეფლობოდა ვატო ფიქრებში, მით უფრო გამალებით უცემდა გული. თითქოს მინისქვეშ გამართული ბრძოლიდან ამოიჭრაო, ისე ამოიჭრებოდა ხოლმე იგი იმ უცნაური

ცნობიერების სიღრმეებიდან, შთანთქმას რომ უქადდა; მხატვარს აშინებდა საკუთარი აზრები, მაგრამ ისინი ჭიუტად არ ანებებდნენ თავს. პირველი ადამიანი იცნობდა საკუთარი პირველსაწყისის არსს და ეს თაურცოდნა ჰგებდა მასში, მაგრამ ათასწლეულებმა წაშალეს ეს ცოდნა და ახლა კაცობრიობას მხოლოდ მცირეოდენ, ქვის ხანის კერპების მსგავს უძველეს ძეგლებზე თუ შემორჩა მისი შთამბეჭდავი კვალი. ასე ფიქრობდა მხატვარი, ან, ვინ იცის, იქნებ რაღაც სხვა აფიქრებინებდა ამას?! მერე ვატო ხელოვნების ქმნილებებიდან ენაში შემორჩენილ ძეგლებზე გადავიდა. სურვილი ჰქონდა, ჩასწვდომოდა სურათ-ხატოვანი იგავების ღრმა საზრისს; დიახ, ისინი სინამდვილეს ასახავდნენ და ყველა მოვლენას საერთო პირველწყარო ჰქონდა.<sup>[P. 159]</sup>

სამეგრელოდან დაბრუნების შემდეგ, ვატო სულ უფრო და უფრო ღრმად ეფლობოდა ამგვარ ფიქრებში. ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს ჰაერში მოფარფატე სურათები ეხვია გარს. მათ შორის მეგიც იყო. დიახ, ყველა მათგანს სწორედ მეგი მოიცავდა თავის თავში და გოგონას ეს მოფარფატე პირველსახე მხატვრის სულის ნაწილად იქცა. ერთხელ, მინდორში ხეტიალის დროს, ვატო უეცრად უზარმაზარ ქვის ლოდს მიადგა. ამ დროს, სრულიად შემთხვევით, საკუთარ ხელებს დახედა და დიდხანს, ძალზე დიდხანს აკვირდებოდა მათ. მერე მოეჩვენა, რომ მისი თითები მდუმარე არსებები იყვნენ, მაგრამ თითოეულ მათგანს თავისი მზერა, ღიმილი და გამომეტყველება ჰქონდა. ვატო შიშმა შეიპყრო და მზერა ქვის ლოდზე გადაიტანა. უეცრად მის გონებაში გაცხადდა ფიქრი: „ეს ქვა თავად შენ ხარ!“ ვატო

შიშისგან ადგილზე გაქვავდა, მერე კი ვაი-ვაგლახით მოახერხა ცნობიერების მღვრიე ნაკადიდან თავის დაღწევა; მაგრამ მსგავსი წუთები მერეც ხშირად მეორდებოდა და ვატო ნელ-ნელა შეეჩვია ამ უჩვეულო მდგომარეობას; სულ უფრო მეტი ყურადღებით აკვირდებოდა საგნებში საკუთარი თავის გალხობას, და ბოლოს და ბოლოს ისეთი რამ შეიგრძნო, რაც მისთვის აქამდე დაფარული რჩებოდა: ვატო მიხვდა, რომ ის მთლიანად კი არ ლხვებოდა სხვაში, არამედ მისგან იმავდროულად ახალი იერ-სახე იქმნებოდა, რომელიც ფიზიკურად თითქმის ხელშესახები იყო, მაგრამ მაინც მოუხელთებელი და უწონადო რჩებოდა. მხატვარმა ნამიერად კვლავ გააცნობიერა ეს და რაღაც გაურკვეველი შიში იგრძნო. მას თავის დროზე წაკითხული ჰქონდა დემოკრიტეს „გარსის“ და პინდარის „ეიდოლონის“ შესახებ. განა ის ნაშთი, საგნებში გალხვობის შედეგად რომ რჩებოდა, „გარსი“ და „ეიდოლონი“ არ იყო, ორეულის მსგავსად, სხეულს მარადიულ არსებობას რომ ანიჭებს? ვატო გაოცდა და გაფითრდა. და, აი, უეცრად ცვილის ქანდაკი გაახსენდა. მისმა გონებამ საოცარი ძალით დაიწყო მუშაობა. იქნებ სწორედ ეს გამოსახულება ცდილობს საგნის ორეულის წარმოჩენას? ვატომ თითქოს რაღაც გაარკვია და რაღაცას მიხვდა, მაგრამ აზრების ჩამოყალიბებას ვერ ახერხებდა. ისეთი სიცარიელე იგრძნო, ავზიანს მშფოთვარე შეტევის შემდეგ რომ დაეუფლება ხოლმე.<sup>[1]</sup>

მერე ფიქრებმა ცვილის ქანდაკიდან სურათის გამოსახულებაზე გადაინაცვლა. ვატომ ნელ-ნელა ამოიციხო ლეონარდოს საიდუმლო:

მის ნახატებზე ადამიანის სახის მიღმა სხვა სახე იმალება: სწორედ ეს არის ის იდუმალებით მოცული სახე, სურათიდან რომ გამოსტყვივის და გამოსახულების „ეიდოლონს“ წარმოადგენს. ვატოს ცეცხლი მხოლოდ გულზე არ მოსდებოდა, სადაც მეგის გამოსახულებას დაესადგურებინა; მას ახლა მარჯვენა ხელიც ეწვოდა და ნეტარ სურვილს შეეპყრო, ეს გამოსახულება ხილული გაეხადა და გაეცოცხლებინა. და, აი, ვატომ სუსტ სხეულში ზეადამიანური ძალების მოზღვავება იგრძნო. ახლა მას სურათი უხმობდა: უნდოდა იგი თავისი შეხებით გაეცოცხლებინა. ვატო ყოველ საგანში ციური ცეცხლით გადაბუგულ ქვას ხედავდა, რომელშიც, ბაბილონელთა რწმენით, ვარსკვლავთა ღვთაება ცხოვრობს. ვატო გრძნობდა, რომ მასში ის ცეცხლი ასევე ძალუმად ბრიალებდა და სურდა ამ ცეცხლით ვარსკვლავთა არსი გამოეხმო ქვიდან. იგი მიხვდა, რატომ სცემდა თაყვანს ერთ-ერთ ასეთ ქვას ძველი აღთქმის აბრაამი ქალდეველთა ურში. ამქვეყნად არ არსებობს ამ გამოსახულებაზე უფრო მთლიანი რამ, და ვატოც ქვის თაყვანისმცემელი გახდა. ახლა მას რაღაც ძალა შთააგონებდა ამ ქვაში მეგის გამოსახულება გამოეკვეთა. მაგრამ ის ხომ მხატვარი იყო და არა მოქანდაკე! ეს რომ გაიფიქრა, ხელოვანი დანაღვლიანდა.<sup>[56]</sup>

ვატო შეშლილს ჰგავდა. მან განვრთნილი ფრინველები ბავშვებს აჩუქა, ცხენი შეკაზმა და ისევ სამეგრელოს მიაშურა. და, აი, უეცრად სუსტი ვატო ძლიერ, ჯან-ღონით სავსე მხედრად გადაიქცა. ქარიშხალივით მიჰქროდა ცხენი და მხედრის ანთებულ გონებაშიც ქარიშხალი ბობოქრობდა. ზეადამიანური, დემონური აბრები

ირეოდნენ მის თავში და ვარსკვლავიერი, ცეცხლოვანი წვიმასავით იფრქვეოდნენ წმინდა ლავრენტის დღეს. ცხენი მდინარისკენ გაჭენდა. ვატოს თავი გაბრუებული ჰქონდა და უხურდა. მერე ცხენი რიონის აზვირთებულ ტალღებში შეაგდო და მდინარე გადაცურა. მხედარმა თავი ზემოთ ასწია და ლაჟვარდოვან ცას შეხედა. მდინარიდან შორეული, თაურსამყაროსეული ხმები შემოესმა. შესაქმის პირველი დღის ხმაურივით მისწვდა ეს ხმები ვატოს ცხოველივით გამახვილებულ სმენას, და მყისიერად გაუელვა თავში: ვიდრე იგი მასალიდან ვარსკვლავთა ღვთაებას გამოუხმობდა, თავადაც ღვთაებად, ან თითქმის ღვთაებად უნდა ქცეულიყო. მერე კი, ელვამ ისე დააკვესა, რომ მხატვარმა ფიქრი ვეღარ დაასრულა და მდინარის ნაპირთან ცხენიდან გადმოვარდა. იქვე ახლოს, სიმინდის ყანაში მომუშავე გლეხებმა ეს რომ დაინახეს, თოხები მიყარეს და მისკენ გამოიქცნენ. მხატვარი მიწაზე ეგდო და პირიდან დუჟი გადმოსდიოდა, მარცხენა საფეთქელზე კი მუქი, ნითელი სისხლი ჩამოსწანწკარებდა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– მზემ თუ ჩაჰკრა თავში, – თქვა ერთ-ერთმა გლეხმა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ვინ იცის, იქნებ ავი ზნე სჭირს, – მიუგო მეორემ.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

ვატო წამოაყენეს, შუბლი მობანეს და იქვე, ნიგვზის ხის ჩრდილში დაანვინეს; გონს რომ მოვიდა და ნელ-ნელა აბროვნების უნარიც დაუბრუნდა, მხატვარს ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ფიქრის ძაფი ათასი წლის წინ გასწყვეტოდა. ვატოს ცხენი ავშარას ღრღნიდა და ჭიხვინებდა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

## მნიფობა<sup>[SEP]</sup>

მზიანი დღეები მიინავლა. თავთავი მნიფდა, პირუტყვი თვლემდა, მარცვლებს ველარ იტევდნენ შეთვალული სიმინდის ტაროები; ყურძნის მძიმე მტევნები ქარვისფრად შემღვრეულიყვნენ. მეგისაც დასდგომოდა მნიფობის ხანა, ნელ-ნელა ივსებოდა და ტანძლიერი ვაშლის ხიდან მოწყვეტილ ნაყოფს ჰგავდა; მნიფდა მისი მკვრივი ძუძუებიც. ახლა მის სხეულში, მანამდე ურთიერთშეჭიდებული ძალების საპირწონედ, კდემამოსილ სიმშვიდეს დაესადგურებინა; მაგრამ, თუ გოგონა აქამდე უბრალოდ დუმდა, ახლა მთლად დამუნჭებულიყო. მისი პირქუშობის შავბნელი მიზები კი დედობის განცდა იყო, ადამიანს აგრერიგად ბედნიერს რომ ხდის და თან მოსვენებას უკარგავს. მეგის სხეული ნეტარებას განიცდიდა, თვალეებში კი სევდა ჩასწოლოდა; ყურს უგდებდა ოდნავ გასაგონ, ბუნდოვან რიტმებს და მისი თავადაც მზარდი გონება, ბალახის ზრდას შეიგრძნობდა. გოგონა იშვიათად თუ გამოდიოდა ამ მძიმე, შებოჭილი მდგომარეობიდან. ეს კი იმ დროს ხდებოდა, როდესაც ოცნებებში ნასულს, უეცრად აფხაზის სახე დაუდგებოდა ხოლმე თვალწინ. ასეთ წუთებში გოგონა მრისხანებას ვერ მალავდა, მაგრამ მალე ისევ მშვიდდებოდა; ცხენით თითქმის აღარ დაჭირითობდა და მკვეთრ მოძრაობებს, თავისდაუნებურად, ერიდებოდა. ახსენდებოდა, საკუთარი სიმკვირცხლის დასტურად, ხშირად რომ შედგებოდა ხოლმე წყლით სავსე კოკის პირზე, მერე ფეხებს მის ყელს შემოაჭდობდა და ასე იდგა ერთხანს, ისე, რომ კოკიდან წვეთი წყალი არ იღვრებოდა. ასეთი რამ მეგის ახლა თავში

აზრად არ მოსდიოდა – უფრო თვინიერი და სათნო გამხდარიყო.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

ასე გადიოდა მწიფობის დღეები. მენიკი აკვირდებოდა გოგონას, რადგან მხოლოდ მან და ციციონი იცოდნენ მისი საიდუმლო; თუმცა ძიძა დედაზე უფრო შფოთავდა და ვერ ეგუებოდა აზრს, რომ მეგის შვილი ეყოლებოდა; ისე კი, მაინც აინტერესებდა, ბავშვი ბიჭი იქნებოდა თუ გოგო. ამის გასაგებად მენიკიმ პატარა გოგოს და ბიჭს ქათმის ავჯაში გადაატეხინა. მერე, როცა დაინახა, რომ ბიჭს ხელში უფრო დიდი ძვალი შერჩენოდა, მენიკიმ კოპები შეკრა, რადგან ახლა, წესის თანახმად, ბიჭი უნდა გაჩენილიყო, მას კი გოგო უნდოდა. ამაზე მენიკი მერეც ბრაზობდა ხოლმე, მაგრამ საღამოობით ისევ მშვიდად ეჭირა თავი, ღამით კი ზღაპრებს ჰყვებოდა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

გადიოდა დღეები და კვირები, გაჭერებული მოახლოებული შემოდგომის სუნთქვით. მისანი უტუ კვლავინდებურად განაგრძობდა ცხოველების შელოცვას. ხანდახან გარედან შემოსულ, უცხო კატას დაიჭერდა და ღუმელის გვერდით, სარკეში ახედებდა. კატას თავისი გამოსახულება უნდა დაენახა და ახალ გარემოს შესჩვეოდა. უტუ მოწყენილ ბუჩქს ზღაპრების მოყოლით ართობდა. მაგრამ ყველაზე მეტად ზღვის საოცარ ვარსკვლავზე უყვარდა მოყოლა, წყლის სიღრმიდან სამჭერ რომ ამოდიოდა, მერე კი, რომელიმე სახლის სახურავზე ეშვებოდა; თუ ზღვის ვარსკვლავი ჯვრით გამოჩნდებოდა, ამ სახლში ბიჭი დაიბადებოდა, რომელსაც ცეცხლისმფრქვეველი თვალები ექნებოდა და შიგ ჩახედვას ვერავინ გაუბედავდა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

გადიოდა ბარაქიანი, ფერადოვანი დღეები და კვირები. ვატო მეგის

პორტრეტს ხატავდა, მაგრამ აღარ ფიქრობდა და თავს აღარ იმტვრევდა გამოსახულების დეტალებზე, რადგან ახლა მისი ხელი ყოვლისმცოდნე გამხდარიყო. ვატოს გონება კოსმოსურ სივრცეში დაჰქროდა; ახლა ამკარად შეიგრძნობდა, რომ პოლარულ მხარეში ცხოვრობდა, სადაც ირგვლივ თოვლი იდო, ამ თოვლზე კი მხოლოდ მგეს თუ დაინახავდა კაცი. ვატო ახლა მხოლოდ იმ სურათით სულდგმულობდა, რომელიც მას გოგონას გამოსახულებიდან მთელი გრძნობით გამოეხმო; მთელი არსებით სჭეროდა, რომ ადამიანში მზის დანახვა შეიძლებოდა, და როდესაც გოგონას უყურებდა, ამ დროს მზის მხურვალეებას გრძნობდა. სწორედ მზის ამ მხურვალეებას უნდა გადმოეცა მხატვრის ფერები და ისიც სასოებით ცდილობდა მათ შერჩევას. მეგის არსებაში იგი იმ ქალწულს ხედავდა, რომელიც მზად იყო უბიწო ჩასახვისთვის; და ვატო ხატავდა ღვთისმშობელს ყრმის გარეშე. ღვთისმშობელი დედობის ბედნიერ წინათგრძნობას კი შეეპყრო, მაგრამ მის გასხივოსნებულ თვალებში უკვე იგრძნობოდა იდუმალი მწუხარება – მომავალი დედის წინასწარმეტყველურ მზერაში თითქოს მისი ყრმის ბედისწერა გამოსჭვიოდა. მეგი მხატვრის შემოქმედებით გუმანს, ამჯერად, ყოველგვარი შიშის გარეშე მინდობოდა. იგი ხის ქვეშ იჯდა და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მთელ სამყაროს სიზმარში ხედავდა. მინავლული ცეცხლის ნაპერწკლებივით, ნელა დაფარფატებდნენ ჰაერში გოგონას ფიქრები. მხატვარს გულს უკლავდა მეგის ჩუმი მწუხარება და ერთი სული ჰქონდა, მისი დაღლილი ქუთუთოები ახლადმოკრეფილი ყვავილების

გრილი ფურცლებით შეემკო. ვატო ახლა, თითქოსდა, უკვე ნათელმხილველი თვალებით შეჰყურებდა მეგის, ერთი წამით, ბუნდოვნად, ძალზე ბუნდოვნად შეიგრძნობდა თავის ერთობას კოსმიურ შემოქმედ ძალასთან და მთელ ტანში ჟრუანტელი უვლიდა. თუმცა ეს წამი ელვისსისწრაფით ქრებოდა და მხატვარს ისლა დარჩენოდა, გოგონას სხეულს მხოლოდ თვალებით შეხებოდა. მეგი ამ დროს საკუთარ თავში ისე შეიყუჩებოდა, ლოკოკინა რომ შეიმალება ხოლმე თავის ნიჟარაში; მხატვარი მუშაობას წყვეტდა.<sup>[P<sub>SEP</sub>]</sup>

ასე გადიოდა დღეები და კვირები, გაჭერებული ძაღლებისა და გაქაფული ცხენების მხუთრით, უკიდევანო ზღვის ნოტიო ქარებით, თივის სურნელით, ახლადმოწველილი რძის, თხის ყველის სუნითა და ბოსლებისნესტიანი სითბოთი.<sup>[P<sub>SEP</sub>]</sup>

აფხაზი გაქრა და სამეგრელოში აღარ გამოჩენილა. მერე ჯვებეს მეშვეობით ცდილობდა მეგის ნახვას, მაგრამ ვერ ახერხებდა. ხმები დადიოდა, რამდენჯერმე საიდუმლოდ შეხვდა ციცინოსო, მაგრამ მათი ურთიერთობის შესახებ დანამდვილებით არავინ არაფერი იცოდა. საზოგადოებაში ერთმანეთის გვერდით შემთხვევით თუ აღმოჩნდებოდნენ, ორივენი უხმოდ ისხდნენ, მაგრამ მახვილი თვალი შეამჩნევდა, რომ მათ შორის რაღაც ხდებოდა; ციცინოს და აფხაზის გვერდიგვერდ ყოფნა თამაშს ჰგავდა და იდუმალებით იყო მოცული.<sup>[P<sub>SEP</sub>]</sup>

მსახური ნაუ, ციცინოს ეს ყურმოჭრილი მონა, თითქოს ცხოველად ქცეულიყო, ადამიანში განსხეულებულ ქალღმერთს რომ ეთაყვანება. იგი ციცინოს სხეულზე კოცნის ნაკვალევს ცხოველის გუმანით ეძებდა,

და როცა ვერ პოულობდა, გემდაკარგული ძაღლივით დაეხეტებოდა; მაგრამ ნაუ იხტიბარს არ იტეხდა და ქალს, განსაკუთრებით ღამღამობით დასდევდა და უთვალთვალეზდა. მსახურს ყველგან მოჩვენებები ელანდებოდა. ერთ ღამეს მოეჩვენა, თითქოს თვალი აფხაზის ლანდს მოჰკრა, რომელიც ვიღაცას ელოდებოდა, თუმცა ლანდი უმაღ გაქრა. იმ ღამის შემდეგ ბედკრულ ნაუს თვალზე რული აღარ მიჰკარებია. ძილით ველარ იძინებდა, ცოტას თუ ნათვლემდა ხოლმე და კატის გაფაჩუნება ან ოდნავ ხმაური საკმარისი იყო, რომ შეშინებული, ფეხზე წამომხტარიყო. ციცილო კი აფხაზთან შეხვედრისას უფრო შვილზე ფიქრობდა, თუმცა საკუთარი თავიც აღარდებდა.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

## ღამე<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

სამეგრელოს ველ-მინდვრებს მთელი დიდებულებით დაჰნათოდა სამხრეთის სავსე მთვარე. აქ ხანდახან ისეთი ნათელი ღამეები იყო, რომ კაცი შეუიარაღებელი თვალთ დაინახავდა ვენერას ფაზებს. ნაუს ღამით მოსვენება კარგახანია დაჰკარგოდა და საშინელი, შავბნელი ეჭვები ხრავდა. უკიდევანო სიჩუმეს მოეცვა თვალისმომჭრელად ნათელი ღამე. ნაუ მუხის კენწეროზე იჯდა და თუ საჭირო გახდებოდა, შეეძლო ხის ფულუროში დამალულიყო. ხელში თოფი ეჭირა და, როგორც ჩანს, ვიღაცის მოლოდინში იყო. აი, უკვე მერამდენე ღამეა, ფხიზლობდა, მაგრამ ვისაც ელოდა, არ მოდიოდა. როგორი დაუდგრომელიც არ უნდა ყოფილიყო ნაუ ღამით, მზის ამოსვლისას, ყოველ ჯერზე, გულზე მოეშვებოდა ხოლმე; მაგრამ ახლა გუმანი

ნამდვილად არ ატყუებდა. ოთხად მოკეცილი იჭდა მუხის ფულუროში და თვალებად ქცეულიყო. ხორცის ეს ნაგლეჯი არაადაამიანურ ვნებათა ღელვას შეეპყრო და გულთამხილავი გამხდარიყო; უჩინარი საცეცების იდუმალი შეხებით უტყუარად გრძნობდა, რომ ამ ღამით რაღაც უნდა მომხდარიყო. ნაუ შეპყურებდა ჩამავალ მთვარეს, ასე რომ ჰგავდა აშტარტას ოპალის ჭიპს, და ელოდა... უეცრად ხმაური შემოესმა და ნაუმ ყურები ცქვითა. მერე დაინახა, რომ ხეობიდან მხედარი გამოვიდა. ახლა ნაუს სხეულის ნაწილები და შიგნეული ერთმანეთს შერწყმოდა, მზერად და სმენად ქცეულიყო და ერთ ატომად გარდასახულიყო. მხედარმა ჭენებით გადმოიარა გორაკი და შედგა: მერე გარშემო მიმოიხედა, ჩამოქვეითდა და ცხენი ტირიფზე მიაბა. ნაუმ მიხრა-მოხრით უცნობში აფხაზი შეიცნო და ისე შეინძრა, თითქოს ატომად ქცეული, ახლა ნაწილებად უნდა დაიშალოსო; მაგრამ მალე გონს მოეგო და ისევ ადგილზე გაქვავდა. მხედარი ცხენის გვერდით იდგა და ციცინოსთან შეხვედრას ელოდებოდა. გაოცებული იყო, რადგან არ იცოდა, რისთვის იბარებდა ქალი. მას ციცინო მთავრინასთან ორჯერ ჰყავდა ნანახი, რამდენიმეჯერ სასახლის კართან დაახლოებულ სხვა ოჯახებშიც შეხვედროდა, ერთი-ორჯერ კიდევაც გამოელაპარაკა მას, და ამ დროს მეგის სახელიც ახსენა. აფხაზი სიამოვნებით აღიარებდა ქალის წინაშე ყველაფერს, მოუყვებოდა თავის უეცარ, გიჟურ ვნებაზე, ჩადენილ შეცდომაზე და მეგისადმი უსაზღვრო სიყვარულზე. მაგრამ, როგორც ჩანს, მეგის დედა გაურბოდა მის აღსარებას. ბოლო შეხვედრისას, აფხაზმა,

როგორც იქნა, მოახერხა და ამაბესიტყვა ჩამოაგდო, მაგრამ ქალმა ორჭოფულად გაიღიმა და წაიჩურჩულა, ამაბე პასუხს, ერთხელაც იქნება, გაგცემო. ჰოდა, მის პასუხს აფხაზი ახლა აქ, ამ ადგილას ელოდა.<sup>[SEP]</sup>

რამდენიმე წუთში, ხელმარცხნივ, ქალი გამოჩნდა და აფხაზს მიუახლოვდა. ნაუ შეკრთა: ციციხო იყო. უეცრად ხორცის ნაგლეჯმა ფულუროდან გამოძრომა დააპირა, მაგრამ რაღაც უფრო ძლიერმა ძალამ ადგილზე გააქვავა. ახლა იგი კბილებს შორის მოკვნეტილ ენას ჰგავდა, გასაქანი არსაით რომ არ ჰქონდა. აფხაზმა შენიშნა ქალი, რომელსაც მთვარის შუქის ლურჯ ციალში ზეთისხილისფერი, მრუმე შარავანდები შემოსდგომოდა. ასტამური ციციხოს შეეგება და ხელზე ეამბორა; ნაუ კვლავ შეკრთა და საჩვენებელი თითი ჩახმახისკენ გააპარა.<sup>[SEP]</sup>

ციციხო გრძნობდა, როგორ აუდიოდ-ჩაუდიოდა მკერდი: აფხაზში იყო რაღაც, რაც ქალის ამორძალისეულ სილალესა და სიმამაცეს ძალას აცლიდა. ციციხო კაცებს, ჩვეულებრივ, ზემოდან უყურებდა და ისე ექცეოდა, თითქოს ისინი მისი გააზაბებული მონები ყოფილიყვნენ; ამჭერად კი, სხვაგვარად იყო საქმე. აფხაზი მას უჩვეულოდ ხიბლავდა და მასთან ყოველი შეხვედრისას საკუთარ თავში ქალურ ვნებას ახშობდა. იქნებ დამარცხებისა ემინოდა? არა, ამ გრძნობის აღწერა ადვილი არ იყო. აფხაზი მას ისე ხიბლავდა, მანამდე არც ერთ კაცს რომ არ მოუხიბლავს. მაგრამ ციციხოს უეცრად ნამუსშერცხვენილი შვილის სახე დაუდგებოდა ხოლმე თვალწინ და მის გულში

სასიამოვნო მღვღვარებას მრისხანება ცვლიდა. ამ დროს ქალი შურისძიებაზე, დიახ, ამორძალისეულ შურისძიებაზე იწყებდა ფიქრს. შვილის შეურაცხყოფის გამო შური უნდა ეძია, მაგრამ როგორ? მტაცებლის კლანტები ნაზად ჩაევლო, მერე კი, ალერსის ნუთებში დაემცირებინა, განეიარაღებინა და გაენადგურებინა აფხაზი? ციცილომ იცოდა, რომ მისთვის შურისძიება არც თუ ისე იოლი საქმე იქნებოდა, რადგან მეგის აფხაზი უყვარდა. თუმცა ახლა მას მეგის სიყვარულზე მეტად, სხვა რამ აფიქრებდა – ციცილო თავად ვერ გარკვეულიყო, რა ხდებოდა მის თავს; ამ შურისძიების მიზები მისივე ვნება ხომ არ გამხდარიყო?! არასოდეს ყოფილა ქალი ასე დაბნეული.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

მერე ის იყო, ქალ-ვაჟმა ჩურჩულით დაინყო ლაპარაკი, მაგრამ სიტყვებით ისინი თავიანთ ამრებს არ გამოხატავდნენ. ნაუ სმენად ქცეულიყო, თუმცა გარკვევით არც ერთი სიტყვა არ ესმოდა და მათი ლაპარაკი მის ანთებულ გონებას მხოლოდ სატრფიალო ლექსის ნაწყვეტებზე ჩაესმოდა ყურში. და ჩახმახზე ჰქონდა გამოდებული თითი.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– რა ნათელი ღამეა! – თქვა აფხაზმა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ჰო, ღამისაა თვალს უბრმავეებს კაცს! – გაიღიმა ციცილომ.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

და რომ არა ქალის მომაჯადოებელი ღიმილი, ჩამოვარდნილი სიჩუმე აუტანელი იქნებოდა აფხაზისთვის.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– მეგი როგორ არის? – იკითხა ასტამურმა ბოლოს.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– როგორ უნდა იყოს? სიტყვას ვერ დააცდევინებს კაცი. – მიუგო ქალმა და აფხაზს ოდნავ მიუახლოვდა. კაცმა მისი ცხელი სუნთქვის

სურნელი იგრძნო, მერე, გაბრუებულმა, ესღა ნაილულღულღა: [P]  
[SEP]

– მისი სიყვარულით ვინვი... ჰო, მიყვარს! [P]  
[SEP]

– ნუთუ მართლა? – გამომცდეღად ჰკითხა ქალმა. [P]  
[SEP]

აფხაზი შეცბა და დადუმდა. სიტყვები ზედმეტი იყო. მათ ირგვლივ ახლა შეფრფინვით ირხეოდნენ რაღაც ტალღები, რომელთაც სიტყვები აუცილებლად ნალეკავდა. [P]  
[SEP]

– მაგრამ, მეც თუ მიყვარს? – უცხო ქალის ხმასავით გაისმა ციცინოს სიტყვები. [P]  
[SEP]

აფხაზი გაფითრდა. ნაუმ მაგრად იკბინა მარცხენა ხელზე: ციცინოს ნათქვამს გარკვევით მიეღნია მის ყურამდე. [P]  
[SEP]

– კი, მაგრამ, ვინ გიყვართ? – ჰკითხა აფხაზმა მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ. [P]  
[SEP]

– თქვენ... შენ მიყვარხარ! – იყო პასუხი. [P]  
[SEP]

ქალის უკანასკნელი სიტყვები ნაუს აღარ გაუგონია, რადგან ციცინომ ისინი მოკუმული პირის წარმოთქვა; აფხაზმა მხოლოდ ახლა შეხედა ქალის ველური ვნებით ათრთოლებულ ტუჩებს და გაკვირვებულმა ჰკითხა: [P]  
[SEP]

– მე გიყვარვართ? [P]  
[SEP]

– დიახ, შენ, – მიუგო ქალმა და ისევ გაიღიმა. [P]  
[SEP]

ნაუმ ჩურჩულით ნათქვამი ეს სიტყვები ვერ გაიგო და უფრო გამეტებით იკბინა ხელზე. [P]  
[SEP]

აფხაზმა ქალს სახეზე შეხედა და დაინახა, ორი სოსანისფერი სპეკალი როგორ აბრიალდა მის უძირო, ლაჟვარდოვან თვალებში. [P]  
[SEP]

ვაჟმა თვალები დახარა. ამ გრძნეულ ქალს ახლა ძუ ნადირის მომნუსხველი მზერა ჰქონდა. აფხაბს თვალთ დაუბნელდა და მიხვდა: ახლა იგი რაღაც საშინელ ძალას დაემონებინა და ეს ის იდუმალი ძალა იყო, ადამიანს საკუთარ თავს რომ გამოგლეჯს ხოლმე ხელიდან და იმორჩილებს. მერე აფხაბი ენითუთქმელ, ნეტარ გრძნობას აჰყვა, რომელმაც მთლიანად შეძრა და სადღაც გაიტაცა. იგი ქალის წინაშე მუხლებზე დაემხო და ფეხებზე კოცნა დაუწყო. ციციანომ ნელ-ნელა შეუცურა ვაჟს თმაში თითები. აფხაბი სიგიჟემ შეიპყრო: ქალს ფეხებს და მუხლებს უკოცნიდა და თან რაღაცას ლუღლუღებდა.<sup>[SEP]</sup>

ნაუს ჩახმახზე გამოსაკრავად მზად ჰქონდა საჩვენებელი თითი. რა უნდა ექნა? თუ გაისვრიდა, ქალს სამუდამოდ დაკარგავდა! თოფით ხელში რამდენჯერ მჯდარა ოთხადმოკვეცილი ნაუ ამ ხის ფულუროში! რამდენჯერ გასჩენია სურვილი, მოეკლა ციციანოს მორიგი საყვარელი, რომელსაც ქალი თავის სხეულს სთავაზობდა! მაგრამ არასოდეს ჰყოფნიდა გამბედაობა, ჩანაფიქრი აღესრულებინა, მერე კი, არაადამიანური ტკივილით შეპყრობილი, ადგილზე ირინდებოდა. მეორე დილით, განთიადისას, ნაუ საკუთარ თავს ეუბნებოდა, – ქალის საყვარელი აუცილებლად შემომაკვდებო, მაგრამ ყოველ ჯერზე ერთი და იგივე მეორდებოდა. ამასთან მის ტკივილს ერთი აზრი განჭოლავდა: ფიქრობდა, ქალი ცოტათი მაინც ხომ მეკუთვნისო, და ამ დროს მის ტკივილში ნეტარება გაერეოდა ხოლმე. ნაუს აგზნებულ ტვინში ერთი დემონური აზრი უტრიალებდა: ამქვეყნად რამდენჯერმე დაბადება და ამ ტანჯვის მუდმივად განმეორება რომ მენეროს,

მუდმივად რომ ვხედავდე, ჩემი სატრფო როგორ სთავაზობს თავის სხეულს ახალ საყვარელს, მაინც ერთი ნუთით არ დავინწყებდი ყოყმანს და ვიტყვოდი: დაე იყოს ასე, მოსალოდნელი ნეტარება მაინც ხომ ღირს ამადო. მერე ნაუ ტკივილს რომ ჩაიყუჩებდა, ისევ უთვალთვალედა ქალს, ისევ ეკვროდა სუნთქვა და გული გახეთქვაზე ჰქონდა.<sup>[SEP]</sup>

აფხაზი თავის თავს აღარ ეკუთვნოდა: ქალს მუხლებზე და თეძოებზე თავდავინწყებით კოცნიდა და ეფერებოდა, თან ნეტარების ჩუმ ხმებს გამოსცემდა. ციცილო აღარ იღიმებოდა, გრძნობდა, როგორ დაუარა მთელ სხეულში ნეტარების მრუმე ტალღებმა. ერთი ნუთიც და, მასაც შეიპყრობდა სიგიჟის ქარიშხალი. სწორედ ამ დროს, მისმა ამღვრეულმა მზერამ იგრძნო, როგორ შანთავდა მას ორი გავარვარებული ნაღვერდალი. ქალი შეკრთა. ნუთუ ეს მეგის თვალები იყო? მრუმე ტალღების ნაკადი უკუიქცა და ციცილო გონს მოეგო; მერე კი საშინელმა სასონარკვეთილებამ შეიპყრო. ამასობაში აფხაზი თანდათან გაშმაგდა – ქალის წინაშე დახობავდა, ფეხებზე კოცნიდა, რაღაცას ბუტბუტებდა და გაფართოებული ნესტოებით შეისუნთქავდა მისი მუხლების სურნელს. უეცრად ქალმა უკან დაიხია და შესძახა:<sup>[SEP]</sup>

– ჰო, მიდი, იხოხე, იხოხე... შენ ღირსი არ ყოფილხარ ჩემი შვილის სიყვარულისა!<sup>[SEP]</sup>

და ციცილო უმალ მიხვდა, რომ ეს სიტყვები იმაზე უფრო ხმამაღლა თქვა, ვიდრე იმ დროს საჭირო იყო. იქნებ იმ იმედით, რომ ისინი იმ ადგილამდე მიაღწევდნენ, სადაც წყვილი ნაღვერდალი კიაფობდა? თუმცა ახლა მისთვის ეს ვინმეს რომ ეთქვა, გადაჭრით იუარებდა. მერე

ქალმა ნაძალადევად გაიცინა. აფხაზი წამოხტა და დაინახა, რომ ქალს სახეზე ცოტახნისწინანდელი ნეტარების კვალიც კი აღარ შერჩენოდა. ახლა იგი განრისხებულ ამორძალს ხედავდა, დაუნდობელსა და შემზარავს. და ვაჟის აღფრთოვანება თითქოს ბასრმა დანამ გადასერა. იგი მტრის პირისპირ იდგა და ქალს სიამოვნებით გაუპობდა გულს, მაგრამ ხელი უმწეოდ ჩამოეკიდა ხანჯლის ტარზე: რა თქმა უნდა, იგი მონუსხეს და მოაჯადოვეს. ახლა კი განადგურებული, დამცირებული და დამარცხებული აფხაზი, წელში მოხრილი უნდა გასცლოდა იქაურობას. მთელი არსებით შეურაცხყოფილ ვაჟს სხეულის ყოველი ნაკვთი მოჩოლფოთებოდა, ქალი კი იდგა და იღიმებოდა. იცოდა: სიყვარულით თრობა ვერასოდეს ვერ განაცდევინებდა მას ამგვარ ნეტარებას. ახლა ციცილო ამ ბაკქანტს ჰგავდა, მამაკაცის მსხვერპლად შეწირვა რომ მოემთავრებინა, თუმცა უფრო შემზარავი სანახავი იყო და უფრო მაცდურად გამოიყურებოდა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ქალის ნათქვამმა სიტყვებმა გაქვავებულ ნაუს ყოველგვარი შიში გადაავიწყა, და ბოლოს და ბოლოს მოაცილა თითი ჩახმახს. იმ სიხარულსა და აღტაცებას, რომელშიც ჩუმი გულისტკივილიც ერია, ეტყობა, მთლად გაენადგურებინა მომაკვდინებელი ვნებათაღელვით შეპყრობილი ხორცის ნაგლეჯი. ნაუმ ისევ იკბინა მარცხენა ხელზე, მაგრამ ამჯერად მისი საქციელი გამძვინვარებული ცხოველის აღტაცებას ჰგავდა. ნაუ წელა გამოძვრა ფულუროდან. შემღვრეული ქარვის ფერი ჰქონდა მთვარეს. საიდანღაც ძაღლების ყფა ისმოდა.

მთის ფერდობებზე ჭიაკოკონები ბრიალებდა. შორიდან მწყემსების ღამეული შეძახილები და ნახირის ბღავილი აღწევდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ნაუ ფულუროდან გამოძვრა და ისევ შემოაბიჯა სამყაროში. მისი სული ლოცავდა თითოეულ ფოთოლს თუ ბალახის ღეროს; მერე საჩვენებელი თითი გამოკრა ჩახმახს. სროლის ხმა ლაჟვარდოვან ზეცაში აიჭრა და პირველი კოცნასავით მოკრძალებით გაიხმიანა. შინისაკენ მიმავალი ციციწო შემოტრიალდა და მსახური დაინახა; მერე მის გასისხლიანებულ ხელს შეხედა, ყველაფერს მიხვდა და თავისთან მიიხმო ნაუ. იგი მთელი ტანით ცახცახებდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მე ვიცოდი... – უთხრა ღიმილით ქალმა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მსახური მისმა ღიმილმა შეაფიქრია, რადგან არ იცოდა, რისი მაუნწყებელი უნდა ყოფილიყო იგი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

იმ ღამით ციციწომ ერთხელ კიდევ უწყალობა მას სიყვარული და ნაუმაც ეს მონყალეა ღვთაებადგარდასახული ცხოველის აღფრთოვანებით მიიღო.<sup>[P]  
[SEP]</sup>

## ხიბლი<sup>[P] [SEP]</sup>

ცხენზე ამხედრებული ასტამური მამლუქს ჰგავდა. მტაცებელი ნადირივით მოქნილი იყო, თუმცა სამეგრელოს მინას დაენრიტა მთელი მისი ძალები. აფხაზის გული მეგის დაეპყრო და დაუფლებოდა მას.<sup>[P]  
[SEP]</sup>

აშკარად გრძნობდა, რომ უყვარდა გოგონა, მაგრამ არ იცოდა, თავად მას რა გრძნობა ჰქონდა აფხაზის მიმართ. იქნებ იმ

საბედისწერო შემთხვევის შემდეგ მეგიმ ვაჟს საერთოდ შეაქცია ბურგი? ასტამურს გამბედაობა არ ჰყოფნიდა, ეს შიში საკუთარი თავისთვის გაემხილა. თუმცა მეგის დედის შემპარავი მინიშნებების შემდეგ, აფხაზს პატარა იმედის ნაპერწკალი მაინც შემორჩენოდა გულში. მაგრამ ახლა, ახლა როგორღა უნდა მოქცეულიყო, როდესაც მეგის დედასთან ასეთი ამბავი გადახდა თავს? ამ ქალთან შეხვედრამ ხომ მთლიანად გაანადგურა იგი?! მართალია, ციცინომ სისხლი აუჩქროლა, მაგრამ ეს ნამდვილად ნამიერი სისუსტე იყო, რომელმაც უმაღვე გაუარა; მაგრამ განა მან ამით საკუთარი გრძნობა არ შეურაცხყო და თავისი თავიც სამუდამოდ ლაფში არ ამოსვარა?! ამორძალმა ციცინომ აფხაზის მამაკაცური ღირსება აბუჩად აიგდო. ასტამურს ეს ვერ მოენელებინა და ახლა საკუთარი ძალების მიმართ რწმენა, და თავად ეს ძალებიც დაეკარგა.<sup>[59]</sup>

მისმა ცხენმა პირველმა იგრძნო ეს: ჭიუტობდა და პატრონს აღარ ემორჩილებოდა; ასტამური გრძნობდა, როგორ ღალატობდა ნერვები; მერე მას საკუთარი დედის განცდებიც დაემატა, რომელსაც შვილი საშინლად შეცვლილი მოეჩვენა და ძლივსლა იცნო. დედას შემჩნეული ჰქონდა, რომ მისი ვაჟი სამეგრელოდან ყოველთვის დაღლილი და ძალაგამოცლილი ბრუნდებოდა და ამას სამეგრელოს მინის ჯადო-თილისმით ხსნიდა; შვილს აფიცებდა, აღარ წასულიყო იქ და ხშირად ეუბნებოდა, – იქაური მიწა ადამიანს ერჩისო. ასტამური მართლაც გრძნობდა, რომ მასზე რაღაც ჯადო-თილისმა მოქმედებდა, მაგრამ მასში ნეტარება და ცდუნებაც იყო; ჰოდა, ამიტომაც ხშირად

გადადიოდა სამეგრელოში. მაგრამ ციცინოსთან შეხვედრის შემდეგ, როდესაც მისი ვაჟკაცური ღირსება გაითელა, გადანყვიტა, იქ აღარ წასულიყო. დედის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა.<sup>[P SEP]</sup>

მერე ასტამურმა კვლავ ჩვეული სილალე იგრძნო. სამეგრელოში მომხდარი ამბები დავინყვებას მისცა და ძალ-ღონე აღიდგინა. მამლუქი გახალისდა და დედამაც შვეებით ამოისუნთქა: ჯადო-თილისმას ძალა დაჰკარგოდა. ახლა ასტამური ისევ ხვდებოდა მეგობრებს, დაჯირითობდა, ნადირობდა და დროს ატარებდა. მეგის იერ-სახე გაუფერულდა და ციცინოზე მოგონებაც დავინყვებას მიეცა. სამეგრელოზე ფიქრები ახლა იმ სიზმარეულ სურათებს ჰგავდა, სინამდვილესთან ოდნავი შეხებით ქვეცნობიერად რომ აიშლებიან ხოლმე. ასეთი შეხების დროს ასტამური ტკივილამდე მისულ ნეტარებას გრძნობდა; მერე კი ისეთი ჩუმი და ღრმა მონატრება ეუფლებოდა, მხოლოდ ზღვის სიახლოვეს რომ განიცდიდა ხოლმე. ზღვა – ეს უკიდევანო, დაუნანვერებელი ურჩხული – ცნობიერების ზედაპირიდან ყველა სურათს შლიდა და მხოლოდ ერთ მათგანს უტოვებდა, სადღაც მიჩქმალულ, სევდიან ნეტარებას რომ აღძრავდა მასში. ასტამურს ეშინოდა ზღვისა, მაგრამ რაღაც იდუმალი ლტოლვა ენეოდა მისკენ. ასეთი წუთები იშვიათად დგებოდა, მაგრამ მას მაინც ეგონა, რომ შეძლებდა მათი სრული ბატონ-პატრონი გამხდარიყო. თუმცა, რამდენი ხნით?<sup>[P SEP]</sup>

ერთ დღეს ასტამურს მეგობარმა მიმინოს ბარტყი მოუყვანა, რომელიც იმ მიმინოსავით თეთრი იყო, ბოლო წელს სამეგრელოში

სანადიროდ რომ დაჰყავდა. აფხაზმა მიმინოს ყელზე ნაზად მოუსვა ხელი და უეცრად მოგონებამ ბასრი დანასავით დაუსერა გული. და თუმცა ახლა მიმინოს ნამგალა მთვარისებრი რეალი არ უმშვენებდა ყელს, მაგრამ სხვაფრივ მისი მსგავსება იმ მიმინოსთან გასაოცარი იყო. ფრინველი აფხაზს შეჰყურებდა და მისი მტაცებლური თვალების უძირო სიღრმიდან თითქმის საჩინოდ გაიელვა დაუვინყარმა მზერამ, მარადისობის ბნელი, მომაჯადოებელი საბურველიდან მხოლოდ ერთხელ რომ გამოკრთება ხოლმე ადამიანის ცხოვრებაში. ასტამური შეკრთა: ფრინველის თვალებში ერთი ნამით მეგრელი გოგონას ზღვასავით მოლივლივე მზერა დაინახა. გულში სევდა და სიმხურვალე იგრძნო და აფხაზი მიხვდა: ჯადო-თილისმას თავისი ძალა არ დაეკარგა, ხიბლი არ გამქრალიყო. მეორე დღეს აფხაზი პირქუშ გუნებაზე ადგა და დილაადრიან შეუდგა ცხენის შეკაზმას; ამან დედა დიდად დაამნუხრა, რადგან იცოდა, რომ შვილი კვლავ სამეგრელოსკენ დაადგებოდა გზას.<sup>[56]</sup>

როგორც კი კოდორი გადაიარა და სამეგრელოს მინდორ-ველებს მიაღწია, აფხაზი მაშინვე მიხვდა: ამქვეყნად ვერავითარი ძალა ველარ დაიხსნიდა იმ გრძნობებისაგან, ფარულად რომ აღაფრთოვანებდა და აბედნიერებდა. მთავრინას სასახლეში მისვლისთანავე, ასტამურმა თავისი გრძნობები ჯვებეს გაანდო. მეგობარმა ურჩია, მეგის ნახვას უნდა შეეცადო, თან დასძინა, გოგონას გადაჭრით უნდა დაელაპარაკო. აფხაზი დაეთანხმა მეგობარს. მაგრამ როგორ მოახერხებდა მეგისთან შეხვედრას? ჯვებეს გაგონილი ჰქონდა,

გოგონას არავის ნახვა არ უნდა, შინიდან თითქმის არ გამოდის და ცოტა ხნით, იქვე სახლთან, ახლო-მახლო თუ გაისეირნებს, ცხენზე კი საერთოდ აღარ ჯდებაო.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ამ დღიდან ჯვებემ ბუჩუსთან სტუმრობას მოუხშირა. იცოდა, რომ მხოლოდ მისგან შეიტყობდა, სად და როდის შეიძლებოდა მეგის ნახვა; ამასთან, ბუჩუს ნდობის მოპოვებას ცდილობდა და დრო და დრო, თითქოსდა შემთხვევით, ჩამოუგდებდა ხოლმე მეგიზე სიტყვას. ბუჩუამ დროს მხოლოდ იღიმებოდა და არაფერს ამბობდა. ერთხელ მან თავად ჰკითხა ჯვებეს:<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– აფხაზი ხომ არ გამოჩენილა სადმე?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ვინ იცის, იქნებ გამოჩნდა კიდეც... – ღიმილით მიუგო ჯვებემ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

აი, ახლა კი უთხრა ბუჩუმ, რომ მეორე დღეს, საღამო ხანს, მეგი სტუმრად უნდა სწვოდა. ამ ცნობამ ჯვებე ძლიერ გაახარა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მეორე დღეს, მზის ჩასვლისას, აფხაზი სოფლის შარაგბაზე, ხის ქვეშ იდგა და გოგონას ელოდებოდა; ცხენი არ წამოეყვანა თან. მშფოთვარე წუთები ზოზინით გადიოდა და აფხაზი გრძნობდა, რომ ასეთ მღელვარებას დიდხანს ვეღარ გაუძლებდა. ბოლოს და ბოლოს, როცა გოგონა გამოჩნდა და ნელ-ნელა მიუახლოვდა, აფხაზს ხანგრძლივი ლოდინისგან უკვე ძალა გამოსცლოდა. მეგის სახეს ვერ ხედავდა, მაგრამ მისთვის ახლა მის გარდა არავინ აღარ არსებობდა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

გოგონა თავჩაქინდრული მოდიოდა. სრული კაბა ეცვა, ათქვირებული ტანი რომ დაემალა. მხრებზე მოსხმული ყვითელი

აბრეშუმის გრძელი ქალაღია საიმედოდ იცავდა მას ცნობისმოყვარე თვალთაგან. თავზე თეთრი თავსაფარი შემოეხვია, რომლის ბოლოებში ნაწნავები ჰქონდა ჩანწული. გოგონა ნელი ნაბიჯით მოდიოდა, მაგრამ ამის მიზეზი მხოლოდ ბავშვი არ იყო, მუცლით რომ ატარებდა. ახლა მეგის რაღაც სხვაც აბნევდა და აშფოთებდა. მას ვერა და ვერ დაევიწყებინა ის საბედისწერო ღამე, როდესაც საკუთარი დედისა და აფხაზის შეხვედრის უნებლიე მოწმე გახდა. დიახ, ეს თავისდაუნებურად მოხდა, რადგან მეგი ვერასოდეს ვერ მიიტანდა ეჭვს დედაზე, რომელსაც აღმერთებდა. მისთვის დედა ის ლაჟვარდოვანი ცა იყო, მშვენიერებას, კდემამოსილებასა და უმანკოებას რომ განასახიერებდა. მეგის ციცინოს და ნაუს ურთიერთობაზეც არასოდეს მიუტანია ეჭვი და ამის შესახებ არაფერი იცოდა, თუმცა დრო და დრო დაიჭერდა ხოლმე ნაუს ველური სინაზით აღსავსე მზერას, ციცინოსკენ რომ გააპარებდა. მაგრამ მეგის ეს ერთგული მსახურის მზერა ეგონა, ძალღის, მეგობრის ან მონის მზერას რომ ჰგავდა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

იმ დანყვევლილ ღამით მეგი მოუსვენრობას შეეპყრო. გარეთ გამოსვლა გადანყვიტა, რადგან მთვარის შუქზე ოცნება უყვარდა. ღამე არ აშინებდა – სიმამაცე მას სწორედ დედისგან გამოჰყოლოდა, რომელსაც გამბედაობა მენიკის რძესთან ერთად შეეთვისებინა. მერე ის იყო, მეგი შინიდან გამოვიდა და ღამის უჩინარ მოსასხამში გაეხვია; მთელ სხეულში საოცარ ნეტარებას გრძნობდა. სწორედ ამ დროს ყურში ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჩაესმა აფხაზის სიტყვები – იგი ვიღაცას

სიყვარულს ეფიცებოდა. მერედა ვის მიმართავდა აფხაზი ამ სიტყვებით? მის საკუთარ დედას! გოგონას მთელ სხეულზე სიგიჟის ისეთმა ტალღამ გადაუარა, რომ ვერც კი შეიგრძნო ამ შემადრწუნებელი შეხვედრის არსი. მეგი ადგილზე შედგა და თითქოს გაქვავდა, და ეს ქვადქცეული გოგონა ალბათ ქვასავით ნატეხებად იქცეოდა, რომ არ გაეგონა დედის სიტყვები, ყველაფრის პასუხად აფხაზს რომ უთხრა: „შენ ღირსი არ ყოფილხარ ჩემი შვილის სიყვარულისა!“. მხოლოდ ამ სიტყვებმა დაუბრუნა გოგონას აბროვნების უნარი, თუმცა გონება მთლიანად დაბინდული ჰქონდა.<sup>[55]</sup>

ციცინო შვილთან ამ შეხვედრაზე დალაპარაკებას ვერ ბედავდა. ფიქრობდა, რომ მეგი თავად ჩამოაგდებდა ამაზე სიტყვას, მაგრამ გოგონა დუმდა. ნუთუ ამ ამბის გახსენება არ უნდოდა? დედა კი ფიქრობდა: „მეგიმ ან ვერაფერი ვერ გაიგო, ან იმ სიტყვებმა მისთვის ყველაფერი ცხადი გახადა“. ჰო, მეგი დუმდა, მაგრამ საშინლად იტანჯებოდა: რაღაც უჩვეულო გრძნობა დაუფლებოდა და ცდილობდა ხმა-კრინტი არ დაედრა. იმ შეხვედრის შემდეგ რამდენიმე თვე გასულიყო, მაგრამ მისი გახსენება ბასრი დანასავით უსერავდა გონებას და თავს საშინლად გრძნობდა.<sup>[56]</sup>

ახლა მეგი ნელი ნაბიჯით მიდიოდა და იმ ღამეზე ფიქრობდა. აი, უცებ აფხაზი შენიშნა და შემკრთალი მთვარეულივით შედგა. თავში უეცრად გაუელვა აბრმა, უკან გავბრუნდებო, მაგრამ ვერ შესძლო, გზა განაგრძო და სახეშეფაკლულმა და თავჩალუნულმა, ოდნავ აუჩქარა ნაბიჯს; მერე ხელები უნებურად ქალაღიაზე ჩამოისვა და ტანი

სირცხვილმა აუნვა. აფხაბს რომ მიუახლოვდა, მასში უნებურად მომავალმა დედამ გაიღვიძა; ახლა მის წინ იმ ბავშვის მამა იდგა, გულქვეშ რომ ატარებდა და გრძნობდა, როგორ ენაცვლებოდა სირცხვილს ნაბი სიხარული.<sup>[P SEP]</sup>

აფხაბი აცახცახდა. თვალში მეგის შეთქვირებული ტანი ეცა, მერე ისიც გაახსენდა, ამაზე ციცინომაც რომ გადაუკრა სიტყვა და აფხაბმა სიხარული ვერ დამალა.<sup>[P SEP]</sup>

– მეგი! – შესძახა მან.<sup>[P SEP]</sup>

გოგონა შემოტრიალდა. ასტამურის შეძახილში სიხარული და, იმავდროულად, სასონარკვეთა გაისმა; მერე სწრაფად დაინყო ლაპარაკი, თუმცა მღელვარებისგან თითქოს ყელი ეკვეტებოდა.<sup>[P SEP]</sup>

– შენ ჩემი სიყვარული ხარ! მაშ რატომ გინდა, ჩემს გულში ამ სიყვარულის ცეცხლი ჩააქრო?! – ესლა უთხრა გოგონას.<sup>[P SEP]</sup>

მეგის მთელ ტანში ჟრუანტელმა დაუარა, მერე ანაზდად თავი შემართა და აფხაბს თვალეებში შეხედა. ასტამურს ანთებული მზერა ჩაუქრა.<sup>[P SEP]</sup>

– განა დედაჩემსაც ამ სიტყვებს არ ეფიცებოდით?!<sup>[P SEP]</sup>

გოგონას ხმამ ნელ-ნელა გაჰკვეთა სიჩუმე და აფხაბი შეძრა. მეგის სიტყვები ელდასავით დაეცაგულზე, მერე ფიქრები აეშალა და მათგან ერთ-ერთს ისე ჩაეჭიდა, წყალწაღებული ხავსს რომ ეჭიდება ხოლმე.<sup>[P SEP]</sup>

– ჰო, ციცინოს ვეფიცებოდი, ოღონდ შენს გამო, მხოლოდ შენ იყავი ამის მიზეზი, მეგი! – ამოღერდა აფხაბმა ბოლოს.<sup>[P SEP]</sup>

გოგონამ თავი შემართა და გაბრწყინებული მზერა შეავლო აფხაბს.

ახლა ასტამურის სიტყვები მისთვისაც ის ხავსი იყო, წყალწალღებულებით რომ ეჭიდებოდა. მართლაცდა, ხომ შეიძლება აფხაზი იმ სიტყვებში მხოლოდ გოგონას სიყვარულს გულისხმობდა?! მეგის მზერაში ოდნავ შესამჩნევი სიხარული გამოკრთა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მაგრამ აფხაზი პირქუში სახით იდგა და ირგვლივ ვერაფერს ხედავდა; თავში აზრები აერია: საიდან უნდა სცოდნოდა მეგის ეს ამბავი? ნუთუ გვითვალთვალებდა? ნუთუ გვაყურადებდა? ეს შეუძლებელიაო, დაასკვნა ბოლოს, მაგრამ აშკარად იგრძნო, რომ თავს იტყუებდა. მერე დაიხროტინა, ძალ-ღონე მთლიანად გამოეცალა და ასო-ასო დაშლილს, სულის ყოველი კუნჭულიდან ჩახშობილი კვილის ხმა შემოესმა. გოგონას მოუსვენრობა დაეტყო. აფხაზი უსაზმნოდ ბუტბუტებდა რაღაცას. ახლა მას საკუთარი სიტყვებისა არ სჭეროდა; მერე კი შეძრწუნებულმა იგრძნო, რომ წყალწალღებულს ხელიდან ის იმედისმომცემი ხავსიც გამოეცალა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მეგი იდგა და ელოდა..<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მერედა, რას აპირებ ახლა? – ჰკითხა ბოლოს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ძალაგამოცლილი, შეყვარებული კაცისთვის ახლა ეს ერთობ საჩოთირო შეკითხვა იყო. მეგი კი მიხვდა, რომ წყალწალღებულს ის ხავსიც ხელიდან ეცლებოდა, რადგან აფხაზის სიტყვების სიყალბე იგრძნო. გოგონა იდგა და თითქოს რაღაცას ელოდა, თუმცა თავადაც არ იცოდა, რას. ასტამურს მასზე იერიში რომ მიეტანა, მერე კი უკიდევანო სივრცეში გაექანებინა, ვინ იცის, მაშინ იქნებ მეგიც აჰყოლოდა მას, და სიგიჟის თრობით შეჰყრობილი, მასთან ერთად

გაფრენილიყო. მაგრამ ახლა, ახლა რაღა უნდა ექნა?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მეგიმ შეხედა უმწეო, დაბნეულ აფხაზს და თავისი გზით წავიდა. ნირნამხდარმა ასტამურმა კი სიცოცხლეში პირველად იგრძნო, რომ თვალებს ცრემლები უსველებდა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მიგდებული ბავშვი<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მეგის ცხოვრებაში მეთვრამეტე გაბაფხულმა შემოაბიჯა. ისიც თავს სიმწიფეში შესული ნაყოფივით გრძნობდა და მართლაც: ახლა იგი საკუთარ სხეულში მოკალათებული, მზარდი ნაყოფი იყო. გოგონა გაბაფხულის მზეს ეფიცებოდა და მისი სითბოთი შეთვალული ყურძნის მტევანივით ხარობდა. ნეტარებას მოეცვა მისი ნორჩი სხეულის თითოეული ნაკვთი; მაგრამ ახლა ის ზრდასდახარბებული ნაყოფიც ვერ მალავდა თავის სიხარულს, თუმცა ბნელი წიაღიდან ამოზრდილი, მეყსეულად მაინც გრძნობდა, რომ თავზე უხილავი ჩრდილი გადაფარებოდა. მეგის მთელი სხეული საშინელ სირცხვილს შეეპყრო. მისი საიდუმლო ციცინომ და მენიკიმ კი იცოდნენ, მაგრამ იგი აფხაზისთვისაც ცნობილი თუ იყო, ამის თქმა არ შეეძლო. გოგონა თავს უხერხულად გრძნობდა, და სირცხვილით წითლდებოდა, როდესაც ხედავდა, დედა და ძიძა გამომცდელი მზერით როგორ დაუვლიდნენ ხოლმე მისი კაბის ფართო ნაკვეთებზე მიმაღულ ტანს. ციცინომ და მენიკიმ იცოდნენ ეს და ცდილობდნენ მისთვის მზერა აერიდებინათ. სახლში სიჩუმეს დაესადგურებინა. დედა და ძიძა ცოტას ლაპარაკობდნენ. მეგი კი მთლად დამუნჯებულიყო. ის ახლა ნაყოფი იყო, საკუთარ წიაღში ნაყოფს რომ ატარებდა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

აფხაზთან უკანასკნელმა შეხვედრამ გოგონ მთლად დააბნია და იმ დღიდან მოყოლებული, გულში საშინელ სიცარიელეს გრძნობდა. მეგის სტანჯავდა და საგონებელში აგდებდა ციცინოს საიდუმლო პაემანი აფხაზთან, თუმცა დედას ამაზე ვერაფერს ეკითხებოდა. იცოდა, რომ ეს შეკითხვა მათ დედაშვილურ სიყვარულს გაანადგურებდა. გოგონა ცდილობდა, თავისი შეცბუნება დაემალა და ამას ახერხებდა კიდევ, თუმცა ხანდახან დედას მაინც შეავლებდა ხოლმე

მშფოთვარე მზერას და ამით საკუთარ თავს გასცემდა. ეს უფრო იმ დროს ხდებოდა, როდესაც ვატო გოგონას ხატავდა; მეგი გუმანით ხვდებოდა, რომ კაცი მზერით ამიშვლებდა, მის დამორჩილებას ცდილობდა და რაღაცის გამოძალვას აპირებდა; ასეთ წუთებში გოგონა საშინლად ღიზიანდებოდა და თუ ამ დროს დედა ახლო-მახლო გამოჩნდებოდა, მას თითქმის სიძულვილით უყურებდა. ციცინო აშკარად გრძნობდა შვილის მზერას, მაგრამ ასეთ გაღიზიანებას მის ფეხმძიმობას აბრალებდა და ძალიან ღელავდა.<sup>[SEP]</sup>

მეგი ყველასგან განმარტოებას ცდილობდა, მეგობრებს აღარ ხვდებოდა და ცხენითაც აღარ დაჭირითობდა; ახლა გოგონა მარტოდმარტო სეირნობდა და ბალახისა და ნოტიო მიწის სურნელს შეისუნთქავდა; მერე წყაროსთან მიდიოდა და მის მოსარკულ ზედაპირს დაჰყურებდა, ხედავდა, როგორ ირეკლებოდა კამკამა წყალში ცის ლაჟვარდი, როგორ რიალებდნენ მასში ხის ფოთოლთა ჩრდილები. გოგონა ტკბებოდა წყაროს წყლის მჭვირვალეობით, მაგრამ გულიც ნაღველით ევსებოდა: გრძნობდა, რომ ის ძველი მეგი აღარ

არსებობდა, და წყაროს თვალს არიდებდა.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

ასე მოხდა დღესაც. მირკანი იდგა. ირგვლივ გაბაფხულის სუნთქვა ისე ძლიერად იგრძნობოდა, თითქოს სურს გოგონა, – მისივე წიაღიდან ამოზრდილი ეს ნაყოფი, – შთანთქას და მოსრასო. მეგიმ შარშანდელი გაბაფხული გაიხსენა; როგორ არ ჰგავდა იგი წლევანდელს! მაგრამ ალბათ გაბაფხულის კი არა, თავად მისი ბრალი იყო, ასე რომ შეიცვალა. გოგონა დაიძაბა. ახლა საკუთარი თავის დანახვა რომ შესძლებოდა, შეძრწუნებული უმაღლეს მიხვდებოდა, რომ მის თვალეში სამუდამოდ ჩამქრალიყო ჩვეული სხივმოსილი სიკაშკაშე. მეგის მხედრებიც გაახსენდა, განსაკუთრებით კი ის, თეთრი მიმინო რომ ეჭდა ხელზე. რა ახლობელი და თან რა შორეული იყო ახლა ეს ყველაფერი! რა სიყვარულით აღსავსე იყო იმხანად ის დღე, და რა პირქუში ჩანდა ახლა! იქნებ მზის კაშკაშა სხივები აყენებდა მას ასეთ ტკივილს? მეგი გრძნობდა, რომ დაჭრილი იყო და ჭრილობას პირი ჰქონდა დაღებული.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

უეცრად მეგი შეკრთა და მიაყურადა. სულ ახლოს ცხენის ფლოქვების ხმა შემოესმა. მეგი გვერდზე გახტა და ბუჩქებში დაიმალა. მაშინ კი, წყაროში ბანაობისას, მხედრების გამოჩენაზე არ დამალულა და მხოლოდ ყმანვილქალურად დაირცხვინა. აი, ახლაც გამოჩნდა ორი მხედარი. მეგი თვალეებს არ უჭერებდა: წყაროს ჭვებე და აფხაზი უახლოვდებოდნენ! ბოროტი მოჩვენებები ხომ არ გამოეცხადნენ? ან იქნებ სიზმარში ხედავდა მათ? მეგი ბუჩქებში გაირინდა და მხედრებს დაუწყო თვალთვალი. მიმინო არცერთ მათგანს აღარ ეჭდა ხელზე.

მერე ისინი მაშინდელივით მივიდნენ წყაროსთან, თან ხუმრობდნენ და იცინოდნენ. ცხენები ცივი წყლით დარწყულდნენ. ახლა მეგის მხედრების ნათქვამი ყოველი სიტყვა გარკვევით ჩაესმოდა ყურში.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ალბათ გახსოვს, არა? – ჰკითხა ჭვებემ მეგობარს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– რა უნდა მახსოვდეს? – გაისმა შეკითხვაზე შეკითხვა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ის გოგონა... მეგი... აქ რომ ვნახეთ?<sup>[P]  
[SEP]</sup>

– რა თქმა უნდა, მახსოვს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჭვებემ ეშმაკურად გაიღიმა. მერე შეპარვით ჰკითხა მეგობარს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ნუთუ სულ დაივიწყე?<sup>[P]  
[SEP]</sup>

– აფხაზეთში და სამეგრელოში განა ცოტანი არიან ლამაზი გოგოები?<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ოჰო, მაშ ასეა საქმე?<sup>[P]  
[SEP]</sup>

იმ წუთში მეგი გამიშვლებული ნერვივით ათრთოლდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– აბა, შენ რა გეგონა? – აფხაზმა ამ სიტყვებზე თავხედურად გაიცინა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ეს სიტყვები კი მას უნებლიედ, თავის მოსაწონებლად წამოსცდა, რადგან გულში სულ სხვა რამეს გრძნობდა. ადამიანის სულში ჩასახლებული დემონი ხომ მასზე ძლიერია, მით უფრო, თუ საქმე ამ დროს ქალს ეხება! სწორედ ეს იყო ახლა აფხაზის ენაწყლიანობის მიზეზი. ის კი არ იცოდა, რომ ეს ენაწყლიანობა აქ, ამ წუთში მის ბედისწერას განსაზღვრავდა! და ახლა მისი ბედისწერა მეგი იყო! და, იმ ნივთიერების მსგავსად, ქიმიური პროცესის დროს რომ იშლება, აფხაზის სიტყვების შემდეგ, ეს ბედისწერაც ნანილებად დაიშალა.

მეგისაც სწორედ ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ დანაკუნებულები; მერე კი, როდესაც ეს ნაწილები ნელ-ნელა კვლავ ერთ სხეულად შეიკრა, დაინახა, რომ მხედრები უკვე ნასულიყვნენ.<sup>[P SEP]</sup>

სალამოს მეგიმ საშინელი ტკივილები იგრძნო და მშობიარობა დაეწყო. ციცილო ძალიან ღელავდა. მენიკიმ დრო გამოთვალა და გოცებულმა დაადგინა, რომ მეგის მშობიარობამდე ერთი თვე კიდევ აკლდა. მერე, რაკი მიხვდა, რომ ნაადრევი მშობიარობა იყო, საამისოდ მზადება დაიწყო, რადგან ბებიაქალობაც მშვენივრად ეხერხებოდა. ვატო ამ დროს გურიაში იყო და ქალები მარტონი დარჩენილიყვნენ; ამიტომ ახლა ნაუს დახმარება დასჭირდებოდათ, რომელმაც მეგის ამბავი არ იცოდა. ციცილო დარწმუნებული იყო, რომ ნაუს ნდობა, როგორც საერთოდ ყველაფერში, ამ საქმეშიც უცილობლად შეიძლებოდა და მას მეგის საიდუმლო გაანდო. საბრალო გოგონა ტკივილებს უდრტვინველად იტანდა, ბედს მინდობოდა და ერთხელაც არ დაუყვირია.<sup>[P SEP]</sup>

ბავშვი შუალამისას დაიბადა, და რაკი ბიჭი გაჩნდა, მენიკი დიდად იმედგაცრუებული დარჩა. ამასობაში ციცილომ დრო იხელთა, ყველაფერი ანონ-დანონა და ნაუს დახმარებით, თავისი ჩანაფიქრი შეუფერხებლად შეისრულა. შუალამე რომ გადავიდა, ეზოდან ბავშვის ტირილი მოისმა. მსახურებმა გაიღვიძეს, გარეთ გამოვიდნენ და ღობესთან მიგდებული ჩვილი დაინახეს. მერე კი ბავშვი ერთ-ერთი მსახურის ცოლს ძუძუმე მიუყვანეს.<sup>[P SEP]</sup>

ციცილო გახარებული იყო, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა,

მენიკი კი დანაღვლიანებული ჩანდა იმის გამო, რომ გოგო არ გაჩნდა. ახლა ორივე ქალი ჩვილზე ფიქრობდა. მეგის კი საერთოდ არ ანაღვლებდა ახალშობილი და მის მიმართ არავითარი დედობრივი გრძნობა არ გასჩენია. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მის სხეულში, თავადაც რომ არ იცოდა, რა გზით, შემთხვევით მოხვდა რაღაც უცხო სხეული, რომელიც მან უჩინარი ძალის წყალობით, კვლავ გამოდევნა თავისი სხეულიდან. მეგის არ უნდოდა ამაზე ფიქრი, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ მან ბავშვი კი არ დაბადა, არამედ თითქოს საიდანღაც ამოანთხია... საბრალო ბიჭი მისთვისაც მიგდებული ბავშვი იყო.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მერე მეგის ჩაეძინა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

## სამი დარტყმა<sup>[P] [SEP]</sup>

მეგი ისევ იმ ნაცნობი ხის ქვეშ დაესვა მხატვარს. მზე ზომიერად აცხუნებდა და გოგონას საამო სითბო ეღვრებოდა მთელ სხეულში; ახლა უკვე აღარ ჰქონდა იმის შეგრძნება, თითქოს მხატვარი მისთვის რაღაც საიდუმლოს გამოძალვას ცდილობდა. მშობიარობის შემდეგ უფრო განაზებულებიყო და სიამოვნებას ჰგვრიდა მშვენიერი ფერებით შესრულებული სურათის ხილვა. დედამინას მთელ სხეულზე გაბაფხული გადაჰფენოდა და ახლადაფეთქებულ კვირტებში მისცემოდა განცხრომას. მხატვარი მთელი არსებით შეიტკბობდა მინდორ-ველები სურნელს, ახლა მისთვის ფერები კვირტები იყო და თავს ბედნიერად გრძნობდა, რომ მის ტილოზე რაღაც ახალი, ამ

ყვავილების შესაგვანი რამ იბადებოდა. მეგი ჩუმად იჯდა, ტუჩებზე მწველი ვნება დასთამაშებდა, თვალეში კი ნაზი სევდა ჩასდგომოდა. მხატვარს მზერა გოგონასა და პორტრეტს შორის დაურბოდა; და აი, უცრად იგი ხატვას შეეშვა, გუნებაში გაიფიქრა, – რაც მინდა, არა და არ გამომდისო, და ფუნჯით სურათზე ბოლო მონასში გააკეთა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

იქვე შორიახლოს ნაუ მუხის ტოტებს დაბლა ხრიდა, ასწორებდა და მინაში ჩასობილ ძელებზე ერთნაირი დაშორებით ამაგრებდა; ასე ხელს უწყობდა მუხას, რომ დაბურული ჩრდილი მოეცა. მსახურს პერანგის სახელოები აეკაპინებინა და დაკუნთული მკლავები მოუჩანდა. მკლავებზე ნაუს გველებშემოხვეული ქალები ამოესვირინგებინა. საერთოდ, მუშაობის დროს, მკლავების გაშიშვლება არ სჩვეოდა, ახლა კი რატომღაც მკლავებდაკაპინებული საქმიანობდა. თან გრძნობდა, რომ მხატვარი დრო და დრო გაკვირვებით შეავლებდა ხოლმე თვალს მის სვირინგებს, ჰოდა, დარცხვენილი ნაუ უფრო გაგულისებით განაგრძობდა თავის საქმიანობას.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ნაუ, რა გაქვს მანდ, მკლავებზე? – მოულოდნელად ჰკითხა მხატვარმა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ამ შეკითხვამ ნაუს წარსულზე სევდიანი მოგონებები აუშალა: ათი წლის ბიჭი თურქეთში მონად გაყიდეს და სახელად ოსმანი დაარქვეს. მერე მდიდარ ოჯახში მოხვდა, მაგრამ ძალიან იდარდა და, ერთი სული ჰქონდა, იქიდან გამოქცეულიყო. თხუთმეტი წლისამ გაქცევა მოახერხა და რიბეში ჩავიდა, სადაც ერთმა ლაზმა შეიფარა. მერე

ოსმანმა მებორნედ დაიწყო მუშაობა, სამი წლის შემდეგ კი კოლხეთის ნაპირს მოადგა. ზღვაზე მოგზაურობის დროს ნაუმ ბევრი მეზღვაური გაიცნო და მკლავებიც მათი წამხედურობით დაისვირინგა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

სევდიან მოგონებებში წასულ ნაუს, სწორედ ამ დროს, მჭახე ხმით ვიღაც მოხუცი შეეხმიანა:<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ღმერთმა დაგლოცოს, ნაუმ!<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

ეს უტუ იყო, რომელიც შეუმჩნევლად მიახლოებოდა. ნაუმ მუშაობა შეწყვიტა და ბეითალი თავლაში შეიყვანა. ბერიკაცი მივიდა ცხენთან, თვალებიდან ნაპერწკლებს რომ ჰყრიდა. ეს ციცინოს ცხენი იყო.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ახლოს არ მიხვიდე! – დაუყვირა ნაუმ.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

ეს ცხენი თავისი ველური და შმაგი ბუნებით გამოირჩეოდა და, ციცინოს და ნაუს გარდა, სიახლოვეზე არავის იკარებდა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

უტუს მსახურის გაფრთხილება არაფრად ჩაუგდია და ცხენთან ისე მივიდა, თითქოს მისი დიდი ხნის ნაცნობი ყოფილიყო; მერე ბერიკაცმა ცხენს ყელზეც მოუთათუნა ხელი. შემინებული მსახური ენაჩავარდნილი იდგა და გაოცებით შეჰყურებდა მას; და მხოლოდ ახლა დარწმუნდა, რომ უტუ ნამდვილად მისანი და ჯადოქარი იყო.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– აბა, სად არის დავარდნილი პირუტყვი? – იკითხა ბეითალმა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– აი, მანდვეა, ვერ ხედავ? – მიუგო ნაუმ.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

ბერიკაცი ჩონჩხადქცეულ ცხენს მიუახლოვდა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– გარეთ უნდა გავიყვანოთ, – თქვა მან.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

ცხენის აჩრდილი გარეთ გაიყვანეს.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

ჭუჭისთვალეებიანმა ბერიკაცმა, კრამანისებური გამჭოლი მზერა

რომ ჰქონდა, ცხენს ჯერ დრუნჩი გაულო და ჩაყვითლებული, დაჭიანებული და მოცვეთილი კბილები გაუსინჯა; მერე ყურები დაუჭიმა და ნიჟარებში ჩახედა; ისიც ნახა, რომ პირუტყვს ბალანშემოცლილ კოჭებზე მთლიანად სირსველა მოსდებოდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მოხუცმა ცოცხალი ჩონჩხი ებოში გაატარ-გამოატარა და თავისთვის ჩაიდუდუნა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ეს მალე ჩაძალღდება!<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჯუჯა კაცის ნათქვამი „ჩაძალღდება“ ნაუს შხამივით ჩაენვეთა ყურში, უმალ გაბრუნდა და კვლავ საქმეს შეუდგა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ბერიკაცის სიტყვები მხატვარმაც გაიგონა და გულმა რეჩხი უყო.<sup>[P]  
[SEP]</sup>

უტუს მთელ სამეგრელოში ღვთისმგმობელ კაცად იცნობდნენ და ცხოველზე მისი ნათქვამი „ჩაძალღდებაო“ სწორედ ამ აზრის დასტურად მოეჩვენა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– რატომ თქვი, „ჩაძალღდებაო? გეთქვა „მოკვდებაო“, – შესძახა უეცრად მხატვარმა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჯუჯა შემობრუნდა. ცბიერი მზერა გაბოროტებოდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– თითქოს სულერთი არ იყოს, როგორ ვიტყვი: „ჩაძალღდება“ თუ „მოკვდება“. ვითომ რა განსხვავებაა მათ შორის? – თქვა ბერიკაცმა და ხანმოკლე დუმილის შემდეგ, გაბრაზებულმა დასძინა: – დიახ, ჩაძალღებით ყველანი ჩავძალღდებით: შენც, მეც, ეს ბენტერა ნაუც, ციციოც და...<sup>[P]  
[SEP]</sup>

მაგრამ ბერიკაცმა ჩამონათვალი ვეღარ დაასრულა. ნაუმ უზარმაზარი ტოტი მთელი ძალით (ნაუ ძალიან ღონიერი იყო) დაბლა

დაინოდა, ისე, რომ ტოტი მოტყდა და მასთან ერთად ნაუც მიწაზე დაენარცხა. ტვინში თითქოს ელვამ დაუარა, მერე კი ერთ წამში იმ ელვად გადაიქცა, ტოტი ძირს რომ დასცა და თავადაც იმ მოტეხილ ტოტად აქცია. ნაუს ადრე არასოდეს უფიქრია სიკვდილზე, ისევე როგორც ცხოველს არ სჩვევია ამაზე ფიქრი. განა ვეფხვს შეუძლია იმ დროს სიკვდილზე ფიქრი, კამარასრომ შეკრავს და მაღალი კლდიდან გადმოხტომას დააპირებს? ახლა კი უტუს ნათქვამმა სიტყვებმა ისარივით განჭოლეს ნაუს გული. ნეტავი ჯუჯა სახელების ჩამოთვლის დროს მის სახელზე შეჩერებულიყო! რა მოხდებოდა, ციცინოს სახელი არ ეხსენებინა?! მაშინ ხომ ელვა აღარ დაუვლიდა ნაუს ტვინში? მაგრამ ნაუ აღარ ფიქრობდა, უბრალოდ აღარ შეეძლო ფიქრი. ახლა მას ტოტი ჩაებლუჯა და მიწაზე იწვა; ცოტა ხანში, პირქეში და განადგურებული ნაუ ფეხზე წამოდგა. ჯუჯა იცინოდა და სიცილის დროს ჩაყვითლებულ, ყბამდე გაცვეთილ კბილებს აჩენდა. მხატვარსაც გაეცინა და მეგის ხანმოკლე სიცილიც კი გაისმა.<sup>[SEP]</sup>

– ოჰ, შე ბენტერავ, შენა! – უთხრა მსახურს გამხიარულებულმა ბერიკაცმა.<sup>[SEP]</sup>

ნაუს კი სულაც არ ეცინებოდა და იგი პირქეში სახით ისევ ხისკენ მიტრიალდა.<sup>[SEP]</sup>

– მაშ, რაო, რა თქვი, ყველანი ჩავძალღდებითო? – ჰკითხა ბერიკაცს მხატვარმა.<sup>[SEP]</sup>

– ჰო, რა თქმა უნდა, ყველანი ჩავძალღდებით... ყველაფერი წარმავალია... – მიუგო მოხუცმა და ცხენს ტკიპა მიასრისა ზურგზე.<sup>[SEP]</sup>

მხატვარი არ ეშვებოდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ისე, რომ აღარაფერი დარჩება?<sup>[P]  
[SEP]</sup>

– აღარაფერი... აღარაფერი, – იყო ბერიკაცის პასუხი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

იგი სიკვდილზე ისე ლაპარაკობდა, თითქოს ეს ყოველდღიური, ჩვეულებრივი ამბავი იყო. მერე ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. ბერიკაცი დაფიქრდა და ბოლოს თქვა:<sup>[P]  
[SEP]</sup>

– სხვათა შორის, სამყაროზე ამას ვერ იტყვი. ყველაფერი მოისპობა, სამყარო კი არა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მერედა, რატომ ხდება ასე? – ჰკითხა მხატვარმა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ეგ ეშმაკმა უნყის... – მიუგო ჯუჭამ და ისევ მხიარულ გუნებაზე დადგა. მეგი დაძაბული უსმენდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მხატვარი მაინც არ ეშვებოდა ბერიკაცს და ისევ ჰკითხა:<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მაინც რას ფიქრობ ამაზე?<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჯუჭა ჯერ დაფიქრდა, მერე კი, მასში თითქოს ვიღაც სხვა ალაპარაკდაო, თქვა:<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ყოველივე ცალკეული წარმავალია; აი, მთლიანი სამყარო კი სიცოცხლეს განაგრძობს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ასე დაბნეულად, მიკიბულ-მოკიბულად ლაპარაკობდა ჯუჭა, გაოცებული მხატვარი კი უსმენდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ფოთოლი რომ ჭკნება, მის ადგილას სხვა ამოდის; როცა ჩავძაღლდები, მატლები შემჭამენ და მერე ალბათ მეც მატლად გადავიქცევი... მატლიც ხომ შეჭხარის მზეს... ასეა ეს... მე მგონია, რომ ასეა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მატლი როგორღა შეჰხარის მზეს? შენ ხომ აღარ იარსებებ, მზეს ხომ ვეღარ დაინახავ? – არ ეშვებოდა ბერიკაცს მხატვარი. ჭუჭა ერთიანად წამოენთო.<sup>[P]<sub>SEP</sub>]</sup>

– განა სულერთი არ არის, ვინ შეჰხარის მზეს? რა მნიშვნელობა აქვს, მე ვიქნები ეს თუ მატლი? მთავარი აქ მხოლოდ ის არის, რომ სიხარულს საერთოდ იგრძნობს ვიღაც, და ეს ყოველთვის ასე იქნება.<sup>[P]<sub>SEP</sub>]</sup>

– კი, მაგრამ, მატლს გაახსენდება, ერთ დროს უტუ რომ იყო?<sup>[P]<sub>SEP</sub>]</sup>

– ისევ შენსას გაიძახი, არა? – ღიმილით თქვა ბერიკაცმა, – გითხარი, ეგ არ არის მთავარი-მეთქი; ისე კი, კაცმა რომ თქვას, რატომ არ შეიძლება, მატლმაც გაიხსენოს ეს... ჰა, ჰა, ჰა; ხანდახან მეც მეჩვენება, თითქოს ერთ დროს რაღაც სხვა არსება ვიყავი, აი, მაგალითად, ერთი ბომბორა ძალღი... ჰა, ჰა, ჰა.<sup>[P]<sub>SEP</sub>]</sup>

მოხუცმა გაიცინა და მხატვარმა ერთი წამით გაიფიქრა, რომ ეს შეშლილის სიცილი იყო. თუმცა, განა ეს თავად მის შეშლილობას არ ჰგავდა? და ვატო გაირინდა, შეშინებული მეგი კი საკუთარ თავში შეიყუჟა. ახლა მხოლოდ ნაუ გამოიყურებოდა მშვიდად, გონს მოსულიყო და კვლავ ჩუმად საქმიანობდა.<sup>[P]<sub>SEP</sub>]</sup>

მხატვარს ფიქრები ერეოდა თავში; მერე ერთი წამით გაუელვა აზრმა – „ვინ იცის, იქნება ბერიკაცი მართალია, როცა ამბობს, სამყარო მხოლოდ მთლიანობაში აგრძელებს სიცოცხლეს, ჩვენ კი მარტოოდენ მისი თვალწამი, მისი ერთი გულისცემა ვართო?“ ახლა მხატვარს ასევე უეცრად „ეიდოლონი“ ამოუტივტივდა გონებაში; ნუთუ

„ეიდოლონი“ მარადისობის თვალწამია? ნუთუ მასში ღვთაებრივის მხოლოდ ერთი მხერა გამოსტვივის? მერე მხატვარმა სურათს შეხედა და შეკრთა: იქნებ ეს სურათიც ის უსახელო იერ-სახე და მისი ერთ-ერთი თვალწამის წარმავალი გამოსახულებაა? და განა ხელოვანიც დაუცხრომლად იქითკენ არ მიილტვის, რათა ამ გამოსახულების თაურსაწყისი მასალაში გადაიტანოს?<sup>[P SEP]</sup>

ამ თითქოსდა მეტისმეტად გაბედულმა აზრმა მხატვარი შეაშინა. მერე კი, ბერიკაცის სიცილი გაისმა, ისევ და ისევ ცხენს რომ დასტრიალებდა თავს.<sup>[P SEP]</sup>

– მეგი, ხომ არ გახსოვს, იმ აფხაზს რა ერქვა? მგონი, ასტამური, არა? იცი, თურმე ხათუნა დიდიას რომ ირთავს ცოლად? ბუჩუსგან გავიგე ეს ამბავი. – მიმართა გოგონას უტუმ.<sup>[P SEP]</sup>

ეს მესამე დარტყმა იყო. მეგი გაფითრდა და წარბები შეკრა. მხატვარს მოეჩვენა, რომ სურათზე გამოსახულება შეკრთა და შიში უფრო გაუძლიერდა.<sup>[P SEP]</sup>

ბერიკაცი მზაკვრულად იღიმებოდა.<sup>[P SEP]</sup>

ხათუნა დიდიან.<sup>[P SEP]</sup>

ამორძალების ეზოში ადრიანი დილით მათხოვარმა შემოაბიჯა. სამეგრელოში ნებისმიერი ადამიანი სასურველი სტუმარია. მათხოვარი ცალ ფეხზე კოჭლობდა, მარცხენა თვალი გაქექილი ჩვრით ჰქონდა ახვეული და მხოლოდ მარჯვენა მოუჩანდა. გაუბედავად დადიოდა, თითქოს რაღაცის ეშინიაო. მერე საგანგიოსთან მივიდა, საიდანაც ამ დროს შუახნის ქალი გამოვიდა. ხელში სამიოდე

თვის ჩვილი ეჭირა; ქალი მათხოვრის დანახვაზე საგანგოში შებრუნდა, ცოტა ხანში ხის ჯამით რამდენიმე ნაჭერი ცივი ლომი გამოიტანა და მათხოვარს მიანოდა. ისიც ხის ქვეშ ჩამოჭდა და უხმოდ დაინყო ჯამა. ჩვილს მშვიდად ეძინა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– სადაური ხარ? – ჰკითხა მათხოვარს ქალმა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ქვემო იმერეთიდან ვარ, – მიუგო მან.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჩახლეჩილი ხმა ჰქონდა და თითქოს ლაპარაკიც უჭირდა. მარჯვენა სალი თვალით ყურადღებით ათვალიერებდა ჩვილს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– შენი შვილია? – ჰკითხა მერე ქალს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– არა, ღობესთან მოგვიგდო ვიღაცამ, – მიუგო ქალმა და პატარას თავზე გადაუსვა ხელი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ბიჭია? – ისევ იკითხა მათხოვარმა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ჰო, ბიჭია!<sup>[P]  
[SEP]</sup>

ეს რომ თქვა, ქალმა სამჯერ გადააფურთხა: შეეშინდა, ბავშვს უცხო თვალი არ ეცეს და რამე არ ავნოსო.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მათხოვარმა ჯამა შეწყვიტა. მარჯვენა ხელში ისევ ეჭირა ლომის ნაჭერი, სალი თვალით კი ჩვილს ისე ხარბად ჩაშტერებოდა, თითქოს მის გადაყლაპვას ლამობსო. ამ დროს აივნის მხრიდან ფეხის ხმა მოისმა. მათხოვარი მიტრიალდა და საბეიმოდ გამონწყობილი მეგი დაინახა, რომელიც მათკენ გამოემართა. მათხოვარი გაილურსა და გოგონას ჩუმი ხმით მიესალმა. მეგიმ პასუხად რალაც ნაიბუტბუტა და ძიძასთან მივიდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ნუხელ ღამით ახველებდა? – ჰკითხა ქალს და ბავშვზე აჩვენა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ცოტათი, – მიუგო ქალმა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მათხოვარი მეგის აკვირდებოდა: მან ჩვილი ისე მოიკითხა, თითქოს ძაღლის ლეკვზე ლაპარაკობდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– რა ლამაზი ბავშვია! – თქვა მათხოვარმა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ძაღლის ნაშიერია! – აღმოხდა გოგონას.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– რა ლამაზი და თან რა ავი ხარ!<sup>[P]  
[SEP]</sup>

მეგი გატრიალდა. ამ ჩახლეჩილი ხმის გაგონებაზე გულმა რეჩხი უყო და ისევ მკაცრი სახით გახედა მათხოვარს. იმ ნუთში მეგი მართლაც რომ მშვენიერი და თან ავი იყო!<sup>[P]  
[SEP]</sup>

გოგონა ბუჩუსთან წავიდა; ხათუნა დიდძალ სახელის გაგონებამ მოსვენება დაუკარგა. ვინ უნდა იყოს ეს ქალი? ნეტავ ლამაზი თუა? ეს კითხვები მოსვენებას არ აძლევდა მეგის და ფიქრობდა, უნდა გავიგო, სად და როდის შეიძლება მისი ნახვაო. მან მხოლოდ ის იცოდა, რომ ხათუნა მეზობელ სოფელში ცხოვრობდა. ეს იყო და ეს. მერე აბრად მოუვიდა, დღეს კვირაა და ალბათ ეკლესიაში მოვაო. მეგი ოდიშარიების ეზოში შევიდა. ბუჩუ მეგობარს გამოეგება და გოგონებმა ერთმანეთი მოიკითხეს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– რატომ გამოპრანჭულხარ ასე, რა მოხდა? – ჰკითხა ბუჩუმ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– აქვე მეზობლად, ეკლესიაში უნდა წამომყვე! – უთხრა მეგიმ და თან სოფელი დაუსახელა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ჩვენს ეკლესიაში რატომ არ გინდა წასვლა? – ჰკითხა მეგობარმა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– იცი, რატომღაც მგონია, იქ უფრო აჯობებს, ვიდრე ჩვენთან, სადაც

ყველა ერთმანეთს იცნობს, – მიუგო მეგიმ დარცხვენით.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

ბუჩუმ მეგობარს სახეზე შეხედა და მიხვდა, რომ მას ახლა გასართობად ნამდვილად არ ჰქონდა საქმე. უეცრად ხათუნა გაახსენდა და ახლა უკვე იცოდა: მეგის მეტოქის ნახვა უნდოდა, რომელსაც იმ ეკლესიაში აუცილებლად შეხვდებოდა. ბუჩუმ მეგობარს ოდნავ შესამჩნევი ღიმილით შეხედა, მაგრამ მეგი დუმდა. „ნეტავ რას იზამს, ახლა ხათუნაზე რომ ჩამოვუგდო სიტყვა“? – გაიფიქრა ბუჩუმ, მაგრამ ხმის ამოღება ვერ გაბედა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– კარგი, ნავიდეთ! – თქვა ბოლოს და ტანსაცმლის გამოსაცვლელად გავიდა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

გოგონები ეკლესიასთან ისე მივიდნენ, რომ ერთმანეთს თითქმის არ დალაპარაკებინან. ერთიჯ და მეორეჯ სიამოვნებით ჩამოაგდებდა ახლა სიტყვას ხათუნაზე, მაგრამ ამის გამბედაობა არც ერთს არ ჰყოფნიდა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ხათუნა დიდია ალბათ ეკლესიაში იქნება, – ბოლოს მაინც გაბედა თქმა ბუჩუმ და საკუთარმა ნათქვამმა თავადვე შეაშინა. მეგი ოდნავ გაფითრდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია, ბუჩუმ კი უხერხულობა იგრძნო და განითლდა. მერე გოგონები უხმოდ შევიდნენ ეკლესიის მესერშემოვლელ ეზოში.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

წირვა თითქმის მთავრდებოდა, როდესაც ეკლესიაში ვიღაც ტანკენარი გოგონა შემოვიდა. „ხათუნა დიდია მოვიდა“, – გაისმა ჩურჩული. მეგიმ ახალმოსულს შეხედა. ბუჩუმ ეს იგრძნო და თავი შეიკავა, რომ არ გაღიმებოდა. ხათუნამ მიმოიხედა. ნატიფი პროფილი

ეგვიპტის დედოფალს მიუგავდა, მოციმციმე, მუქ თვალებში ბედნიერების შუქი ჩასდგომოდა; ნაწნავები თავსაფრის ბოლოებში ჩაენწა, თმა არ უჩანდა, მაგრამ შავი უნდა ჰქონოდა; ზედა ტუჩზე ოდნავ შესამჩნევი, ნაზი ღინღლი მოუჩანდა, მარჯვენა ლოყას პატარა, საყვარელი ღრმული უმშვენებდა და მთელი მისი სხეული ზღვის ფოლადისფერი ტალღის ბრწყინვალეობით იყო გარემოსილი.<sup>[P SEP]</sup>

მეგი შეკრთა. დაინახა, რომ მეტოქე ძალზე ლამაზი იყო, მაგრამ შური არ უგრძნია და მხოლოდ იმას მიხვდა, რომ შეჭიბრში უნდა ჩაბმულიყო; გოგონამ ახლალა გააცნობიერა, რომ სილამაზე თავადაც არ აკლდა; იმ წუთში იგრძნო, მისი ეს სილამაზე ძლიერი ნაკადივით როგორ შეერთო იმ ძალებს, მეტოქესთან შეჭიდება რომ განემრახათ.<sup>[P SEP]</sup>

ხათუნა ლოცულობდა. მეგი მალულადაკვირდებოდა მეტოქეს. ბუჩუსაც არ გამოჰპარვია მეგობრის დაჟინებული მზერა, რომელშიც ბევრ რამეს ამოიკითხავდა კაცი. ახლა ხათუნასაც შეცვლოდა გამომეტყველება – თითქოს ყველანაირი ხალისი დაჰკარგოდა და გაქვავებული, თავდავიწყებით ლოცულობდა. ეტყობოდა, ირგვლივ ვერავის ამჩნევდა; ეგვიპტის დედოფალი ახლა მონაზონ ბეატრიჩედ გარდასახულიყო და მთელი მისი არსება სასოებრივ სევდას მოეცვა.<sup>[P SEP]</sup>

მეგი თავისებურად კმაყოფილი იყო.<sup>[P SEP]</sup>

წირვა დამთავრდა. ხალხი ეკლესიიდან გამოვიდა. ახლა მეგი ცდილობდა, მეტოქე მხედველობიდან არ დაჰკარგოდა და თვალს არ ამორებდა მას. მაგრამ ხათუნა ახლა სულ სხვა ადამიანი იყო;

საოცარია, რას უნდა შეეცვალა ასე? სახეზე სასოებისა და სევდის კვალი გაჰქრობოდა და ძალიან მხიარული ჩანდა. ჭყინტი სიმინდის მარცვლებით ჩაწიკნიკებულ, მარგალიტის კბილებს აჩენდა. გოგონა აშკარად ვერ მალავდა სიხარულს, ტანს მაცდურად მიარხევდა და მის მზერაში თითქოს ერთდროულად ცდუნება და თავშეკავება იგრძნობოდა, ტუჩებზე მომხიბლავი და თან ცოდვილიანი ღიმილი დასთამაშებდა, თუმცა ამას თავად ვერ აცნობიერებდა. აზვირთებული ტალღასავით ღელავდა ხათუნა, მასავით ცვალებადი და უცოდველი იყო, და სწორედ ეს გამხდარიყო მისი უძლეველობის მიზეზი.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მეგი პირველად შეიპყრო ეჭვიანობამ, და ეს ქვეცნობიერად ბუჩუმაც იგრძნო.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

სწორედ ამ დროს ეკლესიის გალავანთან ახალგაზრდა მხედრებმა მოაგელვეს ცხენები. მათ შორის ასტამური და ჯვებეც იყვნენ. მეგი შეკრთა და დამალვა დააპირა, მაგრამ ვერ მოახერხა და ადგილზე შეჩერდა. ახლა ის აფხაზზე გადაციცებით თავის მეტოქეს აკვირდებოდა; ხათუნამ დაინახა ასტამური და ზღაპრული ფრინველივით გაგოგმანდა მის შესახვედრად, თან ისე შეფრფვინვით მიდიოდა, თითქოს ასაფრენად ემზადებო; მაგრამ ვაჟი უკვე მოეშურებოდა მისკენ და ხათუნა სიხარულით აცახცახდა. აფხაზი მას მიუახლოვდა, და ახლა მეგიმ დაინახა, რომ ასტამურის სახე საოცარ აღტაცებას გამოხატავდა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მეგი დაღვრემილი იდგა. აფხაზს იგი არ შეუმჩნევია.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ბუჩუსთვის ყველაფერი ნათელი იყო. მერე შინისკენ გზას რომ

გაუდგნენ, მაშინღა ჰკითხა მეგობარს:<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– როგორ მოგეწონა ხათუნა დიდია?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ლამაზია! – მოკლედ და მშრალად მოუჭრა მეგიმ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

გზაში თითქმის არ დალაპარაკებიათ ერთმანეთს და ხათუნაზეც არ დაუძრავთ ხმა-კრინტი, აფხაზი ხომ არ უხსენებიათ და არა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

## მკვლელობა<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ციცინოს ვერ გაეგო, რას ფიქრობდა მეგი ბავშვზე და ეჩვენებოდა, რომ გოგონას შვილის მიმართ დედობრივი გრძნობა საერთოდ არ ჰქონდა. თავს იმით ინუგეშებდა, რომ მეგი იძულებული იყო, საკუთარი გრძნობები მოეთოკა, რათა ირგვლივმყოფნი არ მიმხვდარიყვნენ, რომ ის იყო ბავშვის დედა; მაგრამ როგორ იქცეოდა მეგი, როდესაც შვილთან მარტო რჩებოდა? ამ დროს თავად ვერ გარკვეულიყო, რა ხდებოდა მის თავს. ხანდახან მის არსებას მოეძალებოდა ხოლმე დედობრივი გრძნობა, თბილი, სათუთი და ნაზი; მაგრამ ამ გრძნობას ცოტა ხანში სულ სხვა ენაცვლებოდა, და ეს იყო გრძნობა გესლიანი, გულღრძო, აღსავსე მრისხანებითა და სიძულვილით. ასეთ ნუთებში მეგის სირცხვილი არ აძლევდა მოსვენებას, ბავშვის არსებაში რომ განსხეულებულიყო; დიახ, ის სირცხვილი ახლა ბავშვში აგრძელებდა სიცოცხლეს. სიძულვილისა და მრისხანების ტალღა გადაუვლიდა ხოლმე ამ დროს მეგის, ბავშვს შემზარავი სახით უყურებდა და ხელის კვრით იშორებდა; მაგრამ გოგონა მხოლოდ ამ მომაკვდინებელი სიძულვილით რომ ყოფილიყო შეპყრობილი, ეს მისთვის უფრო

ადვილი ასატანი იქნებოდა! საშინელება ის იყო, რომ ეს სიძულვილი სიყვარულის თანამოზიარე გამხდარიყო. ამ დროს თაურსამყაროსეული, მრჩობლი ძალები ჯერ გააფთრებით აცხრებოდნენ ერთმანეთს, მერე კი, სიყვარულისა და ნეტარების ტალღებში ჩაძირულები, მიყუჩდებოდნენ ხოლმე. აი, ასეთ გრძნობებს შეეპყრო მეგი.<sup>[P]</sup>

ეკლესიიდან დაბრუნების შემდეგ მეგის თვალები მშფოთვარე სევდას გამოხატავდნენ. შვილის ეკლესიაში ყოფნის ამბავი ციცინოს ნაუსგან შეეტყო. მსახურს დავალებული ჰქონდა, მეგისთვის თვალყური ედევნებინა, ისე, რომ დედამ შვილის ყოველი ნაბიჯი იცოდა, თუმცა მასთან ამაზე ლაპარაკს გაურბოდა. მეგი კი სულ უფრო და უფრო იკეტებოდა საკუთარ თავში, გულის სიღრმეში მრჩობლი გრძნობები უდუღდა და შეშლილი თვალებით მიშტერებოდა სიცარიელეს.<sup>[P]</sup>

ერთ დღეს კი, აი რა მოხდა: მეგი იჭდა და ბავშვი მკერდზე მიეკრა. ციცინო შვილს ამ დროს მეზობელი ოთახის კარის ღრიჭოდან უთვალთვალეზდა; უეცრად გოგონას შეშლილი თვალები დაინახა და გაფითრდა. მერე ნაუს ნაამბობი გაახსენდა აფხაზისა და ხათუნა დიდის შესახებ და დედის გული მღელვარებამ შეიპყრო. ცოტა ხანში ციცინო ოთახში შევიდა, მაგრამ მეგი არ განძრეულა; ადვილი არ იყო შვილთან ლაპარაკის დანყება; ბოლოს ციცინომ სძლია თავს და მეგი საუბარში გამოიწვია, მაგრამ შვილი არ აპყვა და დედას არ პასუხობდა. გოგონა გარეგნულად მშვიდი ჩანდა და მისმა სიმშვიდემ ციცინოს მოთმინება დააკარგვინა. გრძნობდა, რომ თავს ვეღარ

იმორჩილებდა და უეცრად, თითქოს სხვის სიტყვებს იმეორებსო, აღმოხდა.<sup>[P][SEP]</sup>

– იცოდე, ყველაფერში თავად ხარ დამნაშავე!<sup>[P][SEP]</sup>

– მე მეუბნები ამას? მე ვარ დამნაშავე? კი მაგრამ, რაში მადანაშაულებ?<sup>[P][SEP]</sup>

– ის შენთან შესახვედრად მოვიდა... შენ კი?..<sup>[P][SEP]</sup>

– რა... მე?<sup>[P][SEP]</sup>

– შენ არ მოინდომე...<sup>[P][SEP]</sup>

– განსაკუთრებით კი იმ ღამის შემდეგ, არა? – ბოლოს და ბოლოს უთხრა შვილმა.<sup>[P][SEP]</sup>

– რომელი ღამის შემდეგ?<sup>[P][SEP]</sup>

კვლავ დამთრგუნველი სიჩუმე ჩამონვა.<sup>[P][SEP]</sup>

– თქვენი შეხვედრის შემდეგ.<sup>[P][SEP]</sup>

– მითვალთვალეხდი, არა? – მრისხანედ შესძახა დედამ.<sup>[P][SEP]</sup>

– არა, არ გითვალთვალეხდი... სასეირნოდ ვიყავი გამოსული და უეცრად თქვენ გადაგეყარეთ.<sup>[P][SEP]</sup>

– მერედა რა მოხდა იქ? ის ხომ შენზე მელაპარაკებოდა?! ბოლოს კი... რა, ისიც ვერ გაიგე?<sup>[P][SEP]</sup>

განრისხებული ციცილო მთელი ტანით ცახცახებდა.<sup>[P][SEP]</sup>

– რა, რა ვერ გავიგე?<sup>[P][SEP]</sup>

– ჩემი უკანასკნელი სიტყვები!<sup>[P][SEP]</sup>

– ეგ გავიგე!<sup>[P][SEP]</sup>

– მერე?<sup>[P][SEP]</sup>

– ვინ იცის, იქნებ მას სხვა დროსაც შეხვედრიხარ?! – ეს სიტყვები გოგონას თავისდაუნებურად აღმოხდა.<sup>[P SEP]</sup>

– ესე იგი, ფიქრობ, რომ ეს პაემანი იყო?.. ოჰ, აბა რა უნდა გიყო...<sup>[P SEP]</sup>

დედას აღარ დაუსრულებია, ოთახიდან გაცოფებული გავარდა. გოგონამ თავი ჩაქინდრა.<sup>[P SEP]</sup>

მეგიმ მწარედ ინანა, ეს სიტყვები უნებლიედ რომ წამოსცდა. დედასა და შვილს შორის გაბმული ნაზი სიყვარულის ძაფი განწყვეტილიყო და უძირო უფსკრულს დაელო ხახა. მეგი საკუთარ თავს საყვედურობდა და თან საშინლად იტანჯებოდა. უეცრად ბავშვმა უხერხულად მოქაჩა ნაწნავზე, გოგონას მხარზე რომ ჰქონდა გამოგდებული. იმ წუთში მეგი არაადამიანურმა, ველურმა, პირველყოფილმა მძვინვარებამ შეიპყრო; მარჯვენა ხელი ნაწნავს ჩასჭიდა და ბავშვს ყელზე მიაჭირა, მერე კი, საშინელი სიძულვილით აღსავსემ, მისი პანია თავი მკერდზე მაგრად მიიკრა. ბავშვმა დაიყვირა. ამის შემდეგ არაფერი მომხდარა. მეგიმ ბავშვი ძიძას გადააბარა; პატარას აღარ უტირია და მშვიდად იყო.<sup>[P SEP]</sup>

მერე კი, იმ ღამით, უცნაური ამბავი მოხდა. ბავშვი შეუძლოდ გახდა. მეგის მეორე დილით უთხრეს ამის შესახებ. აი, მაშინ კი ნამდვილად გაიღვიძა მასში დედობრივმა გრძნობამ, თუმცა ცდილობდა თავისი განცდები დაემალა; გოგონა ადგილს ვერ პოულობდა, რადგან ფიქრობდა, რომ ბავშვს წინა დღით რაღაც დაუზიანა და ეს იყო ახლა მისი ავადმყოფობის მიზეზი; თან ღმერთს გულმხურვალედ

შესთხოვდა, გადაერჩინა მისი შვილი. ო, რას არ გაიღებდა ახლამის გადასარჩენად! მაგრამ საოცარია: მეგის საკუთარ გრძნობებში უკეთ რომ ჩაეხედა, მიხვდებოდა, რომ ახლა შვილის სიკვდილზე კი არა, უფრო იმაზე ნუხდა, რომ ბავშვს თავად დაუშავა რაღაც და მისი სიკვდილის მიზეზი შეიძლებოდა ეს გამხდარიყო. მეგი ყოველნაირად ცდილობდა, ეს ფიქრი თავიდან მოეშორებინა. განა არ შეიძლებოდა, ბავშვი სხვა მიზეზითაც გამხდარიყო ავად? მაგრამ აკვიატებული ფიქრი მაინც სტანჯავდა და მოსვენებას არ აძლევდა; ღამით მეგის თვალზე რული არ მიჰკარებია. ისევ და ისევ ქურდულად მიიპარებოდა საგანგიოსთან, სადაც ბავშვი და მისი ძიძა ეგულებოდა და სუნთქვაშეკრული უგდებდა ყურს ყოველ გაფაჩუნებას, თუმცა ამ დროს მხოლოდ საკუთარი გულის ბაგაბუგი ესმოდა. მეგი ბავშვის გადარჩენას ნატრობდა და უფალს მთელი არსებით შესთხოვდა ამას.<sup>[PSEP]</sup>

ბიჭუნა მეორე დღეს გარდაიცვალა. საბრალოს ჯერ კბილებიც არ ამოსვლოდა, მაგრამ სიკვდილთან ჭიდილში თურმე ისე უკბინა ძიძას მარცხენა ძუძუზე, რომ ქალი საშინლად გამწარდა.<sup>[PSEP]</sup>

მეგი ჩუმმა მნუხარებამ მოიცვა.<sup>[PSEP]</sup>

ჩვილის სიკვდილი მხოლოდ მენიკის არ გაჰკვირვებია:<sup>[PSEP]</sup>

– კარგად ვიცოდი, რასაც ნიშნავდა თვალბეჭევმ ეს ძარღვები, – თქვა მან მცოდნე ადამიანის კილოთი, – ისინი ხანმოკლე სიცოცხლეზე მიანიშნებს. პატარას ამქვეყნიური პირი არ უჩანდა. თანაც საბრალო, ხმამაღლა არასოდეს ტიროდა, ეს კი კარგის მაუნყებელი არ იყო.

ვიცოდი ეს, ვიცოდი.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

მეგი ხარბად უგდებდა ყურს მის სიტყვებს, მაგრამ მთლად სმენად გადაიქცეოდა ხოლმე, როდესაც მენიკი ეუბნებოდა:<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ნუთუ არ გაგიგია? რვათვიანი ბავშვები ვერ ცოცხლობენ, ის კი რვათვიანი დაიბადა... აი, შვიდთვიანების გადარჩენის იმედი უფრო მეტია...<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

მეგი ცდილობდა, ამ სიტყვებში ეპოვა სულიერი სიმშვიდე.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

მედეას ნაწნავები<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

რაკი ბავშვი ჯერ მონათლული არ იყო, ეკლესიის ეზოში ვერ დაასაფლავებდნენ; ამიტომ გადანყდა, რომ საბრალო სადმე განმარტოებულ ადგილას, მინდორში მიეზარებინათ მინისტვის; მერე ჩვილი ნაჭერში გაახვიეს და ნაუს გადააბარეს ეს პატარა, შემზარავი ტვირთი. მინდორში გასულ მსახურს უკნიდან ფეხის ხმა შემოესმა. როცა მიიხედა, დაინახა, რომ მეგი ასდევნებოდა, დამწუხრებული და უტყვი. გზა ისე განაგრძეს, ხმა-კრინტი არც ერთს არ დაუძრავს. მერე მდელაობე ბიჭები დაინახეს – ფეხბურთს თამაშობდნენ; მეგის და ნაუს დანახვაზე თამაში შეწყვიტეს; უეცრად მოესმათ, ერთ-ერთმა ბიჭმა, ალბათ სრულიად უბოროტოდ, მეორეს რომ უთხრა:<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– გაიგე, დიდიებს, გუშინდლიდან მოყოლებული, ბარ-ბეიმი რომ აქვთ გამართული?<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– რა ხდება დიდიებთან?<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ამბობენ, ხათუნა თხოვდებოა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ვისზე?<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– არ ვიცი, ვიღაც აფხაზზე.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ქორნილს იხდიან?<sup>[P]  
[SEP]</sup>

– არა, ნიშნობა ჰქონიათ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ეს თქვა და ბიჭმა ეშმაკურად გახედა მეგის. ამ სიტყვების გაგონებაზე გოგონას სისხლი აუვარდა თავში და მთელ სხეულში კარგად ნაცნობმა რისხვამ დაუარა; მინდორში ყვავილები დაკრიფა, და მაჟალოს ხეს აყვავებული რტოები ჩამოატეხა; მერე ნაუს მკვდარი ბავშვი გამოართვა, ზედ ყვავილები დააყარა და ნაჭერში გამოკრა. ნაუ გაკვირვებული შეჰყურებდა გოგონას.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ხომ იცი, დიდიები სადაც ცხოვრობენ?<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ჰო, ვიცი, – მიუგო შემცბარმა ნაუმ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ჰოდა, ეს ბავშვი აფხაზს მიუყვანე, დიდიებთან ქეიფში რომ ატარებს დროს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ნაუმ ჩამოართვა ბავშვი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მიუყვანე და ისიც უთხარი, მეგიმ საჩუქრად მოგართვა-თქო.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მხოლოდ ახლალა შეხედა ნაუმ გოგონას სახეში და იფიქრა, ნამდვილად გაგიჟდაო, მაგრამ ხმა-კრინტი არ დაუძრავს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– გადაეცი, რომ ეს საქორნილო საჩუქარია... ჩემგან. ხომ გაიგე?<sup>[P]  
[SEP]</sup>

ნაუ დუმდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ისიც უთხარი, მეგიმ ბავშვი საკუთარი ნაწნავებით მოახრჩო-თქო.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ნაუმ კვლავ შეხედა სახეში გოგონას: შემლილის თვალები ჰქონდა, პირქუში და შემზარავი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– კი მაგრამ, ეგ ხომ ტყუილია? – ამოიხვნეშა ნაუმ.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– გაიგონე, რასაც გეუბნებიან... ნადი!<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

მეგი გატრიალდა. ნაუ ერთხანს გაშეშებული იდგა, მერე ისიც გაუყვა გზას.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

დიდიებს მართლაც გაემართათ წვეულება, მაგრამ არავითარ ნიშნობაზე ლაპარაკი არ იყო. სუფრას ჭვებე, აფხაზი და ხათუნას ძმის რამდენიმე მეგობარი მისჯდომოდა. აფხაზი ხათუნას ეარშიყებოდა და ამას ყველა აშკარად ხედავდა, თუმცა თავად ასტამურს მისი ცოლად შერთვა გადანყვეტილი არ ჰქონდა და ჯერ ისევ ყოყმანობდა. მაგრამ სხვისი საკითხების გადანყვეტა გარეშე ადამიანებს უფრო სწრაფად ეხერხებათ, და მათ უფრო ადვილად წყვეტენ, როცა ეს თავად არ ეხებათ.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

აფხაზის მაგივრადაც ასე გადანყვიტეს და გაავრცელეს ხათუნას ცოლად შერთვის ამბავი. მერე ჭორი აფხაზის ყურამდისაც მივიდა, მას აღარც შეუცხადებია და აღარც არაფერი უთქვამს ამ ჭორის შესახებ. როდესაც მათხოვრად გადაცმული ასტამური მეგის სახლში მივიდა და გაიგონა, როგორ თქვა მან ბავშვზე „ძაღლის ნაშიერიო“, აფხაზს გული თითქოს გაუქვავდა. რაღაც ეწეოდა უკან, ვერ გადაეწყვიტა, ეთხოვა თუ არა ხათუნას ხელი, თუმცა არც ის უცდია, გავრცელებული ჭორი უარეყო.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

ნაუ დიდიების სახლთან მივიდა და ასტამური გარეთ გამოიხმო. იმ დროისთვის უკვე შემარხოშებულ აფხაზს ნაუმფუთა გადასცა და უთხრა.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– კი მაგრამ, ეგ ხომ ტყუილია? – ამოიხვნეშა ნაუმ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– გაიგონე, რასაც გეუბნებიან... ნადი!<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მეგი გატრიალდა. ნაუ ერთხანს გაშეშებული იდგა, მერე ისიც გაუყვა გზას.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

დიდიებს მართლაც გაემართათ წვეულება, მაგრამ არავითარ ნიშნობაზე ლაპარაკი არ იყო. სუფრას ჯვებე, აფხაზი და ხათუნას ძმის რამდენიმე მეგობარი მისჯდომოდა. აფხაზი ხათუნას ეარშიყებოდა და ამას ყველა აშკარად ხედავდა, თუმცა თავად ასტამურს მისი ცოლად შერთვა გადანყვეტილი არ ჰქონდა და ჯერ ისევ ყოყმანობდა. მაგრამ სხვისი საკითხების გადანყვეტა გარეშე ადამიანებს უფრო სწრაფად ეხერხებათ, და მათ უფრო ადვილად წყვეტენ, როცა ეს თავად არ ეხებათ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

აფხაზის მაგივრადაც ასე გადანყვეტეს და გაავრცელეს ხათუნას ცოლად შერთვის ამბავი. მერე ჭორი აფხაზის ყურამდისაც მივიდა, მას აღარც შეუცხადებია და აღარც არაფერი უთქვამს ამ ჭორის შესახებ. როდესაც მათხოვრად გადაცმული ასტამური მეგის სახლში მივიდა და გაიგონა, როგორ თქვა მან ბავშვზე „ძაღლის ნაშიერიო“, აფხაზს გული თითქოს გაუქვავდა. რაღაც ეწეოდა უკან, ვერ გადაეწყვიტა, ეთხოვა თუ არა ხათუნას ხელი, თუმცა არც ის უცდია, გავრცელებული ჭორი უარეყო.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ნაუ დიდიების სახლთან მივიდა და ასტამური გარეთ გამოიხმო. იმ დროისთვის უკვე შებარხოშებულ აფხაზს ნაუმფუთა გადასცა და უთხრა:<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ეს საჩუქარი მეგიმ გამოგიგზავნა!<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

მეგის სახელის გაგონებაზე აფხაზი შეკრთა, მერე ყვავილების ნაზი სურნელი სასიამოვნოდ მოელამუნა მის ოდნავ დაბინდულ გონებას და გამოფხიზლდა; უეცრად მიცვალებული ბავშვის თავს მოჰკრა თვალი.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– რა არის ეს? – შეჰყვირა შეძრწუნებულმა. აფხაზი სიგიჟემ შეიპყრო, მაგრამ ეს ღვინის ბრალი აღარ იყო.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– მეგიმ საჩუქრად გამოგიგზავნა! – გაუმეორა შემცბარმა ნაუმ.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ხმა ჩაიწყვიტე, არამზადავ! – დაიღრიალა აფხაზმა და ფუთა ბალახზე დადო.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

აფხაზის ყვირილმა გამოაღვიძა ნაუში მთვლემარე ძალები, და ახლა უკვე თავდაჭრებითა და გამომწვევად თქვა:<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– მეგიმ ბავშვი საკუთარი ნაწნავებით მოახრჩო!<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ვაი, ეგ უბედური, ეგა! – შეჰყვირა აფხაზმა და ხანჯალზე იკრა ხელი.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

ახლა კი სასტიკმა და დაუნდობელმა მრისხანებამ შეიპყრო ნაუ და შურის საძიებლად მოემზადა. აფხაზი გაფითრდა; მერე თითქოს ძილბურანიდან გამოერკვაო, გულდასმით შეათვალიერა ეს საშიში ადამიანი. იმ ნუთას იცოდა, რომ შეედლო მონინააღმდეგე სასიკვდილოდ დაეჭრა, მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ ეს სასიკვდილოდ დაჭრილი ნადირი მას ერთ ნახტომში მიახრჩობდა და ნაკუნებად აქცევდა. აფხაზი მთლად გაფითრდა. საფეთქლები უთრთოდა და მუხლებიც უცახცახებდა. მან ხანჯალს ხელი უშვა და

ამოიქმინა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ახლა ნადი!<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ნაუმ რისხვა ჩაიცხრო და წავიდა, აფხაზი კი პატარა გვამს დაემხო და ბავშვივით აქვითინდა; მერე ფუთა აიღო და ეზოდან ჩუმიდ გამოვიდა. ეტყობოდა, რაღაც ჩაიფიქრა, რადგან ახლა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გარბოდა, რომ ნაუს დასწვოდა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ნაუ, ნაუ!.. მოიცადე! – ყვიროდა მთელი ხმით.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

გაოცებული ნაუ შედგა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მაპატიე, ნაუ! გავცხარდი და შეურაცხყოფა მოგაყენე!<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

აფხაზის ხმაში მწუხარება და გულწრფელობა იგრძნობოდა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ნაუს მისთვის პასუხი არ გაუცია, მხოლოდ გაოცებით შეჰყურებდა აფხაზს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– კი მაგრამ, მაინც რატომ, რატომ ქნა ეს? – ვკითხებოდა ასტამური ნაუს და ცრემლით სავსე თვალებით სადღაც სიცარიელეში იყურებოდა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ახლა კი შეეცოდა ნაუს აფხაზი.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– სად არის მეგი? – ამჯერად უკვე მშვიდად ჰკითხა ასტამურმა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– არ ვიცი, შენთან რომ გამომიშვა, მერე აი იმ გზით წავიდა, – მიუგო გულმომბაღმა ნაუმ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ნაუ რომ წავიდა, აფხაზი ერთხანს ჩაფიქრებული იდგა. გადაწყვიტა, რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, მეგი ენახა და ნაუმ რომ უჩვენა, იმ გზას მიჰყვა; მერე ფუთა ერთ-ერთ მუხის ტოტებზე შემოღო, და ჩუმი რისხვით შეჰყრობილი, მეგის საძებნელად გაეშურა. უეცრად შენიშნა,

რომ იგი მინდორზე მიაბიჭებდა; გოგონამაც დაინახა აფხაზი და შეჩერდა. ასტამური მრისხანე სახით მიუახლოვდა მას და შესძახა:<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– მართალია, რაც მითხრეს?<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

მეგის ჭიუტად მოკუმულ ტუჩებს ხმა არ გაუღიათ.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– გიჟო, შეშლილო, ეს რა ჰქენი? – კვლავ დაიღრიალა აფხაზმა და დაინახა, რომ მეგი ნამდვილად შეშლილივით იყურებოდა.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– ბოლოს და ბოლოს გამეცი პასუხი!<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

აფხაზი ნელ-ნელა უახლოვდებოდა გოგონას, მერე ხანჭლისკენაც გააპარა ხელი. მეგი უხმოდ იდგა, მაგრამ მის ხელში უეცრად გორდამ იელვა.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– არ მომეკარო! – თქვა მან ბოლოს.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– ნუთუ მართალია ეს ყველაფერი? – კვლავ ჰკითხა განრისხებულმა და აცახცახებულმა აფხაზმა. მერე მეგის პასუხი მეხივით დაატყდა თავს.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– ჰო, მართალია.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

აფხაზს სისხლი აუვარდა თავში, გონება დაებინდა. საშინელი სანახავი იყო. ხანჭალი ნახევრად დააძრო ბუდიდან, მაგრამ უეცრად შეჩერდა: ახლა მეგი მასზე უფრო შემზარავად გამოიყურებოდა. აფხაზი ნათელმხილველის გუმანით ხვდებოდა: იმ წუთში მისი მოკვლა შეეძლო, მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ სასიკვდილოდ დაჭრილი მეგი მას ავაზასავით ეკვეთებოდა და სიცოცხლეს გამოასალმებდა. გოგონა იმ წუთში, მართლაც, ავაზასავით იყო შემართული. აფხაზი გაოგნებული იდგა და მიხვდა, რომ ისევ დაყარა ფარ-ხმალი.

მონუსხული ასტამური თვალს ვერ ამორებდა გოგონას, ყვითელ კაბაში გამოწყობილი, თეთრთავსაფრიანი რომ იდგა მის წინაშე და მოჩვენებას ჰგავდა. განრისხებული და მაინც მშვენიერი მეგი, თვალებიდან ცეცხლს აკვესებდა და დუმდა.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– ხმა ამოიღე, რამე მითხარი! – ვედრებით უთხრა აფხაზმა.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– შენი გულისთვის ჩავიდინე ეს! – უთხრა გოგონამ.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– ჩემი გულისთვის?<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– ჰო, მიყვარდი და ამიტომ...<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

აფხაზი მეხდაცემულივით იდგა. მერე გონებადაბინდული დაემხო მეგის წინაშე და ფეხებზე გაშმაგებით დაუნყო კოცნა. მეგი გვერდზე გახტა. ასტამური მუხლებზე დამხობილი იდგა და ვერაფერს მიმხვდარიყო.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– ახლა კი წადი იმ შენ ხათუნასთან! – ზიზღით გამოსცრა გოგონამ.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

მიწაზე გართხმული აფხაზი ნელ-ნელა მოვიდა აზრზე.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– ეგ ტყუილია, ტყუილია, ტყუილია... – აღმოხდა ნირნამხდარს, მაგრამ მეგის მისი მოსმენა აღარ უნდოდა, სწრაფად შეტრიალდა და წავიდა. ახლა კაცი მის თვალში მეტისმეტად უბადრუკი ჩანდა და იმ წუთში ნამდვილად არ შეეძლო მისი სიყვარული. გოგონა მთელი ტანით ცახცახებდა. დათრგუნული და გამოცარიელებული, ახლა ვაჟის მიმართ მხოლოდ ზიზღს გრძნობდა; მერე კი გზა განაგრძო. სასტიკად და დაუნდობლად მოექცა აფხაზს; მუხლებზე დამხობილი ასტამური დიდხანს იდგა იმ ადგილას და ნიკაპი უცახცახებდა.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

მეგიმ გზა განაგრძო. უეცრად მწვავე ტკივილმა განჭოლა მისი გული. ახლა კი საბოლოოდ გააცნობიერა, რომ შვილი ნამდვილად მოკლა, და, მთელი ტანით მოიკრუნჩხა; მერე მზერა დაებინდა და, თითქოს ბავშვის მამას საშველად უნდა უხმოსო, უკან მოიხედა, მაგრამ აფხაზი უკვე ნასულიყო.<sup>[P SEP]</sup>

პირქუში, ყინულოვანი სახით მიაბიჯებდა მეგი, თუმცა ფეხქვეშ მიწას ვერ გრძნობდა. აბორგებულ სისხლი კი მოთოკა და მრისხანება ჩაიციხრო, მაგრამ უეცრად უსაზმნო შიშმა შეიპყრო. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მის სხეულში ვიღაც უცნობი ჩასახლებულიყო; ახლა მეგი საკუთარ სახელსაც ვეღარ იხსენებდა და მედუზასავით მინდობოდა უცნობ ტალღებს; გოგონამ უაზრო, სხივჩამქრალი თვალები შეავლო გაცისკროვნებულ მიდამოს. ხის ფოთლებში მზის სხივების თამაში ახლა მას ავაზას ციმციმა ლაქებს კი არა, საზიზღარ ფუფხს აგონებდა. თავს კეთროვანივით გრძნობდა, და თან თითქოს ჭუჭყში იყო ამოსვრილი. გული ტკივილით ისე ეკუმშებოდა, თითქოს წვეტიან ისრებს ურჭობდნენ; მაგრამ ამაოდ ცდილობდა სულის მოთქმას, თუმცა მოგუდული ხმები მაინც გაისმოდა მის თმებში, გრძელ, სხივნათელ ნაწნავებში. მეგის საკუთარი თმა ახლა სატანჯველად გადაქცეოდა, ნაწნავების ჭავლი კი – ნამებად. მერე ის იყო, დანა ამოიღო და ორივე ნაწნავი მოიკვეცა. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს დიდი ხნით თავშეკავებულ ყვირილს გზა მისცაო, და გოგონამ შვებით ამოისუნთქა, მაგრამ თავი მაინც ვერ აიძულა, ნაწნავები გადაეყარა, ცოცხალი სხეულივით რომ შემოგრაგნოდნენ

მის მაჯას. ეს მშვენიერი, თუმცა დანაშაულთან წილნაყარი ნაწნავები იყო. გოგონას ხელი უკანკალებდა: განა ეს ნაწნავები იმ გოგონას არ განასახიერებდნენ, მეგი რომ ერქვა სახელად?<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

თავჩაქინდრული მიდიოდა მეგი. უეცრად ის ხე დაინახა, რომლის ტოტებქვეშაც ცხენით ჩაიქროლა ერთ დროს. საკუთარ თავს იხსენებდა და ახლა მას „გოგონა მეგის“ ეძახდა. სახელი „მეგი“ უცნაურად და ახლებურად ჩაესმოდა ყურში; მერე ხეს მიუახლოვდა და დაბლა დახრილ ტოტს შეხედა; ტოტზე ისევ ეკიდა მისი თმის კულული. მეგი შიშმა აიტანა. მისი მზერა თვითმკვლელის ყულფს დაემგვანა, ყელი გაუშრა და სუნთქვა შეეკრა. გაფართოებული თვალებით შეჰყურებდა თმის კულულს. რა ახლოს იყო მეგი იმ დღეს სიკვდილთან! მაშ რატომ დაინდო განგებმ?! მაგრამ ტოტი ხომ ისევ თავის ადგილზეა?! ზედ თმის კულული აქვს შემოხვეული, მას ასე რომ უხმობს და იზიდავს! ხეზე მოჭრილი თოკის ბოლოები ჰკიდია. ალბათ საქანელა თუ ჰქონდათ აქ ბავშვებს გაბმულიო, ფიქრობდა გოგონა და თვალს არ აშორებდა თოკის ბოლოებს.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

უეცრად მეგის მთლად დაებინდა გონება. მისი სხეული იმ ერთადერთ კვილს ჰგავდა, გამოსავალს რომ ეძებდა და ვერ პოულობდა. მერე თითქოს რაღაც ამაზრბენი, ქერცლოვანი ცხოველი შეეხო მის სხეულს და საზიზღარი გრძნობა დაეუფლა; გარეული კატასავით გააფთრებით აიჭრა ხეზე, ტოტისკენ შებრუნდა და ნაწნავები ყულფივით გამოაბა თოკის ბოლოებს. მეგიმ ორივე ხელი ჩაავლო ტოტს, თავი ყულფში გაყო და საკუთარი თავისგან ხსნის მწველი

განცდა დაეუფლა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

მაგრამ იყო კი ეს ხსნა?<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

და მეგის საკუთარი ვარსკვლავიერი ნუთივით გაუელვა გონებაში: ეს ათასწლეულებზე გადავლებული თვალნამი იყო. გოგონას სხეულის თითოეული ნაკვთი შინაგან მზერად ქცეულიყო; მან ეს გამჭოლი მზერა ახლა უკიდვგანო სივრცეებს მიაპყრო და უეცრად, აი რა დაინახა: უხსოვარ დროშიც ცხოვრობდა ერთი გოგონა, რომელმაც საკუთარი შვილი ნაწნავებით მოახრჩო, ან იქნებ მხოლოდ მოეჩვენა, რომ მოახრჩო? მერე გოგონა მინდორში გავარდა, მოიჭრა მტანჯველი ნაწნავები და იმ ხესთან მივიდა, რომლის ტოტებსაც ცხენზე ჯირითის დროს მისი თმა გამოსდებოდა და კულულები ზედ შემორჩენიოდა; გოგონა ხეზე ახტა, მოჭრილი ნაწნავები ყულფად გამოკრა, ტოტს გამოაბა და ბოლოს, ყულფში გაუყარა თავი...<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

მეგის აღარ შეეძლო ამ სურათის ყურება. გოგონაში, რომელსაც ამ ქაოსში ხედავდა, მან საკუთარი თავი შეიცნო. სიკვდილის შიშით შეპყრობილი ხელი ახლა ძრწოლით ეძებდა ტოტს...<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

და აი, კვლავ გაიელვა თვალნამმა, არანაკლებ საშინელმა და შემადრწუნებელმა: მეგიმ გახედა მერმისს, შორეულ ათასწლეულებს და აი, ის გოგონა ისევ მივიდა ხესთან... მერე კი, საშინელი სიზმარივით, ზუსტად იგივე განმეორდა. შედრწუნებული მეგი ხედავდა: ის გოგონა მასავით შემოტრიალდა...<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

არაადამიანურმა შიშმა შეიპყრო მეგი; ის-ის იყო, ტოტისთვის ხელი უნდა გაეშვა, რომ გონება უცნაურმა სხივმა გაუნათა... ეს მისი

მფარველი ანგელოზი იყო, ნათელი სხივი რომ მოჰქვინა მის გონებას!<sup>[P SEP]</sup>

ნუთუ ეს ნამდვილად ხსნას ნიშნავდა?<sup>[P SEP]</sup>

შიშით შეაქცია გოგონამ ზურგი საშინელ ფიქრებს, თავი ყულფიდან გამოყო და ხიდან ჩამოხტა. მერე ფეხქვეშ კვლავ შეიგრძნო დედა-მინა. შიში სადღაც გაქრა. ახლა იგი იმ ბარტყს ჰგავდა, ნისკარტით ნაჭუჭს რომამტვრევს და გარეთ გამოდის; ჰოდა, მეგი იმ საშინელი სიღრმეებიდან თავისუფალ სივრცეში ამოიჭრა, ფრთაშესხმული და ხელახლა დაბადებული. გოგონა მიდიოდა და თანდათან შორდებოდა იმ ხეს. უკან მიხედვა არ უნდოდა, რადგან ეგონა, უკან თუ მიიხედავდა, ლოთის ცოლივით გაქვავდებოდა. და თუმცა სევდა ჯერაც არ გაჰქრობოდა, მაგრამ ეს უფრო სხივიანი სევდა იყო, გული კი კვლავაც დარდით ჰქონდა სავსე და საკუთარი თავი მიცვალებული ეგონა, ჭირისუფალივით თავადვე რომ დასტიროდა. მერე ხის ტოტებში ის მზის ბლითებიც შენიშნა, მაგრამ ახლა ისინი იმ კეთროვან გამონაყარს აღარ აგონებდა. საღამო მენამულისფრად ლხვებოდა. ჩრდილები დაგრძელდა. მეგიმ საკუთარ ჩრდილს დახედა და დაინახა, რომ სიგრძეში ისიც განზონიალებულიყო; ფეხს მსუბუქად ადგამდა, თითქოს ჩრდილთა სამეფოში მიაბიჭებოს. თვალეებში სისველე იგრძნო და მიხვდა, რომ ტიროდა.<sup>[P SEP]</sup>

ახლა მეგი საკუთარ თავს დასტიროდა.<sup>[P SEP]</sup>

მომაკვდავი მარგალიტი<sup>[P SEP]</sup>

გოგონა მინდორში მიაბიჭებდა; მერე ერთი ბორცვი გადაიარა და

შეჩერდა. გავარვარებული ლავის ამოფრქვევას ჰგავდა მზის ჩასვლა. გოგონამ სივრცეს გახედა. მენამულისფერი მზის დისკო ნელ-ნელა უფერულდებოდა. „ხომ შეიძლება, ახლა მთლიანად ჩაქრეს?“ ამის გაფიქრებაზე იგი უეცრად ცახცახმა აიტანა. აჭარის შორეული მთების თავზე, თვალსაწიერის მიღმა, ღრუბლები დაცურავდნენ და თან თითქოს ადგილიდან არ იძროდნენ. გავარვარებული მზის დისკო ცეცხლოვანი სხივებით ასაჩუქრებდა ღრუბლებს. მეგი მზერით ისრუტავდა ცის ფერთა მთელ გამას. მუქი მენამული ჯერ ძონისფერში, შემდეგ კი კაშკაშა ნარინჯისფერში გადადიოდა, ბაცი ლიმონისფერი და ოპალივით კაშკაშა მარგალიტის ფერები ერთმანეთს ერწყმოდა, რათა ბოლოს მქრქალ და მშვიდ თეთრ ფერად ქცეულიყვნენ. თავად თეთრი ფერი ჯერ ისევ სინათლის თაურძალით სუნთქავდა. მონმენდილი და გამჭვირვალე ცა თითქოს ხელშესახები, მაგრამ მაინც ყველაფერს გარიდებული ჩანდა. მეგი გაოცებული შეჰყურებდა ღრუბლებს – ისინი თეთრ გედებს ჰგავდნენ, რომელთა თავებიც უსასრულობაში ინთქმეოდა; ღრუბლები მიჰქროდნენ და თან თითქოს ერთ ადგილზე იდგნენ; ზეგარდმო სფეროებიდან უხმო მელოდია მოდიოდა და მეგი მთელი არსებით შეიგრძნობდა მას. აქ გადიოდა უსასრულობის ზღვარი. კოსმოსის ფერხულში ჩაბმულიყო უამრავი გამოსახულება, მათ შორის ერთ-ერთ ოცნებადამსხვრეული სურათ-ხატი მეგი იყო. დედამინა უკიდევანო სივრცეებში დაფარფატებდა: მეგი აშკარად შეიგრძნობდა ამას, მასთან ერთად, გოგონაც აჭრილიყო ამ სივრცეებში, მინიერ სიმძიმეს მონყვეტილი, თავისუფალი და

ლალი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მერე მზის დისკო გაუფერულდა; სევდამ და მწუხარებამ დაისადგურა დედამინაზე. მეგიც დანალღვლიანდა; ახლა იგი მომაკვდავ მარგალიტს ჰგავდა. სად იყო ის ამაყი და მშვენიერი, უცნობი არსება, მას ახალ სიცოცხლეს რომ შთაბერავდა? უეცრად გოგონას საკუთარი პორტრეტი გაახსენდა და სასწრაფოდ ვატოსთან გაეშურა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ამ ბოლო დროს მხატვარი იშვიათად თუ გამოჩნდებოდა ხოლმე ამორძალების სახლში. იქვე ახლოს მუხას უზარმაზარი ქოლგა გაეშალა; სწორედ მის ტოტებში ჩაედგა ვატოს პატარა ფაცხა, იქ თითქმის განდევილივით ცხოვრობდა, და თან ხატავდა. საკვებად თაფლი, დანაკისკუდი და ფეტვის ბურღული ჰქონდა; ადამიანები რატომღაც გაურბოდნენ და ვატო ბუნებასთან სიამტკბილობაში განმარტოებულყო. მეგის პორტრეტზე მუშაობას აგრძელებდა, და მხატვარს ეს დიდ სიხარულს ანიჭებდა. ახლა უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ამ საქმეს წარმატებით გაართმევდა თავს; ფიქრობდა: ახლა უკვე მივალწიე იმ ზღვარს, როდესაც თავად სურათს გააჩნია ძალა, საკუთარ თავს გვირგვინი დაადგას და საჭირო ხაზები და ფერები მიკარნახოსო. ვატოს ნეტარება იპყრობდა, როდესაც თავის ფაცხასთან იჯდა და მისი მზერა ხვიარა ვაზით დაფარულ დანაკისკუდის პალმას ელამუნებოდა. ამ დროს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ის ნაყოფიერი ვაზი თავად იყო.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მხატვარი ხარობდა თავისი შემოქმედებითი წარმატებით, მაგრამ ეს სიხარული მთლად უხიზო მაინც არ იყო, რადგან დრო და დრო

სევდის მღვრიე ტალღა გადაუვლიდა ხოლმე. ვატოს უყვარდა თავისი ქმნილებები, მაგრამ, შესაძლოა, მათზე მეტად მეგი იზიდავდა. გეშთაგონების ვნებათა ღელვა მას ქანცს აცლიდა, მაგრამ იმავდროულად გუმანით გრძნობდა: თუ საიდუმლოს ამოიცნობდა და კმაყოფილებას იგრძნობდა, ამით სიყვარულს დაასამარებდა. ასე თრგუნავდა და მალავდა მხატვარი თავის დაუცხრომელ სურვილს, წყალსმონატრებული მწყურვალევით იტანჯებოდა და თან ფიქრებში ტკვებოდა იმ ნეტარებით, რომლითაც ცხადად ვერ დატკვებოდა. მისი განდევილური ცხოვრების ყველაზე დიდი მიზეზი კი ალბათ ის იყო, რომ უნდოდა, რაც შეიძლება შორს ყოფილიყო ცდუნებისაგან.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

მეგი რომ გამოეცხადა, მხატვარი სწორედ მასზე ფიქრობდა; გოგონას დანახვამ ჯერ გააოცა, რადგან მანამდე იგი არასოდეს არ ყოფილიყო ვატოსთან სტუმრად, მერე კი სიხარულით შეეგება მას:<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– მეგი, ნუთუ ეს შენ ხარ?<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

გოგონა მას მიუახლოვდა, თუმცა პირქუშად დუმდა. მისი შემოიღობი და დარდიანი თვალების დანახვაზე მხატვარი შეკრთა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– რა იყო, მოხდა რამე? – ჰკითხა შემფოთებულმა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– არაფერი არ მომხდარა! – მშვიდად მიუგო მეგიმ.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

მალე გოგონა დამშვიდდა, თუმცა თვალებში კვლავ სევდა ჩასდგომოდა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

ვატო დაფიქრდა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

ადრემეგი თავისი სტუმრობის მიზეზს ალბათ დამალავდა, მაგრამ ამჯერად ასე არ მოხდა; მან მშვიდად და დამაჯერებლად

ნარმოთქვა:<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მოვედი, რომ დამხატო!<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ნუთუ მართლა? ნამოდი, ზემოთ ავიდეთ! – უთხრა გახარებულმა მხატვარმა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მერე ფაცხაში ასასვლელად ორივენი ხეზე მიდგმულ კიბესთან მივიდნენ. მეგი მხატვარზე წინ ადიოდა; ვატომ უეცრად გოგონას შიშველ მუხლს შეავლო თვალი და გაიფიქრა, რომ ეს ქალღმერთი დიანას მუხლი იყო, ნახტომისთვის შემართული; მერე იგრძნო, რომ მინავლული ცეცხლი ყოველ ნუთს შეიძლებოდა აბრიალებულიყო; მხატვარმა არაადამიანური ნებისყოფით მოახერხა უეცარი ალტკინების დათრგუნვა და გოგონას უკან მიჰყვა. ლოკოკინა რომ მიათრევს ხოლმე თავის ნიჟარას, ისე მიათრევდა ვატო გამოფიტულ სხეულს და სუნთქვა ეკვროდა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– აი, ისიც! – შესძახა მან ბოლოს და მოლბერტს ზენარი ჩამოხსნა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მერე ის იყო, სალამოს ბინდ-ბუნდის ნაზ შუქში მეგიმ საოცარი პორტრეტი დაინახა: ეს სწორედ ის გამოსახულება იყო, რომელსაც დასტიროდა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

სურათზე გოგონა ყანაში იდგა: სიმინდის ღეროები თითქმის მხრებამდე სწვდებოდა; გაუმჭვირვალე, მწვანე ფერი მკვრივდებოდა, ფირუზისფერში გადადიოდა, და სურათი მზის ჩასვლის წინ შექმნილ განწყობას გამოხატავდა. ყანა თითქოს ღელავდა; სიმინდის ღეროები გარს შემორტყმოდნენ გოგონას და ისე მიილტვოდნენ მისკენ, თითქოს

ნადავლის ხელში ჩაგდება სურთო; ხვლიკისებრი, უზარმაზარი ფოთოლი მეგის ნაზ მკერდზე ალერსით, ანდა, ვინ იცის, იქნებ რისხვითაც მიეკრა. მის მარჯვენა ხელში ფოთლის ღერო თითქოს ტკივილით მოხრილიყო. ტანკენარ მეგის თავი ოდნავ ბევით ჰქონდა შემართული, მისი დატალღული თმა კი ცეცხლივით ბრიალებდა ვრცელი ყანის ფონზე. მხატვარს ფერები იმ ჯადოქრული ტექნიკის ნყალობით შეერბილებინა, მხოლოდ ირანელი ოსტატებისთვის რომ არის ცნობილი. გოგონას თმაზე მონითალო მუხის ფოთლის ის უჩვეულო ფერი დაჰკრავდა, იშვიათად რომ შეხვდები ჩამოცვენილ ყვითელ ფოთლებს შორის; გოგონას თმა უკან ჰქონდა გადავარცხნილი. მარცხენა საფეთქელთან ჩამოშლილი ანცი კულული მის ფიქალ შუბლს ჯიუტ გამომეტყველებას აძლევდა; სახე უჩვეულო, თეთრ ქვას მიუგავდა, ზღვის ფსკერზე, კრიალა ნყალში, ფართოდ გახელილი თვალებით რომ დაინახავ, ნყლის ზემოთ კი ამ დროს შუადღის ხვატი დგას. ნესტოები: ხიფათის გუმანით შეპყრობილი ძუ მგლისა აქვს, პირის მარჯვენა კუთხეში პანია ხალი მოუჩანს, ამძუვნებული ხვადის ნაკბენს რომ ჰგავს.<sup>[56]</sup>

პირი: მოკუმული, მგრძნობიარე, ყოველ ჯერზე კოცნით რომ გააოცებს კაცს, და თან კუთხეებში უჩვეულო სევდა რომ ჩასწოლია. თვალები: მიზნედილი, ეგვიპტური ზურმუხტივით ნოტიო; მაგრამ ეს სინოტივე ბედნიერების მაუნყებელი არ არის; ამ თვალებს ჯურღმულის განათება შეუძლიათ. გოგონა სადღაც სივრცეში იყურებოდა, და საოცარია: როცა ამ თვალებს აკვირდებოდი, შენს წინაშე ცალკეული

დეტალები ქრებოდა და სურათი მთლიანად იცვლებოდა: სიმინდი გოგონას აღარ ეტმასნებოდა, თავად მეგი კი სრულ მორჩილებას გამოხატავდა; მკვეთრი ხაზები იშლებოდა და იდუმალება ისე მოიცავდა სურათს, სამხრეთის ბღვების კუნძულებს რომ მოიცავს ხოლმე ღამე. ისეთი გრძნობა გეუფლებოდა, თითქოს გოგონა გაურკვეველ მოლოდინშია და მზად არის რაღაც განუზომელი შეიცნოს და გაითავისოსო; ნაზ სიმშვიდეს ასხივებდა, თუმცა მასში ნომადების მნუხარებას იგრძნობდა კაცი. სურათზე ისეთ სიმშვიდეს დაესადგურებინა, დამფრთხალი ფრინველის აფრენისას რომ დაირღვევა ხოლმე. მხატვრის ფერებს თითქოს რაღაც ჯადო-თილისმა შეხებოდა; სურათს უყურებდი და ისეთი შთაბეჭდილება გრჩებოდა, თითქოს ღრმა სიჩუმეში ობოლი ცრემლი მოწანწვარებდა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

მეგის თვალეში ჩანოლილ სევდას რაღაც სხივი შერეოდა. იქნებ ამ სევდას ძალუძს მომაკვდავი მარგალიტის გამოცოცხლება?<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

გოგონამ უეცრად სიცივე იგრძნო და შიშმა აიტანა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– სურათს ზენარი ჩამოაფარე! – თქვა მან სწრაფად.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

მხატვარი დაემორჩილა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ხომ ნამდვილად მშვენიერია? – ჰკითხა მერე.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ჰო, ასეა! – გულგრილად მიუგო მეგიმ. ფიქრებით იგი ახლა სადღაც დაფრინავდა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– მაგრამ შენ უფრო მშვენიერი ხარ... – ფრთხილად დასძინა ვატომ.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

მეგიმ მხატვრის ანთებულ თვალეებს შეხედა და არ ესიამოვნა;

ოდნავ შეკრთა და ჭიუტი მზერით გახედა ებოს; სულ უფრო დაბლა ეშვებოდა ბინდ-ბუნდი. ვატო ხარბი თვალებით შეჰყურებდა გოგონას, ის კი ამ დროს ფიქრებით სადღაც სხვაგან იყო. მერე „მდუმარე“ მხატვარი უეცრად ენად გაიკრიფა, სწრაფად, უთავბოლოდ ისროდა სიტყვებს და აზრები ეფანტებოდა. გოგონა მშვიდად შესცქეროდა ვატოს და მის დაბნეულობას ვერ ამჩნევდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ველური ვნებით შეჰყრობილი მხატვარი უეცრად ფეხზე წამოდგა; სულს ძლივს ითქვამდა; მერე გაფითრებული და აცახცახებული გოგონას მიუახლოვდა. მეგი მშვიდად იჯდა; ვატო მხურვალე ხელით შეეხო მას თავზე და შეძრწუნებულმა უკან დაიხია: გოგონას ნაწნავები აღარ ჰქონდა. ვატო გაქვავებული იდგა. თითქოს თავში ურო ჩასცხესო, ისე შეაშინა მეგი ვაჟის ხელის შეხებამ. ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ თმაზე ცეცხლი მოსდებოდა და თავს უწვავდა; მერე განრისხებული და გაცოფებული წამოხტა ადგილიდან და ფაცხიდან მენადასავით გავარდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მხატვარი უხმოდ იდგა და ვერაფერი გაეგო.<sup>[P]  
[SEP]</sup>

## მშფოთვარება<sup>[P] [SEP]</sup>

უკვე დაბნელდა, და, მეგი ჭერაც არ დაბრუნებულიყო შინ. მენიკის მკვეთრად დასტყობოდა სახეზე ნაოჭები, თითქოს გული ცუდს უგრძნობდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ციცინოსაც დაკარგვოდა ყველაფრის ხალისი და მოუსვენრობა ეტყობოდა; მაგრამ ქალებზე მეტად ახლა ნაუ ნუხდა. მეგის საქციელმა ის ჭერ კიდევ გუშინ გააოცა, როცა მას დაავალა, მიცვალებული ბავშვი

აფხაზისთვის საჩუქრად მიერთმია და ეთქვა, ჩვილი მეგიმ მოკლაო. ნაუ დაბნეული იყო და ველური ტვინი უდუღდა. აფხაზისა და მეგის შეხვედრის მოწმე კი გახდა, მაგრამ ვერა და ვერ მიმხვდარიყო, რას ეხებოდა საქმე. მერე გოგონას თვითმკვლელობის მცდელობამ მთლად აუბნია ნაუს თავგზა. ნუთუ მეგიმ მართლა გადანყვიტა თავის ჩამოხრჩობა? მას ამის გაგების საშუალებას ჩვეული თხუნელის ინსტინქტი არ აძლევდა. როდესაც გოგონამ ხესთან მიირბინა, ნაუ მის ყოველ მოძრაობას თვალყურს ადევნებდა; ისიც დაინახა, როგორ მოიჭრა მეგიმ ნაწნავები, მერე კი ყულფიც გამოსკვნა. მაშინ ნაუ თითქოს გაშიშვლებულ, მოთვალთვალე ნერვად გადაიქცა, ადგილიდან აღარ იძვროდა და იმ ადამიანს დაემსგავსა, უფსკრულის პირას მდგარ მთვარეულთან შეხმიანებისა რომ ეშინია. მაგრამ ჩახმახივით შემართული იყო და იცოდა: როგორც კი მეგი ტოტს ხელს გაუშვებდა, მასთან გაჩნდებოდა და ყულფს გადაჭრიდა. საბედნიეროდ, ეს არ მოხდა და ნაუმ შვებით ამოისუნთქა; მერე კი გაშეშებული იდგა და ადგილიდან დიდხანს არ იძვროდა. მეგი რომ გაუჩინარდა, ნაუ ხეზე ავიდა, ნაწნავები ჩამოსხნა, ძირს ჩამოვიდა და ჯერ ისევ თბილი ნაწნავები უბეში დამალა. მერე შინ დაბრუნდა და მეგი აღარ უნახავს. ახლა მეგრელი იმაზე ფიქრობდა, რა შეიძლებოდა მომხდარიყო. ბოლოს ქალებმა გაბედეს და ნაუს გოგონას ამბავი ჰკითხეს; მან ყველაფერი წვრილად უამბო, ოღონდ, ხესთან რაც მოხდა, იმაზე ხმა-კრინტი არ დაუძრავს; და ეს ალბათ პირველი შემთხვევა იყო, როცა ნაუმ თავის სათაყვანო ქალს რაღაც დაუმალა.

თან მოეჩვენა, რომ ციცილო მის ამრებს კითხულობდა; ნაუ გაფითრდა და დაფრთხა. მოჭრილი ნაწნავები მკერდზე ცეცხლივით ედებოდა, მაგრამ იცოდა, რომ მათი ხსენება ციცილოსა და ძიძას გულს მოუკლავდა. მერე სუნთქვაშეკრულმა ნაუმ ძლივს ამოილულლულა: [P]<sub>[SEP]</sub>

– იქნებ მეგიმ ბუჩუს მიაკითხა? [P]<sub>[SEP]</sub>

მაშინ ციცილომ უბრძანა, გოგონა სასწრაფოდ მოეძებნა. ნაუ ნავიდა. მალე ვატოც გამოჩნდა; ქალებს უთხრა, მეგი ჩემთან იყო, მაგრამ მოულოდნელად წამოხტა და გაიქცაო. მხატვარი აღელვებული იყო და ვერ ამჩნევდა, რომ ქალები მთლად მშფოთვარებას შეეპყრო; გოგონას გაუჩინარების მიზეზი როგორმე რომ აეხსნა, ქალებს უთხრა, მეგის ნაწნავები მოჭრილი ჰქონდაო. ამის გაგონებაზე ციცილო და მენიკი კანკალმა აიტანა. ნაუ ნახევარ საათში დაბრუნდა, მაგრამ სანუგეშო ამბავი ვერ მოიტანა. ბუჩუს უთქვამს, მეგიმ რამდენიმე წუთით შემოირბინა ჩემთან, ნემსი, ძაფი და მაკრატელი მთხოვა და მაშინვე ნავიდაო. [P]<sub>[SEP]</sub>

– ეგ ყველაფერი რისთვის უნდოდა? რას უნდა ნიშნავდეს ეს? – იკითხა დამწუხრებულმა ციცილომ და დადუმდა. [P]<sub>[SEP]</sub>

მენიკი იმ ძველი ბაბილონელი ქალივით თავჩაქინდრული იჭდა, ორმოცდაათ ნაწილად დაყოფილ ღვიძლის ტვიფარზე რომ მკითხაობდა. იმ წუთში ნაოჭებით დაღარული სახე იმ მისწურად ამეტყველებულ ღვიძლს მიუგავდა. [P]<sub>[SEP]</sub>

– იქნება ტანსაცმლის გამოცვლას აპირებდა? – ჩუმად თქვა ძიძამ. [P]<sub>[SEP]</sub>

– კი მაგრამ, ეგ რაში სჭირდებოდა? – ასევე ჩუმად იკითხა ციცილომ,

მაგრამ პასუხი არ მიუღია.<sup>[P SEP]</sup>

ცოტა ხანში მან ნაუ აივანზე გაიხმო და უბრძანა, ახლავე ცხენი შეეკაზმა და ხათუნა დიდიასთან წასულიყო; ციცილო ფიქრობდა, რომ შესაძლოა, მეგი იქ აფხაზთან შესახვედრად მისულიყო.<sup>[P SEP]</sup>

ნაუ წავიდა, მაგრამ იქ არც გოგონა დახვდა და არც აფხაზი.<sup>[P SEP]</sup>

ამის შემდეგ ციცილოს ყოველგვარი იმედი გადაეწურა.<sup>[P SEP]</sup>

– ახლავე წახვალ სასახლეში მთავრინასთან, მოძებნი ჭვებებს და მოსთხოვ, ყველაფერი გაიგოს, ხვალ დილაამდე კი უკან დაბრუნდები! – უბრძანა ციცილომ ნაუს.<sup>[P SEP]</sup>

მსახური ზუგდიდში წავიდა. ბნელი, მოქუფრული ღამე იყო, მაგრამ ნაუს ცხენით გამჭრიახი თვალეხი სიბნელეს ჰკვეთდა. შუაღამე გადასული იყო, ცხენი სასახლის ეზოში რომ შეაჭენა. მეგობარი მსახურები გააღვიძა და მათგან შეიტყო, რომ ჭვებებს მთავრინა გორდის საბაფხულო სასახლეში გაეცილებინა, აფხაზი კი, აი უკვე რამდენიმე დღეა, თვალით არავის ენახა. ციცილოს, მენიკისა და ვატოს იმ ღამით არ უძინიათ; დაქანცული და დაბნეული ნაუ დილაადრიან დაბრუნდა. მთავრინას გორდში გამგზავრების ამბავმა ყველა გააოცა და საგონებელში ჩააგდო: მართლაცდა, მთავრინა შემოდგომაზე რატომ უნდა წასულიყო თავის საბაფხულო რეზიდენციაში? ახლა ხომ უკვე ოქტომბერი იყო? და ციცილოს უეცრად გაუელვა თავში, რომ ამ ამბავს ცუდი პირი უჩანდა. იმხანად ხომ ყირიმის ომი იყო და სამეგრელოში შიშით ელოდნენ თურქების შემოსევას, რომლებსაც რედუტ-კალე უკვე აეღოთ.<sup>[P SEP]</sup>

იქნებ აფხაზი თავის სამშობლოში გაიქცა და მეგიც თან წაიყვანა? ციცინოს ელვასავით დაურბინა თავში ამ აზრმა და მიხვდა, რომ გულხელდაკრეფილი ვერ იქნებოდა; მაშინვე ბრძანა, ცხენებიშეეკაზმათ, რომ გაქცეულებს დასდევნებოდნენ. ცხენები როგორც კი აახლეს, ციცინო ნაუს თანხლებით გზა გაუდგა; მაგრამ მდინარე კოდორს რომ მიუახლოვდნენ, იძულებულები გახდნენ, უკან გამობრუნებულიყვნენ.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

## თურქების შემოსევა<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

1855 წლის 25 ოქტომბერი იდგა. ომარ-ფაშა ოცდაათი ათასიანი ლაშქრით ენგურის ნაპირს მოადგა, იმ განზრახვით, რომ რუსების ყურადღება ალყაშემორტყმული ყარსიდან საქართველოზე გადმოეტანა. სამეგრელოს, საქართველოს სხვა მხარეებისაგან განსხვავებით, რუსეთთან განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა. 1803 წელს დადებული ხელშეკრულება შემდეგ პირობებს ითვალისწინებდა: სამეგრელოს მთავრის ქვეშევრდომთა სიცოცხლისა და თავისუფლების დაცვის უფლება რუსეთის მეფის ხელში გადადიოდა; შიდა საქმეების სამართავად კი სამეგრელოში თვითმმართველობა დანესდა; სამეგრელოს მთავრის ტერიტორია ამიერიდან რუსეთის ჯარს უნდა დაეცვა; სწორედ ეს შეთანხმებები გახდა ომარ-ფაშასათვის იმის საბაბი, რომ მას სამეგრელო რუსეთის იმპერიის პროვინციად ჩაეთვალა. იგი შევიდა კოკსა და კახათში, დაამარცხა რუსის ჯარი, აიღო ზუგდიდი და ცხენისწყლის, ანუ,

როგორც მას ძველად უნოდებდენ, ჰიპპო-ს ნაპირებამდე მივიდა. სამეგრელოს მთავრინა თავისი საზაფხულო რეზიდენციიდანაც გაიქცა და შვილებიანად მთიან, მიუვალ ლეჩხუმს შეაფარა თავი. ეს ყველაფერი სულ რამდენიმე დღეში მოხდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

სამეგრელო მღელვარებამ მოიცვა, და, ციცილო მოვლენებს სასონარკვეთილებით ადევნებდა თვალყურს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ომარ-ფაშას ლაშქარს სხვადასხვა ჯურის ავაზაკთა რაზმები ახლდნენ თან; აქ იყვნენ: აფხაზები, წებელდელები, უბიხები და სხვა მთიელი ხალხები, რომლებიც თურქებთან ერთად, ზუგდიდიდან ონტოფომდე მთელ მხარეს იკლებდნენ, ძარცვავდნენ მოსახლეობას და იქაური გოგო-ბიჭები თურქეთში მიჰყავდათ გასაყიდად.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ციცილო სასონარკვეთილებამ მოიცვა. მართალია, ომარ-ფაშა ცდილობდა, აღეკვეთა ყაჩაღობა და ძალადობები, მაგრამ ყველა ბოროტმოქმედის დასჯა მის ძალ-ღონეს აღემატებოდა. მერე კი, თქვენ წარმოიდგინეთ, მოძალადეთა მაგალითს ზოგიერთმა მეგრელმა ფეოდალმაც მიბაძა, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ძალადაკარგული უფლებები გაიხსენა და ოსმალებთან მეგრელი გოგო-ბიჭებით ვაჭრობას მიჰყო ხელი. ციცილო აქეთ-იქით აწყდებოდა და გამძვინვარებულ ავაზას ჰგავდა. მის ყურს მისწვდა ამბავი, ომარ-ფაშამ ვილაც უმშვენიერესი ოდალისკა ჩაიგდო ხელშიო. ვაითუ მეგი თურქებმა წაიყვანეს და ის უმშვენიერესი ოდალისკაც მეგი იყო? ციცილო გაცეცხლებული იყო და ჭირითის დროს მინაზე დანარცხებული ფაშატივით მძვინვარებდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მერე მთავრინასთან ლეჩხუმში წასვლა გადანყვიტა, რათა მისი ხელნყოფით როგორმე ომარ-ფაშას შეხვედროდა და ნაუც თან წაიყვანა. მთავრინა იმხანად ოჯახთან ერთად, გორდიდან დაახლოებით ოც მილზე დაშორებულ სოფელ მურში იმყოფებოდა. ეს ერთი მიუვალი ადგილი იყო, სადაც ხეობებსა და ტყუხებში მხოლოდ სახიფათო, საცალფეხო ბილიკები გადიოდა; აბობოქრებული მთის მდინარეები ბევრგან გამძვინვარებულ ჩანჩქერებად ქცეულიყვნენ, უფსკრულების თავზე ვაზის გოლიათური ფესვების დაკიდებული ხიდები ქანაობდნენ და გორდიდან ორი დღის სავალზე, საშინელი, ციცაბო გზა გადიოდა ცხენისწყლის ხეობაში. კლდის ძირში გაჭრილი, მიხვეულ-მოხვეული ბილიკი სულ უფრო დაბლა ეშვებოდა, მაგრამ ციცინოს და ნაუს ცხენებით სხვა გზებით ევლოთ.<sup>[SEP]</sup>

მური ვინრო ხეობის კარიბჭესთან მდებარეობს. გვერდით ცხენისწყალი ჩაუდის, რომელიც სვანეთში იღებს სათავეს. მთის ძირში მთავრის ფართოაივნიანი სახლი დგას; მაღალ კლდეზე ძველი ციხე-სიმაგრე მოჩანს, მდინარის გადაღმა კი – ცაგერის მონასტერი. სწორედ ეს მონასტერი გამხდარიყო ახლა მთავრინას შვილების თავშესაფარი, თავად კი მურის ციხე-კოშკში დაედო ბინა. აქედან მას შეეძლო იმერეთთან ჰქონოდა კავშირი.<sup>[SEP]</sup>

მთავრინა ციცინოს ერთობ თავაზიანად შეხვდა, მაგრამ უთხრა, რომ ომარ-ფაშას პირადად ვერ მიმართავდა; ამიტომ მას თხოვნის ბარათი ფრანგულად ციცინოს სახელით მისწერა, და ისიც ომარ-ფაშასკენ ამ ბარათით გაუდგა გზას. მაგრამ მანამდე სახლში შეიარა

და გულის უბეში პატარა, ლეკური ხანჯალი დამალა. მაინც რაში სჭირდებოდა ციცინოს ხანჯალი? იმ ნუთში თავი ივდითად ხომ არ წარმოიდგინა, პირქუშ და სასტიკ ოლოფერნებე შურისძიებას რომ აპირებდა?<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

ომარ-ფაშამ ციცინო ბუგდიდის სასახლეში დიდი პატივით მიიღო. ოსმალთა სარდალი დიდად მოიხიბლა მეგრული ქვრივი ქალის სილამაზით. ციცინოს მკაცრი სახით კაცი ვერ მიხვდებოდა, იგრძნო თუ არა მან ომარ-ფაშის განწყობა; სამაგიეროდ, ნაუს ფრთხილ მზერას არ გამოჰპარვია იმ გამანადგურებელი ცეცხლის ნაპერწკალი, ერთი წამით რომ გაიელვა ოსმალთა სარდლის თვალებში. პირქუში ნუბიელივით უძრავად იდგა ნაუ ციცინოს სიახლოვეს და მზად იყო, თავისი მბრძანებლის პირველისავე ნიშანზე თავს დასცხრომოდა მოძალადეს.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

ომარ-ფაშამ ბარათი წაიკითხა, თურქების მხარეზე გადასულ აფხაზს, კაცი მარლანიას უხმო და ციცინოს თანდასწრებით უბრძანა, გოგონას მოსაძებნად ყველაფერი ელონა; მერე, დამშვიდობებისას, ომარ-ფაშამ მშვენიერ ქვრივს ბაფრანისფერი, ძვირფასი თავშალი უბოძა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

გადიოდა დღეები და კვირები. გოგონას ძებნამ შედეგი ვერ გამოიღო. ციცინო შფოთავდა. 16 ნოემბერს ყარსი დაეცა; 23 ნოემბერს კი ამბავი მოვიდა, ციხე-სიმაგრე ომარ-ფაშას ხელში გადავიდაო. და, რაკი თურქეთის ლაშქარს სამეგრელოში აღარაფერი ესაქმებოდა, ომარ-ფაშამ დეკემბერში, ცხენისწყლის მიდამოებიდან რედუტ-კალეს

მიმართულებით თავისი ჯარების გაყვანა დაიწყო.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

ციცინო, მენიკი და ვატო სასონარკვეთილებას მისცემოდნენ.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

## მენისქვილე<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

სად წასულიყო? როგორ დაემოშმინებინა აბორგებული სული? მეგი მხოლოდ ამაზე ფიქრობდა, რაც ვატოსგან გამოიქცა. შინ დაბრუნებულიყო? არავითარ შემთხვევაში. ახლა მასში საშინელ ზიზღს იწვევდა და საძრახისად ეჩვენებოდა თავის მოკვლის სამარცხვინო მცდელობა. ამ ამბავს სახლში ვერ გაამხელდა, თუმცა გრძნობდა, რომ ნაუმ ყველაფერი დაინახა; არადა, სხვანაირად როგორ უნდა აეხსნა მათთვის, ნაწნავები რატომ აღარ ჰქონდა? მეგის ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს მოჭრილი თმა თავს უწვავდა. ყოველივე ამას დედის მიმართ ფარული სიძულვილიც ემატებოდა და გოგონას ტვინს უბურღავდა მტანჯველი ფიქრები. კი მაგრამ, დედა და ძიძა რომ შეშფოთდებიან? თუმცა, არა უშავს რა. ცოტათი ეგენიც დაიტანჯონ! სამაგიეროდ, უფრო გაიხარებენ, როცა მეგი, მცირე ხნის შემდეგ, კვლავ შინ დაბრუნდება. მერე ამ წინათგრძნობამ ქვეცნობიერად ისე იმძლავრა მასზე, რომ გოგონა კი არ წავიდა, გაიქცა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

ბუჩუ შეშფოთდა, როდესაც მასთან მოსული, აღელვებული მეგობარი დაინახა; მაგრამ მეგიმ მას არაფრის თქმა არ დააცალა და, ნემსი, ძაფი და მაკრატელი სთხოვა. მერე ყველაფერს ხელი დაავლო და სწრაფად გაუჩინარდა; გოგონა ფეხჩაუხრელად მიდიოდა, მაგრამ

არ იცოდა, საით. პირქუში, კუნაპეტი ღამე იდგა. სოფლებს ეძინათ. ირგვლივ სიჩუმე იდგა, მხოლოდ დრო და დრო ისმოდა ტყიდან ნადირის კვილი. ამ ხმის გაგონებაზე, მეგი ნუთით ჩერდებოდა და საკუთარი გულისცემას უგდებდა ყურს. ნუთუ ეშინოდა? ალბათ არა! განთიადისას, მთის ძირას ჩამოჭდა. ირგვლივ კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. გოგონამ თავისი ტანისამოსიდან სასწრაფოდ შარვალი შეიკვრა, თავშალი ყაბალახად გადააკეთა, ჩაიცვა და გზა განაგრძო. გამხდარი და კაფანდარა, ახლა იგი ნამდვილად ბიჭს ჰგავდა. ცხადია, ტანსაცმელი ჩაფართხუნებული ჰქონდა და ტანზე ძონძებივით ეკიდა, მაგრამ განა ცოტა ჩამოძონძილ მწყემსს ნახავს კაცი სამეგრელოში?! მეგიმ სახეზე ყაბალახი ჩამოიფხატა და ახლა მასში გოგოს ძნელად თუ შეიცნობდა ვინმე; ბოლოს და ბოლოს მეგი თავისი ტანისამოსით კმაყოფილიც კი დარჩა.<sup>[SEP]</sup>

მერე ზღვისკენ წავიდა. ვინ იცის, იქნებ ზღვის დაუცხრომელი სუნთქვა იზიდავდა მას ასე ძლიერ თავისკენ? მერე კი, ვერავინ იტყვის, სად ამოყოფდა მეგი თავს, სამეგრელოს დაბლობზე მოულოდნელად მტრის ჯარი რომ არ გამოჩენილიყო. რაკი იქიდან ვეღარსად წავიდოდა, გოგონა იძულებული გახდა, იმ წისქვილთან მისულიყო, ეულად და ნაღვლიანად რომ იდგა ნაკადულის პირას. მეგიმ გადაწყვიტა, თავი იქ შეეფარებინა.<sup>[SEP]</sup>

მეწისქვილე ერთი შეუხედავი, პირქუში და ტანმორჩილი, თუმცა ჩაფსკვნილი კაცი იყო. ორმოცდაათიოდე წლის იქნებოდა, მაგრამ ვერ მიხვდებოდი, თმა გაჭალარავებული ჰქონდა თუ არა, რადგან

დღენიადაგ ფქვილში იყო ამოგანგლული; კაცი იფიქრებდა, მენისქვილედ გარდასახული „წყლის სულიაო“. გრძელი მკლავები მუხლებამდე დასთრევდა, მარცხენა ხელზე კი, ხუთის ნაცვლად ექვსი თითი ჰქონდა და ხელი ცხოველის თათს მიუგავდა. მარცხენა, ნაცრისფერ თვალში უკმაყოფილო, პირქუში და იჭვნული მზერა ჩასდგომოდა, მარჯვენა თვალი კი ციმბირის წყლულით ჰქონდა ამოჭმული და ცარიელ ფოსოს სისხლიანი ლაქასავით დაელო პირი. მოხუცი ცოტას ლაპარაკობდა და არასოდეს იცინოდა. იფიქრებდი, მხოლოდ საკუთარ თავზეა მიყურადებულიო. მოკლე ფეხებით ბანტად დაჩლახუნობდა, ცალი ფეხი კი საშინლად მოღრეცილი ჰქონდა; მოხუცი დრო და დრო რაღაცას წაიზუზუნებდა ხოლმე, თუმცა სიტყვებს და მელოდიას ვერ გაარჩევდა კაცი; მიუხედავად ამისა, მისი სახე კეთილგანწყობას გამოხატავდა, ეს ალბათ მხოლოდ მისი გულგრილი ხასიათის ბრალი იყო. მენისქვილეს ანდრი ერქვა; მან „ბიჭი“ ისე მიიღო, რომ ცნობისმოყვარეობა არ გამოუჩენია და მისთვის არაფერი უკითხავს.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

მეგი მენისქვილეს წვრილმან საქმეებში ეხმარებოდა. ასეთ მშფოთვარე დროში იშვიათად თუ შემოიხედავდა ვინმე გაპარტახებულ წისქვილში. მეგი მეოცნებე იყო და აქ, წისქვილში, შეეძლო, რამდენიც უნდოდა, იმდენი ეოცნება; გოგონა თითქმის არ ლაპარაკობდა და მოგუდული ხმით თუ იტყოდა რამეს. წისქვილის რაკარუკს იგი ოცნებების სამყაროში გადაჰყავდა. საათობით იჯდა ფიქრებში წასული და იქაურობას ვითარსი სამყაროსავით აღიქვამდა. მართალია, ეს

სამყარო არც ისე მიმზიდველი იყო, მაგრამ შიშს არ ჰგვრიდა მაინც. იქ, სიმორეში ზღვა ციმციმებდა და მისი მოსარკული ზედაპირის დანახვაზე გოგონა ხანდახან ოცნებებიდან გამოერკვეოდა ხოლმე. უნდოდა ახლოს, სულ ახლოს მისულიყო ზღვასთან, მაგრამ ამის უნარი არ შესწევდა. იქნება ეშინოდა? ზღვის ბორგვა მეგის მოსვენებას უკარგავდა. მისთვის ნაცნობი იყო დედამინაზე არსებული ბუნების მოვლენები, მაგრამ ზღვა მაინც სულ სხვა იყო და არაფერს არ ჰგავდა. ოცნებებში მეგის შინაგანად რაღაც იზიდავდა, ზღვასავით პირველქმნილი, სახიფათო და ბნელი.<sup>[56]</sup>

ერთხელ, შუადღისას, როდესაც კოლხური შემოდგომის მზე დიდი, მწითლე ნაყოფივით ეკიდა ცაზე, მეგიმ ზღვის მარჯვენა ნაპირიდან წამოსული უზარმაზარი ღრუბელი დაინახა. მთლად უძრავი ჩანდა, მაგრამ მისი ჩრდილი საოცარი სისწრაფით ეფინებოდა წყლის ზედაპირს. ცაზე მხოლოდ ერთგან გამოკრთა მზე, სულ მალე კი ისევ თვალს მიეფარა. ირგვლივ ჩამობნელდა, საშინლად დაშიშისმომგვრელად. ზღვა ახლა ლევიათანივით ბორგავდა, ძილში მომაკვდინებელი სიგიჟე რომ შეიპყრობს უეცრად და გამოაღვიძებს. უცნაური ქაფი შემოდგომოდა თავზე გამძვინვარებულ ტალღებს. ბუნებამ სახე იცვალა. მეგისთვის ასე ახლობელ ბუნების ძალებსაც კი უცხო იერსახე მიეღოთ. შიშით შეჰყურებდა გოგონა უზარმაზარ ღრუბელს, რომელსაც ურჩხულის ფრთები გამოესხა და დედამინას მანტად დასტრიალებდა თავზე. და, აი, უეცრად გაირღვა მისი მრუმე სხეული და ბობოქარი ქარიშხალი ამოაფრქვია. მეგის შეეშინდა.

ფოთლების თრთოლვაში საკუთარი ცახცახი შეიწნო და ნისქვილში შევარდა. მერე კი ისეთი თქეში წამოვიდა, თითქოს ყველაფერს, მათ შორის მასაც, მოსპობით ემუქრებო, და მაინც, გულის შორეულ კუნჭულში მეგი უცნაურ, პირქუმ ნეტარებას გრძნობდა: იგი რაღაც პირველქმნილ, უკიდევანო ძალას შეეპყრო. მეგი ცახცახებდა.<sup>[SEP]</sup>

ანდრი „ბიჭს“ ყურადღებით არ ანებივრებდა, მაგრამ ხანდახან მის სიარულს აკვირდებოდა და მისი ხმაც ეუცხოებოდა, რადგან გოგოს ხმას აგონებდა. თუმცა ეს წამიერი ეჭვი მალევე უქრებოდა. სამეგრელოში ხომ იყვნენ ბიჭები, გოგოებს რომ ჰგავდნენ, განსაკუთრებით კი ყრმობის ასაკში?<sup>[SEP]</sup>

ბოლო ხანებში მენისქვილე „ბიჭის“ ძილმა შეაშფოთა; ეტყობოდა, სიზმარში ვიღაცას ებრძოდა, თან კვნესოდა და სიამოვნებისგან თრთოდა. „ასე ქალი თრთის ხოლმე“, – ფიქრობდა მოხუცი. დიდი ქარიშხლის შემდეგ ეს სიზმრები სულ უფრო და უფრო გახშირდა. მენისქვილეს ეჭვები გაუძლიერდა და მოსვენება დაკარგა, თან საკუთარ თავს ეკითხებოდა: „ნუთუ ეს ყველაფერი მეჩვენება?“ მაგრამ მალე მიხვდა, რომ არ ცდებოდა.<sup>[SEP]</sup>

ერთ დღეს მეგი სიმინდის მარცვლებს წისქვილის ღარში ყრიდა. და უეცრად ნატორტმანდა; მენისქვილემ ხელი რომ შეაშველა, გოგონას მკვრივი მკერდი მნიფე ნაყოფივით დაეფინა მკლავზე. მოხუცს გონება დაეხშო; მეგის მკერდი თითქოს ხელებს სწვავდა; მერე მისი სუნთქვის სურნელიც იგრძნო და ანდრიმ ყოყმანით და უხალისოდ შეუშვა ხელი თავის ნადავლს; იმ წუთიდან იგრძნობოდა, რომ „წყლის სული“

მწველი სურვილის ჩახშობას ლამობდა.<sup>[P SEP]</sup>

ერთხელ ღამით, როდესაც მენისქვილეს მოეჩვენა, რომ გოგონა სიზმარში ისევ ვიღაცას ებრძოდა, მიეპარა და მკლავები მაგრად შემოხვია, რადგან ძალა ჯერ კიდევ ერჩოდა. გოგონას გაედვიძა და ხმამაღლა შეჰკივლა: სხივმოსილი მზეჭაბუკის ნაცვლად ახლა ამაზრზენი „წყლის სული“ აპირებდა მის დაუფლებას. გოგონას მოხუცის ხროტინი ჩაესმოდა და ტუჩებთან მის საზიზღარ სუნთქვას გრძნობდა; მარჯვენა მკლავქვეშ თითქოს ქვენარმავალი შესცოცებოდა და სისხლს სწოვდა; ეს ცხოველის ექვსთითა, ბინძური თათი იყო. მეგი ძუ მგელივით წამოიჭრა ზეზე, მერე გამძვინვარებული მოხუცს ყელში სწვდა და დახრჩობა დაუნყო; მოხუცი თავს ვეღარ აღწევდა გოგონას მარწუხივით შემოჭდობილ ხელებს; ბოლოს ისე წაუჭირა ყელში, რომ მენისქვილე სასიკვდილოდ დაიკრუნჩხა და რამდენიმე წუთში უკანასკნელად დაიხროტინა. და, ვინ იცის, იქნებ ეს ხროტინი ნეტარების გამოძახილიც იყო?<sup>[P SEP]</sup>

მეგი შიშმა აიტანა.<sup>[P SEP]</sup>

მერე იგრძნო, შიში და ზიზღი გველივით როგორ ჩაუსრიალდა ზურგში. მოხუცი მკვდარი იყო.<sup>[P SEP]</sup>

## მსხვერპლი<sup>[P SEP]</sup>

თურქები სამეგრელოდან წავიდნენ და ცხოვრება ისევ თავის კალაპოტში ჩადგა. მეგი უგბო-უკვლოდ დაიკარგა. ციციწო ამბობდა, დარწმუნებული ვარ, თურქების შემოსევის დროს, მეგი აფხაზთან

ერთად ვაჟის სამშობლოში გაიქცაო. ერთ დღეს ცხენები შეაკაზმინა და ნაუს თანხლებით მეზობელ აფხაზეთში გაემართა. მაგრამ ლაკერბაიების ოჯახშიც სანუგეშო ვერაფერი შეიტყო. ასტამურის სასონარკვეთილ დედას თავად სჭირდებოდა ნუგეში. ხმები დადიოდა, აფხაზი ომარ-ფაშას ჯარს გაჰყვა თურქეთშიო. ციცილო ახლა იმ აზრს ჩასტიდებოდა, რომ აფხაზი მის შვილსაც თან წაიყვანდა. იმედი ხომ ყოველთვის გამოძებნის რაღაც ხელჩასაჭიდს?!

სამეგრელოში დაბრუნებულ ციცილოს შინ დიდად შენუხებული მენიკი და ვატო დახვდნენ. როგორც აღმოჩნდა, ციცილოს არყოფნაში, ვატოს თურმე მათთან, სახლში ეძინა და მეგის პორტრეტიც იქ მიიტანა. მაგრამ ერთ ღამეს იგი თავის ფაცხაში დაუტოვებია, რადგან უფიქრია, სურათს არავინ წაიღებსო; მაგრამ სურათი გაქრა... სურათი მოიპარეს, მეგიც უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა, – ესე იგი ყველაფერი დამთავრდა. მხატვარი ჩამოხმა და მისმა უცნაურმა ხასიათმა სულ უფრო და უფრო იჩინა თავი. ციცილოს სახლი ახლა გლოვის სახლად გადაქცეულიყო.

## მეგი თურქეთში არ გაქცეულა.

მოხუცი მენისქვილე ორი დღის შემდეგ იპოვეს: საზარელი სანახავი იყო. მოლურჯო-მონითალო გვამს ვირთხები დაჰატრონებოდნენ. მაგრამ კიდევ სხვა რამ იყო შემზარავი: ისევ ისმოდა ნისქვილის რაკარუკი, დოლაბები ისევ ტრიალებდნენ, მაგრამ დაფქვით აღარაფერს ფქვავდნენ და იმ ხელოვნურ წარმონაქმნს თუ გვამს ჰგავდნენ, თვალთმაქცურად რომ ცდილობს, თავი ცოცხლად

მოგაჩვენოს. მოხუცი დაკრძალეს. ამბობდნენ, ის ან თურქებმა მოკლეს ან თავისი სიკვდილით აღესრულაო. მენისქვილეს ყელზე ძალადობის კვალი ვერ უპოვეს, რადგან ვირთხებს მისი დატოვება არ უფიქრიათ.<sup>[P SEP]</sup>

ამასობაში მეგის შორი გზა გაეწვლია. სამეგრელოდან წასვლა გადამწყვიტა, რადგან ფიქრობდა, რომ მისი მშობლიური მინა დანყვევლილი და შეჩვენებული იყო. ახლა იგი საკუთარ თავს ნამდვილ მკვლელად მიიჩნევდა, მაგრამ საოცარია: ერთი წუთით არ გაუვლია თავში თვითმკვლელობაზე ფიქრი. გოგონა თითქოს გამობრძმედილიყო და იმ მესადაცემულ ტოტს ჰგავდა, მომავალში მძლავრ ტოტებს რომ ამოიყრის ხოლმე. სირცხვილის გრძნობა დამდასავით დამჩნეოდა მის სულს. თავადაც არ იცოდა, რატომ; მაგრამ ახლა უკვე აღარ უნდოდა ბიჭურად გადაცემულს ევლო და ისევ გოგოს ტანსაცმელი ჩაიცვა. რა თქმა უნდა, ისევ ჩამოძონძილი დადიოდა, მაგრამ განა სამეგრელოში ყოველი ფეხის ნაბიჯზე არ ნახავთ ასეთ ჩამოძონძილ გოგოებს?<sup>[P SEP]</sup>

მერე ის იყო, პატივაცრილმა, ჩამოკონკილმა და მშიერმა მეგიმ გურიისკენ აიღო გეზი; მინდორზე, საძოვარზე გაშვებული ფაშატი დაინახა, ზედ მოახტა და რიონი გადაცურა, მერე კი ისევ ფეხით დაადგა გზას; ღონემიხდილმა არ იცოდა, სად მიდიოდა; მოგვიანებით კი მთავრის მონადირეებმა მინდორში დაგდებული იპოვეს და ციხე-კოშკში მიიყვანეს.<sup>[P SEP]</sup>

იქ მისი ვინაობა არავის უკითხავს. თურქების შემოსევის დროს გურიაში უამრავი უსახლკარო და უსახელო დევნილი ჩამოდიოდა

გურიის მთავრის მეორე მეუღლეს, ახალგაზრდა ცეცილიას მოეწონა მეგი და თავისი სეფე-ქალების დასში ჩარიცხა. მაგრამ საბრალოს აქაც ახალი სატანჯველი ელოდა. მეგის თვალი დაადგა ცეცილიას გერმა და მოსვენებას არ აძლევდა გოგონას. მერე მეგიმ ეს ამბავი მთავრინას გაუმხილა და თავისი ცხოვრებიდან ზოგიერთი ამბავიც უამბო. ცეცილიამ გოგონას დაცვა თავის თავზე აიღო და გერს უბრძანა, მისთვის თავი დაენებებინა. ლამაზმანი დედინაცვლის ბრძანებამ დიდხანს არ გაჭრა, რადგან ქალი ღვთისმშობლის სახით კი დაიარებოდა, მაგრამ ყოველ ნაბიჯზე ცდუნებას აწყდებოდა და არც მთლად უცოდველი იყო. ახალგაზრდა მთავარმა ისიც იცოდა, რომ მის დედინაცვალს სასიყვარულო ურთიერთობა მეზობელი თავადთან ჰქონდა. ცეცილიას ქმარი ფიცხი მოხუცი იყო, ამიტომ გარშემომყოფნი ცდილობდნენ, ცოლის ღალატის ამბავს მის ყურამდე არ მიეღწია; მაგრამ მთავარმა თავად აიღო ეჭვი და ცოლს გამალეებით უთვალთვალეებდა. ერთ ღამეს მოხუცს ცოლის ოთახიდან საეჭვო ხმები მოესმა და სალამურ პერანგში გამონყობილი, ხმალამოღებული შეიჭრა მასთან. ცეცილიას საყვარელმა დროზე მოასწრო ფანჯრიდან გადაძრომა. კიდევ კარგი, ოთახში ბნელოდა, თორემ ქალი უეცრად გონს ვერ მოვიდა და მის აკანკალებულ ხმას შეეძლო გაეცა იგი. ამ დროს კარი გაიღო და ოთახში მოულოდნელად მეგი შემოვარდა. რაკი მან თავისი მფარველის საიდუმლო იცოდა, ახლა აღელვებით განაცხადა, მეზობელი ოთახიდან, სადაც თავად ვცხოვრობ, უეცრად

ვიდაც „უცნობი“ გამოვარდა გარეთო. ცეცილიას სუნთქვა შეეკრა, მოხუცი მთავარი კი სახტად დარჩა. ის გრძნობდა, რომ ცოლმა ეს-ესაა მოატყუა, რადგან ეჭვიანობაზე სულაც არ ითქმის ბრმაო, დიახ, ის თვალხილული, და, უფრო მეტიც, ზოგჯერ წინასწარმეტყველურიც კი არის ხოლმე. განრისხებული მთავარი ერთიანად ცახცახებდა, თუმცა გულში ნატრობდა, ეს ყველაფერი სიცრუე ყოფილიყო. გაბრაზებულმა, მაგრამ თან შემცბარმა მთავარმა ძირს დაუშვა ხმალი და, ამ დროს გულში ალბათ ფარულ სიხარულს ვერ მალავდა. მერე, როგორც ამას თავაზიანობა მოითხოვდა, მეუღლეს მოუბოდიშა, მეგის კი მიაძახა: „გათრიე აქედან, შე ბოზო, შენა!“ მეგი ოთახიდან გამარჯვებული სახით კი გავიდა, მაგრამ მთავრის სიტყვებმა ზურგი აუნვა. ცეცილია ამ დროს ქმრის დაშოშმინებას ცდილობდა.<sup>[56]</sup>

გავიდა რამდენიმე თვე და მეგიმ იგრძნო, რომ ფეხმძიმედ იყო; გოგონა ახლა კი მიხვდა – იმ დღეს, იქ, წისქვილში, შემზარავი ამბავი მოხდა, სამარცხვინო ლაქად რომ დამჩნეოდა მის სხეულს. მეგიმ ისეთი ზიზღი იგრძნო, რომ მზად იყო საკუთარი თავი დაეშანთა. მერე ეს ამბავი ცეცილიას გაანდო, რომელმაც გოგონას ნაყოფის მოშორება ურჩია; მაგრამ მეგი, რომელიც მზად იყო, საკუთარი თავი დაეშანთა, ამაზე არ დაეთანხმა. საბედნიეროდ, ხსნამ არ დააყოვნა: ერთ დღეს გოგონამ მძიმე ტვირთი მოიკიდა, საღამოს კი მკვდარი ბავშვი დაბადა... მთავარი კმაყოფილი იყო, რადგან მკვდარი ბავშვის დაბადება მისი ცოლის უცოდველობის დასტური იყო. მალე მეგი ისევ წამოდგა ფეხზე, ძალებიც აღიდგინა, მაგრამ მომხდარს საშინლად

განიცდიდა და იტანჯებოდა. მიუხედავად ყველაფრისა, გოგონას თავი მაინც უცოდველად მიაჩნდა და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ მის უბინოებას სულ ჰატარა ლაქაც კი არ დამჩნეოდა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

მთავრისსასახლეში ელვისსისწრაფით გავრცელდა მკვდარი ბავშვის დაბადების ამბავი; მერე კი ამ ხმამ სოფლამდისაც მიაღწია. მეგი სირცხვილით იწვოდა. მთავრის ვაჟმა უფრო მეტად დაუნყოფევნა და გოგონამ გადანყვითა, სამუდამოდ გასცლოდა გურიას. ცეცილია ვერ შელევოდა თავის საყვარელ მოახლეს, რომელსაც ძალიან დაუმეგობრდა; მაგრამ მეგი აღარ გაჩერდა. მერე მალულად, ისე, რომ ეს ამბავი მხოლოდ მთავრის მეუღლემ იცოდა, დატოვა ერისთავის სასახლე.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

## მთვარეული ლანდი<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

და, აი მეგი კვლავ შეისუნთქავდა ბალახისა და მეგრული მინის ნოტიო სურნელს. ახლა იგი შინისაკენ მიმავალ გზას დასდგომოდა. ძალიან ენატრებოდა დედა და აღარ ეშინოდა, მისთვის იმ საზარელი და სამარცხვინო ამბების მოყოლა, ამ ხნის განმავლობაში თავს რომ გადახდენოდა. მეგი ნელ-ნელა ეგუებოდა საკუთარ ბედს, როგორც რაღაც კანონზომიერსა და, ასე თუ ისე, სამართლიანს. ფიქრებში წასული გოგონა ნელი ნაბიჯით მიდიოდა. უეცრად შორიდან სიმღერა შემოესმა: ვიღაცა მეგრულ ურმულს – „ჩელას“ მღეროდა. მეგიმ ნაბიჯს აუჩქარა და მალე კამეჩებშებმულ ურემს წამოენია. კამეჩები ზანტად და ნაღვლიანად მიიზღაზნებოდნენ და ყმანვილი მეურმის სიმღერაც

ნაღვლიანად და მდორედ გაისმოდა. მეგი ურემს რომ მიუახლოვდა, სიმღერა უეცრად შეწყდა. ურემზე ქალი იჭდა. პატარა გოგოს, დაახლოებით ცხრა წლის რომ იქნებოდა, თავი დედის კალათში ჩაედო და ეძინა. მისალმების შემდეგ, ქალმა თავის გვერდით შესთავაზა ადგილი მეგის. გოგონა დაღლილი იყო და უარი არ უთქვამს; მერე კი თვალს ველარ აშორებდა მძინარე ბავშვს, რომელიც დრო და დრო თითქოს ქვითინებდა ძილში. ამ დროს დედა ალერსით უსვამდა თავზე ხელს და ეფერებოდა. უეცრად პატარამ ჩახლეჩილი ხმით ისე სულისშემძვრელად შეჰყვირა, თითქოს სიზმარი ბასრმა დანამ გადაუსერაო. გოგონას გაელვიდა, მაგრამ ტირილი არ შეუწყვეტია; დედასაც ცრემლით ავსებოდა თვალები.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მეგი მიხვდა, რომ ბავშვს საშინელი სენი სჭირდა, ტვინის ანთების შემდეგ რომ დარჩენოდა. დედამ დაინყო მოყოლა, თუ როგორ ნუხს პატარა შეტევის დაწყების წინ, როგორ გრძნობს მის მოახლოებას და თავისიანებს ევედრება, არ მიატოვონ, მერე კი სანყალობლად, გულისმომკვლელად ინყებს ტირილს; ძალიან ცდილობს, არ იტიროს, მაგრამ თავს ვერ იკავებს. პატარა შველას ითხოვს, მაგრამ მისი შველა არავის შეუძლია. საბრალოს გულზე თითქოს მაჭლაჭუნა აწევს და ახრჩობს. განუწყვეტლად ტირის, ხანდახან რამდენიმე ნუთით დამშვიდდება, მერე კვლავ შფოთვას ინყებს და აქეთ-იქით აწყდება, ვიდრე ბოლოს და ბოლოს ქანცი არ გაუწყდება და ძილი არ შეეხება მის წამწამებს თავისი ფრთებით.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ამას ჰყვებოდა დედა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მერედა, ახლა სად მიგყავს ბავშვი? – ჰკითხა მეგიმ.<sup>[P SEP]</sup>

– სოფელ შხეფში, – მიუგო დედამ.<sup>[P SEP]</sup>

– ექიმბაშთან?<sup>[P SEP]</sup>

– არა, მინდა იქ ერთი სურათი ვაჩვენო. იქნებ ამით მაინც ეშველოს რამე.<sup>[P SEP]</sup>

– რა სურათია ასეთი? – ჰკითხა მეგიმ და თან გაიფიქრა, ქალი ალბათ რომელიმე სასწაულმოქმედ ხატს გულისხმობსო.<sup>[P SEP]</sup>

– ამბობენ, შხეფში ვიღაც გოგოს იგივე სენი შეჰყრია, – განაგრძო დედამ, – თურმე ტიროდა, სრულიად შემთხვევით იმ სურათს შეხედა და გამოჯანმრთელდა. ისიც თქვეს, იმ სურათს თვალი ვერ მოაშორაო.<sup>[P SEP]</sup>

დედამ ნაზად დახედა ავადმყოფ შვილს: ბავშვს კრუნჩხვებისგან მთელი სხეული მოჩოლფოთებოდა.<sup>[P SEP]</sup>

მეგი ქალს გზაჯვარედინთან დაემშვიდობა, შვილის გამოჯანმრთელება უსურვა, თვითონ კი გზა განაგრძო, თუმცა ბავშვზე ფიქრი კიდევ ვერ მოეშორებინა თავიდან. მეგი ამ დროს საკუთარ ბედისწერაზეც ფიქრობდა. რამდენ საშინელებას გაუძლო! განა თავადაც ბოლომდე არ გამოცალა ტანჯვის ფიალა? თუმცა, ვინ იცის, იქნებ ამ პატარას მასზე მეტი სატანჯველი ჰქონდა გამოსავლელი?! ეს რომ გაიფიქრა, მეგის სითბო და სინაზე ჩაეღვარა სულში.<sup>[P SEP]</sup>

ახლა იგი ლალად მიაბიჯებდა მშობლიურ მინდორ-ველზე. უკვე შებინდებულიყო. ცაზე უზარმაზარი, გაცრეცილი მთვარე ამოგორდა. მეგი ბალახზე ჩამოჯდა; გადანყვიტა, ცოტა ხანს კიდევ

შეყოვნებულიყო და შინ იმ დროისთვის მისულიყო, მთვარე სამეგრელოს სივრცეებს უშფოთველ, რბილ სხივებში რომ გაჰხვევდა. მერე კი სრულიად მოულოდნელად გამოჩნდება! რა სიხარულს იგრძნობს და რა ბედნიერი იქნება იმ წუთებში! და მეგი შეფრთხინვით ჩაიძირა ოცნებებში:<sup>[P SEP]</sup>

აი, თვალწინ დაუდგა პატარა ქოხი, ეული და სევდიანი. კუნაპეტი ღამეა. ირგვლივ სიჩუმეს დაუსადგურებია. ქოხში ადამიანები ცეცხლს შემოსხდომიან. ჩუმი ტკაცატკუცი გაუდის ნალვერდალს. ზღაპრის მოყოლა დაუმთავრებიათ. სახე ყველას სევდიანი აქვს. ახლა ყველანი კვლავ იმ ყმანვილზე ფიქრობენ, ნადირობისას, ზღვაში თუ ომში უგბოუკვლოდ რომ დაიკარგა. დუმილით იხსენებენ მას და ხმამაღალი სიტყვა არავის დასცდება. არავის დაუკარგავს იმედი, რომ ყმანვილი არ დაღუპულა და ჯერაც ცოცხალია; ყველა იმ რწმენით ცოცხლობს, რომ უეცრად გამოჩნდება იგი, ძვირფასი და საყვარელი. ჩუმი ტკაცატკუცი გაუდის ნალვერდალს; იქმყოფთა ნალვლიან სახეებზე აღბეჭდილა რწმენა შეუძლებლის აღსრულებისა.<sup>[P SEP]</sup>

ასე წარმოიდგინა მეგიმ თავისი შინ დაბრუნება. მერე ადგა და ჩქარი ნაბიჯით განაგრძო გზა. ოპალის სხივებს აფრქვევდა მთვარე.<sup>[P SEP]</sup>

მეგი ახლა თითქოს ცარიელი გული იყო: მისი ბაგაბუგის გარდა არაფერი ესმოდა! მთვარეულივით მიდიოდა, თუმცა გარშემო ყველაფერს ცხადად ხედავდა, და, აი გოგონა თავის ეზოს მიუახლოვდა. მისი ტვინი თითქოს ცეცხლის ალმა განჭოლალა; ეზოში რომ შევიდა, იგრძნო, რომ მუხლები ეკვეთებოდა. სახლში ბნელოდა

და ჩამიჩუმი არ ისმოდა; ძალღებსაც ეძინათ. აი, ახლა შევა, დედას და მენიკისგააღვიძებს! შეეშინდებათ, მაგრამ როგორ გაუხარდებათ!

მეგიმ ნაბიჯი გადადგა და ადგილზე გაქვავდა. აივანზე დედამისს ვილაც კაცი კოცნიდა. ღმერთო ჩემო! ნუთუ ეს ნაუ იყო? ან იქნება მთვარეულ ლანდს ხედავდა? მეგის გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. გოგონა ადგილიდან ვერ იძროდა.

ციცინო მისგან ბურგით იჭდა, მაგრამ მისი ცნობა ძნელი არ იყო. ნაუ მის წინ მუხლებზე დამხობილიყო და ქალს გაშიშვლებულ მუხლს ვნებიანად უკოცნიდა; ციცინოს კი თითები ნაუს თმაში შეეცურებინა და მსახურს თვინიერი ცხოველივით ეფერებოდა. დარდსა და ტკივილს კიდევ უფრო გაემძაფრებინა ქალის ვნებები. სწორედ ამ დროს ნაუმ შემთხვევით წამოსწია თავი და ისიც გაშეშდა: ნუთუ ეს მეგი იყო? უნდოდა მოულოდნელი სიხარულისგან დაეყვირა, მაგრამ ხმა ვეღარ ამოიღო. ნაუმ იგრძნო, რომ სირცხვილი და შიში მასში კრუნჩხვით გადაეწნა ერთმანეთს. იქნებ ეს მოჩვენება იყო? ნაუმ თავი ჩაქინდრა და თითქოს გაქვავდა.

ქალმა იგრძნო ეს.

– რა გჭირს? – ჰკითხა მსახურს.

ნაუმ თავი ასწია და ჭიმკრისკენ გაიხედა: მეგი გამქრალიყო.

– რა დაგემართა, დამუნჯდი? – გაბრაზებით ჰკითხა ისევ ქალმა.

ნაუს ლაპარაკის უნარი წართმეოდა და ცხოველივით წაიღმუვლა რაღაც.

„ნუთუ მომელანდა?“ ამ კითხვას შეეშფოთებინა მისი ამღვრეული

ტვინი. ციცილომ ხაუს ფეხი ნაჰკრა, ძალღივით გვერდზე მიაგდო და ფეხზე წამოდგა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მეგი ეზოდან გავიდა. მიხვდა, რომ სამყარო თავზე დამხობოდა და თანაც სამუდამოდ. კაცმა რომ თქვას, რა მოხდა ისეთი? განსაკუთრებული არც არაფერი მომხდარა! უბრალოდ მეგიმ იხილა ქალი, თავისი ვნების დასაკმაყოფილებლად საკუთარი მსახური რომ აირჩია. და, მაინც, მეგის გონება ვერა და ვერ ჩასწვდომოდა ამას. გოგონა თანახმა იყო, კვლავაც განეცადა ნებისმიერი შიში, ოღონდაც ეს სურათი არ დაენახა; დიახ, არ დაენახა დედა, რომელსაც აღმერთებდა... არა, არ უნდოდა... მეგის აზრი გაუნყდა... გოგონა აქვითინდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ახლა იგი აღარ ფიქრობდა ავადმყოფ ბავშვზე, რადგან თავადაც უფრო დიდი სატანჯველის გავლა ელოდა. მერე თავში გაუელვა აზრმა, რომ შესაძლოა ნუგეში მასაც შხეფში ეპოვა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

## ორეული<sup>[P] [SEP]</sup>

საამური სანახავია მდინარე ტეხურას მარჯვენა ნაპირზე გადაჭიმული გორაკები და ამ გორაკებზე შეფენილი მშვიდი, მყუდრო კარ-მიდამოები; აქ მდებარეობს ნოქალაქევი, ანუ „ადგილი, სადაც ერთ დროს ქალაქი იყო“. აქვე ნახავთ უძველესი ქალაქის, ციხე-გოჭის ნანგრევებს, რომელსაც ჯერ კიდევ პეროდოტე მოიხსენიებს, მოგვიანებით კი სტრაბონი „არქეოპოლისს“ უწოდებს. ამ ადგილას იუსტინიანეს დროინდელი, მშვენიერი ფრესკებით მოხატული, ძველი

ეკლესია დგას, რომლის კედლებიც თლილი ქვითაა მკვიდრად ნაშენები. ეკლესიის სიახლოვეს ციხე-სიმაგრე აღმართულა, საიდანაც გზა საიდუმლო გვირაბით მდინარეზე ჩადის. ნოქალაქევთან ახლოს, მდინარის გაყოლებაზე, ძველ კარ-მიდამოში, ორსართულიანი, ფართოაივნიანი სახლი დგას, მდინარეს რომ გადაჰყურებს.<sup>[59]</sup>

საუკუნოვანი ვერხვების, მუხებისა და ნიგვზის ხეების ჩრდილი ჩარდახივით გადაჰხურვია ეზოს. კარ-მიდამოს გადაღმა, ნამახული გორაკის ძირში სოფელი შხეფი მდებარეობს, გორაკის თავზე კი სამეგრელოს მთავრის უზარმაზარი ციხე-კოშკის ძველი ნანგრევები მოჩანს, ირგვლივ სურო რომ შემოჰხვევია.<sup>[60]</sup>

აზნაურ კორძაიას ეზოში ურემი შევიდა, რომელზეც ქალი იჯდა ავადმყოფი ბავშვით. ამ დროისთვის ეზოში უკვე უამრავი მოჩარდახული ურემი იდგა. სამეგრელოდან, გურიიდან, სვანეთიდან და იმერეთიდან ჩამოეყვანათ: შეჰყრობილები, ავზნიანები, ენაბლუები, ბნედიანები და უიმედოდ შეყვარებულები; მათ შორის იყო გიჟების, ანუ სულით ავადმყოფთა მთელი საკრებულო. ყველანი განკურნებას ელოდნენ; ყოველ მათგანში ცოცხლობდა რწმენა, რომ სასწაული მოხდებოდა და განიკურნებოდა; მართალია, თითქოს საშველი არსაიდან ჩანს, მაგრამ ამქვეყნად, სადღაც მაინც არსებობს ჰანანინა იმედის სხივი, გამოჯანმრთელებას რომ გპირდება. და ავადმყოფები, უფრო მეტად კი, მათი ჭირისუფლები, თავიანთ მეოცნებე, თუმც კი ანთებულ გონებაში, სწორედ სინამდვილედ ქცეულ ამ იმედის სხივს ეპოტინებოდნენ.<sup>[61]</sup>

ასეთი ალტკინებული გუნებ-განწყობა მათ სხეულზეც მოქმედებდა; ამიტომ არცთუ იშვიათი იყო სასწაულებრივი განკურნების შემთხვევები. გამჭრიახ და გერგილიან აზნაურ კორძაიას მშვენივრად გამოეყენებინა იმ გოგონას შემთხვევა, რომელზედაც მეგის ურემზე მგზავრობისას ქალმა უამბო. თუმცა, ამ ამბავში გასაოცარი არაფერი იყო: ავადმყოფმა გოგონამ ნახა ახალგაზრდა ქალის სურათი, გააოცა მისმა სილამაზემ და ცოტა ხნით დამშვიდდა. გოგონას ახლობლებმა კი სურათს თურმე სასწაულებრივი ძალა მიაწერეს; ადამიანს აქვს ბუნებრივი მოთხოვნილება, სასწაული დაარქვას ყველაფერს, რაც მის უბედურებას სასიკეთოდ შემოატრიალებს, თუნდაც ეს სიკეთე მხოლოდ მოჩვენებითი იყოს. მერე გოგონას ამბავი ხალხში გავრცელებულა და დიდი მღელვარება გამოუწვევია.<sup>[16]</sup>

კორძაიას სურათი სენაკში, ბაზრობაზე უყიდია, მაგრამ სურათის წარმომავლობა უფრო იდუმალი და შთამბეჭდავი რომ ყოფილიყო, ხმა დაუყრია, სურათი ერთი იტალიელისგან ვიყიდე, რომელსაც ფოთის სანაპიროზე კეთილი სამსახური გავუწიეო. სურათზე გამოსახული ახალგაზრდა ქალს კორძაია „ქალწულ მარიამად“ მოიხსენიებდა, თუმცა ბევრს უკვირდა, რატომ იყო სურათზე ქალწული ყრმის გარეშე; მაგრამ სასწაულებისადმი რწმენა მტკიცებულებებს არ საჭიროებს. სამაგიეროდ, სურათი კორძაიასათვის სარფიანი შემოსავლის წყაროდ იქცა. სურათის ნახვა კვერცხის, ყველის, ნართის, ცხვრების, ქათმებისა და მტრედების საფასურად შეიძლებოდა. სწეულებსა და მათ ჭირისუფლებს უფლება ჰქონდათ სურათი მხოლოდ

მზის ჩასვლისას ენახათ; ასეთი იყო კორძაიას ნება, თუმცა ამის მიზეზი არავინ იცოდა. სურათი ათასწლოვანი მუხის უკან, ჩრდილქვეშ მოეთავსებინათ.<sup>[P SEP]</sup>

იმ დღეს ავადმყოფები და მათი ახლობლები უკვე შეგროვილიყვნენ და ჩუმი აღტაცებით მისჩერებოდნენ სურათს. უეცრად მათ გვერდით ახალგაზრდა გოგონა გამოჩნდა, მაგრამ მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ეს გოგონა მეგი იყო. იგი უაზროდ შესცქეროდა გარშემო ხალხს; და, აი, უეცრად მისი მზერა სურათს მისწვდა; გოგონა ისე შეკრთა, თითქოს თვალებში ცეცხლის ალი ეცაო, მაგრამ ეს მწველი კი არა, მოალერსე ცეცხლი იყო. მეგიმ საკუთარი გამოსახულება დაინახა, და მის გონებაში უეცრად გიჟურმა აზრებმა იწყეს რბოლა: რა არის ეს? ნუთუ მოჩვენებაა? როგორ აღმოჩნდა მისი პორტრეტი აქ? ცოტა ხანში მეგის მღელვარება დაუცხრა და ნაზი სითბო ჩაელვარა სულში: ესე იგი, მისი გამოსახულება კურნავს და ამშვიდებს ადამიანებს?! მაგრამ, უეცრად მიხვდა, რომ სურათი სასტიკი დაცინვასავით მოევლინა: დიახ, მისი, თავად უკურნებელი ადამიანის სურათი სხვებს კურნავდა! ვინ იცის, იქნებ საკუთარმა გამოსახულებამ თავად მეგიც განკურნოს? გოგონა დაჟინებით დააკვირდა პორტრეტს და რაღაცნაირად ეუცხოვა იგი, შეკრთა და სურათს თვალი აარიდა. ამ დროს ის ყმანვილი იცნო, გურიაში ყოფნის დროს მეგის მზერას რომ ეძებდა და მისი სიყვარულით იტანჯებოდა. ახლა უიმედოდ შეყვარებული ყმანვილი გურიიდან ჩამოეყვანათ, მისი დედა კი ვიღაც ქალს უყვებოდა, როგორ მოაჯადოვეს მისი შვილი. მერე ყმანვილმაც დაინახა მეგი და ველური

ბღავილი აღმოხდა. სიყვარული იყო ეს თუ წყევლა? სურათის ცქერით გართული ბრბო უეცრად აბორგდა. ყმანვილის დედამ მეგის გახედა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– აი, იქ დგას ის კახპა, ჩემი ბიჭი რომ მოაჭადლოვა! – გიჟივით შეჰკვივლა ქალმა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

რაო? კახპაო? რა ესაქმება ამ ადგილას კახპასო? გავემებული ბრბო ახლა ისე უყურებდა მეგის, თითქოს გაგლეჭას უპირებსო. გოგონა არ განძრეულა. ყმანვილის დედაკი არა და არ ცხრებოდა. მეგის სიმშვიდემ კიდევ უფრო ალაგბნო ბრბო. გოგონას კი ამ გამონვევამ თითქოს ახალი ძალები შთაბერა. თავსაფარი ჩამოიგლიჯა და აგბნებულმა მრისხანედ შეჰყვირა:<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მე მეძახით კახპას? აბა შემომხედეთ! ის ქალი ხომ მე ვარ! – ეს თქვა და სურათზე მიუთითა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ხალხის თითქოს გაქვავდა. ქალი, რომლის სურათსაც ეთაყვანებოდნენ, ახლა მათ წინ იდგა, ოღონდ სურათზე მას მშვიდი და სათნო თვალები ჰქონდა, ცოცხალი პირველსახის მგერა კი ისეთი რისხვით იყო ანთებული, თითქოს ბრბოს გადაბუგვით ემუქრებო. წუთის წინ გამძვინვარებული ბრბო დაბნეული და შეშინებული შეჰყურებდა მას. უეცრად ყმანვილის დედა ისევ მოჰყვა ყვირილს:<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ეგ ქალი კუდიანია, ჯადოქარია! შეუძლია გარდაისახოს და ნებისმიერი სახით გამოგვეცხადოს!<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ხალხი კვლავ მეგის მიაჩერდა. გოგონა უდრტვინველად ისმენდა მის სიტყვებს და ერთი წუთით მოეჩვენა, რომ სურათზე მისი გამოსახულება არ იყო. და მეგი, მართლაც, უკვე სხვა ადამიანად

გარდასახულიყო: სახეზე სრულად აღბეჭდოდა ბოლოდროინდელი განცდების კვალი.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

ყმანვილის დედა კი ისევ და ისევ გაჰკიოდა:<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ჯადოქარო, კუდიანო, კახპავ!<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

ბრბო ნელ-ნელა დაიძრა მისკენ.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

მეგი სასწრაფოდ მიიმალა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

გედი თავს ფრთის ქვეშ მალავს.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

ისეთი წყნარი ლამე იდგა, თითქოს მძინარე გედმა თავი ფრთის ქვეშ შემალაო. მეგი წყნარი ნაბიჯით მიდიოდა და თავადაც შავ გედს ჰგავდა, ნაღვლიანად რომ ჩაეჭინდრა თავი. ფიქრებში წასულ გოგონას სახე დაღვრემილი ჰქონდა, სამყარო თავზე დამხობოდა და თავადაც ამ სამყაროში ჩაკარგულიყო. ფიქრები ხახვის ფურცლებივით, ერთიმეორეზე მიყოლებით შემოეცალა, მათ გულისგულს კი მაინც ვერ ჩასწვდა. მეგის საკუთარი თავი დაეკარგა და ახლა მისგან მხოლოდ დაბნეული, გაფაცოცებული მზერა და მოფარფატე ლანდილა დარჩენილიყო. გოგონას მინა ეცლებოდა ფეხქვეშ და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს საგნები ერთმანეთს ერწყმოდნენ, ვარსკვლავები მზერად ქცეულიყვნენ, სხეულები კი – ზღაპრულ ლანდებად. მეგი მშვიდად მიდიოდა. მერე უეცრად გაუელვა აზრმა, რომ თავად იყურებოდა ამ სხეულებიდან, თავად გადაქცეულიყო ამ ზღაპრული ლანდების შინაგან მზერად. ამ აზრმა მხოლოდ ერთი წამით გაიელვა და უმალ ჩაქრა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

„როგორ მოვიქცე? როდემდე ვიხეტიאלო ასე?“ ფიქრობდა

გოგონა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

და, აი, დრო და დრო ვხვდებით ადამიანს, მიუსაფარს და სახელდაკარგულს; იგი უგზო-უკვლოდ დაეხეტება და არავისგან არაფერს ითხოვს. თუ მისთვის ვინმე რამეს გამოიმეტებს, მადლიერებით აღივსება. იშვიათად თუ გამოელაპარაკება ვინმეს; როცა მართო რჩება, ხანდახან საკუთარ თავს ესაუბრება; წარსულზე მოგონებებს გაურბის და თავის თავზე სიტყვა არ დასცდება; მშვიდია და უტყვი; აბეზარი ბავშვები თუ გააჭავრებენ, გაიღიმებს; მასზე ამბობენ, გიჟიაო. ამას რომ გაიგებს, ფიქრობს ხოლმე: ალბათ, მართლაც, გიჟი ვარო. მისი არსება ნამდვილად გიჟურ გრძნობებს მოუცავს; დაეხეტება სოფლად თუ ქალაქად; პირდაღებული და თვალეზიანრეტილი, მოჩვენებას დამსგავსებია; მის ნაბიჯებში სევდა იგრძნობა; მოჩვენება დრო და დრო ხორცს შეისხამს და გამოცოცხლდება: მაშინ იგი, ჩუმი და პირქუში, თვალს მოეფარება ხოლმე, ვითარცა ბედისწერა. და, მოჩვენებას მალულად ჩამოუგორდება ობოლი ცრემლი...<sup>[P]  
[SEP]</sup>

მეგი მშვიდ ღამეში მშვიდად მიდიოდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

თვალეზიან ცრემლები ჩასდგომოდა. მერე იფანთან მივიდა, ორი ფოთოლი მონყვითა და თვალეზიან მიიფარა. ერთ ფოთოლს ზედ უცნაურად შერჩენოდა ცვარი. სადღაც, შორეთში, მგელი შეჰყმუოდა მთვარეს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ეპილოგი<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჩემი მშობლიური სოფელი შემოდგომის ბარაქით სუნთქავდა: სწორედ იქ ვნერდი მოხუცის ამბავს. ისევ, როგორც ამ ოცდაათი წლის წინათ, ახლაც საქართველოს მზე დამნათოდა თავზე; მაგრამ, საოცარია: ამბის დასასრული ვერა და ვერ მომეფიქრებინა: ვგრძნობდი, რომ რაღაც მრჩებოდა უთქმელი. სურათის ისტორია უკვე ვიცოდი, მაგრამ არ მასვენებდა კითხვა: როგორ ჩაუვარდა ეს სურათი ხელში გეგიას? ნისქვილში იმ მომაჯადოებელ პორტრეტს რომ შევეყურებდი და წყლის რაკრაკში მოხუცის ნაამბობს ვისმენდი, მეგიბე ფიქრი არ მასვენებდა; სხვა არც არაფერზე შემეძლო ფიქრი, რადგან იმ სურათმა მომაჯადოვა. მაგრამ ამჯერად ცნობისმოყვარეობა მკლავდა: ხომ არ მალავდა ეს სურათი გეგიას საიდუმლოს? და, აი, უეცრად თავში გულთამხილავივით გამიელვა აზრმა: ახლალა მივხვდი, რომ მოხუცი თავისი ნაამბობის ერთ-ერთი მოქმედი პირი იყო. მაგრამ რომელი? მხატვარი ვატო ხომ არა? მაგრამ ეს ვარაუდი მაშინვე უარვყავი: სუსტი და ჯანგატეხილი ვატო ასეთ ღრმა სიბერემდე ვერ მოაღწევდა. ამ საიდუმლოს ახლა მხოლოდ გეგიასგან თუ შევიტყობდი. ჰოდა, არ დავაყოვნე მასთან გამგზავრება.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

ცხენი წისქვილთან რომ შევაჩერე, ბიძაშვილმა ღიმილით მკითხა:<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ისევ ხომ არ შეგვესვენა აქ?<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ჰო, მუხლის ჩახრა არ გვანყენდა... – მივუგე, ცოტა არ იყოს, შემცბარმა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

წისქვილის წინ ჩამომსხდარი გლეხები აქეთურსა თუ იქეთურზე საუბრობდნენ.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

გეგია განზე გამდგარიყო. პირდაპირ მასთან მივედი.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– გამარჯობა, გეგია!<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– გაგიმარჯოს! – მომიგო და, ნამიერი დუმილის შემდეგ მკითხა:<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ისევ იქ უნდა დაბრუნდე? ასე მალე?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– საქმეები მაქვს...<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ჰმ, საქმეები... – მოხუცმა აღმაცერად შემომხედა და ეშმაკური ღიმილით მითხრა:<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– რაც ამას წინათ მოგიყევი, ალბათ ყველაფერი ჩაინერე, არა?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ჰო.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ჰმ, ჰმ, როგორი გამოვიდა, კარგია?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ვფიქრობ, კი.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

სიჩუმე ჩამოვარდა. მერე, თითქოს საკუთარ თავს ველაპარაკებოდი, ისე ვუთხარი:<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ერთი რამ მაინც ვერ გავიგე...<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– რა ვერ გაიგე?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ეს სურათი როგორ ჩაგივარდა ხელში...<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მოხუცმა უაზრო მზერა შემავლო, მერე მძიმე ნაბიჯით განზე გადგა. მეც გვერდით დავუდექი. გამახსენდა, რომ მატარებლის გასვლამდე ოთხი საათი კიდევ რჩებოდა და შვებით ამოვისუნთქე. ახლა ისღა მადარდებდა, ვაითუ ვერ მოვახერხო და ამ პირქუმ მოხუცს მაინც ვერაფერი დავტყუო-მეთქი. იქვე, შორიახლოს, მუხის ქვეშ მოგრძო ლოდი ეგდო.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მოხუცი ლოდზე ჩამოჯდა. მე ისევ ფეხზე ვიდექი; ორივენი

ვდუმდით. ჩემს ერთ გაუფრთხილებელ სიტყვას შეეძლო გგვია დაეფრთხო, ამიტომ ვიდექი და ველოდი. მოხუცმა ისევ შემათვალაიერა, თუმცა ამჯერად მზერა უფრო კეთილმოსურნე ჰქონდა. პირზე ღიმილი დასთამაშებდა და პირქუშ გამომეტყველებას ახლა ეშმაკური მზერა შენაცვლებოდა.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– ძალიან ბევრის ცოდნა მოინდომე! ასე არ ივარგებს! – მითხრა მოხუცმა.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

ხმა არ ამომიღია. მეშინოდა, რაიმე არ წამომცდენოდა, ამიტომ მუნჯივით ვიდექი. მაგრამ, ეტყობა, ეს რაღაცის მთქმელი სიჩუმე იყო.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– სურათი ნაუს გამოვართვი. – თქვა მოხუცმა. სიტყვებს ძლივს წარმოთქვამდა, თითქოს ათასწლოვანი ძილიდან იღვიძებო.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– ვის გამოართვი? ნაუს? – ვკითხე შეშინებულმა, ისე, რომ კითხვა ყელში გამეჩხირა.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– ჰო, ნაუს, – მითხრა მოხუცმა და მოყოლა დაიწყო. გაქვავებული სახით ვუსმენდი.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

უბედური ნაუ თურმე საკუთარ ვნებას სიგიჟემდე მიჰყავდა და სწვავდა, ციცინოს სულ უფრო და უფრო აღმერთებდა, ამ დროს კი ქალისთვის მხოლოდ მსახური და მორჩილი ყმა იყო. ციცინო თურმე ხვდებოდა თავის თაყვანისმცემლებს, ნაუ კი, მის ყოველ ნაბიჯს უთვალთვალეობდა. გიჟს ჰგავდა თურმე ამ დროს გაცოფებული მსახური; ხელს დაავლებდა თოფს, ხის ფულუროში შეძვრებოდა და იქიდან ადევნებდა თვალს პაემანზე მოსულ ციცინოს; მაგრამ

გასროლას ყოველ ჯერზე იმის იმედი გადააფიქრებინებდა ხოლმე, რომ მერე მაინც შესძლებდა ქალის სიახლოვეს ყოფნას. მხოლოდ ერთხელ შეერხა საფეთქელთან ძარღვი ნაუს და ეს მისი გაქვავებული სხეულიდან აღმომხდარ კივილს ჰგავდა; ცოფმორეულს, ძარღვი ისე უცახცახებდა, თითქოს ვიღაც მის გადასერვას მჭრელი დანით ლამობდა; შურისძიებითა და ტკივილით შეპყრობილი ძარღვი კი არ კვდებოდა და მხოლოდ ცახცახებდა. ციციწო ვიღაც კაცს უღიმოდა, რომელსაც ნაუ არ იცნობდა. კაცი ციციწოს ეფერებოდა და ისიც სიამოვნებით მისცემოდა მის ალერსს... ნაუმ თითები ჩახმახისკენ გააპარა.<sup>[39]</sup>

ღამის ცაზე ღრუბლები ჩამონოლილიყო. ელავდა. ელვის ყოველ დაკვესებაზე ნაუ აშკარად ხედავდა ტრფობით აღტკინებული ქალვაჟის ღიმილს; მერე თავადაც ელვად იქცა, ოღონდ ელვა პირქუშ და ცივ სხივებს აკვესებდა. და ნაუ ისევ და ისევ შიშით ელოდა ელვის დაკვესებას. მერე მისი ანთებული მზერის წინაშე ისევ გაიკიაფა ქურდულმა კოცნამ, გახლეჩილ და კვლავ შეერთებულ ნაყოფს რომ ჰგავდა; და ნაუ მიხვდა, რომ ამის ატანა აღარ ძალუძდა; იგრძნო, რომ დამდგარიყო სიკვდილის ჟამი, საბოლოო, დაუნდობელი და უსასრულო. ნაუმ თითი ჩახმახზე შეაყენა. ამ წუთებში იგი პირუტყვივით ჩუმად და უხმოდ იტანჯებოდა, თუმცა მის ტკივილს თვითგვემის სასტიკი ნეტარებაც ახლდა თან. ნაუ ახლა ბორგნეულ და თან ქვეცნობიერად ნეტარ გრძნობას შეეპყრო; დაშანთულ, გზაბნეულ გონებაში უნებურად ამოუტივტივდა ამბავი მეჩვიდმეტე საუკუნის

საქართველოს ისტორიიდან, როდესაც ქვეყანა სამთავროებად და საერისთავოებად იყო დაყოფილი და შიდა ქიშპობასა და მტრობას ბოლო არ უჩანდა. ეს კი სპარსეთის შაჰისა და და „მაღალი კარიბჭის“ ნისქვილზე ასხამდა წყალს.<sup>[P SEP]</sup>

იმხანად იმერეთის მეფის ქვრივმა, თავისი ფავორიტის, მთავარი ვახტანგის დახმარებით, მსახურებს თხუთმეტი წლის გერის, ბაგრატიანთავის, თვალების ამოშანთვა დაავალა. შემდგომ ამისა, სამეფო ტახტზე ვახტანგი ავიდა; მაგრამ ისე მოხდა, რომ მონინააღმდეგეებმა მასაც დათხარეს თვალები; ბედისწერამ ეს არ იკმარა, რადგან მოისურვა, შემდეგში უფრო შემზარავი უბედურების მოწმე გამხდარიყო. მან ახლა მიზნად დაისახა, ბაგრატიანთა და ვახტანგის ოთხი სისხლიანი თვალი ერთმანეთთან შეეხვედრებინა; ამ დროს ბაგრატი შურისმაძიებელი, ვახტანგი კი – მსხვერპლი უნდა ყოფილიყო. და, აი, ეს ორი ადამიანი სიბნელეში ხელისცეცებით მიადგა ერთმანეთს; და, მოხდა საშინელება! ბაგრატი მოქიშპვეს ზედიზედ ჩასცა ხანჯალი გულში, დანარჩენი კი მისმა მომხრეებმა აღასრულეს: ვახტანგს მკერდიდან გული ამოგლიჯეს და აცახცახებულ ბრძას მიართვეს; ბაგრატი ხელებით იგრძნო ჭერ ისევ მფეთქავი გულისცემა და თითებით დაუწყო სრესა და ჭყლეტა, თითქოს ემინოდა, რომ გული ჭერაც ცოცხალი იქნებოდა.<sup>[P SEP]</sup>

ნაუს თითი ჩახმახზე ჰქონდა შემართული. ოდესღაც გაგონილმა ამბავმა უეცრად გაიხშიანა მის დაშანთულ, ბურუსით მოცულ გონებაში; ნაუ მხეცად გადაქცეულიყო; გონებაარეულს ისეთი შეგრძნება ჰქონდა,

თითქოს მოსისხლე მტრის მფეთქავი გული ეპყრა ხელთ, და, მაინც, ვინ იყო ეს მტერი? ქალი თუ კაცი? არა, ორივენი მისი მტრები იყვნენ. მაგრამ მათ შორის ვინ უფრო დიდი მტერი იყო? რა თქმა უნდა, ქალი... ნაუ აღარ ფიქრობდა: ახლა იგი მხოლოდ გულს სრესდა ხელში. მარადიულობის ერთი ნამიც და ნაუმ თითი გამოჰკრა ჩახმახს... გაისროლა! ბუსტად ამ დროს გაიელვა და გასროლის ხმა გეჟა-ქუხილმა გადაფარა. ნაუს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ელვა მისი სხეულიდან გარეთ გამოიჭრა და მთელი შიგნეული დაუფლითა. თუმცა სალ-სალამათი იყო, მაგრამ რატომღაც ეგონა, რომ რაღაც აფეთქებდა და ნანილ-ნანილ შლიდა. მერე ნაუ იქით გაიჭრა, სადაც ცოტა ხნის წინ ერთმანეთს შემოჭდობილი ქალ-ვაჟი იდგა. თვალისდახამხამებისუმაღ ადგილზე გაჩნდა და ციცინოს მივარდა, რომელსაც ზემოდან მამაკაცი დასცემოდა. ნაუმ ზიზღით მიაგდო იგი გვერდზე; იმ ნუთში მზად იყო უცნობი მხეცივით კბილებით დაეგლიჯა, მაგრამ ახლა მისთვის არ ეცალა და ისევ ციცინოს მივარდა; მისი სხეულის სითბო შეიგრძნო და მოეჩვენა, რომ ქალი ჯერ კიდევ სუნთქავდა. ახლა ნაუ ამქვეყნად ყველა სასწაულს უხმობდა, რათა ციცინო სიკვდილისგან ეხსნა; ეხვეოდა და კოცნიდა ქალის სხეულს და იმ ცხოველს ჰგავდა, ერთი თვალწამით ღვთაებად რომ ქცეულიყო, ოღონდ ამ ღვთაებას ყოვლისშემძლეობა დაეკარგა. ნაუ მხეცივით მძვინვარებდა, შეშლილივით უხმობდა დემონებს და ამ დროს თავადაც მიწაზე დანარცხებული დემონი იყო; იგი ეხვეოდა და კოცნიდა ქალს, ათასგვარ გრძნეულ სიტყვებს იმეორებდა, თმას

იგლევდა და მას საკუთარ სულს სთავაზობდა; მზად იყო, ამქვეყნად მოვლინებული თაურადამიანის – ადამის მსგავსად, ყველა ქარიშხალს შესჭიდებოდა და მისთვის ფრთები დაემტვრია; მაგრამ ქალი უძრავად იწვა; ნაუ უმალ მიხვდა, რომ თავად მას არავითარი ფრთები არ გამოსხმოდა და სასონარკვეთილი პირქვე დაემხო. გვეგონებოდა, მისი სხეულიდან ეს-ესაა ქარიშხალი ამოიჭრა და ახლა ნაუსგან მხოლოდ გარესათარველიდა დარჩაო. ციციხო მკვდარი იყო. ნაუ სასიკვდილოდ დაჭრილი მხეცივით ეგდო მის გვერდით, გულში მშფოთვარებას გრძნობდა და ერთი კითხვა უბურღავდა დამანთულ გონებას: ნუთუ მისმა ტყვიამ განგმირა ქალი? სასიკვდილო კრუნჩხვასავით შეეპყრო ნაუ ამ კითხვას. ღამე ბორგნეული იყო, მაგრამ ნაუ უფრო მეტად ბორგავდა. მხოლოდ გათენებისას დაინახა, რომ მის ტყვიას კაცი მოეკლა, ციციხოს კი მუხი დასცემოდა...<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მოხუცმა თხრობა დაასრულა. მონუსხულივით ვუსმენდი მის ნაამბობს. თითქოსდა ხეში გამოკვეთილი სახე ახლა პირველად შეცვლოდა; მან უაზრო მზერით გახედა წარსულს და ერთი წამით მისი სახე გავარვარებულ ჭრილობას დაემგვანა. ბოლოს და ბოლოს, დავარღვიე სიჩუმე, ლოდივით რომ აღმართულიყო ჩვენს შორის.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მერე, მერე რა მოხდა? – ვკითხე ჩურჩულით.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მერე რა მოხდა? – ყრუდ გაიმეორა ჩემი შეკითხვა მოხუცმა და ასევე ყრუ ხმით დასძინა: – ნაუმ ვერა და ვერ დაივიწყა ციციხო. ერთი პირუტყვივით კაცი იყო...<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მერე კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. მოხუცი თითქოს სადღაც

უფსკრულში გადაშვებულიყო, მაგრამ ცოტა ხანში სევდიანი და ჩუმი ხმით კვლავ განაგრძო თხრობა; მომიყვა, როგორ გაველურდა ნაუ, კუპტი და მიუკარებელი გახდა; მენიკისთან და ვატოსთან შეხვედრას გაურბოდა. დამწუხრებულსა და განადგურებულს, ერთ დღეს ის სურათი გახსენებია, რომელზეც ამბობდნენ, მისი დანახვა შემოიღებდა კი კურნავსო. მერე ნაუ თურმე შხეფისკენ მიმავალ გზას დაადგა, და, რაოდენ დიდი იყო მისი გაოცება, როდესაც იქ მისულმა, მეგის სურათი იხილა; ნაუ ისეთმა გიჟურმა სიხარულმა მოიცვა, თითქოს იმ წუთში ცოცხალი მეგი იდგა მის წინაშე. თავში აბრად არ მოსვლია, რომ ამ სურათის პოვნით შეეძლო მისი შემოქმედის – ვატოს სახელი უკვდავეყო, მან უბრალოდ გადანყვიტა, სურათი მოეპარა. რამდენიმე დღის შემდეგ ნაუმ ეს მართლაც მოახერხა. სურათის გაუჩინარებამ მთელი სამეგრელო აღაშფოთა.<sup>[P]</sup>

ნაუს სურათის ახლოს დანახვა ამინებდა, ამიტომ თავისთან ვერ შეინახავდა და იგი მენიკის შიაბარა. მის სულში ქარიშხალი არა და არ ცხრებოდა და ნაუ დაჭრილი ნადირივით მძვინვარებდა. ერთხელ მან თავისი ფუთა გახსნა. ფუთაში ქალის ნაწნავები პქონდა შენახულიო, – მითხრა მოხუცმა.<sup>[P]</sup>

– რა ნაწნავებზე ლაპარაკობ? – გავანყვეტინე სიტყვა.<sup>[P]</sup>

– მეგის ნაწნავებზე... გახსოვს, გიყვებოდი, გოგონას ხეზე ჩამოხრჩობა საკუთარი ნაწნავებით უნდოდა-მეთქი? – მომიგო მან და განაგრძო.<sup>[P]</sup>

„ნაუმ ხელში აიღო მეგის ძონისფერი ნაწნავები, უეცრად

ენითუთქმელმა სევდამ შეიპყრო და მაშინვე ამორძალთა „გლოვის სახლს“ მიაშურა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს გოგონას ნაწნავებში ჯადოსნური, ცხოველმყოფელი ძალები თვლემდნენ. ნაუ სახლში შევიდა. მოხუცი მენიკი გაქვავებული სახით იჯდა ტახტზე. ციცილობე და მეგიზე დარდს მასში თითქოს სიცოცხლე დაენრიტა და ქალი ახლა ცოცხალ მუმიას ჰგავდა. მენიკიმ არც კი შეხედა ნაუს, რომელიც მასთან არ გაჩერებულა და მეზობელ ოთახში გავიდა. იქ, კუთხეში, მეგის სურათი ეკიდა, მიუახლოვდა და მონუსხულივით მიაშტერდა მას. სურათზე დედა-შვილი თითქოს გაცოცხლებულიყო და ერთ არსებად ქცეულიყო. ნაუმ იგრძნო, რომ მთელ ტანზე ცეცხლი მოედო, მაგრამ ეს რაღაც ახალი, უჩვეულო და აქამდე უცხო გრძნობა იყო. ნაუ თითქოს იწვოდა, და იმავდროულად რაღაცისგან თავისუფლდებოდა; მერე პორტრეტი კუთხეში მიდგა, გარეთ გამოვიდა და იგრძნო, რა არაადამიანურად, გიჟურად ენატრებოდა ციცინო; ნაუ იმავე წუთს ამორძალთა სახლში შებრუნდა, ისევ სურათთან მივიდა და მიხვდა, რომ მონატრება გაქრა; საბრალო ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა მის თავს: სურათისგან მოშორებით მყოფს, ქალი საშინლად ენატრებოდა და იტანჯებოდა, მაგრამ სურათის დანახვისთანავე, მონატრება ქრებოდა; ამ დროს მას აღარ სწვავდა ის შემზარავი, მბორგავი ცეცხლი; ახლა იგი იმ უცნობი ცეცხლის ძალას შეიგრძნობდა, რომელიც მას ათბობდა და არ წვავდა. ნაუ ცხოველი იყო და ამას მისი ტვინი, რა თქმა უნდა, ვერ აცნობიერებდა, მაგრამ იმას კი გრძნობდა, რომ ამ სურათში მოეყარა თავი ყველაფერს, რაც

კი რამ ცხოვრებაში ძვირფასი და ღირებული გააჩნდა. უფრო მეტიც: მას ეს სურათი იმ საიდუმლოს და უმაღლეს ნეტარებას აზიარებდა, რომლის გამოძალვა სიკვდილსაც კი არ შეეძლო. ამ ნახევრად ადამიან-ცხოველზე სურათს ზეგარდმო მადლის ძალა ჰქონდა“.

## მოხუცმა თბრობა შეწყვიტა.

საშინელმა ეჭვებმა შემოიპყრო და თავში გამიელვა აზრმა: ხომ შეიძლება ნაუ თავად გვგია იყოს? მაგრამ როგორ ავხადო ამ საიდუმლოს ფარდა? როგორ დავტყუო მოხუცს სიმართლე? ეს გავიფიქრე და მაშინვე გადავწყვიტე, ეს საქმე მისთვის მიმენდო; დარწმუნებული ვიყავი, მოხუცი დაფიქრდებოდა და თავად მომიყვებოდა ყველაფერს. ვიცოდი, რომ ახლა იგი თბრობას ველარ შეწყვეტდა, რადგან უკვე იმ უკანასკნელ ზღვართან მისულიყო, როდესაც სათქმელი ბოლომდე უნდა ამოეთქვა. ასე ვფიქრობდი მე.

და, აი, მოხუცმა უეცრად შემომხედა.

– ალბათ გგონია, რომ ნაუ მე ვარ, არა? – მკითხა და თან ჩაიციინა.

ცოტა არ იყოს, შემეშინდა: მოხუცი შეშლილის თვალეზით მიყურებდა. ენა ჩამივარდა და ხმა ველარ ამოვიღე.

– რას გაჩუმებულხარ? ხომ მიგიხვდი? თქვი, ხომ ასეა? – მითხრა თითქმის განრისხებულმა.

– ჰო, მართალი ხარ! – ვუთხარი შემკრთალმა.

– მაგრამ ეს ასე არ არის! – თავისთვის წაიჩურჩულა მოხუცმა, მერე

კი დასძინა: – ნაუ ჩემი ბიძაშვილი იყო და სურათიც სწორედ მან გადმომცა; თავისთან ვერ შეინახავდა, რადგან მის დანახვაზე საშინლად იტანჯებოდა... მერე ნაუ სადღაც გაქრა... – ჩურჩულით ამბობდა მოხუცი, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებო.<sup>[P]</sup>

კვლავ სიჩუმე რომ ჩამოვარდა, ვიფიქრე, მოხუცმა თავისი ნაამბობი ამით დაასრულა-მეთქი და ბიძაშვილს გავცახე, ცხენები მზად ჰყოლოდა.<sup>[SEP]</sup>

მოხუცმა ამოიოხრა და მითხრა:<sup>[P]</sup>

– სიკვდილი ალბათ მალე მომაკითხავს! ვერ გამიგია, რატომ მოგიყევი ეს ყველაფერი?<sup>[SEP]</sup>

– გეგია, – გავანყვეტინე სიტყვა მოხუცს, – ალბათ ფიქრობ, რაკი ეს საიდუმლო გამიმჟღავნე, ამით საკუთარი ცხოვრების რაღაც მონაკვეთს ვერ უერთგულე, არა?<sup>[SEP]</sup>

– ჰო, ალბათ ასეა... მაგრამ ამჭერად მაინც ცოტა სხვაგვარადაა საქმე... უბრალოდ, სიკვდილის მოახლოება ვიგრძენი და ამიტომ მოგიყევი ეს ამბავი.<sup>[SEP]</sup>

– კი მაგრამ, გეგია...<sup>[SEP]</sup>

მაგრამ მოხუცი აღარ მისმენდა, ფეხზე წამოდგა და წისქვილისკენ წალასლასდა.<sup>[SEP]</sup>

ჩემმა ბიძაშვილმა ცხენები მოიყვანა.<sup>[P]</sup>

ამ დროს მოხუცი ისევ გამოჩნდა; ხელში უცნაური ფუთა ეჭირა.<sup>[SEP]</sup>

– ეს ფუთა შენთვის მიჩუქნია! იცოდე, ჩემი სიკვდილის ამბავს რომ შეიტყობ, მხოლოდ მაშინ გახსნი! – მითხრა პირქუშად.<sup>[SEP]</sup>

– მაშ, სიკვდილს ნატრობ, გეგია?<sup>[P]  
[SEP]</sup>

– როგორ მიმიხვდი ამას? – მკითხა შემცბარმა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ასე ვფიქრობ შენზე, და სხვანაირად ვერც წარმომიდგენიხარ! შენ ხომ საერთოდ არ შეცვლილხარ?<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მერედა გგონია, სამუდამოდ ასეთად დავრჩები?<sup>[P]  
[SEP]</sup>

მოხუცმა გაიღიმა. აღარაფერი მითქვამს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ბოლოს სიჩუმე დავარღვიე და ვკითხე:<sup>[P]  
[SEP]</sup>

– საიდან იცი, ჩემზე ადრე რომ მოკვდები? განა არ გსმენია რუსთაველის ნათქვამი: „სცთების და სცთების, სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისადო?“<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ჰო, ეგ კი მსმენია... მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ მალე მოკვდები...<sup>[P]  
[SEP]</sup>

მოხუცი აღარ იღიმებოდა. მის თვალებში სიკვდილის მაუნყებელ აღსარებას ამოიკითხავდა კაცი. ცოტა არ იყოს, შემემინდა. კიდევ კარგი, ამ დროს გლეხები მოგვიახლოვდნენ და მოხუცმა მისთვის ჩვეული სახე მიიღო.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მერე გეგიამ მე და ჩემი ბიძაშვილი მდინარემდე მიგვაცილა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ხომ არ დაგავინყდება, რაც გითხარი? – მკითხა მოხუცმა ჩუმად.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ერთმანეთს რომ დავემშვიდობეთ, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს გამოვეთხოვე ადამიანს, რომელიც უკვე მარადისობაში გადასულიყო. მარცხენა თვალში მსხვილი ცრემლი უბზინავდა, მზერა გაშემებოდა და საკმარისი იყო, წამწამები დაეხამხამებინა, რომ ის უძრავი ცრემლი კენჭივით ჩამოუგორდებოდა. მაგრამ საოცარია: სწორედ იმ ცრემლის

წყალობით მიიღო გეგიას სახემ ადამიანური იერი: რომ არა ის ცრემლი, ჩემს მახსოვრობას იგი შემორჩებოდა როგორც ერთი რამ საოცარი, უცხო არსება, რომელსაც ადამიანისა არა ეცხო რა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ასე დავშორდით ერთმანეთს. მერე გეგია კიდევ დიდხანს იდგა ნაპირთან და გვიყურებდა. იგი ახლა ჩემთვის სამყაროს მონყვეტილ სიმარტოვეს განასახიერებდა. ეს მაშინ ვიგრძენი, როდესაც მოხუცი უკანასკნელად თავის დაქნევით დაგვემშვიდობა და გაუჩინარდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მე ტფილისს გავემგზავრე.<sup>[P]  
[SEP]</sup>

გზაში ხელით ხშირად მოვსინჯავდი ხოლმე საიდუმლო ფუთას. ვგრძობდი, რომ მასში აბრეშუმით რბილი რაღაც უნდა ყოფილიყო.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ნუთუ მოხუცმა ჩემი დასჯა გადაწყვიტა და ეს ფუთა ამიტომ მაჩუქა? და, თუ ეს ასეა, რა იყო ამის მიზეზი? ჩემზე შურისძიებას იმის გამო ხომ არ აპირებდა, გოგონას საიდუმლოება რომ გამანდო? აღარ ვიცოდი, რა მეფიქრა. ფუთა სატანჯველად მექცა; უცხო რამ სხეულივით შემოჭრილიყო იგი ჩემს არსებაში და მოსვენებას არ მაძლევდა. ახლა უკვე იმ ფუთის გარდა, სხვა ველარაფერზე ვფიქრობდი. მეტყობოდა, რომ დაბნეული ვიყავი, რადგან მხოლოდ ეს იყო ჩემი საფიქრალი. აბროვნების უნარი დავკარგე და ძილითაც ველარ ვიძინებდი. ერთხანს ვფიქრობდი, ფუთას რაღაც ჯადო-თილისმა აქვს-მეთქი და გადაგდება დავაპირე, რომ მისგან და მისი ჯადოსგან გავთავისუფლებულიყავი. რა უნდა მექნა? გამეხსნა? მაგრამ მოხუცმა ცრურწმენებისადმი ისეთი შიში ჩამინერგა, რომ არ მინდოდა, ფუთის გახსნისას უარესი შიში

მეგრძნო. ვიცოდი, რომ ფუთა მხოლოდ მოხუცის სიკვდილის შემდეგ უნდა გამეხსნა: მაგრამ არავინ იცოდა, როდის მოკვდებოდა ეს ქვადექეული ადამიანი; რადგან, როგორც ჩანს, დრო მას სიახლოვეზე არ ეკარებოდა; მერე კი უფრო დიდ სატანჯველში ჩავვარდი, რადგან ვგრძნობდი, რომ მოხუცის სიკვდილს ვნატრობდი. ვცდილობდი, ამაზე არ მეფიქრა და მთელი ჩემი შეგნებით გავურბოდი ამ აზრს; მაგრამ, სადღაც გულის კუნჭულში მაინც ვგრძნობდი, რომ ამ ფიქრით გამოწვეული ფარული ტკივილი მაინც შემახსენებდა ხოლმე თავს. მერე და მერე მთლად გავგიჟდი. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს დემონი დაპატრონებოდა ჩემს არსებას. შემლილობის საშინელმა სახეობამ შემიპყრო და ეს ყველაფერი სრულიად ნათელი გონების ფონზე ხდებოდა.<sup>[SEP]</sup>

რამდენიმე თვე გავიდა. ერთ დღეს კბილი ამტკივდა და ექიმის მისაღებაში ვიჭექი. პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ფიზიკური ტკივილი სიამოვნებას მანიჭებდა. მართალია, ამან ის სხვა ტკივილი მთლად ვერ დამავინცა, მაგრამ ოდნავ ხომ მაინც ჩააცხრო და გამიყუჩა?! ჰოდა, ვიჭექი და ძველ ჟურნალ-გაზეთებს ვათვალიერებდი, ექიმის მისაღებაში, პატარა მაგიდაზე რომ ენყო. გაზეთების კითხვა საერთოდ არ მიყვარს; ახალ ამბებს თუ გადავაკვლევ ხოლმე დრო და დრო თვალს. მაგრამ, აი, უეცრად ჩემი ყურადღება რვა დღის წინანდელმა გაზეთმა მიიპყრო. „ახალ ამბებში“, სათაურით „წყალდიდობა“, ჩემი მშობლიური სოფელიც იყო მოხსენებული. მაშინვე ძირულა გამახსენდა. ამ მდინარეში ბავშვობისას ხშირად

მიზანაზია. ისიც ვიცოდი, რომ უეცრად ადიდდებოდა ხოლმე და ამით არც ერთი სხვა მდინარეს არ ჰგავდა. იმ მთასთან, ჩვენს მხარეს ოკრიბასგან რომ ჰყოფს, მდინარე ინრიტება და მთლიანად მინაში იკარგება, თუმცა არა, კი არ იკარგება, მთის ღრმა ქანებში ჩადის და იქ მიედინება; მერე სტალაგმიტების მღვიმიდან გამოდის და კვლავ ჩვეულებრივად განაგრძობს გზას. ხანდახან ისე ხდება, რომ გამოდმა მხარეს, ჩვენთან, მშვენიერი დარი დგას, მთის გადაღმა კი – კოკისპირულად წვიმს. წვიმის შემდეგ ძირულა მთიდან გამძვინვარებული ნადირივით მოეჩანება. სხვა მდინარეებმა ნელ-ნელა იციან ადიდება, ძირულა კი უეცრად აზვირთდება ხოლმე, მერე კი, თითქოს ცდილობს დანარჩენ მეჩხერ დინებებს წინ გაუსწროსო, გაცოფებული მოაქანებს მღვრიე, ყვითელ ტალღებს. ტალღები ველურ მხეცებს გვანან, ჯერ ერთმანეთს ეხეთქებიან, მერე კი, განრისხებულები, ბრმად გადაემშვებიან მდინარის კალაპოტში. ძნელად თუ წარმოიდგენს კაცი თავანწყვეტილი სტიქიონის ამაზე უფრო თვალნათლივ სურათს<sup>[SEP]</sup>

სწრაფად და ხარბად ჩავიკითხე ცნობა წყალდიდობის შესახებ. და, უეცრად წავანყდი სიტყვებს: „ნისქვილი წაიღო“. ნეტავ რომელ ნისქვილზეა ლაპარაკი? გონებით მინდა, რომ ეს „ის ნისქვილი“ იყოს. თავი ისევ ჩავიჭირე იმაში, რომ მოხუცის სიკვდილს ვნატრობდი. ამას ჩემში თითქოს ვიღაც სხვა ადამიანი ფიქრობდა, და ეს მით უფრო საშინელი იყო.<sup>[SEP]</sup>

გიჟივით გამოვვარდი ექიმისგან და ფოსტაში გავიქეცი. ბიძაშვილს

დეპეშა გავუგზავნე: ვთხოვდი, დაწვრილებით მოეწერა ნისქვილის ამბავი და, ასევე ეცნობებინა, რა ბედი ეწია მოხუცსა და მის აბგას.<sup>[P SEP]</sup>

შინ რომ დავბრუნდი, ჩემდა გასაოცრად, კბილი საერთოდ აღარ მტკიოდა; სამაგიეროდ, ახლა, სულ სხვა, ენითგამოუთქმელ ტკივილს ვგრძნობდი. მოსვენება დავკარგე და თავგზა საერთოდ ამეზნა; ხშირად დავხედავდი ხოლმე ყუთს, სადაც ფუთა მქონდა შენახული. ერთი სული მქონდა, ყუთი გამეღო, მაგრამ ხელები არ მემორჩილებოდა. ასე გავატარე ორი საშინელი დღე და ღამე. ვღელავდი და ძილითაც არ მიძინია. მესამე დღეს წერილი მივიღე. ისე ვცახცახებდი, რომ კონვერტის გახსნის დროს წერილს კუთხე ჩამოვახიე. მერე ის ნაგლეჯი აკანკალებული ხელით წერილს მივაღე და კითხვა დავინწყე. თვალეზით სიკვდილის ცნობას ვეძებდი; ახლა უკვე სრულიად აშკარად ვგრძნობდი ამას; ჰოდა, სიკვდილმაც აღარ დააყოვნა და მოვიდა. ბიძაშვილი მწერდა, ნისქვილიც და მოხუციც ნყალმა წაიღო; გეგია ნისქვილიდან ხუთი მილის დაშორებით გამორიყა მდინარემ, მისი აბგა კი დაიკარგაო. წერილის ბოლოს ჩემს ბიძაშვილს, ეტყობა, ღიმილით მიეწერა: მოხუცს მკერდზე სახელი „ციცინო“ ჰქონდა ამოსვირინგებული.<sup>[P SEP]</sup>

თავბარი დამეცა. საიდუმლო გაცხადდა და აღმოჩნდა, რომ გეგია თურმე იგივე ნაუ იყო. ამრიგად, მოხუცმა იცრუა, როდესაც მითხრა, სურათის დანახვაზე ნაუ საშინლად იტანჯებოდაო. ასე მეგონა, ზურგიდან მძიმე ტვირთი მომხსნეს-მეთქი. დაბინდული გონება თითქოს გამინათდა და ერთი ნუთით მოხუცის ფუთაც კი გადამავინწყდა.

ფიქრებმა წამიღო და უჩვეულო სიმშვიდე დამეუფლა, მაგრამ მივხვდი, რომ ამ ამბავს მაინც შემადრწუნებლად ემოქმედა ჩემზე: ესე იგი გეგია საკუთარ თავზე ისე მიყვებოდა, როგორც ვილაც უცხოზე! მერე თვალწინ დამიდგა ის ნაუ, საკუთარი წარმოსახვით რომ შევქმენი. გეგია კი ჩემთვის ახლობელი ადამიანი იყო. მას ბავშვობიდან ვიცნობდი; მოხუცი ხშირად მესაუბრებოდა, ტანჯულ ნაუზე მიყვებოდა და ამ დროს თურმე თავად იყო ნაუ! ეს მრჩობლი გრძნობა მახსენებდა და გულს მიკლავდა, რადგან, ერთის მხრივ, ლიტერატურულ გმირთან მქონდა საქმე, მეორეს მხრივ კი – რეალურ ადამიანთან. ახლა მხოლოდის ვიცოდი, რომ ის საშინელი ამბები იმ მეორე, ცოცხალი ადამიანის ხვედრი გამხდარიყო.<sup>[P SEP]</sup>

თანდათან დავმშვიდდი, თუმცა ისევ და ისევ გაოცებული ვიყავი. ხელის კანკალით ამოვიღე ყუთიდან ფუთა, გავხსენი და შიშთან წილნაყარი სიხარულის შეძახილი აღმომხდა: ფუთაში ერთმანეთზე მიჭრით სქელი, გრძელი, ძონისფერი ნაწნავები ეწყო. თითქოს მზის სხივები შეჭრილიყვნენ მათში, გაეზარდათ და გაეთბოთ ისინი. და, აი, მთელი არსებით შევიგრძენი მზის სხივების მადლი: ეს მეგის ნაწნავები იყო. მოხუცი მათ დაემშვიდობა და მე მაჩუქა, გოგონას სურათს კი, როგორც ჩანს, ვერაფრით შეელია; მხოლოდ სიკვდილმა გამოგლიჯა სურათი ხელიდან, მანამდე კი ალბათ ერთხელ კიდევ ეამბორა მას.<sup>[P SEP]</sup>

და, აი, თვალწინ დამიდგა, როგორ წაიღო პატარა მდინარემ გოგონას სურათი და იგი ყვირილას გადააბარა, იმან კი რიონს, ანუ ძველების ფაზისს გადასცა. მერე სურათმა რიონის ტალღებზე

სამეგრელოს ველ-მინდვრები გადაიარა, სადაც გოგონა იზრდებოდა და შავ ზღვას – პონტუს ეუხინუს-ს შეერთო, რადგან ეს თვალუწვდენელი სივრცეც მისი ნამდვილი სამშობლო იყო! იქ დაბადებული გოგონას სურათიც ხომ ზღვამ შთანთქა!<sup>[P]  
[SEP]</sup>

ახლა ხელთ მისი ძონისფერი, მზის სხივებით მოკიაფე ნაწნავები მიპყრია და ასე მგონია, თავადაც მზის მადლს ვეზიარები-მეთქი. ამ ქვეყნად არ მეგულება სხვა გრძნობა, რომელიც ამას შეედრებოდა. მზის ნობათს ჰგავს ახლა ეს ნაწნავები და მათი ოდნავ შეხებითაც კი არაამქვეყნიურ ნეტარებას განვიცდი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

## ბოლოთქმა<sup>[P] [SEP]</sup>

ო, ნაწნავებო! მეგის ძონის ნაწნავებო! ასე მგონია, თქვენში ჩემი ქვეყნის მზეს ვხედავ და მშობელი მინის სურნელს შევიგრძნობ. ის გოგონა ჩემი ქვეყნის შვილი იყო და თქვენთან ერთად იზრდებოდა, მერე კი თქვენ მისი სუნთქვა შემოინახეთ. ეს თქვენ იყავით მისი ათქვირებული მკერდის მხილველნი, დაუცხრომელი ნატვრით რომ გადაიშლებოდა ხოლმე თქვენს წინაშე. იგი ცარიელი ვნება და იმავდროულად თავად უბინოება იყო თხემით ტერფამდე. სწორედ მისი ეს ვნება და უბინოება გამოსჭვივის თქვენში, ძონის ნაწნავებო! ის გოგონა ამორძალის წალდივით სასტიკი იყო, და თქვენი შეხება მეც შიშს მგვრის, სხივმოსილო ნაწნავებო! მისი შვილი კი მოახრჩეთ, მაგრამ თქვენ მისი ყმანვილქალობის სიხარულიც იყავით! მერე კი, გოგონამ ხეზე თავის ჩამოხრჩობა რომ დააპირა, თქვენ მას ყულფის

მაგივრობასაც უნევდით, დაუნდობელი ნაწნავებო! თქვენ გოგონას იმ დროს შემოეჭდეთ, როდესაც მის ამქვეყნიურ გრძნობებს მარადისობამ შეახო ხელი და ამ წამის შეცნობისას, თქვენ აცახცახდით, ცეცხლოვანო ნაწნავებო! მერე კი მონმენი გახდით იმ წამისა, ადამიანს საკუთარი თავისგან რომ ათავისუფლებს, მაგრამ მას სიცოცხლეს არ ართმევს. მაშინ თქვენც შეძრწუნდით და გაგიჟდით იმ გოგონასავით, ღვთის წყალობასავით, სიხარულით რომ დაგატარებდათ! და აი, ახლაც ვხედავ, როგორ აგიტანათ ძრწოლამ, ნაწნავებო! ახლა მშვიდად ვარ, თუმცა შიშით მაინც მეშინია. გოგონას თქვენ უყვარდით, ნაწნავებო! მან თავიდან აგაცილათ ცოდვა, რადგან არ სურდა თვითმკვლელის ყულფი ყოფილიყავით. მან სხვა გზა გამონახა, რომელსაც ალბათ ადამიანისთვის ჩვეული სავალი აღარ ეთქმის, რადგან ეს ზეციური გზაა; მერე ამ გზამ თქვენი იერ-სახე მიიღო, ჰოდა, ახლა გიყურებთ და თქვენშიც ადამიანურს კი არა, იმ ზეციურ ძალას ვხედავ. გოგონა, რომლის თავსაც თქვენ ამკობდით, ზღვის სიოს და სამეგრელოს მიწის პირმშოა. მზეჭაბუკის გამოჩენას ნატრობდა და მის მოლოდინში იყო, ნაწნავებო! ნუთუ ვერ გრძნობდით, იმ ნატვრის ცეცხლოვანი ალი როგორ შემოიჭრებოდა ხოლმე თქვენში? აი, ამ ნუთშიც ვგრძნობ თქვენში შემორჩენილ იმ ნატვრას, მაგრამ რაკი მზეჭაბუკი სინამდვილეში არ არსებობს, ამიტომ ვერც გამოჩნდებოდა; და გოგონა სევდამ შეიპყრო. მერე ეს სევდა თქვენც იგრძენით და, აი, ვხედავ, თქვენც მასავით სევდას შეუპყრიხართ, მოკვეცილო ნაწნავებო! გავა წლები, თქვენ კი მაინც იცოცხლებთ! და, მეც, მძიმე ნუთებში,

თქვენთან მოვალ, ნაწნავებო! თქვენ დამლუპველი აბრებისგან მიხსნით, მე კი მოგეფერებით და გეამბორებით, მაგრამ ვიცი, ის გოგონა, თავს რომ უმკობდით, არ მიწყენს ამას, რადგან მას მხოლოდ მინიერი ვნებები აშინებდა, ნაწნავებო! დიახ, იგი სულ სხვა გრძნობებზე ოცნებობდა და თუკი ჩემს ფიქრებში გოგონა ოდნავ მაინც შეურაცხველი ვიცი, აუცილებლად შემინდობს და მაპატიებს, რადგან მალულად შევეცადე, მისი აბურდული სულისთვის იერ-სახე მიმეცა. და თქვენ, ნაწნავებო, იცით ეს! გავა წლები. მე მოვკვდები და ვინმე სხვა შეგეხებათ. მერე კი თქვენ იმ სხვასაც აზიარებთ ამქვეყნიურ მადლს! ათასწლეულებს გაუძლებთ, დაე თუნდაც გაფერმკრთალდეთ, მოიკრუნჩხოთ და ფერი იცვალოთ მუმიების თმების მსგავსად! დიახ, თქვენ მაინც იცოცხლებთ იმ წუთებით, ჩვენი პლანეტის, დედამიწის არსებობას რომ ამართლებენ, ნაწნავებო! ახლა კი იღიმებით, მაგრამ მე იმის გაფიქრებაც კი მაძრწუნებს, რომ დროთა განმავლობაში, შესაძლოა, თქვენც გაქრეთ. ეს ვიცი და ამიტომ გთხოვთ, ახლა მაინც დამინდოთ, ნაწნავებო!